**კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი**

# თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური სისტემის თავისებურებები

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო-საგანმანათლებლო პროგრამა

**ნინო კოპალიანი**

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

**დისერტაცია**

თბილისი

საქართველო

2024

**განაცხადი**

როგორც ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომში გამოყენებული მასალა ციტირებული და დამოწმებულია სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო კოპალიანი

20.06.2024

## მადლიერების გვერდი

სადოქტორო ნაშრომზე მუშაობა მეტად ხანგრძლივი პროცესია. იგი განსაკუთრებულ ნებისყოფასა და მონდომებას მოითხოვს. აღნიშნული დისერტაცია სრულყოფილი ვერ იქნებოდა, რომ არა იმ ადამიანების მხარდაჭერა, რომლებიც სამი წლის განმავლობაში გვერდით მედგნენ.

განსაკუთრებულ მადლობას მოვახსენებ ჩემს უშუალო ხელმძღვანელს გაწეული დახმარებისათვის - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს ქალბატონ **მაია კაპანაძეს.**

გვერდში დგომისა და გულთბილი დამოკიდებულებისათვის მადლობას მოვახსენებთ პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორს, პროფესორ **თამარ კიკნაძეს,** დოქტორანტურის სამსახურის ხელმძღვანელს, ფილოლოგიის დოქტორს, კსუ-ს ასოც. პროფესორ ქალბატონ **ნინო მინდიაშვილსა** და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს.

გაწეული დახმარებისათვის მადლობას მოვახსენებთ დარგის ექსპერტებსა და სპეციალისტებს, ბატონებს: **სიმონ გურეშიძეს, ირაკლი თოფურიძეს, საბა თაველიშვილს, ვახტანგ თევდორაძეს.**

## ანოტაცია

სადოქტორო ნაშრომში შესწავლილია თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური სისტემის თავისებურებები, მოცემულია ამ ქვეყანაში მიმდინარე საშინაო პოლიტიკური პროცესების ანალიზი.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია თურქეთის პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაციის რთულ პროცესზე, რომელიც დაიწყო თურქეთის რესპუბლიკად გამოცხადებისთანავე. იგი ხასიათდება სეკულარიზმის ეროზიით და სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სოციალურ ჯგუფებს, პარტიებსა და ა.შ. შორის დაპირისპირებებით, ასევე ნაშრომში საუბარია თურქეთის რესპუბლიკის არსებობის უმთავრეს ქემალისტურ პრინციპებზე, ათათურქის გზისა და მისი ცვლილების გამომწვევ ძირითად მიზეზებზე, რისთვისაც თანამედროვე თურქეთის სათავეში მდგომი მმართველი ძალა მძლავრ იარაღად იყენებს რელიგიას-ზომიერ ისლამს. რესპუბლიკის დაარსების დღიდან ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარეობს უწყვეტი პროცესი კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანისა და სამოქალაქო ხელისუფლებაზე სამხედროთა გავლენის აღმოსაფხვრელად, რასაც შედეგად მოჰყვა პრო-ისლამური თუ სეკულარული პოლიტიკური პარტიების გააქტიურება და ხან მრავალპარტიული, უფრო ხშირად კი ერთპარტიული მმართველობითი სისტემის ჩამოყალიბება. თურქეთის სახელმწიფო წყობილებამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა მას შემდეგ, რაც 2002 წელს ხელისუფლებაში მოვიდა რეჯეფ ტაიფ ერდოღანი და მისი ზომიერი ისლამური სამართლიანობისა და განვითარების პარტია. დღესდღეობით თურქეთის საშინაო პოლიტიკური პროცესები ზომიერი (,,რბილი“) ისლამის დამკვიდრებით ხასიათდება. მმართველი სამართლიანობისა და განვითარების პარტია ცდილობს ,,ახალი თურქეთის“ შექმნას და ადგილობრივი საზოგადოების უფრო კონსერვატიულ საზოგადოებად გარდაქმნას.

თურქეთი თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით მოხერხებულად სარგებლობს და უკვე განხორციელებული თუ დაგეგმილი მასშტაბური, ამბიციური პროექტებით რეგიონში და მსოფლიო პოლიტიკაში ერთ-ერთ მსხვილ

მოთამაშედ გვევლინება. შესაბამისად, მსოფლიოში და რეგიონში მიმდინარე პროცესებიც გავლენას ახდენენ ქვეყნის სტაბილურობასა და განვითარებაზე.

ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების პირობებში თურქეთის გამორჩეული და ქარიზმატული ლიდერი, რეჯეფ ტაიპ ერდოღანი, ცდილობს ამ ქვეყნის როლის გაძლიერებას სამხრეთ კავკასიაში, ბალკანეთსა და ცენტრალური აზიის თურქულენოვან ქვეყნებში, ჩაბმულია სირიასა და ლიბიაში მიმდინარე საომარ ოპერაციებში, ასევე უკრაინა-რუსეთის სამხედრო დაპირისპირებაში, ვაჭრობს ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანების საკითხით და ხანდახან ევროპას თავის პირობებსაც კარნახობს, როგორც ეს მოხდა შვედეთისა და ფინეთის ნატოში გაწევრიანების საკითხის განხილვის დროს. ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ეს ქვეყანა იქ არსებული სოციალური თუ პოლიტიკური დაძაბულობით მსოფლიოს ერთ-ერთ ცხელ წერტილად შეიძლება ჩაითვალოს, სადაც მიმდინარე პროცესებში გარდამტეხ როლს ასრულებს რელიგიური ფაქტორი, რაც განაპირობებს ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების სპეციფიკურობას და განსაზღვრავს თურქეთის ადგილს საერთაშორისო ასპარეზზე.

სადოქტორო ნაშრომის შესავალი ნაწილი შედგება საკვლევი თემის აქტუალურობის, ჰიპოთეზის, საკვლევი კითხვების, ამოცანებისა და კვლევის მი ზნებისაგან. კვლევის მეთოდებისა და მეთოდოლოგიის გამოყენებით წარმოდგენილია ნაშრომის მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა.

კვლევის ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს ნახევრადსტრუქტურირებული, ჩაღრმავებული ინტერვიუ, რომლის მიხედვითაც გამოვკითხეთ დარგის ექსპერტები და სპეციალისტები. ინტერვიუერთა შეფასებისას გამოვლინდა განსხვავებული შეხედულებები საკვლევი თემის ირგვლივ. ეს ყოველივე კი დაგვეხმარა საკითხის სხვადასხვა კუთხით დანახვასა და უკეთ გააზრებაში.

## ANNOTATION

The doctoral thesis studies the peculiarities of the political system of modern Turkey, analyzing the ongoing political processes in this country, and understanding of foreign sources of foreign policy.

The work focuses on the difficult process of transforming the Turkish political system, which began as soon as it was declared a republic of Turkey. It is characterized by erosion of secularism and various community organizations, social groups, parties, etc. Among the confrontations, the work also discusses the main Kemalist principles of the Turkish Republic, the main causes of the Ataturk road and its change, for which the powerful power of modern Turkey uses a powerful weapon of religion-moderate Islam. Since the establishment of the Republic, the country's political life has been a continuous process to make amendments to the constitution and to eliminate the influence of the military on civil authorities, resulting in the intensification of pro-Islamic or secular political parties and sometimes the formation of a multi-party, more often one-party governance system. The Turkish state order has undergone a significant change since the 2002 government came to power and its moderate Islamic Justice and Development Party. Today, Turkey's domestic political processes are characterized by moderate ("soft") Islam. The ruling Justice and Development Party seeks to create "New Turkey" and transform the local community into a more conservative society.

Turkey is conveniently enjoyed by its geopolitical location and is one of the largest players in the region and world politics. Consequently, the ongoing processes in the world and in the region also affect the stability and development of the country.

Regimentary and charismatic leader and charismatic leader of Turkey, Recep Tayyip Erdogan, a distinguished and charismatic leader of Turkey, Recep Tayyip Erdogan, is trying to strengthen the role of this country in the face of the new world order, under the formation of the new world order, under the formation of the new world order, seeks to strengthen the role of this country in the Turkish-speaking countries of the South Caucasus, the Balkans, Balkans, and Turkish-speaking countries in the South Caucasus, the Balkans, and Central Asia of Asia, in Syria and Libya and Libya and Libyan and

Libyan military, as well as in the Ukrainian-Russian military confrontation, trading in the European Union, trading in the European Union, trading in the Turkish military. And sometimes Europe also dictates its terms, as it did when discussing the issue of NATO membership in Sweden and Finland. In the light of the above, this country in the Middle Eastern region can be considered one of the hot spots of the world with social or political tensions, where the religious factor plays a turning point in the current processes, which drives the specificity of the country's political life and defines the place of Turkey in the international arena.

The introductory part of the doctoral thesis consists of the topicality of the study topic, the hypothesis, research questions, objectives and research goals. The methods and methodology of research present the scientific novelty and practical importance of the work.

One of the methods of the study is a semi-structural, deep interview that we interviewed experts and specialists in the field. In the assessment of the interviewers, different views on the topic of research were revealed. All of this has helped us to see and understand the issue in different ways.

## სარჩევი

ანოტაცია ------------------------------------------------------------------------------------------------III

ANOTATION ---------------------------------------------------------------------------------------V

შესავალი ------------------------------------------------------------------------------------------------1

თავი I. თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური სისტემის თეორიული და ისტორიული საფუძვლები---------------------------------------------------------18

1.1 პოლიტიკური სისტემა და მისი თეორიული ბაზისი------------------------------18

1.2 . რეგიონის თავისებურებები და თურქეთის სახელმწიფოს იდეა ---------------32

1.3. თურქეთის პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ისტორიული ეტაპები ----44

თავი II. ლაიცისტური თურქეთის ევროპეიზაცია და თურქეთის რესპუბლიკის სეკულარული პოლიტიკური ურთიერთობები---------------------------61

2.1. კონსტიტუცია, როგორც სეკულარიზმის გარანტი --------------------------------61

2,2. ისლამის როლი ევროპეიზებულ თურქეთში -------------------------------------82

2.3. პოლიტიკური პარტიები და სამხედრო გადატრიალებები თურქეთის რესპუბლიკაში ---------------------------------------------------------------------------95

2.4. მედია, როგორც თურქეთის პოლიტიკური სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტი-----------------------------------------------------------------------------128

თავი III. თურქეთის სახელმწიფოს პოლიტიკური პრიორიტეტები და პოლიტიკური სისტემის თანამედროვე გამოწვევები--------------------------------138

3.1.სახელმწიფო და რელიგიური ინსტიტუტები------------------------------------138

3.2. პოლიტიკური სისტემის ცვლილებები სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მმართველობის პერიოდში-----------------------------------------------154

3.3. თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური სისტემის გამოწვევები და ზომიერი ისლამის პრობლემა-----------------------------------------------------------------170

3.4. ემპირიული კვლევა-ექსპერტების გამოკითხვა, ნახევრადსტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუ დარგის სპეციალისტებთან-----------------------------186

დასკვნა---------------------------------------------------------------------------------201

ბიბლიოგრაფია-----------------------------------------------------------------------206

## გამოყენებული აბრევიატურები

**ADD**-ათათურქისტული აზროვნების ასოციაცია

**AKP**-სამართლიანობისა და განვითარების პარტია

**BTK**- ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა

**CHP** -სახალხო-რესპუბლიკური პარტია

**DITIB** - თურქულ-ისლამური რელიგიის საკითხთა კავშირი

**FETO** -ფეთჰულაჰისტური ტერორისტული ორგანიზაცია

**GREDA** -საქართველოს განახლებადი ენერგიის განვითარების ასოციაცია

**HDP** -პრო-ქურთული პარტია

**ICPICH**- ისლამური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო კომისია

**IRCICA**- ისლამური ხელოვნების, კულტურისა და კვლევის ცენტრი

**IYI**- კარგი პარტია

**MHP**- ნაციონალისტური მოძრაობის პარტია

**TIKA**- თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტო

**YSP**- მემარცხენე პრო-ქურთული პარტია

## შესავალი

## თემის აქტუალურობა

თურქეთის პოლიტიკური სისტემა მთლიანად ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნების პოლიტიკური სისტემისაგან საკმაოდ განსხვავებულია. ამ ქვეყანაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული სეკულარულ და ისლამურ პოლიტიკურ პარტიებს ხშირად უხდებათ ერთმანეთთან კონკურენციაში შესვლა. ეს არის საკმაოდ საინტერესო პროცესი, რაც აისახება თურქეთის რესპუბლიკის არა მარტო საშინაო, არამედ საგარეო პოლიტიკაზეც. ისლამური იდეოლოგიის მქონე პოლიტიკური პარტიები თურქეთის ხელისუფლებაში განსაკუთრებით გააქტიურდნენ 21-ე საუკუნის დასაწყისში. რაც შეეხება თურქეთის პოლიტიკურ ასპარეზზე მათ გააქტიურებას, ის გაცილებით ადრე, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო. ზომიერი ისლამის მომძლავრების დამადასტურებელი ფაქტორია ის, რომ უკვე 22 წელია, რაც ლაიცისტურ თურქეთს ზომიერი ისლამური სამართლიანობისა და განვითარების პარტია მართავს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ საბოლოოდ უარი თქვა სეკულარიზმზე.

თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური სისტემა იმით არის გამორჩეული, რომ ერთად თანაარსებობენ ზომიერი ისლამი და სეკულარიზმი. თურქეთისათვის მათი თანაარსებობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია როგორც რეგიონში, ისე რეგიონს გარეთ. ზომიერი ისლამის მეშვეობით თურქეთი ცდილობს მუსლიმურ ქვეყნებში ერთგვარი ლიდერის როლი ითამაშოს, სეკულარიზმი კი მას სჭირდება ქვეყნის გარეთ თავისი იმიჯის განსამტკიცებლად, რომ დასავლეთის მოპოვებული მხარდაჭერა კიდევ უფრო განიმტკიცოს და პრეტენზია განაცხადოს ევროკავშირის სრულუფლებიან წევრობაზე. ასე რომ, თურქეთში ზომიერი ისლამი და სეკულარიზმი საკმაოდ ,,ჰარმონიულად“ თანაარსებობენ და ერთმანეთს ხელს არ უშლიან. ორივე მათგანს თავისი დატვირთვა აქვს ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში.

## კვლევის მიზნები და ამოცანები

**კვლევის მიზნებია:**

- თანამედროვე თურქეთის სახელმწიფო პოლიტიკური სისტემის თავისებურებების კვლევა, მისი მეცნიერული შესწავლა და სათანადო დასკვნების გაკეთება.

**კვლევის ამოცანებია:**

- სახელმწიფოს იდეისა და რეალობის შესწავლა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში თურქეთის სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებების ისტორიული ეტაპების საფუძველზე.
- თურქეთის პოლიტიკური სისტემის თავისებურებების არსის კვლევა.
- სეკულარიზმის განმტკიცების მიზეზების მეცნიერული შესწავლა თურქეთის კონსტიტუციებში.
- პოლიტიკური პარტიების თავისებურებებისა და სამხედრო გადატრიალებების მიზეზების კვლევა თურქეთში.
- თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური სისტემის ცვლილებების შესწავლა ზომიერი ისლამის პირობებში.

## საკვლევი კითხვები

ჰიპოთეზის დასამტკიცებლად ან უარსაყოფად პასუხი გავეცით შემდეგ კითხვებს:

- რამდენად მოერგო მუსლიმური თურქეთი სეკულარიზმს?
- რამ განაპირობა ისლამური პარტიების გააქტიურება თანამედროვე თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში?
- რა გამოწვევებს ქმნის ისლამური და სეკულარული პოლიტიკური ძალების წინააღმდეგობა თურქეთის პოლიტიკაში?
- რამ განაპირობა პოლიტიკური სისტემის ცვლილება თურქეთში?

## ჰიპოთეზა

საკვლევი თემის ჰიპოთეზა თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური სისტემის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ თურქეთის პოლიტიკას ერთდროულად განსაზღვრავს როგორც სეკულარიზმი, ისე ზომიერი ისლამი. ხშირად სეკულარებსა და ზომიერ ისლამს შორის არის გარკვეული პრობლემები, თუმცა

რეალობაა, რომ ორივე მათგანი თითქმის თანაბრად არის წარმოდგენილი თურქეთის პოლიტიკაში. როგორც სეკულარიზმს, ისე ზომიერ ისლამს მნიშვნელოვანი დატვირთვა გააჩნია თანამედროვე თურქეთის პოლიტიკურ სისტემაში, რითაც ეს ქვეყანა გამოირჩევა ახლო აღმოსავლეთის რეგიონის სხვა ქვეყნების პოლიტიკური სისტემებისაგან.

## კვლევის საგანი და ობიექტი

**კვლევის საგანი** - თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური სისტემისათვის დამახასიათებელი თავისებურებები.

**კვლევის ობიექტი** - ზომიერი ისლამიზმი თურქეთში და სეკულარიზმი.

## ნაშრომის თეორიული ჩარჩო

ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ შემდეგი მეთოდოლოგია:

1. **მაქს ვებერის მოდერნიზაცია**[1] – ამ ტერმინით აღნიშნავენ ტრადიციული, აგრარული საზოგადოების გარდაქმნას სეკულა რულ საზოგადოებად. მოდერნიზაცია არის უწყვეტი პროცესი, რომელიც არ გულისხმობს მხოლოდ ერთი კონკრეტული ქვეყნის ტრანსფორმაციას თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, ის უნდა მოიცავდეს მრავალ ქვეყანას და მასში ჩართული უნდა იყოს მოსახლეობის ფართო ფენები. მოდერნიზაციის პროცესი, უფრო მეტად, დასავლეთიდან იწყებს შემოსვლასა და გავრცელებას. იგი შეიძლება წარმოვიდგინოთ, ერთი მხრივ, როგორც იმ კულტურული და სოციალური მახასიათებლების ერთობლიობა, რომელიც დასავლური ცივილიზაციისთვის იყო ფასეული და მისაღები. მეორე მხრივ კი, ეს არის იმ კულტურული და სოციალური ნიშნების ერთად თავმოყრა, რომელიც საზოგადოების შემდგომმა გარდაუვალმა განვითარებამ არადასავლური ცივილიზაციისა და კულტურის დამახასიათებელ ნიშნად აქცია. მოდერნიზაციის პროცესიის ამგვარი ახსნა შესაძლებელია დაგვეხმაროს დასავლური საზოგადოების თანამედროვე თუ ისტორიულ განვითარებაზე მსჯელობისას, ხოლო მოდერნიზაციის მეორე გაგება მნიშვნელოვან დახმარებას გაგვიწევს იმ პროცესების აღსაწერად, რომლებსაც ადგილი აქვს თანამედროვე მსოფლიოში.

---

[1] Вагнер П, Макс Вебер и модерн XXI века, https://cyberleninka.ru/article/n/maks-veber-i-modern-xxi-veka/viewer , ბოლოს გადამოწმდა: 25.008.2024

**გ. ალმონდის პოლიტიკური კულტურის კონცეფცია და პოლიტიკური სოციალიზაცია.**[2] პოლიტიკური კულტურის თეორიის შესწავლა ამერიკელმა პოლიტოლოგმა გ. ალმონდმა განახორციელა ს. ვერბასთან ერთად. ალმონდმა თავისი კონცეფცია ჩამოაყალიბა სტატიაში „შედარებითი პოლიტიკური სისტემები". ისინი განასხვავებენ პოლიტიკური კულტურის სამ ძირითად ტიპს: პატრიარქალურ, ანუ ტრადიციულ, მორჩილ და მონაწილეობით კულტურებს. პოლიტიკური კულტურის პატრიარქალური ტიპი ძირითადად ტრადიციულ საზოგადოებაში გვხვდება და ახასიათებს შეზღუდული ცოდნა პოლიტიკის შესახებ, მოქალაქეები არ ელიან რაიმე სახის ცვლილებებს პოლიტიკაში და ნაკლებ ინტერესს გამოხატავენ გლობალური პოლიტიკური კულტურისა და ეროვნული ერთიანობის მიმართ. ტრადიციულ საზოგადოებაში მოქმედი პირი ერთდროულად რამდენიმე ფუნქციას ასრულებს: აქ რელიგიური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფუნქციები ერთმანეთისაგან გამიჯნული არ არის.[3] თუმცა მან იცის ის ფაქტი, რომ ყველა სოციალური ფენა ან ჯგუფი ვერ მიიღებს მონაწილეობას სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომ ზოგიერთი მათგანი მთლიანად გარიყულია პოლიტიკური პროცესისგან (მაგალითად, ყმები ფეოდალურ სახელმწიფოში, ქალები ზოგიერთ მუსულმანურ ქვეყანაში და ა.შ.).

პოლიტიკური კულტურის მორჩილი ტიპი კარგად იცნობს არსებულ პოლიტიკურ სისტემას და მაღალი პოლიტიკური შეგნებით ხასიათდება, მაგრამ მაინც ახასიათებს პასიური პოლიტიკური ქცევა. იგი, მიუხედავად იმისა, რომ ამ სისტემისაგან იღებს დახმარებას და სხვადასხვა სახის მომსახურებას, თავის თავს არსებული პოლიტიკური სისტემის მიღმა ხედავს, არ მოსწონს არსებული გადასახადები და სისტემის მიერ განხორციელებული დიქტატი, თუმცა ცდილობს მხარი დაუჭიროს იმ პოლიტიკურ სისტემას, რომელიც ფუნქციონირებს. არ მოითხოვს სახელმწიფოსგან რაიმე სარგებელს, უბრალოდ ელის პოლიტიკური სისტემისგან საზოგადოების აქტუალური პრობლემების გადაჭრას.

---

[2] Концепция политическои культуры Г Алмонда и политическая соцялизация, https://studfile.net/preview/8643699/page:3/, ბოლოს გადამოწმებულია: 25.08.2024

[3] პოლიტიკური კულტურა და სოციალიზაცია, file:///C:/Users/h/Desktop/politikuri-kultura-da-socializacia.pdf , ბოლოს გადამოწმდა: 25.008.2024

მონაწილეობითი პოლიტიკური კულტურა ხასიათდება პოლიტიკური აქტივობის მაღალი დონით. ამ კულტურის წარმომადგენელი ნამდვილი აქტიური მოქალაქეა, ის ცდილობს თავისი ჩართულობით შეცვალოს ან უკეთესი გახადოს პოლიტიკური სისტემა: მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში, თამამად დააფიქსიროს თავისი აზრი დემონსტრაციებზე, წარადგინოს პეტიციები და ა.შ. აქტიური მოქალაქე ოსტატურად გამოხატავს თავის ინტერესებს და ინტერესთა ჯგუფებისა და პარტიების მეშვეობით გავლენას ახდენს პოლიტიკის შემუშავების რთულ პროცესზე. ამავდროულად ის გამოხატავს პოლიტიკური სისტემის მიმართ ერთგულებას, კანონმორჩილებასა და მიღებული გადაწყვეტილებების პატივისცემას.

ადამიანის ღირებულებათა და შეხედულებათა ჩამოყალიბების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი პროცესია პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესი. ალმონდის აზრით, პოლიტიკური სოციალიზაცია არის ინდივიდის მიერ პოლიტიკური ცოდნის, პოლიტიკური კულტურის ნორმებისა და ღირებულებების ათვისების პროცესი, რაც ხელს უწყობს მოცემულ პოლიტიკურ სისტემასთან ადაპტაციისთვის საჭირო თვისებების ჩამოყალიბებას და მასში გარკვეული ფუნქციებისა და როლების მორგებასა და შესრულებას.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური კულტურა განუყოფლად არის დაკავშირებული და ურთიერთქმედებს პოლიტიკურ ინსტიტუტებთან-პოლიტიკურ სისტემასთან, სახელმწიფოსთან, პოლიტიკურ პარტიებსა და სოციალურ-პოლიტიკურ გაერთიანებებთან, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს მის შემდგომ განვითარებასა და გაუმჯობესებაზე.

**რ. მიხელსის „ოლიგარქიის რკინის კანონის“**[4] მიხედვით, როგორი დემოკრატიულიც არ უნდა იყოს ორგანიზაციის საქმიანობა, მისი გაფართოება აუცილებლად იწვევს მართვასთან დაკავშირებულ სირთულეებს, რომელთა მოგვარების მიზნით და ასევე გარკვეული სტაბილურობის მისაღწევად თავად მასებში წარმოიქმნება ადამიანთა ახალი ორგანიზებული უმცირესობა, რომელიც თავის თავზე იღებს მმართველი კლასის ფუნქციას, თავის ხელში ახდენს

[4] Железный закон олигархических тенденций по Роберту Михельсу, https://vikent.ru/enc/1970/ , ბოლოს გადამოწმებულია: 28.08.2024

რესურსებისა და ძალაუფლების მონოპოლიზებას და ყალიბდება ოლიგარქიად- სწორედ ეს არის, მისი აზრით, სუფთა ელიტიზმი. რობერტ მიხელსის ოლიგარქიის რკინის კანონის მთავარი იდეა ისაა, რომ ყველა ორგანიზაცია, თუნდაც ყველაზე თანასწორუფლებიანი და დემოკრატიული, სინამდვილეში ოლიგარქიულია და საბოლოო ჯამში ექვემდებარება ლიდერთა მცირე ჯგუფს, რადგან ,,საზოგადოება ვერ იარსებებს მმართველი ან პოლიტიკური კლასის გარეშე". ამრიგად, დემოკრატია თავიდანვე აწყდება ,,გადაუჭრელ წინააღმდეგობებს" - ჯერ ერთი, ის ,,უცხოა ადამიანთა ბუნებისათვის" და მეორეც, ის აუცილებლად ,,შეიცავს ოლიგარქიულ ბირთვს", თუმცა გერმანელი სოციოლოგი დასკვნის სახით ამბობს, რომ დემოკრატიას გააჩნია შიდა კონტროლის მექანიზმებიც, როგორიცაა ხელისუფლების დანაწილების პრინციპი.

## კვლევის მეთოდები

თემის დამუშავების დროს გამოვიყენეთ კვლევის თვისებრივი მეთოდები:

**ისტორიულ-შედარებითი ანალიზი** - მეთოდის მეშვეობით მოვახდინეთ ისტორიული დოკუმენტების ანალიზი, ფაქტების ინტერპრეტაცია-შედარება, განსხვავებულ სივრცესა და დროში მომხდარ მოვლენებს შორის განსხვავებისა და მსგავსების დადგენა, შეხედულებების არგუმენტირებულად დასაბუთება და დასკვნების ჩამოყალიბება.

**ინტერდისციპლინარული მეთოდი** - თვისებრივი მეთოდი ინტერდისციპლინარულია და მას ფართოდ იყენებენ სოციალური მეცნიერებების სხვადასხვა დარგში, მათ შორის: ფსიქოლოგიაში, პოლიტიკის მეცნიერებებში, სოციოლოგიაში, ეთნოგრაფიაში, ევროპისმცოდნეობაში, ისტორიაში და სხვ. უმთავრესი ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ ამ მეთოდით შესაძლებელია რთული და ნაკლებად გავრცელებული ფენომენების, ასევე პრობლემური სიტუაციის სიღრმისეული და ყოველმხრივი შესწავლა. გარდა ამისა, ხშირად თვისებრივ მეთოდებზე დამყარებული კვლევა შესაძლებელს ხდის, საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე კვლევითი ტექნიკის ერთდროულად გამოყენებას. ამან საშუალება მოგვცა სხვადასხვა კუთხით შეგვესწავლა ჩვენთვის საინტერესო

ფენომენი. ამიტომ ეს მეთოდი დაგვეხმარა, რომ საკითხი მრავალმხრივ შეგვესწავლა და გაგვეაზრებინა.

**კონტენტ-ანალიზი** - კონტენტ-ანალიზის გამოყენებით შესაძლებელია, მოვახდინოთ წერილობითი მასალის შინაარსის დეტალურად შესწავლა, საფუძლიანი ანალიზი და თანმიმდევრული დასაბუთება. ჩემს ნაშრომში კონტენტ-ანალიზი გამოვიყენეთ, როგორც საშუალება სხვადასხვა ტიპის დოკუმენტებიდან, სამეცნიერო ჟურნალებიდან და სხვადასხვა ტიპის წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაციის დამუშავებისა და სიღრმისეული ანალიზის გასაკეთებლად.

**შემთხვევის ანალიზი (caze stady)** - კვლევის ამ მეთოდის გამოყენებით მოვახდინეთ საკითხის ირგვლივ არსებული თეორიული მასალის განხილვა, სხვადასხვა წყაროების მეცნიერული შესწავლა, ჩვენთვის საინტერესო მოვლენის იდენტიფიცირება, ანალიზი და სათანადო დასკვნების გამოტანა.

**სიღრმისეული ინტერვიუ** - ინფორმაციის შეგროვების ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული საშუალება არის ინტერვიუ. მან შესაძლებლობა მოგვცა მოგვესმინა რესპოდენტების მოსაზრებები შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით, გაგვეეგო ჩვენთვის საინტერესო მოვლენებისადმი მათი დამოკიდებულება და შეფასება. ამიტომ სიღრმისეული ინტერვიუ დაგვეხმარა კვლევის თემასთან დაკავშირებით ახალი ინფორმაციის მოპოვებაში.

## ნაშრომის მეცნიერული სიახლე

ნაშრომში კომპლექსურად არის განხილული თანამედროვე თურქეთის სახელმწიფო-პოლიტიკური სისტემის თავისებურებასთან დაკავშირებული რიგი საკითხები:

- განისაზღვრა პოლიტიკური სისტემის არსი და მისი თეორიული ბაზისი
- წარმოჩინდა თურქეთის პოლიტიკური სისტემის ფორმირების რთული პროცესი და განვითარების ეტაპები
- გამოიკვეთა ის, თუ რამდენად მოერგო მუსლიმურ თურქეთს სეკულარიზმი, ყურადღება გამახვილდა ამ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, რაც აისახა თანამედროვე თურქეთის მმართველობით სისტემაზე.

• დადგინდა, ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების პროცესში რა თავისებურებებით გამოირჩევა თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური სისტემა.

• შეფასდა თანამედროვე თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ზომიერი ისლამის როლი, რომელმაც გავლენა მოახდინა რესპუბლიკის მმართველობის სისტემაზე, რასაც თან ერთვოდა პერიოდულად კონსტიტუციური ცვლილებებიც.

• კვლევის შედეგად გამოვლინდა და ჩვენ მიერ შეფასდა პოლიტიკური სისტემის ცვლილება ზომიერი ისლამური სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მმართველობის პერიოდში

• შეფასდა, თუ რამდენად მოახერხა სეკულარიზმმა გაეძლო თანამედროვე გამოწვევებისა და ზომიერი ისლამური იდეოლოგიის მქონე პარტიების ქვეყნის პოლიტიკურ ასპარეზზე გააქტიურებისათვის.

რეალობა ის არის, რომ თურქეთში ზომიერი ისლამის პირობებშიც სეკულარიზმს თავისი შეუცვლელი ადგილი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ერდოღანს ხშირად უწოდებენ ,,ახალ სულთანს“, მას უარი არ უთქვამს სეკულარიზმზე. მისთვის ორივე, როგორც ზომიერი ისლამი, ისე სეკულარიზმი, ძალიან მნიშვნელოვანია. ეს ნაშრომი არის თანამედროვე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ერთ-ერთი პირველი მცდელობა, სადაც მეცნიერულად არის შესწავლილი თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური სისტემის თავისებურებები.

## ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა არის ის, რომ მასში შევეცადეთ და შეძლებისდაგვარად დეტალურად განვიხილეთ ის პრობლემები, რომლებიც თანამედროვე თურქეთში ისლამური პარტიების მომძლავრებამ შეუქმნა სახელმწიფო წყობილებას და აქცენტი გავაკეთეთ იმ თავისებურებებზე, რომლებიც ამ პროცესს ახლავს თან.

ვფიქრობთ, ჩვენ მიერ შესრულებული სადოქტორო ნაშრომი, ამ სფეროთი დაინტერესებული მკვლევრების გარდა, საინტერესო იქნება სტუდენტებისა და მეცნიერთა იმ ნაწილისათვის, რომლებიც იკვლევენ ისლამიზმით გამოწვეულ პრობლემებს კონკრეტული სახელმწიფოებისათვის, ასევე ვფიქრობთ, რომ ის გამოადგება ქვეყნის სპეცსამსახურებსაც.

შევქმენით იმ ხარისხის სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური სისტემის შესწავლის მხრივ თავის ადგილს დაიკავებს ქართულ სამეცნიერო წრეებში.

## სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

ლიტერატურის ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია. საკვლევ თემაზე მუშაობის დროს გამოვიყენეთ როგორც პირველადი, ასევე მეორეული წყაროები, გავეცანით სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომებს – როგორც ქართულ, ისე უცხოურ, მათ შორის თურქულენოვან შრომებს. ყურადღება გავამახვილეთ დოკუმენტებსა და ისტორიულ წყაროებზე, დავამუშავეთ ასევე დარგის სპეციალისტთა მიერ გამოქვეყნებული სტატიები და პუბლიკაციები. პირველადი და მეორეული წყაროები დაგვეხმარა საკითხის უკეთ გაანალიზებასა და შეფასებაში. აქ მიმოვიხილავთ მათ მცირე ნაწილს.

**ბატიაშვილი ზ. ,, ცვლილებები თურქეთის მმართველობით სისტემაში“[5]**

თურქეთის მმართველობის სისტემაში მომხდარი ცვლილებები ჩვენი საკვლევი თემის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. ავტორი საუბრობს 2018 წლის 24 ივნისს თურქეთში გამართულ რიგგარეშე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების შესახებ და მას თურქეთის რესპუბლიკის მმართველობით სისტემაში დღემდე განხორციელებულ ყველაზე ძირეულ რეფორმად მიიჩნევს. იგი დაწვრილებით განიხილავს ამ ცვლილების საჭიროების გამომწვევ მიზეზებს და საუბრობს იმ 18 მუხლის კორექტირების შესახებ, რომელიც განხორციელდა 2017 წლის 16 აპრილის რეფერენდუმით საგარეო ურთიერთობის, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში და გამოაქვს სათანადო დასკვნები.

**სვანიძე მ. ,,თურქეთის ისტორია 1299-2000“[6]**

ამ წიგნში საკმაოდ ვრცლადაა განხილული თურქეთის ისტორია ოსმალეთის იმპერიის დაარსებიდან XXI საუკუნის დამდეგამდე. ნაშრომი 583 გვერდისაგან შედგება და მასში მეცნიერულად არის შესწავლილი ჩვენთვის საინტერესო საკითხები: XX საუკუნის 20-იანი წლების ქემალისტური რევოლუცია თურქეთში

[5] ბატიაშვილი ზ, ცვლილებები თურქეთის მმართველობის სისტემაში. ,,საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი“, თბილისი, 2018. https://tinyurl.com/5n7jzvx7 , ბოლოს გადამოწმდა: 7.08.2024

[6] სვანიძე მ. თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი, 2007

და სახალხო-რესპუბლიკური პარტიის დაარსება, რომელიც თურქეთის პირველი რესპუბლიკის მმართველი პარტია გახდა, ერთპარტიული მმართველობიდან მრავალპარტიულ სისტემაზე გადასვლა და სამხედრო გადატრიალებები თურქეთის ისტორიაში, მოცემულია ღრმა და საფუძვლიანი ანალიზი რესპუბლიკური თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ისლამური პარტიების გააქტიურებისა და სეკულარიზმის დამცველი სამხედრო ელიტების საქმიანობის შესახებ, აღწერილია მუსტაფა ქემალის მიერ გატარებული რეფორმები თურქეთის რესპუბლიკის ევროპეიზაციისა და მოდერნიზაციის გზაზე.

**მაკარაძე ე. თურქეთის საშინაო პოლიტიკა 2000 – 2015 წლებში**[7]

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას საჭიროდ ჩავთვალე გავცნობოდი პროფესორ ემზარ მაკარაძის დასახელებულ მონოგრაფიას, რადგანაც იგი რესპუბლიკური თურქეთის პოლიტიკური ცხოვრების მკვლევარი გახლავთ. 21-ე საუკუნის დასაწყისი სეკულარული თურქეთის ისტორიაში მნიშვნელოვანი პერიოდია, რადგან სწორედ ამ პერიოდიდან მოყოლებული ლაიცისტურ ქვეყანას მართავს ზომიერი ისლამური სამართლიანობისა და განვითარების პარტია და ხშირია დაპირისპირებები საერო და რელიგიური პროგრამების მქონე პოლიტიკურ ძალებს შორის. ავტორი ყურადღებას ამახვილებს თურქეთის საშინაო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე, წარმოაჩენს რეჯეფ თაიფ ერდოღანის როგორც ლიდერის და როგორც პოლიტიკური მოღვაწის როლს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ასევე საინტერესოდ საუბრობს აქტიურობაზე სეკულარიზმის დამცველი სამხედრო ელიტისა, რომელიც ცდილობდა მთავრობა მუდმივი კონტროლის ქვეშ ჰყოლოდა და ამით ქემალისტური იდეოლოგიის ერთგულ მცველად გვევლინებოდა. სწორედ ამ მიზეზით ქვეყანაში არაერთხელ მოხდა სამხედრო გადატრიალებები თუ გადატრიალებები ,,მემორანდუმით“ (1960 წ; 1971 წ; 1980 წ; 1997 წ; 2016 წ).

მონოგრაფიაში ავტორი დიდ ადგილს უთმობს თურქეთის საშინაო პოლიტიკის განხილვას 2015 წელს. ის აღნიშნავს, რომ საპარლამენტო არჩევნებში უმრავლესობის მოპოვებით მმართველმა პარტიამ მოახერხა სახელისუფლებო

---

[7] მაკარაძე ე. თურქეთის საშინაო პოლიტიკა 2000 – 2015 წლებში, გამომცემლობა ,,უნივერსალი", თბილისი. 2016, https://tinyurl.com/yc89ysdh, ბოლოს გადამოწმებულია: 8.08.2024

აპარატი თავისი გავლენისათვის დაექვემდებარებინა. მან მოხერხებულად გამოიყენა ,,ერგენეკონის“ საქმე სამხედროებისა და ძველი პოლიტიკური ელიტის განეიტრალების მიზნით, თავადაც უპირისპირდებოდა ყველას, ვინც ეწინააღმდეგებოდა მმართველი პარტიის მიერ მხარდაჭერილ პოლიტიკურ კურსს. მთვრობის მიერ მოსახლეობის დაყოფა ,,ჩვენიანებად“ და ,,სხვისიანებად“ დღემდე გრძელდება.

**მაკარაძე ე, ,,თურქეთის ისტორია 1918-2018 წლებში“**[8]

ნაშრომი შედგება თერთმეტი თავისაგან და ავტორს მოცემული აქვს ქემალიზმისa და მისი უმთავრესი პრინციპების ანალიზი, განხილულია ის გამოწვევები, რომლებიც თან ახლდა თურქეთის რესპუბლიკის დემოკრატიზაციის პროცესს. ასევე დიდი ადგილი აქვს დათმობილი სახელმწიფოსა და გენერალიტეტის ურთიერთობების ანალიზს, იმ სამხედრო გადატრიალებებს თუ გადატრიალების მცდელობებს, რომლებიც მიზნად ისახავდა ქვეყანაში არსებული რეალობის შეცვლასა და ისლამური იდეოლოგიის მქონე პოლიტიკური პარტიების მზარდი რეიტინგის დათრგუნვას. თურქეთის არმიას თავად კონსტიტუცია აძლევდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური ჩარევის უფლებას და ისიც წლების განმავლობაში მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებასა და მეთოდს იყენებდა შეენარჩენებინა სეკულარული თურქეთის მიერ გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან არჩეული ევროპეიზაციის კურსი.

მონოგრაფიაში ასევე განხილულია, თუ რა გავლენა მოახდინა 2009 წელს ქვეყანაში არსებულმა მძაფრმა ეკონომიკურმა კრიზისმა პოლიტიკური პროცესების განვითარებაზე, განსაკუთრებით კი არჩევნების საბოლოო შედეგებზე, ყურადღება გამახვილებულია 2010 წლის 12 სექტემბრის რეფერენდუმით განხორციელებულ საკონსტიტუციო ცვლილებებზე მოსამართლეთა და პროკურორთა უმაღლეს საბჭოში, ასევე სამხედრო სასამართლოებში და სხვ. ავტორის მოსაზრებები და შეხედულებები ჩვენთვის საინტერესო და მისაღებია, ამიტომ შევეცადეთ ღრმად გავცნობოდით იმ

[8] მაკარაძე ე, თურქეთის ისტორია 1918-2018 წლები. გამომცემლობა ,,უნივერსალი“. თბილისი, 2019, https://tinyurl.com/4kbppvnc, ბოლოს გადამოწმებულია: 8.08.2024

საკითხებს, რომლებიც უშუალოდ ეხება თურქეთის ისტორიის ჩვენთვის საინტერესო პერიოდს.

ავტორი დიდ ადგილს უთმობს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების ანალიზს და ყურადღებას ამახვილებს თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ფეთჰულა გიულენისა და მისი ორგანიზაციის როლსა და მნიშვნელობაზე. მკვლევარი ასევე მოგვითხრობს სამართლიანობისა და განვითარების პარტიის დაარსების ისტორიას და აღწერს იმ რეფორმების მნიშვნელობას, რომლებიც ხორციელდება რეჯეფ თაიპ ერდოღანის მიერ ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში თანამედროვე ეტაპზე.

**მანჩხაშვილი მ, „თურქეთის საგარეო პოლიტიკა 1990-2008 წლებში“[9]**

ეს გახლავთ თურქულიდან თარგმნილი სქელტანიანი სახელმძღვანელო, რომელიც თურქეთის ექსპრემიერის აჰმედ დავუთოღლუს შრომებით იწყება. სახელმძღვანელოში ვრცლად და საინტერესოდ არის წარმოდგენილი სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქცია და როლი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მიმოხილული არის თურქეთის პოლიტიკური სისტემა, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა, ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების საკითხი, 1980 წლის სამხედრო გადატრიალება და შემდგომში შექმნილი კოალიციური მთავრობების პოლიტიკური საქმიანობა. წიგნში მოცემულია არა მხოლოდ თურქეთის საგარეო პოლიტიკის ანალიზი, არამედ სხვადასხვა მიმართულებით საზოგადოების გარდაქმნასთან დაკავშირებულ საკითხთა შესაწავლა. ამიტომაც აჰმედ დავუთოღლუს ქართულ ენაზე თარგმნილმა ამ ერთადერთმა ნაშრომმა დიდი დახმარება გაგვიწია საკვლევ თემაზე მუშაობის პროცესში.

**ხოზრევანიძე ლ. მონოგრაფია ,,თურქეთის საგარეო პოლიტიკის თანამედროვე ასპექტები“[10]**

წიგნში განხილულია თურქეთის რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის თანამედროვე ასპექტები. ავტორი საუბრობს თურქეთის გეოპოლიტიკური მდებარეობის შესახებ, ახასიათებს ამ ქვეყნის პოლიტიკურ სისტემას და

---

[9]მანჩხაშვილი მ, თურქეთის საგარეო პოლიტიკა 1990-2008 წლებში, თსუ გამომცემლობა, 2013.
[10] ხოზრევანიძე ლ, თურქეთის საგარეო პოლიტიკის თანამედროვე ასპექტები, გამომცემლობა ,,დანი”, თბილისი. 2018, https://loria.bsu.edu.ge/e-books/book_242.pdf, ბოლოს გადამოწმდა: 8.08.2024

გვიზიარებს თავის შეხედულებებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა გავლენას ახდენს ისლამი თანამედროვე თურქეთის პოლიტიკაზე. ჩვენც ვეთანხმებით ავტორის მოსაზრებებს იმასთან დაკავშირებით, რომ ხელისუფლების მიერ გადადგმული თამამი ნაბიჯები ამავდროულად იწვევს რესპუბლიკის როგორც საგარეო, ასევე საშინაო პოლიტიკის შინაარსის რადიკალურ ცვლილებას. ფაქტობრივად ჩვენ თვალწინ იბადება ახალი თურქეთი ახალი ამბიციებითა და მიზნებით, რომელიც ცდილობს მუსლიმურ ქვეყნებში ერთგვარი ლიდერის როლი მოირგოს და ამ მიზნით ხელს უწყობს სუნიტური ისლამის გაძლიერებას ქვეყანაში, აარსებს რელიგიურ სკოლა-პანსიონებს, აძლიერებს რელიგიურ საქმეთა სამმართველოს და სხვ. მართალია, ისლამის პოპულარიზაცია აფერხებს თურქეთის ევროკავშირთან დაახლოებას, თუმცა, მეორე მხრივ, ამ ქვეყნის ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობა მას ევროკავშირისთვისაც მიმზიდველ პარტნიორ ქვეყნად აქცევს. თურქეთის საშინაო პოლიტიკურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ეს და სხვა აქტუალური საკითხები ავტორს საინტერესოდ აქვს განხილული. ზემოთქმულიდან გამომდინარე, დასახელებულმა ნაშრომმა დიდი დახმარება გაგვიწია სადისერტაციო კვლევის პროცესში.

**ჭიღვარია გ, თურქეთის გეოპოლიტიკა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან**[11]

აღნიშნულ ნაშრომში ავტორს ყურადღება გამახვილებული აქვს, თუ რა ადგილი უჭირავს ისლამის ფაქტორს თურქეთის რესპუბლიკის პოლიტიკაში. იგი საუბრობს XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ქვეყანაში ისლამური იდეოლოგიის მქონე პოლიტიკური პარტიების მომძლავრების შესახებ და მათი რეიტინგის ზრდის ხელშემწყობ მიზეზად უმუშევრობას, მწვავე სოციალ-ეკონომიკურ კრიზისს, ინფლაციასა და ქვეყანაში არსებულ კორუფციას ასახელებს.

**სანიკიძე გ, ალასანია გ, გელოვანი ნ, ,,ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან: XIX- XX საუკუნეების დასაწყისი“**[12]

საკვლევ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ქართველი აღმოსავლეთმცოდნეების ერთობლივი სამეცნიერო ნაშრომი,

---

[11] ჭიღვარია გ, თურქეთის გეოპოლიტიკა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, თბილისი. 2014, https://tinyurl.com/39965knd, ბოლოს გადამოწმებულია: 9.08.2024

[12] სანიკიძე გ. ალასანია გ. გელოვანი ნ. ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან: XIXს-XXIს-ის დასაწყისი, თბილისი, 2011.

რომელშიც გაშუქებულია თურქეთის პოლიტიკური ვითარება რესპუბლიკად გამოცხადებიდან 2011 წლამდე.

**Halle W, Ozbudun E „ Islamism, Democracy and Liberalism in Turkey, The Gase of the AKP“[13]**

წიგნში მოცემულია თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკის მმართველი ''სამართლიანობისა და განვითარების პარტიის'' მოღვაწეობის ყოვლისმომცველი ანალიზი, ის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც განხორციელდა ქვეყნის კულტურულ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში 2002 წლიდან. ნაშრომში საუბარია ისლამისა და დემოკრატიის ურთიერთობის, თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ, ავტორი საინტერესოდ აღწერს თანამედროვე თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში სეკულარიზმის, ლიბერალიზმისა და ზომიერი ისლამური პარტიის თანაარსებობას.

**Cagaptay S „ The New Sultan: Erdogan and the Crisis of Modern Turkey“[14]**

ავტორი საინტერესოდ საუბრობს იმ მზარდი დაძაბულობის შესახებ, რომელიც არსებობს შეერთებულ შტატებსა და თურქეთის რესპუბლიკას, ახლო აღმოსავლეთსა და ევროპას, ისლამსა და ლიბერალიზმს შორის, აღწერს იმ სამხედრო გადაწყვეტილებებსა და დიპლომატიურ ნაბიჯებს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს თურქეთის მძლავრ რეგიონულ ძალად ჩამოყალიბებას. ყურადღებას ამახვილებს ტრამპსა და ერდოღანს შორის დაპირისპირების მიზეზებზე და სხვ.

**Phillips D, „An Uncertain Ally: Turkey under Erdogan's Dictatorship“ [15]**

ნაშრომში ავტორი საუბრობს იმ კორუფციულ სკანდალებსა და ფულის გათეთრების სქემებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა თურქეთის რესპუბლიკაში ერდოღანის მმართველობის წლებში და დაკავშირებული იყო მის ახლობლებსა და ოჯახის წევრებთან. ასევე აღწერს 2016 წლის ივლისის არშემდგარი გადატრიალების დეტალებს და ყურადღებას ამახვილებს იმ მიზეზებზე, რომლებმაც გააღრმავა მოქმედი პრეზიდენტის დაპირისპირება ფეთჰულა გიულენთან. ნაშრომში ვრცლად არის შესწავლილი თურქეთში არსებული

[13] Halle W, Ozbudun E, Islamism, Democraticy and Liberation in Turkey, The Gase of the AKP, 2010
[14] Cagaptay S, The New Sultan: Erdogan and the Crisis of Modern Turkey, 2017
[15] Phillips D, An Ucertain Ally: Turkey under Erdogan's Dictatorship, 2017

მდგომარეობა აღნიშნულ ეტაპზე და წარმოჩენილია ის თავისებურებები, რომლებიც ახასიათებს თანამედროვე თურქეთის სახელმწიფო პოლიტიკურ სისტემას.

**Bechev D „Turkey Under Erdogan: How a Country Turned from Democracy and the West“** [16]

დიმითარ ბეჩევი საინტერესოდ საუბრობს რეჯეფ თაიფ ერდოღანის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ თურქეთის რადიკალური ტრანსფორმაციის შესახებ. ის აღწერს, თუ როგორ მოხდა, რომ დასავლური პოლიტიკის გამტარებელმა ქვეყანამ წამოიწყო მილიტარისტული საგარეო პოლიტიკა, ჩაერია რეგიონულ აფეთქებებში მთიანი ყარაბაღიდან ლიბიამდე და ქვეყანაში არსებულმა დემოკრატიამ ადგილი დაუთმო ერთი კაცის მმართველობას, ავტორიტარიზმს. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ დაშორდა თურქეთი შეერთებულ შტატებს და ევროპულ ღირებულებებს, თუმცა ის ამტკიცებს, რომ, ამის მიუხედავად, თურქეთის ეკონომიკური კავშირები ევროპასთან ისე ძლიერია, როგორც არასდროს.

**Findley C „Tureky, Islam, Nationalism, and Modernity: A History 1789-2007“**[17] ეს სამეცნიერო კვლევა ასახავს ჩვენთვის საინტერესო ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ისლამიზმი, სეკულარიზმი და ნაციონალიზმი. ფინდლი ამტკიცებს, რომ რადიკალები მართავდნენ თურქეთის რესპუბლიკას 1950 წლამდე და მათ სეკულარიზმი აქციეს გრძელვადიან ,,რწმენის სისტემად“, რომელიც დღემდე ინარჩუნებს ძლიერ პოზიციებს. ავტორი ყურადღებას ამახვილებს რესპუბლიკური თურქეთის პოლიტიკაში მომხდარ სამხედრო გადატრიალებებზე, ადამიანთა უფლებების დარღვევის მწვავე ფაქტებზე, დასავლეთსა და ევროკავშირთან გართულებულ ურთიერთობებზე, თურქეთის ამბივალენტურ ურთიერთობებზე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან, მზარდ ფეთქებად ქურთულ საკითხზე და თურქეთის რესპუბლიკაში ისლამის გავლენის მუდმივ ზრდასა და პოლიტიკურ არასტაბილურობაზე. ამიტომაც აღნიშნული ნაშრომი მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის საკვლევ საკითხთან დაკავშირებით.

---

[16] Bechev D, Turkey Under Erdogan: How a Cuuntry Turned from Democracy and the West, 2022

[17] Findley C. Tureky, Islam, Nationalism, and Modernity: A History 1789-2007,,,Yale University Press “, 2010

**Иванова И . ,,Ислам в политической жизни Турции ( 1950 – 1980)“[18]**

თურქეთში სეკულარულ და ისლამურ პარტიებს შორის დაპირისპირება საკმაოდ კარგადაა აღწერილი ამ ნაშრომში. ასევე აქ ყურადღებაა გამახვილებული თურქეთის ორ სამხედრო გადატრიალებაზე და სამხედროების როლზე თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ავტორი საუბრობს თურქეთში XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული ისლამური იდეოლოგიის მქონე პარტიების გააქტიურების შესახებ და იმ საფრთხეებთან დაკავშირებით, რომლებიც ექმნება სეკულარიზმს ამ ქვეყანაში.

**Киреев Н История Турции XX века[19]**

კირეევის ნაშრომში განხილულია ის პოლიტიკური ძვრები, რომელიც დამახასიათებელი იყო თურქეთის რესპუბლიკისათვის გასულ საუკუნეში. ეს არის ვრცელი 609 გვერდიანი მონოგრაფია, რომელშიც გაშუქებულია თურქეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები XX საუკუნის მეორე ნახევარში, აღწერილია რესპუბლიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები, საგარეო პოლიტიკის შეეფასებისას ყურადღება გამახვილებულია თურქეთის ურთიერთობებზე სსრკ-სთან, და მისი დაშლის შემდეგ პოსტსაბჭოთა სივრცეში მყოფ თურქულენოვან ხალხებთან. ამ ურთიერთობებში გადამწყვეტ როლს ასრულებდა არა იმდენად ეკონომიკა, რამდენადაც კულტურა და რელიგია. ავტორი საუბრობს პოლიტიკური ისლამის შესახებ, რომლის საბოლოო მიზნად მიიჩნევს თურქეთში სეკულარული სახელმწიფოს არსებული სამართლებრივი საფუძვლების შარიათის რეჟიმით ჩანაცვლებას.

**Kundak S, Baypinar M,,The crazy project-Canal Istanbul “[20]**

სამეცნიერო სტატიაში თურქეთის მმართველი პარტიის ლიდერისა და ქვეყნის პრეზიდენტის, ერდოღანის, პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებია განხილული. საუბარია ერდოღანის ,,გიჟური პროექტის“, სტამბოლის არხის მშენებლობის შესახებ, რომელიც ბოსფორის სრუტის პარალელურად უნდა განხორციელდეს. ავტორი საუბრობს იმ გამოწვევებისა და შეზღუდვების შესახებ,

[18] Иванова И.. Ислам в политической жизни Турции ( 1950 – 1980) Зарубежный Восток: религиозные традиции и современность. Москва, ,,Наука,” 1983

[19] Киреев Н, История Турции XX века, Москва, 2007.

[20] Kundak S, Baypinar M, The crazy project-Canal Istanbul,

რომლებიც თან ახლავს არხის მშენებლობას. სტატიის ავტორები თურქეთის ურბანული და რეგიონული დაგეგმარების დეპარტამენტის მეცნიერ-თანამშრომლები არიან, ამიტომ მათ კვლევას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის საინტერესო საკითხის გასაშუქებლად.

**ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა**

ნაშრომი შედგება ანოტაციის, შესავლის, სამი თავისა და თერთმეტი ქვეთავისაგან, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისაგან და მოიცავს 227 ნაბეჭდ გვერდს.

## თავი 1. თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური სისტემის თეორიული და ისტორიული საფუძვლები

### 1.1. პოლიტიკური სისტემა და მისი თეორიული ბაზისი

ქვეყნის პოლიტიკური სისტემების ფორმირების შესწავლას და მისი რაობის განსაზღვრას უდიდესი როლი ეკისრება კონკრეტულ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისა და, საერთოდ, პოლიტიკური ცხოვრების ხასიათისა და არსის გაანალიზების საქმეში. მათი შესწავლის გარეშე შეუძლებელია შეგვექმნას ნათელი წარმოდგენა სახელმწიფოს ისტორიულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარებაზე.

პოლიტიკური სისტემა მრავალფეროვანია და ის წარმოადგენს სახელმწიფოს პოლიტიკური საქმიანობის საფუძველს. არა აქვს მნიშვნელობა ქვეყანა მონარქიულია, ავტოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი მართავს მას თუ საპარლამენტო დემოკრატიის მოდელია გავრცელებული სახელმწიფოში, მას შემდეგ, რაც გარკვეული სახის პოლიტიკური სისტემა დამყარდება, იქნება ეს ხალხის ნებით და სურვილით თუ ზემოდან თავსმოხვეული, ძალაუფლებისა და ავტორიტეტის მქონე პირები ნებისმიერ ფასად ცდილობენ მოქმედი პოლიტიკური სისტემის შენარჩუნებასა და განმტკიცებას, უკვე არსებული ელიტები ეწინააღმდეგებიან ახალი ელიტების ჩამოყალიბებას, რომლებიც საფრთხეს შეუქმნიან მათ გაბატონებულ მდგომარეობას ცხოვრების ყველა სფეროში.

თუმცა არცერთი პოლიტიკური სისტემა არ შეიძლება იყოს მუდმივი და სტაბილური, რადგან ის თავისთავად გამოიწვევს სხვა სისტემების ჩამორჩენასაც, მაგალითად, სოციალურის, ეკონომიკურის და ა. შ. საზოგადოება მუდმივად განიცდის პროგრესს, იცვლება და გადის განვითარების გარკვეულ გზას. საზოგადოების გამოღვიძებასთან და გააქტიურებასთან ერთად ხდება სისტემების ცვლილებაც. ამ გზაზე, ბუნებრივია, თავს იჩენს ახალი ღირებულებები და განსხვავებული ხედვები თუ მოთხოვნილებები, ამასთან ერთად იცვლება ის ბუნებრივი გარემო და საერთაშორისო ვითარებაც, რომელშიც სახელმწიფოს უწევს არსებობა. ასეთ პირობებში პოლიტიკური სისტემა მუდმივად განიცდის

სხვადასხვა ფაქტორთა ზემოქმედებას, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად ხელს უწყობენ სტაბილურობის შენარჩუნებას ქვეყანაში.

ტერმინ ,,სისტემის“ გამოყენება თავდაპირველად საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში დაიწყეს თავიანთი ხედვის დასამკვიდრებლად. მის შემოღებასა და დამკვიდრებაში დიდი როლი მიუძღვის ავსტრიელ ბიოლოგს კარლ ლუდვიგ ფონ ბერტალანფს, რომელიც თავის ნაშრომში ,,ზოგადი სისტემების თეორია“ წერდა, რომ პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებაზე უდიდეს ზეგავლენას ახდენს გარემო, რომელთანაც მას აქვს კავშირ-ურთიერთობა. იგივე ცნება გამოიყენა საზოგადოებისა და მისი შემადგენელი ინდივიდების მიმართ ამერიკელმა ტალკონტ პარსონსიმ. სოციოლოგი თავის ნაშრომში ,,სოციალური სისტემა“ ამბობდა, რომ საზოგადოება, როგორც სისტემა, მჭიდროდ არის დაკავშირებული პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სულიერ და სოციალურ ქვესისტემებთან.

პოლიტიკურ მეცნიერებაში ,,პოლიტიკური სისტემა” - ეს ტერმინი XX საუკუნის 50-60-იან წლებში დამკვიდრდა ამერიკელი მეცნიერის დევიდ ისტონის მიერ. ამ ცნების შემოტანამდე სახელმწიფო მმართველობის ფორმებზე საუბრისას ხმარობდნენ ტერმინებს ,,მმართველობის ტიპი“ ან ,,მმართველობის სისტემა“. 1956 წელს დაარსდა ზოგადი სისტემების კვლევის განვითარების საზოგადოება და სისტემური თეორიის საფუძველზე პოლიტიკური სისტემების შესწავლა განხორციელდა დევიდ ისტონისა და გაბრიელ ალმონდის მიერ.[21] თუმცა სხვებიც დაინტერესდნენ აღნიშნული საკითხით: მიტჩელი, კარლ დოიჩი, რიჩარდ სინდერი, ჯი პაუელი, ლეიპჰარტი და სხვ.

გაბრიელ ალმონდმა და დევიდ ისტონმა პოლიტიკურ სისტემაში გამოყვეს ,,შესვლისა“ და ,,გამოსვლის“ ფუნქციები. ეს ტერმინები მათ ეკონომიკიდან ისესხეს პოლიტიკური სისტემისა და მისი განსხვავებული სტრუქტურების ფუნქციებისა და ქცევის ანალიზის მიზნით .[22] ,,შესვლა“ (იგივე მოთხოვნები)

[21]Грачев Б, Политическая система интеграционного обьединения, https://nbpublish.com/library_read_article.php?id=19674 , ბოლოს გადამოწმდა 7.12.2022

[22] Political System: Nature, Characteristics and Functions, https://tinyurl.com/zjx4yypr, ბოლოს გადამოწმდა: 1.12.2022

მიუთიუთებს იმ გზებზე, რომლებითაც გარემო მოვლენები თუ პირობები ცვლის პოლიტიკურ სისტემას ან გავლენას ახდენს მასზე - მიემართება სისტემისაკენ და გარდაიქმნება ,,გამოსვლად“ (ანუ გადაწყვეტილებებად და ქმედებებად). დ. ისტონმა ,,შესვლის“ ორი ძირითადი სახე დაასახელა: მოთხოვნა, რომელსაც შეუძლია პოლიტიკური სისტემის დასუსტება და ეს არის ,,ნედლეული, რომლის გადამუშავებაც სისტემას აუცილებლად მოუწევს“ და მხარდაჭერა, ანუ ,,ენერგია მის შესანარჩუნებლად“.[23]

მეცნიერის განმარტებით პოლიტიკური სისტემის მხარდაჭერა ითვალისწინებს პოლიტიკური რეჟიმის, ხელისუფლებისა და არსებული პოლიტიკური საზოგადოების მხარდაჭერას. პოლიტიკური საზოგადოება აერთიანებს ელექტორატს, სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულ ადამიანებს, სამხედრო მოსამსახურეებს და ა. შ. სისტემის ფუნქციონირებისთვის მათი თანადგომა მნიშვნელოვანია; რეჟიმის მხარდაჭერა იმ პრინციპებისა და ღირებულებების დაცვას გულისხმობს, რომლებზეც დგას პოლიტიკური სისტემა და მისი შემადგენელი სტრუქტურები, ხოლო ხელისუფლების მხარდაჭერა უშუალოდ პოლიტიკური ელიტის, მმართველთა მიმართ, ძალაუფლების მქონე თანამდებობის პირთა მიმართ ერთგულებას ემყარება.[24]

დევიდ ისტონმა შემავალ ფუნქციებს მიაკუთვნა პოლიტიკური სოციალიზაცია და რეკრუტირება, ინტერესების არტიკულაცია, ინტერესების აგრეგირება და პოლიტიკური კომუნიკაცია, ხოლო გამომავალ ფუნქციებში გააერთიანა წესების შედგენა, განხილვა და გამოყენება.

პოლიტიკური სისტემის პირველი შემავალი ფუნქცია პოლიტიკური სოციალიზაცია და რეკრუტირებაა. პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესში ადამიანები თანდათან ადაპტირდებიან პოლიტიკურ სისტემასთან და ეს ფუნქცია ხელს უწყობს არსებული სისტემის გახანგრძლივებას და ზრდის მის მხარდამჭერთა რიცხვს. სოციალიზაციის საბოლოო პროდუქტი – ეს არის იდეების, აზრების, გრძნობების, ღირებულებათა სტანდარტების ერთობლიობა. სწორედ ეს ღირებულებები უნდა იყოს ჩანერგილი მოქალაქეებში სათანადოდ

---

[23] Systems Analysis of David Easton, https://tinyurl.com/f8k9hhkw, ბოლოს გადამოწმდა: 4.12.2022

[24] ზერძენიშვილი ა, პოლიტიკური სოციოლოგია, თბილისი, 2011. გვ: 129-130.

განსაზღვრული ჩარჩოს მეშვეობით, რომლითაც ხასიათდება პოლიტიკური სისტემა, მისი სხვადასხვა რგოლები და მოქმედი პირები.

რაც შეეხება რეკრუტირებას, მისი მიზანია ფართო საზოგადოების მომზადება რათა ისინი შესაფერისი იყვნენ პოლიტიკური როლისათვის, იქნება ეს მოსამართლე, ამომრჩეველი, პრეზიდენტი თუ სხვა. დასავლეთის განვითარებულ სისტემებში სკოლები, პოლიტიკური პარტიები და სხვა ორგანიზაციები წამყვან როლს ასრულებენ ხალხის სოციალიზაციის პროცესში.

პოლიტიკური სისტემის მეორე მნიშვნელოვანი შემავალი ფუნქციაა ინტერესთა გამოხატვა - ყველა პოლიტიკურ სისტემაში მოქალაქეებს გააჩნიათ თავიანთი მოთხოვნები, რომელთა შესრულებაც მათთვის მნიშვნელოვანია. ეს მოთხოვნები პოლიტიკური სისტემის მიმართ კი უნდა წარედგინოს კომპეტენტურ ორგანოს, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ მოთხოვნების წამოყენებასა და მათ განხორციელებას შორის დიდი უფსკრულია და ამ შემთხვევაში, ალმონდის აზრით, განსაკუთრებით დიდია სოციალურ ჯგუფებთან თანამშრომლობის როლი. ასეთ ჯგუფებს ქმნიან პროფკავშირები, ბიზნესმენები, მრეწველები ან პროფესიული ჯგუფები და პირები. ისინი ახდენენ ზეწოლას მრეწველობაზე ან ხელისუფლებაზე მათი მოთხოვნების მხარდასაჭერად.

ინტერესთა აგრეგაცია ითვალისწინებს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების, ორგანიზაციების, ჯგუფებისა თუ სააგენტოების მოთხოვნების გაერთიანებას და ერთ პოზიციაზე შეთანხმებას. მაგრამ პოლიტიკური სისტემის ვერცერთი ფუნქცია ვერ განხორციელდება კომუნიკაციის გარეშე, ყველა სახის ინტერესი გამოიხატება კომუნიკაციის გზით და ამიტომაც პოლიტიკური სისტემის შემავალი ფუნქციების წარმატება უმთავრესად განისაზღვრება კომუნიკაციის ეფექტური და დამოუკიდებელი ქსელის არსებობით. მასმედიას და ბოლო დროს სოციალურ მედიას ყველაზე კარგად შეუძლია ამ ფუნქციის შესრულება.

რაც შეეხება გამომავალ ფუნქციებს, ისინი შეესაბამება ჩვეულებრივ სამთავრობო ფუნქციებს, რომლებსაც ასრულებენ ხელისუფლების ძირითადი შტოები: სასამართლო ხელისუფლება (წესების განხილვა), საკანონმდებლო ორგანო (წესების დამყარება) და აღმასრულებელი ხელისუფლება (წესების გამოყენება).

გაბრიელ ალმონდმა დაასახელა პოლიტიკური სისტემის სამი მნიშვნელოვანი მახასიათებელი: ყოვლისმომცველობა, ურთიერთდამოკიდებულება და საზღვრები.[25] მისი აზრით, სისტემა აერთიანებს ყველა იმ სტრუქტურას, რომლებიც ხელს უწყობს მის გამართულ მუშაობას. როდესაც საუბრობს პოლიტიკური სისტემის ყოვლისმომცველობაზე, ალმონდი ამბობს, რომ მასში შედის საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო, საჯარო სამსახურები, პოლიტიკური პარტიები, ასევე ზეწოლის ჯგუფები, ასევე დემონსტრაციები, გაფიცვები. ბუნტები და ყველა სხვა მსგავსი ქმედება, რომლებიც რაიმე ტიპის გავლენას ახდენს პოლიტიკაზე.

ურთიერთდამოკიდებულებაში ის გულიხმობს პროცესს, როცა სისტემაში არსებული ერთი ცვლადის როლის ცვლილება იწვევს სხვა ცვლადის როლის გარდაქმნასაც, ანუ როლური კონფლიქტები ძალიან უარყოფითად მოქმედებს სისტემის გამართულ მუშაობაზე და სტაბილურობა მოდის მხოლოდ მაშინ, როცა ხერხდება ცვალებადი ფაქტორის გაკონტროლება.

რაც შეეხება საზღვრებს, მან თქვა, რომ ნებისმიერ პოლიტიკურ სისტემას აქვს დასასრული და დასაწყისი და დაასახელა ის ჯგუფები, რომელთა საქმიანობაც იწვევს რყევებს და გავლენას ახდენს სისტემის სტატიკურობაზე: ზეწოლის ჯგუფები, ლობი, ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები და ა. შ.

სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებამ სხვა რეალობა მოიტანა - ისინი სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთობაში უპირატესობას ანიჭებდნენ საზოგადოებას და ბრძოლას უცხადებდნენ ტოტალიტარიზმსა და ავტორიტარიზმს, ქმნიდნენ ასოციაციებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, პარტიებს, მოძრაობებს და ა. შ.[26] თუ პოლიტიკურ სისტემას განვიხილავთ ისნსტიტუციური თვალსაზრისით, მაშინ ის შეიძლება დავიყვანოთ სახელმწიფო და არასახელმწიფო ინსტიტუტებისა და ნორმების ერთობლიობამდე, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს მოცემული საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრება.

პოლიტიკური სისტემის მრავალი კონცეფცია არსებობს: ამერიკელი პოლიტოლოგები და სოციოლოგები (კოლინ ლუთერ პაუელი, როზემანი და სხვ.)

---

[25]Kumari S, Political theory, https://tinyurl.com/3b447h3t, ბოლოს გადამოწმდა: 29.11.2022

[26] კოჩალიძე ც, პოლიტიკური სისტემა და ეროვნული იდენტობა, თბილისი. 2019. გვ:7.

პოლიტიკურ სისტემას განსაზღვრავენ სოციალური სტრუქტურების, პროცედურებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მიხედვით, რომლებიც ერთად ეძებენ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტის გზებს; პოლონელი მეცნიერი ე. კოვალსკი თვლის, რომ პოლიტიკური სისტემა შედგება სახელმწიფო აპარატისაგან, ორგანიზაციებისა და სოციალური ჯგუფებისაგან, რომლებიც მონაწილეობენ პოლიტიკურ საქმიანობაში; ფრანგული პოლიტიკური მოდელი ყურადღებას ამახვილებს მსოფლიო სისტემაში არსებულ და საზოგადოების მიერ ადაპტირებულ ფართო ორმხრივ პოლიტიკურ ურთიერთობებზე.

პოლიტიკის მეცნიერებაში არსებული ერთ-ერთი მიდგომის მიხედვით, პოლიტიკურ სისტემას გააჩნია ხუთი სტრუქტურული კომპონენტი, რომლებსაც ქვესისტემები ეწოდება და ისინი იყოფა რამდენიმე კატეგორიად: ორგანიზაციული, კულტურული, ნორმატიული, კომუნიკაციური და ფუნქციონალური.

ორგანიზაციული კომპონენტებია: სახელმწიფო, პოლიტიკური პარტიები, პოლიტიკური მოძრაობები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ზეწოლის ჯგუფები, მედია, ეკლესია. მათ ფუნქციას წარმოადგენს საზოგადოების ინტერესების გამოხატვა და სამართლებრივი ნორმების შექმნა, ასევე ის ახორციელებს სახელმწიფოს მართვას და უზრუნველყოფს მოქალაქეთა პოლიტიკურ სოციალიზაციას.

კულტურულ კომპონენტებს განეკუთვნება: პოლიტიკური ცნობიერება, პოლიტიკური ქცევა, პოლიტიკური კულტურა და იდეოლოგია; მის ფუნქციებში შედის პოლიტიკური ქმედებისთვის აზრის მიცემა და ეს ქვესისტემა მუშაობს იმისთვის, რომ მოახდინოს საზოგადოების სტაბილიზაცია და ინტეგრაცია და შექმნას პოლიტიკური დიალოგისთვის ღირებულებითი ბაზა.

ნორმატიული კომპონენტებია: სამართლებრივი ნორმები, ტრადიციები, მორალი, ადათ-წესები და ა.შ. მის ფუნქციებში შედის პოლიტიკური პროცესისა და მოქალაქეთა ქცევის რეგულირება.

კომუნიკაციური კომპონენტები, რომლებიც, როგორც ზემოთ ვისაუბრეთ, დევიდ ისტონმა პოლიტიკური სისტემის შემავალ ფუნქციებს მიაკუთვნა, ნებისმიერი სისტემის არსებობისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია. ეს არის პოლიტიკური კავშირები და ურთიერთობები, რომლებიც სასიცოცხლოდ აუცილებელია სხვადასხვა პოლიტიკური სისტემებისა და მისი ქვესისტემების გამართული ფუნქციონირებისათვის. ის ითვალისწინებს პოლიტიკურ სუბიექტთა ურთიერთთანამშრომლობას, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინფორმაციის მიწოდების, პოლიტიკური დიალოგის ორგანიზებისა და საზოგადოებრივი აზრის ორგანიზების საქმეში.

ფუნქციური კომპონენტები ძალაუფლების განხორციელების მეთოდებს მოიცავს. აღსანიშნავია, რომ ეს ქვესისტემები მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და ხელს უწყობს საჯარო ხელისუფლებას თავისი უფლებამოსილების განხორციელებაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე სხვადასხვა სახელმწიფო, პარტიული თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციები პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მონაწილეობის ხარისხის მიხედვით შემდეგი სახის არსებობს: ერთი მხრივ, ჩვენ გვაქვს პოლიტიკური ორგანიზაციები. მათ რიცხვს მიეკუთვნება სახელმწიფო და პოლიტიკური პარტიები, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართული პოლიტიკაში. სახელმწიფო მრავალმხრივ ფუნქციას ასრულებს, რათა განახორციელოს საზოგადოებერივი ცხოვრების გონივრული მართვა, პოლიტიკურ პარტიებს კი აქვთ შესაძლებლობა თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით აქტიური მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო ორგანოების მუშაობაში (პარლამენტი, მთავრობა), გარკვეული იდეოლოგიური გავლენა მოახდინონ ხალხის ცნობიერებასა თუ მათ პოლიტიკურ ცხოვრებაზე, იბრძოლონ ძალაუფლებისათვის, ასპარეზზე გამოვიდნენ, როგორც არსებული ხელისუფლების ოპოზიცია, წარმოადგინონ საზოგადოების გარკვეული ჯგუფების პოლიტიკური ინტერესები და ა. შ. მეორე მხრივ კი, გვაქვს მოქალაქეთა არაპოლიტიკური გაერთიანებები, რომლებშიც გაერთიანებულია ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც წარმოიქმნება არა მხოლოდ უშუალოდ

პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური და სხვა მიზეზების გამო. ეს არის პროფესიული, რელიგიური, ეროვნულ-კულტურული, ეკოლოგიური, ახალგაზრდული, ქალთა და სხვა ორგანიზაციები. მათი ფუნქციონირების მთავარი მიზანი, პოლიტიკური ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, არ არის პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისთვის ბრძოლა. ისინი თავიანთ ძირითად საქმიანობას ახორციელებენ არა პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ, ყოველდღიურ, კულტურულ ცხოვრებაში. თუმცა ამავდროულად მათ შეუძლით დაიცვან და ლობირება გაუწიონ თავიანთ წევრთა ინტერესებს სახელმწიფო ხელისუფლებაზე ზემოქმედების გზით, მაგალითად, მრეწველთა და მეწარმეთა კავშირს, ფერმერთა ასოციაციას და ა. შ. შეუძლიათ აქტიურად მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკაში და დაიცვან თავიანთი წევრების ინტერესები.

ცხადია, საინტერესო იქნება ვისაუბროთ თანამედროვე მსოფლიოში არსებული პოლიტიკური რეჟიმების შესახებაც. სამყაროში მრავალი სახელმწიფო და მთავრობა არსებობს. მთავრობა, ერთი მხრივ, აღნიშნავს იმ ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც ხელმძღვანელობენ სახელმწიფოს პოლიტიკურ საქმეებს, მაგრამ ის ასევე შეიძლება აღნიშნავდეს მმართველობის ტიპს, რომლითაც იმართება ესა თუ ის სახელმწიფო. სახელმწიფო წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას იმისათვის, თუ როგორ და რა გზით უნდა მივაღწიოთ მიზანს - საზოგადოების, ანუ ჩვენს კეთილდღეობას. სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ხელისუფლებები თუ პიროვნებები სვამდნენ კითხვებს - როგორ უნდა გავაკეთოთ სწორი სვლები პოლიტიკაში, როგორი ურთიერთდამოკიდებულება უნდა არსებობდეს საზოგადოების სხვადასხვა წევრებს შორის. მოცემულ კითხვებზე სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტების, პოლიტიკური პარტიების, სოციალური მოძრაობების, პოლიტიკოსების თუ მეცნიერთა და მკვლევართა შეხედულებები გაერთიანდა კონცეპტუალურად ჩამოყალიბებული იდეების სისტემად, რომელსაც ეწოდა იდეოლოგია. ადამიანების თავისუფლებაზე, მათ კეთილდღეობასა და ცხოვრებაზეც კი ფუნდამენტურ გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სისტემა. მრავალი მეთოდი არსებობს, რომლითაც ხორციელდება ქვეყნის მართვა-გამგეობა და ისინი სამ ძირითად ჯგუფში არის გაერთიანებული.

დავიწყოთ **დემოკრატიის** განსაზღვრებით, როგორც მმართველებსა და მართულებს შორის, სახელმწიფოსა და ხალხს შორის ურთიერთობის ორგანიზების უნიკალური სისტემა. ჰეივუდის განმარტებით ,,დღესდღეობით დემოკრატია უმრავლესობის მმართველობის სისტემას, ქვეყნის მართვაში მოსახლეობის ფართო ფენების უშუალო ჩართვას და საყოველთაო არჩევნების გზით პარტიული კონკურენციის ფორმასაც ნიშნავს“[27]. ეს არის სისტემა, სადაც მთავრობა მართავს ან ხალხის, ან მათ მიერ არჩეული წარმომადგენლების-დეპუტატების (მათ შორის ოპოზიციურის) მეშვეობით. დემოკრატიას უნდა შეეძლოს თავისი მოქალაქეების, ე. ი. იმ ადამიანების, დაცვა და მათი კეთილდღეობის უზრუნველყოფა, რომლებიც მონაწილეობენ არჩევნებში, მსახურობენ შეიარაღებულ ძალებში, იხდიან სხვადასხვა სახის გადასახადებს და ა.შ. დღეს დემოკრატიული ქვეყნების უმეტესობა წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ეყრდნობა. დემოკრატიის ყველაზე გავრცელებული მაგალითია შეერთებული შტატები, კანადა, გერმანია და ევროპის სხვა მრავალი ქვეყანა.[28]

სტენფორდის უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორს და პოლიტიკის მიცნიერების პროფესორს, ფ. შმიტერს, მიაჩნია, რომ დემოკრატია არ შედგება მსგავსი ინსტიტუტების ერთიანი უნიკალური ნაკრებისაგან. მეცნიერის აზრით, მისი მრავალი სახეობა არსებობს და დემოკრატიის სპეციფიკური ფორმა დამოკიდებულია კონკრეტული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე, აგრეთვე იქ გაბატონებულ სახელმწიფო სტრუქტურებსა და მათ პოლიტიკურ საქმიანობაზე, ესენი არიან მმართველები და ის პიროვნებები, რომლებიც იკავებენ ავტორიტეტულ როლებს და შეუძლიათ სხვებისთვის ლეგიტიმური ბრძანებების მიცემა.[29] შმიტერის განმარტებით, ის, რაც განასხვავებს დემოკრატიულ მმართველებს არადემოკრატიული მმართველებისაგან, არის ნორმები, რომლებიც

---

[27] ჰეივუდი ა, პოლიტიკის თეორიები, 2008. გვ: 108.

[28] მაგშტადტი თ, გავიგოთ პოლიტიკა-იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები, თბილისი, 2010, გვ: 83.

[29] Schmitter P, Kari T, What Democracy is… and is not, https://muse.jhu.edu/article/225590/summary, ბოლოს გადამოწმდა: 24.05.2023

გვიჩვენებს, თუ როგორ მოვიდნენ პირველები ხელისუფლებაში და როგორია მათი პრაქტიკული საქმიანობა, რომელიც ამავდროულად პასუხისმგებლობას აკისრებს მათ მათსავე ქმედებებზე.[30]

დღეს, XXI საუკუნეში, არჩეული ოფიციალური პირები მართავენ ბევრ ქვეყანას და დემოკრატიაზე გადასვლა სწრაფი ტემპით ხდება, თუმცა ამავდროულად, შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატიის ნაკლებობას განიცდის მთელი სამყარო - ის ხალხები, რომლებიც იბრძვიან დემოკრატიის დამყარებისთვის, ცდილობენ შეარჩიონ დემოკრატიული განვითარების ის ტიპი, რომელიც უფრო მტკიცეა და უფრო მეტად დაიცავს მათ უფლებებსა და ინტერესებს, ხოლო დემოკრატიული ქვეყნები კიდევ უფრო მეტი დემოკრატიის მოპოვებისათვის იბრძვიან.

ანტიდემოკრატიულ პოლიტიკურ წყობას წარმოადგენს **ტოტალიტარიზმი,** რომელიც ახორციელებს საზოგადოებასა და მოქალაქეების ცხოვრებაზე სრულ კონტროლს. ის ვერ ეგუება წინააღმდეგობას, ინფორმაციის მიწოდება იზღუდება მასმედიაზე სრული კონტროლით. ტოტალიტარიზმი სრულად უარყოფს ყოველგვარ პლურალიზმს, ამ დროს არსებობს მხოლოდ ერთი იდეოლოგია, ერთი პარტია, ერთი ლიდერი.[31] ტოტალიტარიზმის პირობებში სახელმწიფო აკონტროლებს და არეგულირებს ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროს, მკაცრად აკონტროლებს იდეოლოგიის დაცვას. თომას მაგშტადტის განმარტებით, ტოტალიტარული რეჟიმის დროს ,,ტირანისათვის აბსოლუტურად ყველაფერს პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, მათ შორის სამუშაოს, განათლებას, რელიგიას... და ოჯახსაც კი,"[32] რადგან ადამიანები თავიანთ მშობლებზე, ოჯახის წევრებზე, მეზობლებზე ჯაშუშობენ. რეჟიმის ძირითადი საფუძველი არის ტოტალური კონტროლი და ძალადობა. ტოტალიტარული სახელმწიფოებია: ჩრდილოეთ კორეა, ჩილე, აფრიკის და ახლო აღმოსავლეთის ბევრი ქვეყანა, ვიეტნამი და სხვ.

ტოტალიტარულ რეჟიმთან შედარებით **ავტორიტარული** რეჟიმი უფრო რბილია, თუმცა შეიძლება ავტორიტარიზმი გადაიზარდოს ტოტალიტარიზმში.

---

[30] იქვე.

[31] Geddes B, Wright J, Frantz E, How Dictatorships Work, Cambridge University Press, 2018, , https://tinyurl.com/bttrsshv, ბოლოს გადამოწმდა: 23.11.2022

[32] მაგშტადტი თ, გავიგოთ პოლიტიკა-იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები, თბილისი, 2010. გვ:119.

ავტორიტარული რეჟიმის პირობებში იდეოლოგიის როლი მეორეხარისხოვანია-ის შეიძლება არსებობდეს, მაგრამ მოქალაქეები არ არიან ვალდებულნი გაიზიარონ იგი. ავტორიტარიზმი ისეთი პოლიტიკური რეჟიმია, რომელიც ნაკლებად აკონტროლებს, ვიდრე ტოტალიტარიზმი, მაგრამ მაინც უარყოფს მოქალაქეთა მონაწილეობას მართვის პროცესში. ამ დროს ძალაუფლება თავმოყრილია ერთი პირის, ან ადამიანთა მცირე ჯგუფის ხელში.[33]

ზემოთქმულიდან გამომდინარე, პოლიტიკური სისტემა – ეს არის სხვადასხვა პოლიტიკური ინსტიტუტებისა და სოციალურ-პოლიტიკური თემების ურთიერთობების ერთობლიობა, რომლებიც მონაწილეობენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომლებიც ქმნიან ,,მთავრობას“ ან ,,სახელმწიფოს“ და ამავდროულად მოიცავს შეხედულებებს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: ვის უნდა ჰქონდეს ავტორიტეტი, როგორ უნდა მოგვარდეს რელიგიური საკითხები, როგორი უნდა იყოს მთავრობის გავლენა თავის ხალხზე, ეკონომიკაზე და ა.შ.

ნაშრომზე მუშაობის პერიოდში დიდი დახმარება გაგვიწია სხვადასხვა თეორიებმა თუ სამეცნიერო შრომებმა და შესაძლებლობა მოგვცა საკვლევი საკითხის განხილვა მოგვეხდინა სხვადასხვა მიმართულებით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია გ. ალმონდის ,,პოლიტიკური კულტურის კონცეფცია და პოლიტიკური სოციალიზაცია“. ტერმინი „პოლიტიკური კულტურა“ პირველად ჩნდება გერმანელი ფილოსოფოს-პედაგოგის ი. ჰერდერის (1744-1803) ნაშრომში. ალმონდისა და ვერბას განმარტებით, პოლიტიკური კულტურა არის ზოგადი კულტურის ელემენტი, იმ ნორმებისა და ღირებულებების ერთობლიობა, რომლებსაც იზიარებს მოქალაქეთა უმრავლესობა და გამოიხატება მათ პოლიტიკურ საქმიანობაში, პოლიტიკური მოვლენების შეფასებასა და პოლიტიკისა და პოლიტიკური ცხოვრების მიმართ დამოკიდებულებაში. იგი მოიცავს იდეებს პოლიტიკის, სოციალურ-პოლიტიკური საზოგადოების შესახებ, განსაზღვრავს პოლიტიკური პროცესის შინაარსს და ფორმას. ინდივიდები და ჯგუფები გარკვეულ პოლიტიკურ კულტურას ეცნობიან პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესის შედეგად, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს

[33] ზერძენიშვილი ა, პ ოლიტიკური სოციოლოგია, თბილისი, 2011. გვ:180.

პოლიტიკური სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფას და შენარჩუნებას. პოლიტიკური სოციალიზაციის დროს ხდება პიროვნების გაცნობა გარკვეული პოლიტიკური სისტემის ნორმებთან და ტრადიციებთან, პოლიტიკური მონაწილეობის უნარის ჩამოყალიბება და სხვ.

ალმონდის აზრით, არსებობს პოლიტიკური სოციალიზაციის ორი ტიპი: პირდაპირი და ირიბი. პირდაპირი სოციალიზაცია გულისხმობს ინდივიდის მიერ პოლიტიკური ცოდნის უშუალო შეძენას, ხოლო არაპირდაპირი სოციალიზაცია არის ხასიათის თვისებების, ადრეული ბავშვობის გამოცდილების და უშუალო გარემოს ერთგვარი გარდაქმნა ფორმირებულ პოლიტიკურ დამოკიდებულებებში.

ალმონდის მტკიცებით, ინდივიდის პოლიტიკური სოციალიზაცია რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობს. ესენია: ლატენტური და პირდაპირი სოციალიზაცია. ლატენტური სოციალიზაციის ეტაპზე ინდივიდი იძენს არაპოლიტიკურ ღირებულებებს, რომლებიც შემდგომ გავლენას ახდენენ პოლიტიკურ ქცევაზე ისევე, როგორც ოჯახში ბავშვის ადრეული აღზრდის ზოგიერთმა თავისებურებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ინდივიდის ქცევის მახასიათებლებზე ზრდასრულ ასაკში. პირდაპირი სოციალიზაციის ეტაპი კი მოიცავს ძირითადი პოლიტიკური იდეებისა და პოლიტიკური სიმბოლოების გაცნობას. უშუალო სოციალიზაციის ეტაპზე ინდივიდი სწავლობს პოლიტიკურ ცხოვრებაში ქცევის ძირითად ფორმებს. ღირებულებებისა და ჩამოყალიბებული პოლიტიკური კულტურის რადიკალური ცვლილების პროცესი (იგივე რესოციალიზაცია) ძალიან მტკივნეულია და შეიძლება თან ახლდეს მწვავე კონფლიქტები. სოციალიზაციის პროცესში მონაწილეობს და ურთიერთქმედებს რამდენიმე სუბიექტი: ის, ვისზეც მიმართულია სოციალიზაციის პროცესი; სოციალიზაციის აგენტები, ძირითადად ინსტიტუტები, რომლებიც ახორციელებენ მას, როგორებიცაა: საგანმანათლებლო დაწესებულებები, პარტიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მედია და ა.შ; ასევე, მასწავლებლები, სოციალური მოძრაობის აქტივისტები, საზოგადო მოღვაწეები, ჟურნალისტები და სხვ. სოციალიზაციის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ასევე ინდივიდის გარემო და თანატოლები.

მკვლევართა აზრით, „იდეალური მოქალაქე“ ერთდროულად უნდა იბრძოდეს გავლენა მოახდინოს მთავრობაზე და ამავე დროს შეინარჩუნოს ლოიალობა მის მიმართ. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პოლიტიკური და, კერძოდ, სამოქალაქო კულტურის ფორმირებაში არ მონაწილეობენ მხოლოდ მოქალაქეები, სისტემისადმი ერთგულების გრძნობა ჩნდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მთავრობა კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობებს და მიაღწევს ისეთ შედეგს, რომელიც აკმაყოფილებს სისტემის რიგითი წევრების მოლოდინებს.

აღსანიშნავია აგრეთვე როზერტ მიხელსის ნაშრომი ,,პოლიტიკური პარტიების სოციოლოგია დემოკრატიის პირობებში“ და მისი შეხედულებები ,,ოლიგარქიის რკინის კანონის შესახებ“[34]. ოლიგარქიის რკინის კანონი მდგომარეობს იმაში, რომ სოციალური ორგანიზაციის ნებისმიერი ფორმა, განურჩევლად იმისა, დასაწყისში დემოკრატიულია იგი თუ ავტოკრატიული, აუცილებლად გარდაიქმნება რჩეულთა ოლიგარქიად, ძალაუფლებად. ოლიგარქიის რკინის კანონიდან გამომდინარეობს, რომ დემოკრატიული მმართველობის განხორციელება შეუძლებელია ინდივიდთა დიდ თემში. რადგან რაც უფრო დიდია ორგანიზაცია, მით უფრო ნაკლებად შეიცავს დემოკრატიის ელემენტებს და მასში ოლიგარქიის ელემენტები ჭარბობს. ავტორი თავის თეორიულ შეხედულებებში ყურადღებას ამახვილებს საპარლამენტო დემოკრატიის იდეოლოგიისა და ინსტიტუტების კრიზისზე. მისი თეორია მიზნად ისახავს დაარწმუნოს საზოგადოება იმაში, რომ სხვადასხვა პოლიტიკურ კავშირებში, პოლიტიკურ პარტიებსა თუ ორგანიზაციებში ,,ოლიგარქიული ტენდენციების“ არსებობის გამო შეუძლებელია წინააღმდეგობა არ შეექმნას დემოკრატიული პრინციპების პრაქტიკულ განხორციელებას ქვეყანაში.[35] ავტორს მიაჩნია, რომ არსებობს მიზეზთა მთელი კომპლექსი, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს დემოკრატიის დამკვიდრებას. ეს მიზეზები უნდა ვეძებოთ: ადამიანური ბუნების არსებაში, პოლიტიკური ბრძოლის არსებაში და ორგანიზაციათა არსებაში.[36] მიხელსის აზრით,

[34]Михельс Р, Социология политическои партии в условиях демократии, https://v4.conf.udsu.ru/files/1303479468.pdf, ბოლოს გადამოწმდა: 11,06.2024

[35] პოლიტიკური სოციოლოგია, სალექციო კურსი, https://tinyurl.com/f3wm6fj2. ბოლოს გადამოწმდა 16.10.2022

[36] იქვე, გვ: 4

დემოკრატიის არსებობის შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ,,მასების“ დამოკიდებულებას პოლიტიკური პროცესებისადმი, რაც დიდ გავლენას ახდენს შემდგომში ,,გაბატონებული კლასის“ მოქმედებაზე.

რობერტ მიხელსი დღესაც დიდი გავლენით სარგებლობს თანამედროვე პოლიტიკურ სოციოლოგიაში და ეს გამოწვეულია იმით, რომ პოლიტიკაში არსებული ისეთი მნიშვნელოვანი გამოწვევები, როგორებიცაა: პარტიები, პოლიტიკური ელიტა, ბიუროკრატია და ა. შ. დღესაც არ კარგავს აქტუალობას და მათი გამართული მუშაობა დიდ გავლენას ახდენს პოლიტიკური სისტემის სტაბილურობაზე .

საინტერესოა მაქს ვებერის მოდერნიზაცია და რკინის გალიის თეორია. მოდერნიზაცია – ეს არის ცვლილებების პროცესი, რომელიც, საკითხით დაინტერესებული მკვლევრების განმარტებით, XIX ს-ის მეორე ნახევრიდან დაიწყო. გერმანელმა ფილოსოფოსმა მაქს ვებერმა მოდერნის ერთ-ერთ მახასიათებლად რაციონალიზმი დაასახელა, რაც ეწინააღმდეგება ტრადიციულის და უკვე არსებულის ცვლილებების გარეშე მიღებას.[37] ვებერისათვის რაციონალიზმის ძირითადი საზომი არის ბიუროკრატიული ძალაუფლება.[38] ბიუროკრატია კი კაპიტალიზმის ერთ-ერთი მახასიათებელია. ის ამბობდა, რომ მის თანამედროვე მსოფლიოს ახასიათებდა ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა - ეს გახლავთ ფორმალური რაციონალიზმის აღმოცენება და ის ,,რკინის გალია,“ რომელიც ადამიანს თავის ტუსაღად აქცევს.[39] იგი პიროვნებას იმ ბიუროკრატიული სისტემის ნაწილად მიიჩნევს, რომელიც მხოლოდ სარგებელზე, დოვლათისა და ქონების დაგროვებაზეა გათვლილი და არ აძლევს მას რაიმე ღირებულის შექმნის შესაძლებლობას.

[37] მოდერნი და პოსტმოდერნი-სოციოლოგიური თეორიები, https://tinyurl.com/4taxw2yk, ბოლოს გადამოწმდა: 4.02.2024

[38] რაციონალობის ტიპები, https://tinyurl.com/58srfrb8, ბოლოს გადამოწმდა: 4.02.2024

[39] თანამედროვეობის უახლესი თეორიები, https://tinyurl.com/m4c59s3c, ბოლოს გადამოწმდა: 9.02.2024

ვებერის მტკიცებით, კაპიტალიზმმა დღევანდელ მსოფლიოში დაამკვიდრა სრულიად განსხვავებული რეალობა, სადაც რაციონალიზმისა და ბიუროკრატიზმის წყალობით საფრთხე ექმნება ინდივიდის თავისუფლებას.[40]

ამრიგად, პოლიტიკური სისტემის არსებობა წარმოუდგენელია პოლიტიკური ხელისუფლების, სახელმწიფო სტრუქტურებისა და სამოქალაქო საზოგადოების გარეშე. ისინი სისტემის სახელით იღებენ გადაწყვეტილებებს, ახორციელებენ მართვას და მოქმედებენ მის სასარგებლოდ, ემორჩილებიან ბრძანებებს, ასრულებენ განკარგულებებს და ემსახურებიან სახელმწიფო ინტერესებს.

### 1.2. რეგიონის თავისებურებები და თურქეთის სახელმწიფოს იდეა

ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ამჟამად მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებისა და არსებული რეალობის გაგება და შეფასება მოითხოვს წარსულში დაბრუნებას და თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოების ჩამოყალიბებისა და მათი ევოლუციის ღრმა ხედვას. ჩვენი მიზანია პასუხი გავცეთ კითხვაზე: როგორი იყო და არის ახლო აღმოსავლეთის რეგიონში სახელმწიფო სისტემა?

კაცობრიობის განვითარების ისტორია მრავალ საუკუნეს მოიცავს. თუ პრეისტორიულ ხანაში ადამიანები თავისუფლად, ჩარჩოების გარეშე ცხოვრობდნენ, თავისი არსებობის მანძილზე საზოგადოება ნელ-ნელა მივიდა იმ აზრამდე, რომ სახელმწიფოს ჩამოყალიბება მნიშვნელოვანი და აუცილებელიცაა.

ჰეივუდის გავრცელებული განმარტების მიხედვით, სახელმწიფო საზოგადოების ნებისმიერი წევრის პიროვნულ უფლებებსა და თავისუფლებებს უნდა იცავდეს, ქვეყნად წესრიგისა და მშვიდობის დამყარებას უნდა ცდილობდეს.[41] ფრიდრიხ რატცელი კი სახელმწიფოს ადარებდა ცოცხალ ორგანიზმს, რომელიც მუდმივად განიცდის ზრდასა და განვითარებას, რისთვისაც მას ესაჭიროება საარსებო სივრცე და სწორედ ამ მიზეზით ხდება ერთი ქვეყნის მიერ მეორის დამორჩილება.[42] საინტერესოა რიჩარდ ჰართსჰორნის შეხედულება სახელმწიფოს რაობისა და მისი ფუნქციის შესახებ. ის წერდა, რომ ნებისმიერი სახელმწიფო აწარმოებს ბრძოლას

---

[40] რკინის გალია-ინდივიდი, როგორც სისტემის მსხვერპლი? მაქს ვებერის მიხედვით, https://tinyurl.com/55bf3ndc, ბოლოს გადამოწმდა: 6.03.2024

[41] ჰეივუდი თ, პოლიტიკის თეორიები, 2008. გვ; 128.

[42] სახელმწიფო, https://tinyurl.com/ybt5r6fw, ბოლოს გადამოწმდა: 24.03.2024

გადარჩენისათვის, როგორც ქვეყნის გარეთ, ასევე ქვეყნის შიგნით არსებულ დაპირისპირებულ ძალებთან. ამ საბრძოლო მოქმედებათა ერთობლიობა ნათლად წარმოაჩენს სახელმწიფოს ძირითად როლსა და დანიშნულებას. ჰართსჰორნის აზრით, სახელმწიფოს უნდა შეეძლოს 4 უმთავრესი ფუნქციის განხორციელება: ეკონომიკურის, პოლიტიკურის, ტერიტორიულის და სტრატეგიულის. ამ ფუნქციების ერთობლიობასა და სიმყარეს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს ნორმალური არსებობისათვის.[43]

ანტიკური პერიოდის ქალაქ-სახელმწიფოები ფლობდნენ გარკვეულ ტერიტორიას მასზე განთავსებული მოსახლეობით, ჰყავდათ ხელისუფლება და ჰქონდათ საკუთარი მმართველობის სისტემა, მაგრამ მათ არ გააჩნდათ მყარად დადგენილი საზღვრები, ანუ არ იყო განსაზღვრული კონკრეტულად რა ტერიტორიას მოიცავდა ესა თუ ის სახელმწიფო. აქედან გამომდინარე, თანამედროვე სახელმწიფოებისაგან წინა ეპოქის სახელმწიფოები იმით განსხვავდებოდნენ, რომ ისინი არ ხასიათდებოდნენ ტერიტორიული სუვერენიტეტით.[44]

ამ მხრივ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენს ვესტფალიის ხელშეკრულება (1648 წლის 24 ოქტომბერი), რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სუვერენული სახელმწიფოების ხანას და განსაზღვრა ის უმთავრესი პრინციპები, რომლებიც უნდა ახასიათებდეს სახელმწიფო სუვერენიტეტს: მკაფიოდ დადგენილი საზღვრები, ტერიტორიის მთლიანობა, სახელმწიფოს მიერ მისსავე საგამგებლო ტერიტორიაზე კანონთა შემუშავება და მისი აღსრულება, რაც, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფდა არა ეკლესიის, არამედ სახელმწიფოს უზენაესობას.[45] ვესტფალიის ზავის გაფორმებით მოხდა სახელმწიფო დამოუკიდებლობის პრინციპის აღიარება, რაც იმას ნიშნავდა, რომ ხელშეკრულებაზე ხელისმომწერი მხარეები შეთანხმდნენ, არ ჩარეულიყვნენ ერთმანეთის საშინაო საქმეებში და პატივი ეცათ მხარეთა ტერიტორიული მთლიანობისათვის.

---

[43] იქვე, გვ:9
[44] იქვე, გვ:17
[45] იქვე, გვ:18

ვესტფალიის ძირეული ცვლილებები სხვადასხვა ფილოსოფოსისა და მეცნიერის შრომებში აისახა. ინგლისელი განმანათლებლები ჯონ ლოკი და თომას ჰობსი თავის ნაშრომებში ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფო მხოლოდ ხალხის უსაფრთხოების დამცველი კი არ უნდა იყოს, არამედ იგი პიროვნების კეთილდღეობასა და განვითრებაზეც უნდა ზრუნავდეს. იმავე აზრს იზიარებდა ფრანგი ფილოსოფოსი ჟან-ჟაკ რუსო.[46]

მსოფლიოში პირველი ქალაქები ახლო აღმოსავლეთის რეგიონში გაჩნდა, ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა პირველი სახელმწიფოები (სამდინარო ცივილიზაციები: ეგვიპტე, შუმერი) და შესაბამისად იდეები სახელმწიფო მოწყობის შესახებ, შეიქმნა დამწერლობა და საფუძველი ჩაეყარა სამ უდიდეს აბრაამისტულ რელიგიას: იუდაიზმს, ქრისტიანობასა და ისლამს. აქ შეიქმნა მსოფლიოში უძველესი ურ-ნამუს, ლიფით-იშთარისა და ეშნუნას კანონები შუმერში, შარიათის კანონები-ისლამური სამართლის კოდექსი და ერთგვარი ქცევის წესები, განვითარდა ეკონომიკა და თავი იჩინა კლასობრივმა უთანასწორობამ...

როგორც ქართველი მეცნიერი რ. გაჩეჩილაძე წერს, ევროპელები ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებს ლევანტის სახელით იცნობდნენ და ,,ახლო აღმოსავლეთი“ ოსმალეთის ტერიტორიის (დასავლეთ აზიისა და ეგვიპტის ჩათვლით) აღმნიშვნელი ტერმინი XIX საუკუნეში გახდა. დღეს ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ტერმინის შემცვლელად ზოგჯერ ტერმინი შუა აღმოსავლეთიც გამოიყენება.[47] თუმცა აღმოსავლეთმცოდნეები და დარგის სპეციალისტები ამ ტერმინს ნაკლებად იყენებენ, რადგან შუა აღმოსავლეთს ნაკლებად განსაზღვრული საზღვრები აქვს. მსგავსი მნიშვნელობით შეიძლება ვიხმაროთ აგრეთვე ტერმინი სამხრეთ-დასავლეთი აზია.

---

[46] იქვე, გვ:19

[47] გაჩეჩილაძე რ, ახლო აღმოსავლეთის ცვალებადი გეოპოლიტიკა, ნაწილი I, https://gfsis.org.ge/files/my-world/28/Geopolitics.pdf , ბოლოს გადამოწმდა: 12.04. 2022, ასევე, სანიკიძე გ, ალასანია გ, გელოვანი ნ, ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთიბები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს.-XXIს.-ის დასაწყისი), ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,“ თბილისი, 2011. გვ: 11-12.

სახელმწიფოს არსებობის ძირითადი მახასიათებელია: ტერიტორია, მოსახლეობა, გარკვეული რაოდენობის არმია, რათა მან მოახერხოს თავისი ტერიტორიის დაცვა და გონივრული მართვა და ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე ხალხთან კომუნიკაციის საშუალებას - ენას.[48]

რ. გაჩეჩილაძის თანახმად, ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული პატარა ქალაქ-სახელმწიფოები იმპერიად გარდაქმნისაკენ სწრაფვით ხასათდებოდნენ. ენტონი გიდენსის მტკიცებით, იმპერია დაპყრობითი ომების შედეგად ჩამოყალიბებულ, დიდი ტერიტორიის მფლობელ ძალდატანებით პოლიტიკურ გაერთიანებას წარმოადგენს.[49]

იმისათვის, რომ იმპერიას განეხორციელებინა თავისი საგანმგებლო ტერიტორიის მართვა, შექმნა დიდი სამოხელეო აპარატი და ჩამოაყალიბა არმია (,,უკვდავთა გვარდია", ღულამი, ქეშიკთა რაზმი, იანიჩართა ქვეითი ჯარი, ყულის ჯარი), რომელიც წარმატებით გამოიყენა შემდგომი ტერიტორიული გაფართოებისათვის და იმპერიის ძლიერების ერთ-ერთი მძლავრი საფუძველი გახდა. თუმცა, როგორც კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი ა. გიდენსი წერს, დაპყრობითი ომების ხარჯზე იმპერიების საზღვრები იცვლებოდა, იზრდებოდა და შესაბამისად ვრცელი ტერიტორიის გაკონტროლებაც ძალიან ჭირდა.[50] სწორედ ამ მიზნით ინიშნებოდნენ თანაკეისრები ბიზანტიაში, იქმნებოდა სატრაპიები და საპიტიახშოები სპარსეთში, საამიროები – არაბთა სახალიფოში, დუმნები და ულუსები – მონღოლთა იმპერიაში, სანჯაყები, ვილაიეთები და მილეთები – ოსმალთა იმპერიაში.

ისლამის ჩასახვისა და დამკვიდრების შემდეგ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში გავრცელებას იწყებს ისლამური სახელმწიფოებრიობა. სასანიანთა იმპერია არაბთა სახალიფომ გაანადგურა და მათი ოფიციალური რელიგია ზოროასტრიზმიც ისლამმა ჩაანაცვლა, ისლამი ხელს უშლიდა სხვა ისლამური სახელმწიფოების

---

[48] Giddens A, Sociology, London: Polity Press, 2008. p j: 16-17

[49] Gilpin R, War and Change in World Politics, Cambridge University Press, 1981. Pj :110-115

[50] გაჩეჩილაძე რ, ახლო აღმოსავლეთი, გეოპოლიტიკა ორ ტომად, ტომი II, ,,ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა," თბილისი, 2019. გვ: 14.

ფორმირებას, გარდა სახალიფოსი და ასეთის არსებობის შემთხვევაში მას ან იმორჩილებდა, ან ვასალობაზე უარის თქმის შემთხვევაში სჯიდა. ამიტომაც არსებობდა ერთი დიდი და ძლიერი ისლამური ფეოდალური სახელმწიფო, რომელის სათავეშიც ხალიფა იდგა და ის ახორციელებდა როგორც საერო, ასევე სასულიერო მმართველობას. ბიზანტია კი ქრისტიანული იმპერია იყო. ის სახელმწიფოს გამაერთიანებელ ძალად რელიგიასა და ერთი მმართველის მორჩილებას მიიჩნევდა და ენის ერთობას ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა. ძირითად ენად იმპერიაში ბერძნული ითვლებოდა, მაგრამ მოსახლეობა სხვა მრავალ ენაზეც საუბრობდა. ამიტომაც ბიზანტია არ ეწინააღმდეგებოდა სხვა ქრისტიანული სახელმწიფოების შექმნას მის დაქვემდებარებაში.[51]

მოგვიანებით ოსმანის ბეილიქიდან შექმნილმა ძლიერმა ოსმალეთის იმპერიამ თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია კულტურული და ეთნიკური ნიშნით ერთმანეთისაგან განსხვავებული რეგიონის პატარა ქვეყნები, ირანის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრებმა ყიზილბაშურმა ტომებმა კი ირანის ძლიერ იმპერიას მისცეს დასაბამი. 1453 წლიდან მოყოლებული საუკუნეების განმავლობაში ოსმალეთის იმპერია ბიზანტიის ტერიტორიულ მემკვიდრედ იქცა რეგიონში და ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ ძლიერ და განვითარებულ სახელმწიფოდ რჩებოდა ხუთი საუკუნის განმავლობაში. თუმცა უკვე ასი წელია, რაც პოლიტიკურ რუკაზე მისი სახელი თურქეთის რესპუბლიკამ ჩაანაცვლა. აღმოსავლეთმცოდნე რ. გაჩეჩილაძე თავის ნაშრომში წერს: მიუხედავად ოსმალეთის იმპერიის ექვსაუკუნოვანი არსებობისა (XIII ს-ის დასასრული - XX ს-ის დასაწყისი), ახლო აღმოსავლეთის რეგიონის რიგ ქვეყნებში დღესაც გამოიყენება ოსმალური მიწის ფლობის წესები და პირადი თუ უმცირესობათა უფლებების განმსაზღვრელი ოსმალური კანონმდებლობა. მას მაგალითად მოჰყავს ისრაელის სახელმწიფო, რომელიც ცნობს ოსმალური კანონმდებლობის ელემენტებს მიწათმფლობელობასთან დაკავშირებით.[52]

---

[51] იქვე, გვ:4

[52] გაჩეჩილაძე რ, ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური გეოგრაფია, rideri, https://tinyurl.com/57cd7am4, ბოლოს გადამოწმდა: 10.09.2022

რაც შეეხება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მოქმედ მმართველობით სისტემას, რეგიონის შვიდ ქვეყანას მონარქი მართავს, ხოლო ცხრა ქვეყანაში რესპუბლიკური წყობა არის გავრცელებული. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ მის ტერიტორიაზე 11 სახელმწიფო ჩამოყალიბდა: თურქეთი, ქუვეითი, იორდანია, ერაყი, იემენი, ეგვიპტე, სირია, ლიბანი, ისრაელი, რომელიც აღიარებულია საერთაშორისო სამართლით და პალესტინის ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც ჯერ კიდევ სრულად არ არის აღიარებული.[53] ამ პერიოდში ხშირი იყო შემთხვევები, როცა მოქმედი პრეზიდენტებს სურდათ ხელისუფლება მემკვიდრეობითი გაეხადათ: ერაყში სადამ ჰუსეინი ცდილობდა საპრეზიდენტო სავარძელი თავისი შვილისათვის დაეტოვებინა, ამასვე ცდილობდა ეგვიპტის პრეზიდენტი ხოსნი მუბარაქი და მსგავს მოვლენას ადგილი ჰქონდა იემენში, რაც ასევე განუხორციელებელი დარჩა. რაც შეეხება სირიას, აქ მემკვიდრეობითი პრეზიდენტობა დღემდე არსებობს.

22 არაბული ქვეყნიდან ახლო აღმოსავლეთის რეგიონი აერთიანებს 12 არაბულ ქვეყნას: იორდანია, ეგვიპტე, ერაყი, ქუვეითი, გას-ი, საუდის არაბეთი, იემენი, ლიბანი, კატარი, ბაჰრეინი, ომანი, სირია და მეცამეტე - პალესტინის ადმინისტრაციული ერთეული.[54] მიუხედავად იმისა, რომ არაბული სამყარო არაბებით დასახლებულ რამდენიმე პოლიტიკურ ერთეულს მოიცავდა, რომელთაც ერთი ენა და ისტორიული წარსული აერთიანებდათ, მათი ერთ არაბულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება მაინც ვერ მოხერხდა, თუ არ ჩავთვლით არაბთა სახალიფოს, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ისლამის ფუძემდებელმა, წინასწარმეტყველმა მუჰამედმა. XX საუკუნის მეორე ნახევარში რამდენჯერმე სცადეს პოლიტიკური გაერთიანება არაბულმა ქვეყნებმა ეგვიპტე-სირიის თუ იემენი-ეგვიპტის სახით, მაგრამ არაბულ ქვეყნებში ხელისუფლებაში მყოფთა თუ ხელისუფლებაში მოსვლის მსურველთა განსხვავებული ინტერესები და შეხედულებები დიდ დაბრკოლებას უქმიდა მათ გაერთიანებას. დიდი არაბული სახელმწიფოს შექმნას ეწინააღმდეგებოდნენ გარე პოლიტიკური ფაქტორები. ამიტომაც ახლო აღმოსავლეთის ამ სახელმწიფოების ამჟამინდელი საზღვრები

[53] იქვე, გვ:5
[54] იქვე, გვ:6

ყოფილი პროტექტორატების გადაწყვეტილებით დადგინდა და სახელმწიფო სტრუქტურაც დაფუძნებული იყო დასავლური მმართველობის მოდელისა და ტრადიციული სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურების სიმბიოზზე.[55] გარდა არაბული ქვეყნებისა, რეგიონის შემადგენლობაში შედის აგრეთვე ერთი ირანული, ერთი ებრაული და ერთი თურქული სახელმწიფო[56] სამივე ქვეყანა ხასიათდება ეთნიკური მრავალფეროვნებით. ამასთანავე მხოლოდ თურქეთი ცნობს რეგიონში მდებარე ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკას, რომელსაც საერთაშორისო სამართალი როგორც სახელმწიფოს არ აღიარებს.

აღსანიშნავია, რომ ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნებს შორის გვაქვს ისეთი სახელმწიფოები, რომელთა დასახელება ემთხვევა აქ მცხოვრებთა ეთნონიმს (თვითდასახელებას), თუმცა არის ისეთი შემთხვევებიც, როცა საცხოვრებელი ტერიტორიის სახელი განსხვავდება ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური უმრავლესობის სახელწოდებისაგან და ტოპონიმიკასთანაა კავშირში: ზოგიერთი ქვეყნის სახელი მდინარეს უკავშირდება(იორდანია). ზოგიერთის-მთის დასახელებას (ლიბანი), ზოგსაც კუნძულის სახელი ჰქვია (კვიპროსი), ზოგსაც - ნახევარკუნძულის (კატარი) და ა. შ.[57] ევროპაში გავრცელებული შეხედულების თანახმად, სახელმწიფოს სახელწოდება ამავე ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხისა და მისი ენის სახელწოდებასაც უნდა აღნიშნავდეს. ახლო აღმოსავლეთის ასეთი ქვეყანა თურქეთია - თურქული ეთნოსით და თურქული ენით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სუვერენული სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი არის მკაფიოდ დადგენილი საზღვრები. შეიძლება ითქვას, რომ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში შემავალი ქვეყნების სახელმწიფო საზღვრები XX საუკუნეში დადგინდა, თუმცა სახელმწიფო ტერიტორიის ცნება აქ ახალი არ არის. რეგიონის ორი ქვეყნის, თურქეთისა და ირანის სახელმწიფო საზღვრები ძირითადად ამასიის ზავმა განსაზღვრა.[58]

[55] Ближнии Восток в фокусе политическои аналитики, Сборник научных трудов, Москва, 2019. Стр: 10

[56] გაჩეჩილაძე რ, ახლო აღმოსავლეთი, გეოპოლიტიკა ორ ტომად-II ტომი, ,,ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა," თბილისი, 2019. გვ:19

[57] იქვე, გვ: 21

[58] სვანაძე მ, თურქეთის ისტორია (1299-2000), გამომცემლობა ,,არტანუჯი," თბილისი, 2007. გვ: 121

ოსმალეთსა და სპარსეთს შორის საზღვრების დადგენა სპეციალური სასაზღვრო ნიშნებით და შესაბამისი დოკუმენტების გაფორმებით XX საუკუნის 20-იან წლებში დასრულდა. ასე რომ, რეგიონის ამ ორ ქვეყანას შორის საზღვარი უკვე საუკუნეზე მეტს ითვლის.[59]

რაც შეეხება ახლო აღმოსავლეთის სხვა სახელმწიფოთა საზღვრებს, მათი ჩამოყალიბება გასული საუკუნის უფრო გვიანდელ პერიოდში მოხდა (1913 წლის შემდეგ) და როგორც უკვე ვთქვით, ამ საქმეში დიდი როლი შეასრულეს ისევ და ისევ ევროპის სახელმწიფოებმა. სწორედ ევროპული დიპლომატიის მოღვაწეობის შედეგია საიქს-პიკოს შეთანხმება(1916 წლის 16 მაისი), რომლითაც ფაქტობრივად თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის საზღვრები ინგლისსა და საფრანგეთს შორის დადებული საიდუმლო შეთანხმებით დადგინდა. ინგლისელი და ფრანგი დიპლომატები სერ მარკ საიქსი და ფრანსუა ჟორჟ პიკო თვეების განმავლობაში მუშაობდნენ შეთანხმების საბოლოო ტექსტზე, რომლის მიხედვითაც ახლო აღმოსავლეთის რეგიონი რამდენიმე ზონად დაიყო: ,,ლურჯი ზონა“ მოიცავდა საფრანგეთის კონტროლირებად ტერიტორიას: თანამედროვე თურქეთის სამხრეთი ნაწილი და ლიბანი, ასევე ანატოლიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი და სირიის სანაპირო რაიონები; ,,წითელი ზონა“ ბრიტანეთის გავლენის სფეროდ აცხადებდა ქუვეითს და ერაყის სამხრეთ და ცენტრალურ ნაწილს, ასევე იორდანიას და დასავლეთ ერაყს, ხოლო რადგან ორივე მხარე ცდილობდა პალესტინის თავის დაქვემდებარებაში მოქცევას, ამ ტერიტორიას იერუსალიმთან ერთად ,,ყავისფერი ზონა“ ეწოდა და საერთაშორისო ადმინისტრაციის ზონად გამოცხადდა. რაც შეეხება რუსეთს და მის წარმომადგენელს, საზონოვს, ევროპის სახელმწიფოებმა რუსეთის სამანდატო ტერიტორიად გამოაცხადეს შემდეგი ვილაიეთები: ვანი, ბითლისი და ერზრუმი. საიქს-პიკო დუმდა სომხებთან და ქურთებთან დაკავშირებით.[60]

[59] გაჩეჩილაძე რ, ახლო აღმოსავლეთი, გეოპოლიტიკა ორ ტომად, ..ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა,“ თბილისი, 2019. გვ: 25.

[60] გაჩეჩილაძე ზ, ,,საიქს პიკოს” დასასრული თუ ახლო აღმოსავლეთის ახალი პოლიტიკური გეოგრაფია”, https://tinyurl.com/a3pmvkny, ბოლოს გადამოწმდა: 23.04.2023

გარდა ამისა, 1917 წლის 2 ნოემბერს ხელი მოეწერა ბალფურის დეკლარაციას, რომელიც თავისი შინაარსით ანგარიშგასაწევ დოკუმენტს წარმოადგენს ებრაული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე.[61] დღეს ისრაელს დაუდგენელი აქვს სახელმწიფო საზღვარი რამდენიმე ქვეყანასთან: პალესტინის ადმინისტრაციასთან, სირიასთან, ლიბანთან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ბოლო მოეღო ინგლისის მხრიდან პოლიტიკური კონტროლის განხორციელებას რეგიონის რიგ ქვეყნებზე, რადგანაც ისინი გახდნენ გაეროს დამოუკიდებელი წევრები. ამ პერიოდიდან კატარი, ომანი, ქუვეითი, გაერთიანებული არაბული საემიროები, ბაჰრეინი და ა.შ. გაეროს წევრი ქვეყნებია.[62]

დღესდღეობით საზღვრების სხვადასხვა ტიპის არსებობასთან დაკავშირებით განსაკუთრებით გავრცელებულია ბოგსის მიერ შემოთავაზებული დაყოფა, რომელიც ასე გამოიყურება: გეომეტრიული საზღვარი, ფიზიოგრაფიული საზღვარი, კომპლექსური და ანთროპოგეოგრაფიული საზღვარი.[63]

ეგვიპტის საზღვრები დასავლეთ და სამხრეთ მხრიდან გეომეტრიული საზღვარია, რადგან იგი გრძედს და განედს მიჰყვება, სირიასა და თურქეთს შორის არსებული სახმელეთო საზღვრის თითქმის 400 კმ-იან მონაკვეთს კი შეიძლება ანთროპოგეოგრაფიული ვუწოდოთ, რადგან ამ ორ ქვეყანას შორის საზღვარი ადამიანის ხელით შექმნილ ნიშანს - სარკინიგზო ხაზს – მისდევს.[64] რაც შეეხება კომპლექსურ საზღვარს, ეს შეიძლება იყოს განხილულ საზღვართა სხვადასხვა სახეების ერთობლიობა, რომელიც საბოლოოდ ერთიან კომპლექსს ქმნის.

საინტერესოა გერმანელი მეცნიერის, ფრიდრიხ რატცელის, მოსაზრება, როდესაც იგი საუბრობს სახელმწიფო საზღვრების შესახებ. ის არ განიხილავს საზღვრებს ცალკეულ სახელმწიფოებს შორის არსებულ ბარიერებად და ამბობს, რომ ქვეყნის

---

[61] ზამბახიძე ი, პალესტინის კრიზისი 1947-1949 წლებში და იორდანიის პოზიცია, თბილისი, 2006. გვ: 11.

[62] გაჩეჩილაძე რ, ახლო აღმოსავლეთის ცვალებადი გეოპოლიტიკა, https://tinyurl.com/ycybaeny, ბოლოს გადამოწმდა: 12.04.2022

[63] Boggs S, International Boundaries: A Study of Boundary Functions and Problems, New York: Columbia University Press, 1940. Pj:2.

[64] გაჩეჩილაძე რ, ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური გეოგრაფია, https://tinyurl.com/m8rvazt9, ბოლოს გადამოწმდა: 10.09.2022, ასევე, ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა, ,,ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა,“ თბილისი, 2008. გვ: 7

საზღვრები – ეს არის დროებითი და მას არ აქვს მუდმივი და აბსოლუტური ღირებულება. დღეისათვის მტრის დასუსტების ყველაზე საუკეთესო საშუალებად მეცნიერს მისთვის ტერიტორიის ნაწილის ჩამორთმევა მიაჩნია -,,სახელმწიფოები, რომლებიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში არსებობდნენ მიწის გარეშე, დიდ სახელმწიფოებად იქცნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი დაეუფლნენ ტერიტორიას, რომელიც ადვილად შეიძლება შეგვხვდეს პაპობისა და ხალიფატის ისტორიაში.“[65]

ფრიდრიხ რატცელის იდეები განავრცო ჟ. ანსელმა თავის წიგნში ,,გეოპოლიტიკა“, სადაც ის აანალიზებს საზღვრების დინამიკას. მისი აზრით, ,,ბუნებრივი საზღვრების“ იდეა აბსტრაქტულია და რეალობას არ შეესაბამება, გარდა ამისა, ქვეყნის საზღვრებს გააჩნიათ შეფარდებითი ღირებულება იმ ფუნქციის მიხედვით, რომელიც მათ უნდა შეასრულონ.[66] ის უპირატესობას ანიჭებს დინამიკურ, მოძრავ საზღვრებს -,,ის არის უფრო მოძრავი, ვიდრე სტაბილური, უფრო მოქნილი, ვიდრე უცვლელი, უფრო ეფემერული, ვიდრე მობილური“ - წერდა იგი თავის წიგნში. [67]

როგორია სახელმწიფოს იდეა და რეალობა ახლო აღმოსავლეთში? - რეგიონის ქვეყნების გარდაქმნა და განახლება თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისად უკვე თითქმის ერთ საუკუნეზე მეტია რაც განუწყვეტლივ ხორციელდება და ის დღესაც მიმდინარეობს. თუმცა ამ პროცესებზე დიდია სოციო-კულტურული ველის გავლენა. ამ საკითხზე მსჯელობისას, პირველ რიგში, აუცილებელია ისლამის როლის განსაზღვრა რეგიონის ქვეყნების სოციალურ განვითარებაში. ეს საკითხი თავის აქტუალობასა და მნიშვნელობას არ კარგავს თანამედროვე პირობებშიც და პრობლემასაც წარმოადგენს, რადგან რთულია ვისაუბროთ რეგიონის მოდერნიზაციაზე, როცა ბევრ სახელმწიფოში ან ისლამი ოფიციალური რელიგიაა და საზოგადოებაში ბევრი ჯერ კიდევ შარიათის კანონების გამოყენებას უჭერს მხარს, მაგალითად პალესტინაში მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი,

---

[65] Ратцел Ф, Политическая география, Питер, 2007. стр:15-36
[66] Тихонравов Ю, Геополитика, ИНФРА-М, 2000. Стр: 170.
[67]Основатели и хулители геополитики во Франции, https://tinyurl.com/5n8pptrt, ბოლოს გადამოწმდა: 15.12.2022

ეგვიპტის მოსახლეობის 74 პროცენტი, ერაყში კი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა - 90 პროცენტზე მეტი და ა. შ. ან ქვეყანა სეკულარულია, მაგრამ მაინც საკმაოდ მზარდია ისლამური პარტიების გავლენა. ასეთ ქვეყანას წარმოადგენს თურქეთი.[68]

სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით ახლო აღმოსავლეთი დღეს უკიდურესად მრავალფეროვანი და, შესაბამისად, რთული რეგიონია. ბოლო პერიოდში მრავალჯერ იყო მცდელობა შიდასახელმწიფოებრივი თუ სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების დაძლევისა სტაბილურობისა და უსაფრთხოების შესაქმნელად, თუმცა ამ მცდელობებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო - საზოგადოებაში ძლიერია ტრადიციები, ღირებულებები, წეს-ჩვეულებები და თითქოს რეგიონის ქვეყნები ჯერ კიდევ არ არიან მზად ცვლილებებისათვის, ეს კი სახელმწიფო ინსტიტუტებს დაუცველს ხდის ისეთი საჭირო და ამავე დროს აუცილებელი გარდაქმნების მიმართ, როგორებიცაა: კორუფციასთან ბრძოლა, სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების რეფორმა, ადამიანთა უფლებების, განსაკუთრებით ქალთა უფლებების შეზღუდვის გაუქმება, ასევე სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დაცვა და ა.შ. [69]

დღეს ბევრი მკვლევარი საუბრობს იმ ნეგატიურ შედეგებზე, რომლებიც მოჰყვა ტრადიციული საზოგადოების დაჩქარებულ მოდერნიზაციას.[70] რეგიონის ერთ-ერთი ქვეყანა, ერაყი, ტრადიციული საზოგადოების დაჩქარებული გარდაქმნის წარუმატებლობის ნათელი მაგალითია. ფაქტია, რომ ეს ქვეყანა ჯერ კიდევ შორს არის ლიბერალური დემოკრატიის სტანდარტებისაგან, რადგანაც ქვეყნის პოლიტიკურ სფეროში დომინირებს ეთნოკონფესიური განსხვავებები, მაღალია ძალადობის დონე, სერიოზული პრობლემები არსებობს ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხითაც.[71]

---

[68] სიხარულიძე გ, სეკულარიზმის დილემა თურქეთში: თანამედროვე გამოწვევები, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, კვლევითი დოკუმენტი, https://tinyurl.com/mptnsvam, ბოლოს გადამოწმდა:20.11.2022

[69] Скриба А, Новиков Д. Ближнии восток: основные тенденции, https://tinyurl.com/ycx2fxzr, ბოლოს გადამოწმდა: 28.12.2022

[70] Примаков Е, Конфиденциально. Ближнии Восток на сцене и за кулисами(вторая половина XX - начало XXI), М. ,, Российская газета", 2006. стр: 384.

[71] Polity IV: Regime Characteristics and Transitions.1800-2016, ,,Center for Systemic Peace," 2017.

თანამედროვე ერაყში არსებულ რეჟიმს შეიძლება ვუწოდოთ ,,საარჩევნო" დემოკრატია,[72] რომელიც შეიცავს როგორც ავტოკრატიის, ასევე ლიბერალური დემოკრატიის ელემენტებს და ამ უკანასკნელის დამკვიდრებისათვის აუცილებელია კრიტიკულად მოაზროვნე, განათლებული, მაღალი პოლიტიკური კულტურის მქონე ამომრჩეველი. მსგავსი ჰიბრიდული რეჟიმები არსებობს ლიბანში, პალესტინასა და თურქეთში.[73]

რაც შეეხება ირანს, დღეს რთულია საუბარი ირანში დემოკრატიულობის რაიმე ხარისხზე - აქ ყოველწლიურად სასამართლო განაჩენის საფუძველზე ათეულობით ადამიანი ისჯება სიკვდილით, მათ შორის არასრულწლოვნებიც, გრძელდება მასმედიის წარმომადგენელთა, ადამიანის უფლებათა დამცველების შევიწროება, ქვეყანაში განუსაზღვრელი ძალაუფლება არის კონცენტრირებული სულიერი ლიდერის, აიათოლა ხამენეის, ხელში.[74]

შესაძლებელია თუ არა მოდერნიზაცია არაბულ სამყაროში? და თუ ასეა, შეიძლება თუ არა ის გახდეს რეგიონის პრობლემების მოგვარების ეფექტური მექანიზმი? არსებობს არაბული ქვეყნები: იორდანია, ბაჰრეინი, ომანი, კატარი, ქუვეითი და სხვ. სადაც როგორც ახლო აღმოსავლეთის რეგიონის მკვლევარი რ. გაჩეჩილაძე ამბობს, ხელისუფლების ცვლილება არასოდეს მომხდარა არჩევნების საშუალებით და აქ საარჩევნო პროცესი მხოლოდ ფორმალური, ფასადური ხასიათისაა და მის ჩატარებას, ფაქტობრივად, არავითარი აზრი არა აქვს. მართალია, XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ბაჰრეინი გაეროს წევრი ქვეყანაა და აქ ქალებს არა მხოლოდ არჩევნებში ხმის მიცემის შესაძლებლობა აქვთ, არამედ ზოგიერთ თანამდებობაზე მათი არჩევაც კი ხდება, თუმცა მეფის უფლებები

---

https://tinyurl.com/425txc6x, ბოლოს გადამოწმდა:25.12.2022

[72] Отинов Д, Демократия на Ближнем Восток, Феномен Ирака, https://tinyurl.com/yeyku37u, ბოლოს გადამოწმდა: 6.06.2024

[73] გაჩეჩილაძე ზ, ახლო აღმოსავლეთი, გეოპოლიტიკა, ორ ტომად-ტომი II, ,,ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა," თბილის,. 2019. გვ:21.

[74] Сейранян Г, Ближнии Восток- последствия навязываемои демократизации, https://ria.ru/20060407/45419003.html. , ბოლოს გადამოწმდა:27.12.2022

შეუზღუდავია - მას უფლება აქვს გააუქმოს ყველა ის კანონმდებლობა, რომელიც ემუქრება მის ხელისუფლებას.[75]

ასეთია რეალობა ახლო აღმოსავლეთში - ხანგრძლივი და რთული პროცესების ფრთხილი განხორციელება მოითხოვს გარკვეული კონსესუსის, ერთგვარი ბალანსის პოვნას ტრადიციულ და თანამედროვე საფუძვლებთან თითოეულ ქვეყანაში, ასევე საჭიროა შიდა სოციალური განვითარება, შინაგანი მზაობა დემოკრატიული ცვლილებებისადმი და დრო, რადგან ცხოვრების წესის ერთბაშად გარდაქმნა შეუძლებელია.

### 1.3. თურქეთის პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ისტორიული ეტაპები

პირველი მსოფლიო ომიდან ოსმალეთი დამარცხებული გამოვიდა, რაც გამოიყენეს ევროპის სახელმწიფოებმა და მისი ტერიტორიების დანაწილებას შეუდგნენ 1918 წლის 30 ოქტომბერს გაფორმებული მუდროსის ზავით. ზავის პირობები ურთულესი იყო თურქეთისათვის - გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა მიიღეს შესაძლებლობა, განეხორციელებინათ თურქეთის ტერიტორიის ნებისმიერი ნაწილის ოკუპაცია, ოსმალეთს შეიარაღებული ძალები საომარი მდგომარეობიდან უნდა გადაეყვანა სამშვიდობო მდგომარეობაზე და ანტანტის ქვეყნებისათვის გადაეცა მთელი სამხედრო ტექნიკა და შეიარაღება, მოკავშირეთა შეიარაღებულ ძალებს შეეძლოთ მოეხდინათ მარმარილოსა და შავი ზღვების, ასევე მათი პორტების დაკავება და სხვა.[76] სრუტეები, ფოსტა, რკინიგზა, ტელეგრაფი მოკავშირეთა ხელში აღმოჩნდა. გარდა ამისა, საზავო ხელშეკრულების მე-11 და მე-15 მუხლები თურქეთის შეიარაღებული ძალების მიერ სომხეთის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და დაღესტნის ტერიტორიის დატოვებას ითხოვდა და ბაქოს, ბათუმისა და სამხრეთ კავკასიის სხვა ქალაქების ოკუპაციას ადასტურებდა, ინგლისელთა ჯარების მიერ გენერალ მილნას მთავარსარდლობით. მე-16 მუხლის შესაბამისად ოსმალეთს თავისი სამხედრო შენაერთები უნდა გაეყვანა კილიკიიდან, მე-19 მუხლი კი ბრწყინვალე პორტას

[75] Hamid S, Arab elections, free, sort of fair …and meaningless. Foreign Policy, October 2010. https://tinyurl.com/5b99rwbe, ბოლოს გადამოწმდა: 28.11.2022, ასევე, ინასარიძე ი, თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი-საპროტესტო მოძრაობა ბაჰრეინში, თბილისი, 2013, გვ:19

[76] სვანიძე მ, თურქეთის ისტორია (1299-2000), გამომცემლობა ,,არტანუჯი". თბილისი, 2007. გვ: 374

სამთა კავშირის სხვა წევრებთან კავშირის გაწყვეტას ავალდებულებდა და მოითხოვდა ავსტრიასა და გერმანიას ოსმალეთის ტერიტორიიდან გაეყვანათ როგორც სამოქალაქო პირები, ისე სამხედრო ნაწილები. ამავე დროს ბრწყინვალე პორტა ვალდებული იყო, საჭიროების შემთხვევაში ინგლისელებისათვის სათანადო დახმარება გაეწია.[77] აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პერიოდისათვის ინგლისი ფაქტობრივად დიდი გავლენით სარგებლობდა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, აკონტროლებდა ბაღდადის რკინიგზას და ნავსადგურებს ხმელთშუა და შავ ზღვებზე და სხვ. მუდროსის საზავო ხელეკრულების პირობები ხელს უწყობდა გამარჯვებულ სახელმწიფოთა ჩანაფიქრის ხორცშესხმას - ესარგებლათ ხელსაყრელი მომენტით და დაენაწილებინათ ოსმალეთის იმპერია.

ინგლისმა ზავის დადებიდან მეორე დღესვე დაიკავა ალექსანდრეტას სანჯაყი და მოსულის ვილაიეთი, ასევე თავის გავლენას დაუქვემდებარა მთელი ანატოლია, ინგლისელთა გავლენის სფეროს შეუერთდა ერაყი და სირიაც, ინგლისის შეიარაღებული ძალები განთავსდნენ სამსუნსა და ტრაპიზონში, ამავდროულად ბრიტანელი აგენტები ცდილობდნენ ქურთისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას. რაც შეეხება საფრანგეთს, მისი ჯარები აკონტროლებდნენ აღმოსავლეთ თრაკიის მნიშვნელოვან ნაწილს და ადანის ტერიტორიას, ასევე მან დაიკავა ქვანახშირით მდიდარი ზონგულდაქის რაიონი. იტალიელებმა თავის გავლენის სფეროში მოაქციეს ანატოლიის მეზობელი ტერიტორიები კონიამდე, ხოლო საბერძნეთი იზმირში შევიდა. [78]

1919 წლის იანვარში მოწვეულ იქნა პარიზის სამშვიდობო კონფერენცია, სადაც ევროპის სახელმწიფოთა მიერ შემუშავებულ იქნა საზავო პირობები ცენტრალური სახელმწიფოების, მათ შორის ოსმალეთის მიმართ. განსაკუთრებით გვინდა გამოვკვეთოთ იტალიის პრეტენზია, რაც იზმირის იტალიისათვის გადაცემას გულისხმობდა და ამისათვის ლონდონის ხელშეკრულებას იმოწმებდა. პარიზში კონფერენციაზე იზმირის გადაცემაზე პრეტენზიას საბერძნეთიც აცხადებდა,

---

[77] იქვე, გვ: 373

[78] მაკარაძე ე, მუსტაფა ქემალ ათათურქის როლი რესპუბლიკურ თურქეთში, გამომცემლობა ,,შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2009, გვ:10

რომელიც ამავდროულად შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთით ცდილობდა პონტოს სახელმწიფოს დაარსებას საბერძნეთის ჰეგემონობის ქვეშ. [79]

სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ოსმალეთის ტერიტორიაზე სხვადასხვა პოლიტიკური გაერთიანებების დაარსება: უფლებათა დაცვის საზოგადოება იზმირში, თრაკიასა და კილიკიაში, ეროვნული კონგრესი, დეცენტრალიზაციის საზოგადოება ტრაპიზონის ვილაიეთში და ა.შ., რომელთა ძირითად მიზანს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დამცველი ერთიანი ეროვნული ბლოკის შექმნა წარმოადგენდა.[80] იმპერიალისტურ სახელმწიფოთა გადაწყვეტილებებით უკმაყოფილო ოსმალეთის მოსახლეობამ დაიწყო წინააღმდეგობის მოძრაობა.

ქვეყნისათვის ასეთ საჭირბოროტო მომენტში გამოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზე მუსტაფა ქემალი. იგი სალონიკში დაიბადა, დაასრულა ჯერ სამხედრო სასწავლებელი, ხოლო მოგვიანებით სტამბოლში მდებარე სამხედრო აკადემია და თავისი საქმიანობა დამასკოს საკავალერიო დანაყოფში განაგრძო, მოგვიანებით, მაკედონიაში ყოფნის დროს ის დაუკავშირდა ახალგაზრდა თურქებს და მათთან ერთად აქტიურად ჩაერთო ახალგაზრდა თურქთა რევოლუციაში, იყო პირველი მსოფლიო ომის მონაწილე და მრავალ ბრძოლაში გამოიჩინა თავი თავისი შემართებითა და შეუპოვრობით. ტრიპოლიტანიის ომში მონაწილეობის დროს, 1911 წელს, მუსტაფა ქემალმა მაიორის წოდება მიიღო, ბალკანეთის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის მას პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა, ხოლო კავკასიის ფრონტზე წარმატებული ბრძოლისათვის ჯერ ბრიგადის გენერლობა უბოძეს, შემდეგ კი – ფაშას საპატიო წოდება.[81] მუსტაფა ქემალმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გალიპოლის ბრძოლაში 1915 წელს. ამ ბრძოლაში მოპოვებულ წარმატებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა ოსმალეთის იმპერიისათვის.[82]

ომის დასრულების შემდეგ, 1919 წლის გაზაფხულზე, მუსტაფა ქემალი ანატოლიაში გადაიყვანეს და აქ დისლოცირებული მე-9 არმიის ინსპექტორობა

---

[79] იქვე

[80] იქვე, გვ: 375

[81] მაკარაძე ე, თურქეთის ისტორია 1918-2018 წლები, სალექციო ჩანაწერები, გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2019, გვ: 12

[82] Zürcher E, Turkey: a modern history, Bloomsbury Academic, 2004, p: 142

დაავალეს. ანატოლია ოკუპანტების მხრიდან ნაკლებად კონტროლირებად ტერიტორიას წარმოადგენდა და ამიტომაც ქემალ ფაშა თვლიდა, რომ სწორედ აქ უნდა ჩაჰყროდა საფუძველი თურქი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას ინტერვენტების წინააღმდეგ.[83] მუსტაფა ქემალი 19 მაისს თავის დაბადების დღედაც მიიჩნევდა, რადგან ამ დღეს დაიწყო ანატოლიიდან ძლიერი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. პატრიოტული მოძრაობის სათავეში ანატოლიელ მუშებთან და გლეხებთან ერთად აღმოჩნდნენ აქაური სავაჭრო და სამრეწველო ბურჟუაზიის წარმომადგენლები, რომელთაც სხვათა გავლენებისაგან დამოუკიდებელი ეროვნული ყრილობის მოწვევისაკენ მოუწოდებდათ მუსტაფა ქემალ ფაშა.[84]

შეუპოვარმა ბრძოლამ შედეგი გამოიღო: 1919 წლის ზაფხულში, 20 ივნისს, ამასიაში საიდუმლო თათბირი გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ ქვეყნის გავლენიანი და დიდი ავტორიტეტის მქონე პირები (პოლკოვნიკი ქიაზიმ ბეი, ჰუსეინ რაუფ ბეი, რომელსაც ადრე საზღვაო მინისტრის საპასუხისმგებლო თანამდებობა ეკავა, მუსტაფა ქემალი და ალი ფუად ფაშა, რომელიც მე-20 სამხედრო კორპუსს უდგა სათავეში) მიღებულ იქნა შეთანხმება სივასში ფართომასშტაბიანი კონგრესის მოწვევასთან დაკავშირებით, სადაც მიზნის მიღწევის გზებს დასახავდნენ და განსაზღვრავდნენ კონკრეტულ ქმედებებსა და პასუხისმგებლობებს. ამასიის საიდუმლო შეხვედრა შედეგიანი აღმოჩნდა: მან საფუძველი ჩაუყარა საინიციატივო ჯგუფის შექმნას - ჯემალ ფაშას (მე-13 მსხვილი საჯარისო შენაერთის მეთაური), რეფეტ ბეისა (მე-3 მსხვილი საჯარისო შენაერთის მეთაური) და ქიაზიმ ყარაბექირ ფაშას (მე-15 მსხვილი საჯარისო შენაერთის მეთაური) შემადგენლობით, რომლებმაც ხელი მოაწერეს შეხვედრის დასკვნით ოქმს.[85] 1919 წლის 23 ივლისს დაიწყო და 7 აგვისტომდე მიმდინარეობდა არზრუმის კონგრესი, რომელმაც თანადგომა გამოუცხადა სულთნისა და ხალიფას ხელისუფლებას და ამით თავიდან აიცილა მთავრობასთან დაპირისპირება, გარდა ამისა, მან განაცხადა აღმოსავლეთის

---

[83] Розалиев Ю, Мустафа Кемаль Ататюрк, Очерки жизни и деятельности, Стамбул, 1997, с:13
[84] იქვე, გვ: 13
[85] სვანიძე მ, თურქეთის ისტორია (1299-2000), გამომცემლობა ,,არტანუჯი". თბილისი, 2007, გვ: 378

ვილაიეთების დამოუკიდებლობის დასაცავად მათი მზადყოფნის შესახებ და სულთნის მიერ ,,მეამბოხე გენერალად“ გამოცხადებული მუსტაფა ქემალი თავჯდომარედ აირჩია.

იმავე წლის შემოდგომაზე, 4-12 სექტემბერს, სივასში მოწვეული კონგრესის მუშაობა ურთულეს პირობებში მიმდინარეობდა: ბერძენთა არმია დასავლეთ ანატოლიის დაკავებას ცდილობდა, ფრანგული სამხედრო შენაერთები მერსინში აქტიურად მოქმედებდნენ, ხოლო საფრანგეთ-ინგლისის ფლოტმა მოახერხა თავის განკარგულებაში მოექცია შავი ზღვის სანაპირო ანატოლიაში.[86] ასეთ ვითარებაში სამხედრო ტრიბუნალმა მუსტაფა ქემალს ყველა სამხედრო ჩინი და პრივილეგია ჩამოართვა და მის დაპატიმრებაზე თანხმობა განაცხადა. ინგლისელი, ფრანგი და იტალიელი ოფიცრებისა თუ სპეციალური წარმომადგენლების ხელისშემშლელი საქმიანობის მიუხედავად, სივასის შეხვედრა მაინც გაიმართა. ამავე პერიოდში თურქეთში დიდი მღელვარება გამოიწვია სიახლემ, რომლის თანახმადაც ამ ქვეყანაზე, შესაძლოა, აშშ-ს მანდატი გავრცელებულიყო. იმისათვის, რომ მოსახლეობის განწყობაზე ზემოქმედება მოეხდინათ და დაერწმუნებინათ ისინი ამ გადაწყვეტილების მიღების სისწორეში, კონგრესს აშშ-დან ჩამოსული წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მათ მოახერხეს კიდეც პოლიტიკოსთა დიდი ნაწილის კეთილგანწყობა მოეპოვებინათ - მათი აზრით, თუ თურქეთი ამერიკის მანდატის ქვეშ აღმოჩნდებოდა, თავიდან აიცილებდა მოკავშირეთა მხრიდან დანაწევრების საფრთხეს. სივასის კონგრესმა უარი განაცხადა რომელიმე ქვეყნის მანდატის მიღებაზე, არზრუმის კონგრესის მსგავსად მან მხარი ქვეყნის ტერიტორიულ ერთიანობას დაუჭირა და სულთანს მეჯლისის მოწვევისა და ფერჰად ფაშას მოქმედი მთავრობის დათხოვნისაკენ მოუწოდა.[87] კონგრესის მიერ არჩეულმა ცამეტკაციანმა წარმომადგენლობითმა კომიტეტმა ანატოლიაში დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის კანონიერი ხასიათი დაადასტურა. თავდაპირველად სულთანმა უარი განაცხადა ფერჰად ფაშას მთავრობის დათხოვნაზე, მაგრამ მოგვიანებით მან ეს ნაბიჯი გადადგა და ახლადჩამოყალიბებულ მთავრობას სათავეში ალი რიზა ფაშა ჩაუყენა.

---

[86] იქვე, გვ: 379

[87] იქვე

სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა წარმომადგენლობითი კომიტეტისა და სულთნის მთავრობის წევრთა შეხვედრა ამასიაში 1919 წლის 20-22 ოქტომბერს. რიგ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, მოლაპარაკების დროს მიღებულ იქნა ხუთი ოქმი, რომელთაგან სამი ორმხრივი ხელმოწერით დადასტურდა, მხარეებმა პარლამენტის მოწვევის ადგილად სტამბოლი შეარჩიეს. 1919 წლის შემოდგომაზე გამართულ საპარლამენტო არჩევნებში ქემალისტებმა ხმათა უმრავლესობით (116 მანდატი 175 მანდატიდან) გაიმარჯვეს. მართალია, 1920 წლის 12 იანვარს თურქეთის პარლამენტი მუშაობას შეუდგა, მაგრამ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით უკმაყოფილო ანტანტის სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს ახლადარჩეული პარლამენტის (მეჯლისის) წინააღმდეგ გაელაშქრათ.[88] მოკავშირე სახელმწიფოების უარყოფითი განწყობის მიზეზი თურქი ხალხის მხრიდან დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გაგრძელებისა და ყოფილი ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სურვილი გახდა. მათი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა სრუტეების ზონის, ანატოლიისა და აღმოსავლეთ თრაკიის ერთიან თურქულ სივრცეში გაერთიანებას.

1920 წლის თებერვალში ანტანტის სახელმწიფოთა წარმომადგენლები ლონდონში შეიკრიბნენ, რათა მოლაპარაკება ეწარმოებინათ თურქეთის საკითხზე. სტამბოლის პარლამენტის გადაწყვეტილებებით უკმაყოფილო მოკავშირეებმა 1920 წლის გაზაფხულზე (16 მარტი) პარლამენტზე შეტევის გადაწყვეტილება მიიღეს, საკანონმდებლო ორგანო სასტიკად დაარბიეს და ინგლისელთა ინიციატივით ჩამოაყალიბეს ახალი მთავრობა დამამ ფერიდ ფაშას ხელმძღვანელობით.[89] მოკავშირეთა ძალების მიერ სტამბოლში პარლამენტის დარბევამ და მისი წევრების დაპატიმრება-გადასახლებამ დღის წესრიგში დააყენა ახალი მეჯლისის მოწვევის აუცილებლობა. იმავე წლის 23 აპრილს ამჯერად ანკარაში მოიწვიეს ერთპალატიანი მეჯლისი, თურქეთის დიდი ეროვნული კრება, სადაც ყოველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულიდან (სანჯაყიდან) თანაბარი

---

[88] იქვე, გვ: 381

[89] სვანიძე მ, ოსმალეთის ისტორია (1600-1923), ტ.II, გამომცემლობა ,,ქრონოგრაფი",თბილისი, 2002, გვ: 288

რაოდენობის (ხუთ-ხუთი) დეპუტატი იგზავნებოდა. მეჯლისი 338 დეპუტატს აერთიანებდა. მასში მუშებისა და გლეხების გამოკლებით მოსახლეობის სხვადასხვა ფენა იყო წარმოდგენილი: ინტელიგენცია, სასულიერო წოდება, მემამულეები და სხვ.[90] პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს თავჯდომარედ თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მუსტაფა ქემალი აირჩია, საგარეო უწყებას ბექირ სამი ბეი ჩაუდგა სათავეში, შინაგან საქმეთა მინისტრის პორტფელი კი ჯავით ბეიმ ჩაიბარა.[91] რეალობა ასეთი იყო: ანკარაში ქემალისტები და მეჯლისი წარმოადგენდნენ ლეგიტიმურ ხელისუფლებას, სტამბოლში კი სულთანისა და მოკავშირე სახელმწიფოთა გავლენა იყო ძლიერი.

1920 წელი ანკარის მთავრობისა და ეროვნული ძალების მიმართ ანტანტის სახელმწიფოთა შეტევით ხასიათდებოდა. ინგლის-საბერძნეთის სამხედრო ძალებმა ანატოლიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკავეს, ინგლის-საფრანგეთის ჯარებმა კი თრაკიის ოკუპაცია განახორციელეს. აქ გადამწყვეტი როლი მოკავშირეთა, განსაკუთრებით საბერძნეთის, თანამედროვე სამხედრო იარაღითა და ტექნიკით აღჭურვამ ითამაშა, რასაც ზედ დაერთო სულთნის მთავრობის მიერ პროვოცირებული მოსახლეობის დიდი ნაწილის ჩართვა ანკარის მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებში. ეროვნული მოძრაობა გარდაუვალი მარცხის წინაშე იდგა.

ოსმალეთის იმპერიისათვის მნიშვნელოვანი იყო 1920 წლის 10 აგვისტოს ოსმალეთის იმპერიასა და ცენტრალურ სახელმწიფოებს შორის დადებული სევრის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც განხორციელდა იმპერიის ტერიტორიის დაყოფა სამმართველო ზონებად და მისი გადანაწილება ინგლისს, საბერძნეთს, საფრანგეთსა და იტალიას შორის. ხელშეკრულება სულ 433 მუხლს აერთიანებდა: საბერძნეთმა მიიღო იზმირი (ადრინდელი სმირნა), ადრიანოპოლი, აღმოსავლეთ თრაკია და ეგეოსის ზღვის კუნძულები; საფრანგეთს გადაეცა მართვის მანდატი ლიბანსა და სირიაზე, ასევე კილიკია, ანთეპეს, ურფასა და მარაშის ვილაიეთების გარკვეული ნაწილი, თურქეთი აღიარებდა მაროკოსა და თუნისზე საფრანგეთის პროტექტორატს, რომელიც იღებდა საგარეო საფრთხის

[90] იქვე, გვ: 290
[91] იქვე

შემთხვევაში დასახელებული ტერიტორიების დაცვის ვალდებულებას;[92] დიდი ბრიტანეთის მანდატის ქვეშ აღმოჩნდა პალესტინა და მესოპოტამია, ასევე მოსულის ვილაიეთი და ორი დიდი ვილაიეთის_ჰაქიარისა და დიარბექირის მნიშვნელოვანი ნაწილი; იტალიის ხელში გადადიოდა ანატოლიის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, ჰიჯაზი დამოუკიდებელ სამეფოდ ცხადდებოდა.[93] რაც შეეხება რუსეთს, შავი ზღვის სრუტეები და კონსტანტინოპოლი რუსეთის გავლენის სფეროდ მოიაზრებოდა, მაგრამ რუსეთი პირველი მსოფლიო ომიდან გამოვიდა და დასახელებული ქვეყანა და სრუტეებიც საერთაშორისო კონტროლს დაექვემდებარა.[94] ასევე სევრის ხელშეკრულებით დადგინდა საზღვარი თურქეთსა და სომხეთს შორის 1920 წლის 22 ნოემბერში. თურქეთი სომხეთს გადასცემდა 103 599 კვ.კმ სიდიდის ტერიტორიას. იგი ქალაქ გირესუნტიდან იწყებოდა და ერზინჯანი-ვანი-ბითლისი-შუშის მიმართულებით გრძელდებოდა და მოიცავდა ტრაპიზონის ვილაიეთს და ტრაპიზონის ნავსადგურს. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა აშშ-ის პრეზიდენტმა ვუდრო ვილსონმა.[95] აქვე აღვნიშნავთ, რომ 2 დეკემბერს ალექსანდროპოლში დადებული ხელშეკრულებით  სომხეთმა უარი თქვა სურმალის მაზრასა და ყარსის ოლქზე, ამას ზედ დაემატა სომხეთის ოკუპაცია საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის მიერ და ადგილობრივი მთავრობის დამხობა.[96]

გარდა ამისა, სევრის ხელშეკრულება სრუტეების საკითხსაც ეხებოდა, რომლის კონტროლიც საერთაშორისო კომისიას დაევალა და მათი დემილიტარიზაციის შემდეგ ყველა სახელმწიფოს ექნებოდა შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში ოსმალეთის ნებართვის გარეშე ესარგებლათ სრუტეებით. სევრის ხელშეკრულება არ წარმოადგენდა თურქული დიპლომატიის გამარჯვებას - ამ კაბალური შეთანხმებით მას გადაეცა ცენტრალური ანატოლია და სტამბოლი, ასევე გასასვლელი შავ ზღვაზე, ხოლო ევროპაში ოსმალეთის გავლენის ქვეშ დარჩა

[92] იქვე, გვ: 386
[93] სევრის ხელშეკრულება-,,დიდი სომხეთის" კონტურები, თურქეთის დიდი უკმაყოფილება და ისტორიული დოკუმენტის მნიშვნელობა საქართველოსთვის, https://tinyurl.com/47xayc3a, ბოლოს გადამოწმდა: 8.09.2023
[94] იქვე
[95] სვანიძე მ, დასახელებულ;ი ნაშრომი, გვ: 386
[96] იქვე

დარდანელისა და ბოსფორის სრუტეები, რომლებზედაც საერთაშორისო კონტროლი დაწესდა. აქვე ვიტყვით იმასაც, რომ, მიუხედავად ხელმოწერისა, სევრის ხელშეკრულების რატიფიცირება არ მომხდარა, რადგანაც იმდროისათვის ომით გადაღლილ არცერთ ევროპულ სახელმწიფოს, არც იტალიას და არც ინგლისსა და საფრანგეთს, ხელშეკრულების პუნქტების შესრულებაზე არც უფიქრია, გარდა ამისა, ხელშეკრულების პირობებს დიდი მღელვარება მოჰყვა ქვეყანაში და სულთნის მთავრობა იძულებული გახდა მის შესრულებაზე უარი ეთქვა. [97]

XX საუკუნის 20-იან წლებში პარლამენტმა მიიღო ,,მისაკ-ი მილი"-ს კანონი, რომელიც თურქი ერის კუთვნილებად აცხადებდა იმ ტერიტორიას, რომლის მოსახლეობის უმრავლესობაც თურქული წარმოშობის ხალხით იყო დასახლებული, ასევე ამ კანონის მეორე მუხლით განიხილებოდა რეფერენდუმის ჩატარება ბათუმის, არტაანისა და ყარსის სტატუსის განსაზღვრის მიზნით. დასახელებული ტერიტორიები ჯერ რუსეთის დაქვემდებარებაში შედიოდა (1878 წლიდან), 1918 წლისათვის კი, როცა საქართველოსა და სომხეთის დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ამ ორი ქვეყნის შემადგენლობაში მოექცა, თუმცა საბოლოოდ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი თურქეთმა დაიკავა და მისი გავლენის სფეროს წარმოადგენს დღესაც.[98] მიუხედავად წინააღმდეგობებისა, ანკარის მთავრობამ მოახერხა დიპლომატიური ურთიერთობა დაემყარებინა საბჭოთა რუსეთთან 1921 წლის 16 მარტს. მოსკოვის ხელეკრულებით თურქეთს გადაეცა არტაანის, ყარსისა და ართვინის ოლქები, ამავე ხელშეკრულებით თურქეთმა საქართველოს დაუბრუნა ბათუმი და მისი მიმდებარე ტერიტორია.[99]

იმავე წლის 26 სექტემბერს თურქეთის, ამიერკავკასიისა და საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელთა მონაწილეობით გაიმართა ყარსის კონფერენცია, რომელმაც ხელი შეუწყო თურქეთის საერთაშორისო პოზიციის განმტკიცებას. ყარსის ხელშეკრულება ვრცელდებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებზე მოსკოვის

---

[97] გაჩეჩილაძე რ, სევრის ხელშეკრულების 100 წლისთავი, https://tinyurl.com/2sxb4t7a, ბოლოს გადამოწმდა:9.09.2023

[98] იქვე

[99] Договор 1921 года сохраняет значимость для Турции и России спустя век, https://tinyurl.com/mrxa7nfs, ბოლოს გადამოწმდა: 7.09.2022

ხელშეკრულების ძირითადი დებულებებით, რომლებიც ითვალისწინებდნენ სავაჭრო ურთიერთობების დამყარებას, ფინანსურ-ეკონომიკური საკითხების მოწესრიგებას და, რაც მთავარია, ის განიხილავდა საზღვრების საკითხს. ქართული და სომხური მხარის წინადადებები არ იქნა დაკმაყოფილებული, რომლებიც მოითხოვდნენ სარფის სამხრეთ ნაწილი საქართველოსათვის დაეთმოთ, ხოლო ქალაქი ანისი სომხეთისათვის დაებრუნებინათ. ხელშეკრულების თანახმად, ქალაქები ყარსი, არდაგანი და სურმალუ თურქეთს გადაეცა, თურქეთის ტერიტორიაზე სრულდებოდა არარატის მთაც, საზღვარი უნდა გასულიყო მდინარეების ახურიანისა და  არაქსის გასწვრივ (სომხეთ-თურქეთის თანამედროვე საზღვარი). თურქეთის ტერიტორია 30%-ით გაიზარდა.[100]

1921 წლის 20 ოქტომბერს საფრანგეთსა და თურქეთს შორის დაიდო ანკარის ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერა ფრანგმა დიპლომატმა ანრი ფრანკლინ ბუიონმა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იუსუფ ქემალ ბეიმ. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ოფიციალურად მოხდა საფრანგეთის მხრიდან დიდი ეროვნული ასამბლეისა და თურქეთის ახალი მთავრობის დე-ფაქტო აღიარება და ეს მაშინ, როცა ბრიტანეთი აგრძელებდა სტამბოლში სულთნის მთავრობის მხარდაჭერას. თურქთა ჯარებმა ფრანგები დაამარცხეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში (კილიკიაში) და  ფრანგები დათანხმდნენ კილიკიიდან ევაკუაციას.[101]

1921 წლიდან განსაკუთრებით გააქტიურდა საბერძნეთი, რომელიც ანკარაზე შეტევას გეგმავდა, დიდი ეროვნული კრების მიერ მინიჭებული შეუზღუდავი უფლებებით მუსტაფა ქემალმა მოსახლეობის მობილიზება და არმიის რეფორმირება მოახდინა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ახალ საფეხურზე აიყვანა. საქარიასთან ბერძენთა წინააღმდეგ გამართული ბრძოლა თურქთათვის გამარჯვების მომტანი აღმოჩნდა. სწორედ ამ ბრძოლაში

---

[100] Казанджян Р, Русско-Турецкие отношения 1920-1921 гг и вопрос армении в свете секретных документов московских архивов, https://tinyurl.com/58n7e25w, ბოლოს გადამოწმდა: 1.06.2023
[101] Treaty of Ankara France-Turkey (1921), https://www.britannica.com/event/Treaty-of-Ankara , ბოლოს გადამოწმდა: 21.03.2023

გამოჩენილი მამაცობისთვის მიიღო მუსტაფა ქემალმა მარშალის წოდება. 1922 წლის 11 ოქტომბერს კი საფრანგეთთან, იტალიასთან, ინგლისსა და საბერძნეთთან მუდანიაში დაიდო დროებითი ზავი. თურქეთის დელეგაციის მეთაურმა ისმეთ ფაშამ კატეგორიულად მოითხოვა ბერძნებისაგან თრაკიის აღმოსავლეთ ტერიტორია და ამ ზავით შეძლო კიდეც მისი დაკავება, ამავდროულად ანტანტის სახელმწიფოებს მიეცათ შესაძლებლობა თავიანთი ჯარით სტამბოლში დარჩენილიყვნენ და აქ დალოდებოდნენ საზავო კონფერენციის მოწვევას.[102] მართალია, საბოლოო გამარჯვებამდე ჯერ კიდევ დიდი გზა იყო გასავლელი, მაგრამ ქვეყანაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კიდევ უფრო ძლიერდებოდა და აგრძელებდა ბრძოლას. საბოლოოდ ქემალისტებმა მაინც მოახერხეს ქვეყნის განთავისუფლება ინტერვენტებისაგან.[103]

შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული დანაკარგების მიუხედავად, თურქული დიპლომატიის დიდ გამარჯვებას წარმოადგენდა 1923 წლის 24 ივლისის ლოზანის კონფერენცია. თუ მანამდე ანტანტის წევრ სახელმწიფოებს შორის გარკვეულ დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი, კონფერენციის მსვლელობის პერიოდში მათ გადაწყვიტეს შეთანხმებულად ემოქმედათ: ისინი შეეცადნენ კონფერენციის მსვლელობაში სულთნის ხელისუფლებას მიეღო მონაწილეობა, მაგრამ რადგანაც ეს ჩანაფიქრი ვერ განახორციელეს, მუსტაფა ქემალის მოწინააღმდეგე ძალებს დაუკავშირდნენ პარლამენტში, თუმცა ვერც ოპოზიციის გამოყენება მოახერხეს თავიანთი მიზნის განსახორციელებლად - მუსტაფა ქემალმა დელეგაციის ხელმძღვანელობა ოპოზიციონერი პრემიერ-მინისტრის რაუფ-ბეის ნაცვლად, თავის ერთგულ თანამებრძოლს ისმეთ ფაშას დაავალა. რუმინეთის, ინგლისის, იაპონიის, იტალიის, საფრანგეთის, იუგოსლავიის, თურქეთისა და საბერძნეთის მონაწილეობით 1922 წლის 20 ნოემბერს შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის ლორდი კერზონის

---

102 მაკარაძე ე, თურქეთის ისტორია 1918-2018 წლები, სალექციო ჩანაწერები, გამომცემლობა ,,უნივერსალი", თბილისი, 2019, გვ: 32

103 დანგაძე ნ, თურქეთის სახალხო-რესპუბლიკური პარტია 1923-1950 წლებში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2006. გვ;4.

ხელმძღვანელობით მუშაობას შეეუდგა სამშვიდობო საზავო კონფერენცია.[104] თურქეთს გადაეცა აღმოსავლეთ თრაკია, ასევე კუნძულები ტენედოსი და იმბროსი. ამავე დროს მას მოუწია უარი ეთქვა გარკვეულ ტერიტორიაზე: ლიბიაზე, პალესტინაზე, სირიაზე, იორდანიაზე, ერაყზე, ეგვიპტეზე, ლიბანსა და სუდანზე.[105] კონფერენციამ საბოლოოდ დაადგინა საზღვარი თურქეთსა და სირიას შორის, საკმაოდ გართულდა მოლაპარაკებები თურქეთსა და ერაყს შორის მოსულის ვილაიეთის საკუთრების საკითხზე. ინგლისი მხარს უჭერდა ნავთობით მდიდარი ტერიტორიის ერაყისათვის გადაცემას, რადგანაც ერაყი ინგლისის მანდატის ქვეშ იმყოფებოდა. გარდა ამისა, ლორდი კერზონი ამტკიცებდა, რომ მოსულის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ინდოევროპული წარმოშობის ქურთები იყვნენ, რომლებიც ძირეულად განსხვავდებოდნენ თურქებისაგან.[106] საბოლოოდ ამ საკითხზე შეთანხმება ვერ მოხერხდა. მოლაპარაკებების მე-2 ეტაპზე შავი ზღვის სრუტეების საკითხთან დაკავშირებით კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს, უკრაინის, ბულგარეთისა და საბჭოთა რუსეთის დელეგატები.[107] საბოლოოდ ბრიტანელებმა გაიმარჯვეს. 1923 წლის 24 ივლისს ამოქმედდა სრუტეების კონვენციის I მუხლი, რომელიც ასახავდა თურქეთის თანხმობას სრუტეებში ტრანზიტისა და გადაადგილების თავისუფლებაზე სამხედრო და სავაჭრო გემებისათვის როგორც მშვიდობის, ისე ომის დროს. გარდა ამისა, IV მუხლი ადგენდა ბოსფორისა და დარდანელის სანაპიროების, ასევე ეგეოსისა და მარმარილოს ზღვის მიმდებარე კუნძულების დემილიტარიზაციას.[108] მიუხედავად გარკვეული დათმობებისა, ლოზანის კონფერენცია ქემალისტური თურქეთის ფართომასშტაბიანი დიპლომატიური წარმატება იყო - დადგინდა თანამედროვე თურქეთის საზღვრები და დადასტურდა ოსმალთა დიდი იმპერიის დაშლა, ევროპის სახელმწიფოებმა მხარი დაუჭირეს თურქეთის ტერიტორიულ გამთლიანებას და ცნეს მისი დამოუკიდებლობა.

---

104 Лозанская конференция, http://hrono.ru/sobyt/1900sob/1922lozan.php, ბოლოს გადამოწმდა: 22.03.2022

105 სვანიძე მ, დასახელებული ნაშრომი, გვ: 412

106 Lausanne Conference of 1922-1923, https://tinyurl.com/jw9f72fx, ბოლოს გადამოწმდა: 17.02.2022

107 Лозаннскии мирныи договор (1923), https://tinyurl.com/bdjhcnku , ბოლოს გადამოწმდა: 22.03.2022

108 Knight J, American Statecraft and the 1946 Black Sea Straits Controversy, https://www.jstor.org/stable/2148296, ბოლოს გადამოწმდა: 22.10.2023

ევროპის სახელმწიფოების მხრიდან თურქეთის სუვერენიტეტის აღიარების შემდეგ ქვეყანაში მნიშვნელოვან პრობლემად რჩებოდა ორხელისუფლებიანობა. მუსტაფა ქემალი მხარს უჭერდა თურქეთის რესპუბლიკურ წყობაზე გადასვლას და ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებების გატარებას, ამისათვის კი, როგორც თვითონ ამბობდა, საჭირო იყო სულთნის მმართველობის ლიკვიდაცია. პროგრესულად და ეროვნულად მოაზროვნე ლიდერმა კარგად იცოდა, რომ სულთნის ხელისუფლების გაუქმება მის მხარდამჭერთა უკმაყოფილებას გამოიწვევდა, რომლებიც მრავლად იყვნენ თვით მუსტაფა ქემალის ახლო წრეშიც. ამიტომაც მან გადაწყვიტა აშკარა შეტევაზე გადასვლისაგან დროებით თავი შეეკავებინა. მუსტაფა ქემალის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი გონივრული აღმოჩნდა და 1922 წლის 22 ოქტომბერს, როცა ეროვნულ კრებაზე სულთნის ხელისუფლების ლიკვიდაციის საკითხი დადგა, გარკვეული წინააღმდეგობის მიუხედავად, მუსტაფა ქემალმა თავისი ჩანაფიქრი წარმატებით განახორციელა და სულთანს მხოლოდ სასულიერო ძალაუფლება, ანუ ხალიფას ტიტული, დაუტოვა. მალე ქვეყნის ღალატში დადანაშაულებულმა სულთანმა თურქეთი დატოვა ინგლისელთა ხელშეწყობით და ქვეყანას ახალი ხალიფა აბდულ მეჯიდი ჩაუდგა სათავეში. ასეთ ვითარებაში მუსტაფა ქემალი პარლამენტში თავისი გავლენის განმტკიცებას შეეცადა.

1923 წლის 23 ივლისს გამართულ პარლამენტის არჩევნებში ქემალისტებმა 263 ხმა მიიღეს 283 მანდატიდან, სექტემბერში გამოცხადდა სახალხო პარტიის დაარსება, ხოლო მეორე მოწვევის პარლამეტის თავჯდომარე გახდა მუსტაფა ქემალი.[109] მისი ავტორიტეტი და გავლენა განსაკუთრებით გაიზარდა მოსახლეობაში.

ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ 1923 წლის 29 ოქტომბერს თურქეთი სეკულარულ რესპუბლიკად გამოცხადდა, ქვეყნის პირველ პრეზიდენტად არჩეული მუსტაფა ქემალი ქვეყნის მოდერნიზაციას შეუდგა და რეფორმების გატარებით ცდილობდა თურქეთი ახლო აღმოსავლეთის რეგიონის მნიშვნელოვან და ძლიერ მოთამაშედ ექცია. მიხეილ სვანიძემ სამართლიანად უწოდა

---

[109] მაკარაძე ე, თურქეთის ისტორია 1918-2018 წლები, სალექციო ჩანაწერები, გამომცემლობა ,,უნივერსალი", თბილისი, 2019, გვ: 36

ქემალისტურ რევოლუციას ,,უსისხლო და ხავერდოვანი რევოლუცია“, რეფორმები განხორციელდა ზემოდან, მმართველი წრეების მიერ. თურქეთში ბევრი ფიქრობდა, რომ სახალიფოს გაუქმება ისლამურ ქვეყნებს შორის თურქეთის ავტორიტეტის შესუსტებას გამოიწვევდა, მაგრამ 1924 წლის თებერვალში მაინც მოხდა სახალიფოს ლიკვიდაცია.

სახალხო-რესპუბლიკური პარტიის მმართველობის დროს მუსტაფა ქემალი ოპოზიციური მიმართულების პარტიათა არსებობასაც მხარს უჭერდა და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების დასტურად თვლიდა.[110] მან თავისი ძირითადი პრინციპები, რომლებიც ,,ექვსი ისრის“ პრინციპის სახელით არის ცნობილი, შემდეგ დებულებებში ჩამოაყალიბა: რესპუბლიკანიზმი, ნაციონალიზმი, ლაიციზმი, რევოლუციონიზმი, ეტატიზმი და სახალხოობა.[111]

რესპუბლიკანიზმი (თურქულად Cumhuriyetçilik) ქემალიზმის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენდა. მისთვის დამახასიათებელი იყო უზენაესი ხელისუფლების (პრეზიდენტი, მეჯლისი) არჩევის პრინციპი, რომელიც დაიცავდა ხალხის ინტერესებს და თავის საქმიანობას განახორციელებდა ამომრჩევლის საჭიროებებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით. 1924, 1937, 1961 და 1982 წლების კონსტიტუციებით იკრძალებოდა რესპუბლიკური მმართველობის ფორმის შეცვლა ან ამ საკითხის განსახილველად დაყენებაც კი.[112]

ნაციონალიზმი (თურქული სიტყვიდან Milliyetçilik- ფეტვი) არის ეროვნული სახელმწიფოს იდეალი, რომელიც ხასიათდება თავისი მოქალაქეების პატრიოტული აღზრდით, ტიტულოვანი ერისადმი ერთგულების სულისკვეთებით. ნაციონალიზმს მიენიჭა საპატიო ადგილი ახლადშექმნილ თურქეთის რესპუბლიკაში. იგი განიხილებოდა, როგორც რეჟიმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი. ათათურქის ნაციონალიზმს გარკვეული სპეციფიკა ჰქონდა ახალგაზრდა თურქების ნაციონალიზმთან შედარებით. ათათურქის

---

[110] Ruysdael S, New Trends in Turkish Foreign Affairs: Bridges and Boundaries, Universe, p:214. https://tinyurl.com/3n34yb9k, ბოლოს გადამოწმდა: 3.12.2022

[111] ინდუაშვილი ნ, მუსტაფა ქემალ ათათურქის როლი თურქეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბებაში, გვ: 36-40. https://tinyurl.com/yumefs84, ბოლოს გადამოწმდა: 7.02.2022

[112] ბატიაშვილი ზ, კაცი, რომელმაც შექმნა თანამედროვე თურქეთი, ჟურნალი ,,ჩემი სამყარო“, N7, 2015.გვ:23

ნაციონალიზმის შესაბამისად უპირატესობა ენიჭებოდა ტერმინს „milletçelek“ ერი და ეროვნება („millet“-დან -,,ერი“), ნაცვლად ყოფილი ,,თურქჩელექის“ (თურქიზმი“).[113] ათათურქის აზრით, ამ პრინციპის საშუალებით უნდა მომხდარიყო თურქი ერის კონსოლიდაცია და ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები განსხვავებული რელიგიის წარმომადგენელთა შეკავშირება. ერის კრიტერიუმები ასე ჩამოყალიბდა: საერთო ენა, საერთო მოქალაქეობა, საერთო ისტორია, საერთო ტერიტორია და მენტალიტეტი, საერთო წარმომავლობა.[114] თუმცა უახლეს ისტორიაში ქურთული სეპარატიზმი სერიოზულ გამოწვევად იქცა თურქული ნაციონალიზმისათვის. უფრო მეტიც, უარყოფილ იქნა ახალგაზრდა თურქებისათვის დამახასიათებელი ისლამისტური და პანისლამური კომპონენტი და ისლამი, როგორც ერის არსებობის უმაღლესი სანქცია, ხალხით და ,,ეროვნებით“ ჩანაცვლდა.

ხალხოსნობა (თურქული სიტყვიდან Halkçılık) ეს არის ბრძოლა კლასობრივი უთანასწორობისა და კლასობრივი პრივილეგიების წინააღმდეგ. ამ პრინციპის შესაბამისად ხალხში უნდა მომხდარიყო კულტურისა და განათლების დონის ამაღლება და ოსმალეთის იმპერიაში დამკვიდრებული ტიტულების გაუქმება.[115] ოსმალეთის იმპერიაში ცხოვრობდა დაახლოებით თვრამეტამდე ეთნიკური ჯგუფი და არსებობდა სამი განსხვავებული რელიგია, რომლებიც მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ ერთმანეთის გვერდით. ხალხოსნობის პრინციპი ნაციონალიზმთან სიახლოვით ხასიათდებოდა-აცხადებდა თურქული საზოგადოების ერთიანობას და მასში კლასთაშორის სოლიდარობას.[116]

ლაიციზმი, იგივე სეკულარიზმი (თურქ. Laiklik) ადასტურებს სახელმწიფოს საერო ბუნებას და სახელმწიფოსაგან რელიგიის სრულ გამოყოფას, მუსტაფა ქემალ ათათურქის ერთ-ერთი პირველი რეფორმა, რომელიც მან ამ პრინციპის ხორცშესხმისთვის გაატარა, იყო ის, რომ აკრძალა შარიათის კანონების გამოყენება და მალევე გააუქმა რელიგიური სკოლები, რასაც მოჰყვა შემდეგ რელიგიური

[113] Кемализм, https://tinyurl.com/3hwwepdf, ბოლოს გადამოწმდა: 5.12.2022
[114] Atatürk İlkeleri, https://tinyurl.com/3xhupbny, ბოლოს გადამოწმდა: 19.02.2023
[115] მაკარაძე ე, დასახელებული ნაშრომი, გვ:54
[116] იქვე

განათლების აკრძალვაც და ყველა სკოლა განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა. ,,რელიგია სინდისის საქმეა, -ამბობდა მუსტაფა ქემალი, -ყველა თავისუფალია დაემორჩილოს სინდისის ბრძანებებს, ჩვენ პატივს ვსცემთ რელიგიას, სეკულარიზმი არ ნიშნავს რელიგიისა და სახელმწიფოს გამიჯვნას, ის ნიშნავს სინდისის, რწმენის თავისუფლებას ყველა მოქალაქისათვის“.[117]

ეტატიზმი წარმოდგება თურქული სიტყვიდან Devletçilik (Devlet: სახელმწიფო)-ეს გახლდათ მუსტაფა ქემალის ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მხარს უჭერდა შერეული ეკონომიკის არსებობას სახელმწიფოს წამყვანი როლით, რაც გულისხმობდა სახელმწიფოს ჩარევას საზოგადოების სოციალურ, კულტურულ თუ ეკონომიკურ ცხოვრებაში. ქვეყანაში მართლაც საჭირო იყო ძლიერი ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის ხელშეწყობა, რომელიც თურქეთს ეკონომიკურ კეთილდღეობას მოუტანდა და მომავალში სტაბილური სამხედრო და პოლიტიკური გამარჯვებებიც მოჰყვებოდა. არსებობდა მთელი რიგი საკითხები, რომელთა მოგვარება სახელმწიფოს მხრიდან დახმარებას საჭიროებდა: პორტებისა და რკინიგზის ნაციონალიზაცია, უმუშევრობის აღმოფხვრა, უცხო კაპიტალის პოზიციების შეზღუდვა, ხალხის ყოველდღეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა და სხვ.

რევოლუციონიზმი (თურქ, İnkılapçılık) გულისხმობდა ქვეყნისა და საზოგადოების მუდმივ მოდერნიზაციას და მსოფლიოს წამყვან და განვითარებულ ქვეყნებს შორის ადგილის დაკავების სურვილს, ინოვაციების მიღებისათვის მზაობას... ეს იყო კურსი ვესტერნიზაციისაკენ, პროგრესსა და განათლებაზე ორიენტირება და სხვ.

ფრანგ ჟურნალისტ მორის პერსონთან ინტერვიუს დროს მუსტაფა ქემალმა ასეთი განცხადება გააკეთა: ,,ჩვენი პოლიტიკა, ჩვენი ტრადიციები, ჩვენი მისწრაფებები იქნება მიმართული იქითკენ, რომ თურქეთი გახდეს ევროპული ქვეყანა, უფრო სწორად, დასავლეთისკენ ორიენტირებული ქვეყანა“.[118]

---

[117] Atatürk İlkeleri, https://www.ktb.gov.tr/TR-96303/ataturk-ilkeleri.html , ბოლოს გადამოწმდა: 19.02.2023

[118] Atatürk'ün söylev ve demeçleri, I-III, Ankara, 1989, p:91

ამრიგად, სასულთნოს გაუქმებით, რესპუბლიკის გამოცხადებით, 1924 წლის 3 მარტს ხალიფატის ლიკვიდაციითა და 1924 წლის 20 აპრილს კონსტიტუციის მიღებით დაწყებულმა ამ რეფორმირების პროცესმა საფუძველი ჩაუყარა მოდერნიზაციის ახალ ერას თურქეთის რესპუბლიკაში, რაზედაც ვრცლად გვექნება საუბარი ნაშრომის შემდგომ ქვეთავში.

# თავი II. თურქეთის ევროპეიზაცია და სეკულარული პოლიტიკური ურთიერთობები

## 2.1. კონსტიტიცია როგორც სეკულარიზმის გარანტი

სეკულარიზმი ზოგადი გაგებით შეიძლება განისაზღვროს როგორც სოციალური დოქტრინა, რომელიც მხარს უჭერს რელიგიისა და სახელმწიფოს გამიჯვნას, ხოლო სეკულარიზაცია შეიძლება განვმარტოთ, როგორც პროცესი, რომლის დროსაც რელიგიური აზროვნება და ინსტიტუტები კარგავენ სოციალურ გავლენას და მნიშვნელობას. თურქეთი ერთ-ერთი სეკულარული და დემოკრატიული ქვეყანაა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში არსებულ მუსლიმური უმრავლესობის ქვეყნებს შორის. მისი ისტორიის ანალიზი მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ პასუხი გავცეთ შემდეგ კითხვებს: 1.შეუძლია თუ არა სეკულარიზს ხელი შეუწყოს დემოკრატიული პროცესების არსებობა-განვითარებას ქვეყანაში? 2. რამდენად შესაძლებელია რელიგიისა და სეკულარიზმის თანადროული არსებობა?

იმისათვის, რომ ნათლად წარმოვაჩინოთ თურქეთის კონსტიტუციებით სეკულარიზმის განმტკიცების პროცესი, საჭიროა განვიხილოთ რა ადგილი ეკავა რელიგიის საკითხს სახელმწიფოს ძირითად კანონებში.

1876 წელს ოსმალეთის იმპერიაში მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი აქტი-სახელმწიფოს ძირითადი კანონი-პირველი კონსტიტუცია. მართალია, ეს კონსტიტუცია ოსმალეთის იმპერიის დროს იქნა მიღებული, მაგრამ იგი ჩვენთვის იმ მხრივაა საინტერესო, რომ დღეს ოსმალეთის იმპერიის სამართალმემკვიდრე თურქეთია. ამას გარდა, ამ კონსტიტუციის ავტორები და მიღების ინიციატორები ეთნიკური თურქები (ახალგაზრდა ოსმალები) იყვნენ. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ 1876 წლის კონსტიტუცია არა მხოლოდ ოსმალეთის იმპერიისათვის, არამედ მთელი ისლამური ქვეყნებისათვის იყო პირველი კონსტიტუცია შარიათის შემდეგ.

1876 წლის 23 დეკემბრის კონსტიტუცია შემუშავებულ იქნა ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიაში მიმდინარე მწვავე პოლიტიკური და ეკონომიკური სირთულეების ფონზე პრუსიის 1850 წლის კონსტიტუციისა და ბელგიის 1831 წლის კონსტიტუციის საფუძველზე. ამ კონსტიტუციის მიღებაში უდიდესი

წვლილი მიუძღვით „ახალგაზრდა ოსმალებს", ნამიკ ქემალსა და მითჰათ ფაშას, განსაკუთრებით ამ უკანასკნელს, ამიტომაც ისტორიაში იგი დარჩა მითჰათ ფაშას კონსტიტუციის სახელწოდებით, კონსტიტუცია ყველა მუსლიმის ხალიფად სულთანს აცხადებდა, ხოლო სახელმწიფო რელიგიად (სუნიტურ) ისლამს აღიარებდა.[119]

1876 წლის კონსტიტუციის მიღებით დაიწყო ოსმალეთის იმპერიის პირველი საკონსტიტუციო პერიოდი, რომელიც მოიცავს 1876-1878 წლებს. ამ გადაწყვეტილებით იმპერიამ მიზნად დაისახა საშინაო პოლიტიკური ვითარების გაუმჯობესება და დასავლეთის სახელმწიფოთა გავლენის შესუსტება ოსმალეთში. იმპერიის ხალხებისათვის დაიწყო ახალი ერა.[120] არსებული მმართველობის ფორმა, აბსოლუტური მონარქია კი, შეიცვალა კონსტიტუციური მონარქიით და ქვეყანაში მუშაობას შეუდგა ორპალატიანი (სენატი და დეპუტატთა პალატა) პარლამენტი.[121] სენატის წევრებს სულთანი უვადოდ ნიშნავდა, ხოლო ქვედა პალატის წევრებს არჩევნების გზით ქონებრივი და რიგი სხვა ცენზის გათვალისწინების საფუძველზე ირჩევდნენ. მიუხედავად იმისა, რომ დეპუტატთა უმრავლესობას სულთნის ძალაუფლების ერთგული მაღალჩინოსნები შეადგენდნენ, პარლამენტი მაინც ხშირად ახერხებდა ხელისუფლებისათვის არასასურველი გადაწყვეტილებების მიღებას, განიხილავდა რა ისეთ საკითხებს, როგორიცაა სახელმწიფო სახსრების გაფლანგვა, მაღალი თანამდებობის პირთა მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და სხვა.[122]

კონსტიტუციამ, რელიგიური კუთვნილების მიუხედავად, კანონის წინაშე იმპერიის ყველა სუბიექტის პიროვნული თავისუფლება და თანასწორობა გამოაცხადა. იგი არ ზღუდავდა სულთნის ძალაუფლებას: მას შეეძლო დაენიშნა მთავრობა, გადაეყენებინა მინისტრები, დაეთხოვა პარლამენტი, შეეჩერებინა კანონი, დაედო ხელშეკრულებები უცხო სახელმწიფოებთან, გამოეცხადებინა საომარი მდგომარეობა, შეეზღუდა სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები,

[119] Киреев Н, История Турции XX век, Москва, 2007, стр: 60
[120] იქვე
[121] იქვე
[122] Петросян Ю, Первая турецкая конституция, Народы Азии и Африки, 1976. N6, стр:79.

განედევნა ქვეყნიდან ის პირები, რომლებიც ეწეოდნენ ქვეყნის უსაფრთხოებისათვის საზიანო საქმიანობას. კონსტიტუციით სულთნის პიროვნება ხეშეუხებლად და წმინდად გამოცხადდა და შენარჩუნებულ იქნა მისი, როგორც ხალიფას, მუსლიმთა სულიერი მეთაურის, ფუნქციებიც.

1877 წლის დასაწყისში სულთანმა თავისი კონსტიტუციური უფლება გამოიყენა და მითჰათ ფაშა გადააყენა დიდი ვეზირის თანამდებობიდან.[123] 1877 წლის მარტში, ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში პირველი არჩევნების ჩატარების შემდეგ, დაიწყო პარლამენტის სხდომები. სამთვიანი მუშაობის შემდეგ სულთანმა აბდულჰამიდ II-მ (1876-1909) დაითხოვა პარლამენტი (მეჯლისი) და მისი ხელმეორედ მოწვევა მოხერხდა 1877 წლის დეკემბერში, როდესაც ოსმალეთი ჩაება რუსეთთან მორიგ ომში. პარლამენტმა 1878 წლის იანვრის ბოლომდე იმუშავა, შემდეგ კი სულთანმა მეჯლისი ფაქტობრივად დაშალა და იგი ოცდაათი წლის განმავლობაში აღარ მოუწვევიათ. ამავე წლის თებერვალში მან კონსტიტუციის მოქმედებაც შეაჩერა და სულთანმა ქვეყნის ერთპიროვნულ მმართველად გამოაცხადა თავი.[124] ასე რომ, 1876-1878 წლები ეს იყო ოსმალთის იმპერიის პირველი საკონსტიტუციო ერა. ამ დროიდან დაიწყო რეპრესიები ნეოოსმალიზმის მომხრეთა წინააღმდეგ. აბდულ-ჰამიდ II-მ იმპერიაში დაამყარა ავტოკრატიული დესპოტური რეჟიმი (,,ზულუმი“).[125]

ამის მიუხედავად, დასავლური ლიბერალიზმის გავლენით გაიზარდა იმ სტუდენტების, მეცნიერების, ბიუროკრატებისა და სამხედროების რიცხვი, რომლებიც შეუერთდნენ ქვეყანაში წარმოქმნილ ბურჟუაზიულ ოპოზიციას. მათი გაერთიანების საფუძველზე შემდგომში შეიქმნა თურქი რევოლუციონერების პოლიტიკური ორგანიზაცია -ერთობა და პროგრესი.

სწორედ ამ პერიოდში, ახალგაზრდა ოსმალების მსგავსად, პატრიოტულად განწყობილმა ჩინოვნიკებმა და ოფიცრებმა დააარსეს ახალგაზრდა თურქების მოძრაობა. ახალგაზრდა თურქთა თავდაპირველ ორგანიზაციას წარმოადგენდა

---

[123] Abdul Hamid II, http://www.ikinciabdulhamid.com/ , ბოლოს გადამოწმდა:19. 05.2023

[124] ბაკურაძე ს, ოსმალური მილეთის სისტემიდან თანამედროვე თურქულ იდენტობამდე, იდენტობამდე, https://tinyurl.com/mr3rrfth , ბოლოს გადამოწმდა: 3.04.2023

[125] დაწვრ. იხ.ელერდაშვილი ა, უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, 3 ტომად, 1-ლი გამოცემა, თბილისი. 2006. გვ: 28.

1889 წელს შექმნილი ოსმალთა ერთობის საიდუმლო საზოგადოება, რომლის მიზანიც იყო ქვეყნის კონსტიტუციის შემუშავება, კონსტიტუციური წყობილებით სულთნის ხელისუფლების შეცვლა და დემოკრატიული წყობის დამყარება.[126] აღნიშნული საიდუმლო საზოგადოების ბაზაზე ჩამოყალიბებულმა ,,ერთობის და პროგრესის კომიტეტმა“ 1908 წლის ივლისის მოვლენების შემდეგ სულთანი აბდულ-ჰამიდ II იძულებული გახდა აღედგინა 1876 წლის კონსტიტუციის მოქმედება და კვლავ მოეწვია პარლამენტი.[127] ამ პერიოდიდან იწყება ოსმალეთის იმპერიის მეორე საკონსტიტუციო ეპოქა და იგი მოიცავს 1908-1920 წლებს.

შემდგომში, 1909 წლის ზაფხულში პარტიის ,,ერთობა და პროგრესის“ დეპუტატებმა პარლამენტში განახორციელეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებები 1876 წლის კონსტიტიუციაში, რომლებიც მიზნად ისახავდა იმპერიის საპარლამენტო სახელმწიფოდ გადაქცევას და, უპირველეს ყოვლისა, ოსმალეთის კანონმდებლობის რეფორმირებას ევროპული კანონის შესაბამისად.[128] ამ ცვლილებებმა გამოიწვია თითქმის ახალი კონსტიტუციის შემუშავება, რომლითაც შეიზღუდა სულთნის უფლებამოსილება (ვერ მოიწვევდა და ვერ დაითხოვდა პარლამეტს) და გაფართოვდა პარლამენტის უფლებამოსილებები. ამ დროიდან მინისტრებს სულთანი კი არ ნიშნავდა, არამედ სადრაზამი (დიდი ვაზირი).

სახელმწიფოს ძირითად კანონში შეტანილი ცვლილებების მიუხედავად, ვერც პირველმა კონსტიტუციამ და ვერც 1909 წელს მასში შეტანილმა შესწორებებმა ვერ მოუტანა დემოკრატია ოსმალეთის სახელმწიფოს. თუმცა თითოეულმა მათგანმა დადებითი როლი ითამაშა ოსმალეთის სახელმწიფოს ისტორიაში და ხელი შეუწყო იდეოლოგიური ბრძოლის ჩასახვასა და გაფართოებას სულთნის ავტორიტარული და დესპოტური ძალაუფლების აღმოსაფხვრელად, აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ამ პერიოდში გაჩნდა კონსტიტუციური სისტემა, რომელიც

---

[126]ბაკურაძე ს, ოსმალური მილეთის სისტემიდან თანამედროვე თურქულ იდენტობამდე, იდენტობამდე, https://tinyurl.com/mr3rrfth , ბოლოს გადამოწმდა: 3.04.32023

[127] Петросян И, Петросян Ю, Османская империя: реформы и реформаторы (конец XVII- начало XIX века), Издатепьская фирма ,, Восточная литература“, Москва. 1993, стр: 180.

[128] Сулеиманов А, Конституционные реформы в Осмвнскои имрерии (1808-1921) , https://www.elibrary.az/docs/jurnal/jrn2017_577.pdf, ბოლოს გადამოწმდა: 7.04.2023

დასავლეთ ევროპის საპარლამენტო მონარქიებში არსებული კონსტიტუციური სისტემების მსგავსი იყო. თუმცა ეს კონსტიტუციური ეპოქა დიდხანს არ გაგრძელებულა. პარტია ,,ერთობა და პროგრესი“ პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის იმპერიის დამარცხების შემდეგ დაიშალა, თუმცა 1920 წლის 10 აგვისტოს ანტანტასა და ოსმალეთის იმპერიას შორის დადებული სევრის ხელშეკრულების შესაბამისად, ოსმალეთის იმპერიის პრაქტიკულად გაქრობის მიუხედავად, იმპერიის სახელმწიფო სისტემა მაინც განაგრძობდა არსებობას.

თურქეთის კონსტიტუციების შედარებითი ანალიზი უნდა დავიწყოთ 1921 წლის კონსტიტუციით. 1920 წლის 23 აპრილს თურქეთის წარმომადგენლობითმა კომიტეტმა ანკარაში თურქეთის დიდი ეროვნული კრება (ასამბლეა (GRNA)) მოიწვია.[129] მან თავი ქვეყნის ერთადერთ ლეგიტიმურ ხელისუფლებად გამოაცხადა და 1921 წლის 20 იანვარს მიიღო კანონი ,,ძირითადი ორგანიზაციების შესახებ“. ეს დოკუმენტი გახდა ,,გარდამავალი“ კონსტიტუცია, რომელიც სამი წლის განმავლობაში მოქმედებდა და საფუძვლად დაედო თურქეთის პირველ რესპუბლიკურ კონსტიტუციას 1924 წელს.[130] მუსტაფა ქემალ ფაშა კონსტიტუციის მომზადების მთავარი ორგანიზატორი იყო, რომლის მიხედვითაც ძალაუფლების წყაროდ ცხადდებოდა ხალხი და არა სულთანი, როგორც ეს წინა კონსტიტუციებში იყო განსაზღვრული. დოკუმენტი შედგებოდა 23 მუხლისაგან და აცხადებდა ეროვნულ სუვერენიტეტს, 2 წლის ვადით ირჩევდა პარლამენტს, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა ომისა და მშვიდობის საკითხებზე და კანონშემოქმედებითი პროცესი დაეფუძნებოდა ისლამის ნორმებს. ფორმალურად დოკუმენტი არ აუქმებდა 1876 წელს მიღებულ სახელმწიფოს ძირითად კანონს და წარმოადგენდა ამ კონსტიტუციის შევსებას. ფაქტობრივად დიდი ეროვნული ასამბლეის (მეჯლისი) ხელში გადავიდა ძალაუფლება. იგი ითვლებოდა ,,ერის ერთადერთ წარმომადგენლად“ და გადამწყვეტ როლს ასრულებდა ქვეყნის ცხოვრებაში. ასამბლეამ თავჯდომარედ მუსტაფა ქემალ-ფაშა აირჩია. აღნიშნული კონსტიტუცია არ ითვალისწინებდა ქვეყანაში პრეზიდენტის ინსტიტუტის

---

129 სვანიძე მ, თურქეთის ისტორია (1299-2000), გამომცემლობა ,,არტანუჯი“. თბილისი, 2007 გვ: 382

130 იქვე, გვ: 419, ასევე Шинкарева А, Религия и политика в современнои Турции, https://tinyurl.com/yv4nh7e5, ბოლოს გადამოწმდა: 26.07.2024

არსებობას, არ მოიცავდა სასამართლო სისტემის საკითხებს, მოქალაქეთა უფლება-მოვალეობებს და რადგანაც იგი გარკვეულწილად პირველი მსოფლიო ომის პერიოდის პროდუქტი იყო, შესაბამისად, მასში არ უნდა ვეძებოთ განვითარებული დემოკრატიისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, თუმცა მისი ერთ-ერთი ძალზედ მნიშვნელოვანი ასპექტი იყო ის, რომ იგი გზას უხსნიდა დემოკრატიულ რესპუბლიკურ რეჟიმს და აღიარებდა, რომ ,,სუვერენიტეტი ერს ეკუთვნის ყოველგვარი პირობის გარეშე“,[131] აღნიშნული კონსტიტუციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი იყო ის, რომ აქ მოცემული იყო ,,ხელისუფლებათა შერწყმის“ სისტემა და არა ,,ხელისუფლებათა დანაწილება“. ამას ადასტურებს 1921 წლის კონსტიტუციის შესაბამისად ,,საპარლამენტო მთავრობის” შექმნა, რომელსაც უკვე გააჩნდა აღმასრულებელი, საკანონმდებლო და იურდიული (სამართლებრივი) უფლებამოსილებები.[132]

გარდა ამისა, აღნიშნული კონსტიტუცია წარმოადგენდა მტკიცე იურდიულ საფუძველს თურქეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში (1919-1923) და ეწინააღმდეგებოდა 1919 წელს ოსმალეთის იმპერიის წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი სევრის ხელშეკრულების პრინციპებს, რომლის მიხედვითაც ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიის დიდი ნაწილი ოკუპირებული იყო ანტანტის ქვეყნების მიერ, რომლებმაც მოიგეს პირველი მსოფლიო ომი.[133]

1923 წლის 29 ოქტომბერს თურქეთი რესპუბლიკად გამოცხადდა, ხოლო მუსტაფა ქემალი ახლადშექმნილი რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი გახდა. ბუნებრივია, ახალ სახელმწიფოს ახალი კონსტიტუცია სჭირდებოდა და 1924 წლის 20 აპრილს მიღებულ იქნა სეკულარული თურქთის რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია, რომელიც ძალაში იყო 36 წლის განმავლობაში 1961 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში კონსტიტუციამ არაერთი ცვლილება განიცადა, რამაც თურქეთი თანამედროვე, სეკულარულ და დემოკრატიულ რესპუბლიკად აქცია.

---

[131] Turkish Constitutions (1921, 1924, 1961, 1982) In comparative perspective, https://tinyurl.com/5x2jjvwb, ბოლოს გადამოწმდა: 10.06.2023

[132]იქვე

[133] Конституция Турции (1921), https://dic.academic.ru/dic.nsf/ruwiki/1382499 , ბოლოს გადამოწმდა: 10.05.2022

რაც მთავარია, გაუქმდა ფეოდალური წყობილების გადმონაშთები და დამყარდა ბურჟუაზიული სისტემა.

თურქეთის 1924 წლის კონსტიტუციაზე როცა ვლაპარაკობთ დასაწყისშივე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ დროისათვის სულთნის როგორც საერო, ასევე სასულიერო ხელისუფლება უკვე გაუქმებული იყო და ქვეყანაში მოხდა რადიკალური რეფორმების გატარება, რათა შეცვლილიყო საზოგადოების ცხოვრების წესი.[134] აქვე უნდა ვთქვათ ისიც, რომ თურქეთის პირველი პრეზიდენტი თავიდანვე ცდილობდა სახელმწიფოსაგან გამოეყო რელიგია, თუმცა ეს მხოლოდ 1928 წელს გახდა შესაძლებელი, ამ ეტაპზე კი ისლამი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, რაც აშკარად ეწინააღმდეგებოდა როგორც სეკულარიზმს, ასევე კონსტიტუციის შესაბამის პრინციპებს.

1924 წლის კონსტიტუციით დაცული იყო ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, კერძოდ, ყველა მოქალაქე თანასწორი იყო კანონის წინაშე, ცხადდებოდა სიტყვის, სინდისის, პრესის, შეკრებების თავისუფლება, პიროვნებისა და კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, სავალდებულო დაწყებითი განათლება მოსახლეობის ყველა ფენისათვის.[135] აქვე უნდა ვთქვათ, რომ კონსტიტუციის 88-ე მუხლის შესაბამისად ,,თურქეთის მოსახლეობას, მათი რელიგიისა და ეთნიკურობის მიუხედავად, ეწოდებოდა თურქი", რაც იმას ნიშნავდა, რომ თურქეთის ყველა მოქალაქე კონსტიტუციით თურქად ითვლებოდა, თუმცა სინამდვილე სხვაგვარად გამოიყურებოდა-ზოგიერთი ხელისუფალი მტკიცედ აცხადებდა, რომ არამუსლიმები მხოლოდ ,,იურიდიულად" იყვნენ თურქები.[136]

1924 წლის კონსტიტუციის თანახმად, უმაღლეს სახელისუფლებო ორგანოდ ცხადდებოდა თურქეთის დიდი ეროვნული კრება, რომელიც ერთპარტიული იყო,

---

[134] სვანიძე მ, თურქეთის ისტორია (1299-20000, გამომცემლობა ,,არტანუჯი", თბილისი, 2007. გვ:427

[135] Earle E, The New Constitution of Turkey, Political Science Quarterly, Issue I, 1925, pj:86-88. http://genckaya.bilkent.edu.tr/1924constitution.pdf, ბოლოს გადამოწმდა: 29. 05. 2023

[136] Uzer U, An Intellectual History of Turkish Nationalism, The University of Utah Press, Salt Lake City, 2016, p: 96 ასევე, Derya B, Minorities and Nationalism in Turkish Law, Ashgate, 2013, p: 195, ასევე, Ceren L, Religious Politics of Turkey: From the Birth of the Republic to the AKP, Oxford University Press, 2018, p: 128.

პარლამენტის წევრი დეპუტატი შეიძლებოდა გამხდარიყო თურქეთის რესპუბლიკის ნებისმიერი მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდებოდა 22 წელი, არ იყო ნასამართლევი, არ იდგა უცხო ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში და შეეძლო წერა-კითხვა თურქულად. საკანონმდებლო ორგანოში დეპუტატი ირჩეოდა ოთხი წლის ვადით, ქალებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

1924 წლის კონსტიტუციით თურქეთი საპარლამენტო რესპუბლიკად გამოცხადდა. რაც შეეხება თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებებსა და მოვალეობებს, პრეზიდენტი იყო სახელმწიფოს მეთაური და შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, მას ირჩევდა დიდი ეროვნული კრება 4 წლის ვადით. კანონით შესაძლებელი იყო მისი არჩევა რამდენიმეჯერ. პრეზიდენტი პარლამენტის დეპუტატებიდან ირჩევდა პრემიერ-მინისტრს, რომელიც თვის მხრივ, აყალიბებდა მთავრობას და ანგარიშვალდებული იყო პარლამენტის წინაშე.[137] ის ახორციელებდა აღმასრულებელ ხელისუფლებას და იყო მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე.

აღსანიშნავია, რომ პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიის არსებობის ბოლო პერიოდში, ოსმალეთის იმპერიაში იმავე ფუნქციას დიდი ვეზირი ასრულებდა. დიდი ეროვნული კრების მთავრობის პირველი პრემიერ-მინისტრი ქემალ ათათურქი იყო (1920 წლის 3 მაისი-1923 წლის 24 იანვარი), ხოლო თურქეთის რესპუბლიკის პირველი პრემიერ-მინისტრად ისმეთ ფაშა დაინიშნა (1923 წლის 1 ნოემბერი-1924 წლის 21 ნოემბერი). პრეზიდენტის ხანგრძლივი არყოფნის ან მისი გარდაცვალების შემთხვევაში თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ფუნქცია ენიჭებოდა დიდი ეროვნული კრების თავჯდომარეს. პრეზიდენტის მოვალეობები მოიცავდა ასამბლეის მიერ შემუშავებული კანონპროექტების განხილვას ათი დღის ვადაში და მათ შემდგომ დამტკიცებას, ამავე დროს იგი ნიშნავდა ელჩებს და მოხელეებს მაღალ თანამდებობებზე, საჭიროების შემთხვევაში შეეძლო გამოეცხადებინა საგანგებო მდგომარეობა.

137 სვანიძე მ, თურქეთის ისტორია (1299-2000), გამომცემლობა ,,არტანუჯი",თბილისი, 2007, გვ: 427.

პრეზიდენტი ანგარიშვალდებული იყო დიდი ეროვნული ასამბლეის წინაშე მხოლოდ სახელმწიფო ღალატის შემთხვევაში.

რაც შეეხება სასამართლო სისტემას, ისიც ანგარიშვალდებული იყო დიდი ეროვნული საბჭოს (ასამბლეის) წინაშე. კონსტიტუცია 57-63 მუხლებით აცხადებდა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას და დამოუკიდებელი სამართალწარმოების პრინციპს, შეიქმნა უზენაესი სასამართლო, რომელიც 21 წევრისაგან შედგებოდა, რომლის 11 წევრი იყო სააპელაციო სასამართლოს, ხოლო 10 წევრი სახელმწიფო საბჭოს წარმომადგენლები, რომლებსაც ირჩევდნენ ორივე ორგანოს წევრები ფარული კენჭისყრით. უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საბოლოო იყო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა.

ასე რომ, 1924 წლის კონსტიტუციაში შენარჩუნებულ იქნა 1921 წლის კონსტიტუციის ძირითდი პრინციპების უმეტესი ნაწილი, განსაკუთრებით კი ეროვნული სუვერენიტეტის პრინციპი. ამავდროულად სახელმწიფოს ძირითადი კანონი ანკარას სახელმწიფოს დედაქალაქად, ხოლო ისლამს სახელმწიფო რელიგიად აცხადებდა.[138]

მცირე ცვლილებები შევიდა კონსტიტუციაში იმავე 1924 წლის 1 ივნისს, რომლის თანახმადაც 150 მაღალი რანგის მოხელე, რომლებიც იმპერიის მთავრობაში საპასუხისმგებლო თანამდებობებს იკავებდნენ ან იყვნენ სულთნის ხელისუფლების მომხრეები, არასასურველ პირებად გამოცხადდნენ ახალ რესპუბლიკაში.[139] ასევე შესწორებები შეტანილ იქნა კონსტიტუციაში 1928, 1934 და 1937 წლებში. 1928 წლის 10 აპრილს შეიცვალა კონსტიტუციის მე-2 მუხლი და ისლამმა დაკარგა სახელმწიფო რელიგიის სტატუსი, დაიხურა იმამ-ჰათიბის ყველა სკოლა ქვეყანაში, შემდგომი ცვლილებები მოხდა 1931 წლის 10 დეკემბერს და 1934 წლის 11 დეკემბერს, რომლის შესაბამისადაც ქალებს მიეცათ არჩევნებში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება. გარდა ამისა, 1937 წლის 5 თებერვლის შესწორებით კონსტიტუციის ტექსტს დაემატა სახალხო-რესპუბლიკური პარტიის და მათი ლიდერის მიერ შემუშავებული ექვსი ძირითადი პრინციპი:

[138] იქვე
[139] 150 personae non gratae of Turkey, https://tinyurl.com/kfdjeyp7, ბოლოს გადამოწმდა: 28. 04.2022

რესპუბლიკანიზმი, ნაციონალიზმი, ეტატიზმი, ლაიციზმი, სახალხოობა და რევოლუციონიზმი. ამ პრინციპებიდან ლაიციზმის პრინციპი მხარს უჭერდა სახელმწიფოსაგან რელიგიის გამოყოფას.

1945 წლის 10 იანვარს N4695 კანონის შესაბამისად კონსტიტუცია ერთხელ კიდევ გადაიხედა არაბულიდან ნასესხები ტერმინების აღმოსაფხვრელად და ითარგმნა თანამედროვე თურქულ ენაზე, თუმცა ეს გადასინჯვა გაუქმდა 1952 წლის 24 დეკემბერს და კონსტიტუცია დაუბრუნდა 1945 წლამდე არსებულ ვერსიას.[140] 1946 წლის თებერვალში მეჯლისმა მიიღო ახალი კანონი, რომლის მიხედვითაც ცვლილებები ეხებოდა საარჩევნო სისტემას და პროპორციული საარჩევნო სისტემა მაჟორიტარული სისტემით იცვლებოდა. 1950 წელს ათათურქის მემკვიდრემ ისმით ინონუმ დაასრულა სახალხო-რესპუბლიკური პარტიის (RPP) ერთპარტიული მმართველობა თურქეთის რესპუბლიკაში პირველი და ჭეშმარიტად კონკურენტული არჩევნების დაშვებით.[141]

1950 წლის საპარლამენტო არჩევნებში ა. მენდერესისა და დ. ბაიარის მიერ 1946 წელს დაარსებულმა დემოკრატიულმა პარტიამ ხმების უმრავლესობა მოიპოვა. ახალმა ადმინისტრაციამ დაიწყო პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაციისა და ეკონომიკის ლიბერალიზაციის პოლიტიკის გატარება, თუმცა 1960-იანი წლების დასაწყისისთვის თურქეთის ეკონომიკაში კრიზისი დაიწყო და გაიზარდა პოლიტიკური დაძაბულობა. 1960 წლის 27 მაისს თურქეთში პირველი სახელმწიფო გადატრიალება მოხდა და სამხედროებმა დაამხეს ადნან მენდერესის მზარდი რეპრესიული რეჟიმი.[142]

1961 წლის კონსტიტუციაზე გადასვლამდე გავიხსენოთ 1960 წლის 27 მაისის გადატრიალების მიზეზები, რაც წარმოდგენას შეგვიქმნის ასევე 1961 წლის კონსტიტიუციის ძირითად მახასიათებლებზე. სხვა მიზეზებთან ერთად ეს სამხედრო გადატრიალება გამოწვეული იყო სახელმწიფო ელიტების მიერ

---

140 Конституция Турции (1924), https://tinyurl.com/msfhnww5 , ბოლოს გადამოწმდა: 6.06.2024

141 Gunter M, Political instability in Turkey During the 1970s, https://tinyurl.com/2s3wyetv, ბოლოს გადამოწმდა:3.06.2023

142 იქვე, გვ: 64.

ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, ქვეყნის ფინანსური თუ ეკონომიკური მდგომარეობის გართულებით, მოსახლეობის უკმაყოფილებით მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიმართ, არმიისა და ოფიცრების მიმართ გამოჩენილი უყურადღებობით, რამაც 1954 წლიდან განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო, უნივერსიტეტების თუ ბეჭდვითი ორგანოების თანამშრომელთა წინააღმდეგ მიმართული რეპრესიებით - ყველაფერმა ზემოთქმულმა ხელი შეუწყო უკმაყოფილების ზრდას, რაც საბოლოოდ სამხედრო გადატრიალებით დასრულდა.[143]

სამხედრო ხუნტამ დრო არ დაკარგა და მაშინვე დაიწყო თავისი გეგმის განხორციელება. იმდროინდელ გამოჩენილ იურისტთა მონაწილეობით შეიკრიბა კომისია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სტამბულის უნივერსიტეტის რექტორი სიდიკ სამი ონარი, რომელმაც დაიწყო ახალი კონსტიტუციის შემუშვება.[144]

კომისიის ნაყოფიერმა მუშაობამ შედეგი გამოიღო: სამხედრო გადატრიალების შემდეგ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოდ ეროვნული ერთობის კომიტეტი გამოცხადდა. საკანონმდებლო ორგანოს სათავეში ჯემალ გურსელი ჩაუდგა და მის დაქვემდებარებაში იყო ეროვნული ერთობის კომიტეტი, რომელიც 38 გენერალს და რამდენიმე ოფიცერს აერთიანებდა. დროებითი მთავრობა 18 წევრისგან შედგებოდა, აქედან 3 გენერალი იყო.[145] თურქეთი გამოცხადდა ეროვნულ, დემოკრატიულ და სეკულარულ სახელმწიფოდ მმართველობის რესპუბლიკური ფორმით. [146]

1960 წლის 12 ივნისს გაუქმდა 1924 წლის კონსტიტუცია, 1961 წლის 9 ივლისს კი დამფუძნებელმა კრებამ მიიღო თურქეთის რესპუბლიკის მეორე კონსტუტიცია. თუ აქამდე ფუნქციონირებდა ერთპალატიანი პარლამენტი, ახალი კონსტიტუციით შეიქმნა ეროვნული კრება, რომელიც 450 დეპუტატს

[143] გიგინეიშვილი ო, თურქეთის 1960 წლის 27 მაისის სახელმწიფო გადატრიალების მოკლე ისტორია, ,,მეცნიერება“, თბილისი. 1989. გვ: 25-30.
[144] Ногманов Б Турция после государственного переворота 1960 года, https://tinyurl.com/5eu8823a, ,ბოლოს გადამოწმდა:6.06.2024
[145] სვანიძე მ, თურქეთის ისტორია (1299-2000), გამომცემლობა ,,არტანუჯი“, თბილისი, 2007 . გვ: 497.
[146] Сравнительная характеристика конституции Турции, https://tinyurl.com/ybe6wf8c, ბოლოს გადამოწმდა: 7. 05.2023

აერთიანებდა, რომელთაც პროპორციული წესით ირჩევდნენ 4 წლის ვადით და სენატი 150 წევრს აერთიანებდა - სენატორებს და ყოფილი ეროვნული ერთობის კომიტეტის წევრებს. აქედან 15 წევრს მუდმივი წევრობის უფლებით თავად პრეზიდენტი ნიშნავდა, ხოლო დანარჩენი სენატორები 6 წლის ვადით ირჩეოდნენ მაჟორიტარული სისტემით, ორ წელიწადში ერთხელ კი ხორციელდებოდა მათი განახლება ერთი მესამედით. თურქეთში საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელებას შეუდგა ორპალატიანი ორგანო[147].

ახალ კონსტიტუციაში უზრუნველყოფილი იყო ხელისუფლების დაყოფა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებად, პრეზიდენტი ვერ იქნებოდა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ თურქეთის რესპუბლიკა დემოკრატიული სახელმწიფო იყო, სადაც უმაღლესი ხელისუფლება ეკუთვნოდა ხალხს, პარლამენტი შედგებოდა ორი პალატისაგან, სახელმწიფოს ძირითადი კანონით უზრუნველყოფილი იყო სასამართლოს დამოუკიდებლობა, შეიქმნა საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც კონტროლს უწევდა რამდენად იყო შესაბამისობაში ახალი კანონი კონსტიტუციასთან, კონსტიტუციითვე იყო გარანტირებული ადამიანის ძირითდი უფლებები და თვისუფლებები, ასევე საჯარო მოხელეებსა და მუშებს მიეცათ გაფიცვისა და პროფკავშირების შექმნის უფლება, მოქალაქეებს ეძლეოდათ პოლიტიკური პარტიების შექმნისა და მის რიგებში გაერთიანების შესაძლებლობა, ტელე-რადიო კომპანიებსა და უნივერსიტეტებს კი მიენიჭათ სრული ავტონომია.[148] გარდა ამისა, ახალი საარჩევნო კანონით არჩევნებში მონაწილეობა შეეძლო ყველა მოქალაქეს, რომელსაც შეუსრულდა 21 წელი, სენატის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება ჰქონდა 40 წლის ყველა მოქალაქეს, ხოლო ეროვნული პალატის წევრობა შეეძლო ყველას, ვისაც შეუსრულდა 30 წელი.[149]

მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო სეკულარიზმის პრინციპებს- სახელმწიფოს ძირითდ კანონში რელიგიასთან დაკავშირებით გაჩნდა ჩანაწერი, რომ რელიგიის

---

[147] სვანიძე მ,დასახელებული ნაშრომი, გვ: 499,

[148] Ногманов Б Турция после государственного переворота 1960 года, https://tinyurl.com/ycytpbtf, ბოლოს გადამოწმდა: 6.06.2024

[149] სვანიძე მ, დასახელებული ნაშრომი, გვ: 500

სწავლება ქვეყანაში უნდა განხორციელებულიყო ,,სახელმწიფოს კონტროლისა და ზედამხედველობის ქვეშ“.[150] გაძლიერდა აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელსაც ახორციელებდა პრეზიდენტი, რომელსაც ირჩევდა პარლამენტი 7 წლის ვადით.[151] მას შეეძლო შეეჩერებინა კანონი და დაეთხოვა პარლამენტი. ძლიერი პრეზიდენტის ინსტიტუტი, დამოუკიდებელი საკონსტიტუციო სასამართლო და ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანო - ეს იყო ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც განასხვავებდა 1961 წლის კონსტიტუციას წინამორბედი კონსტიტუციისაგან.

1961 წლის კონსტიტუციით დაკანონდა საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნა, სასამართლო ხელისუფლება საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც ხელისუფლების დამოუკიდებელი შტო, რომლის ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა დემოკრატიული პარტიის შეხედულებებზე შექმნილი პარტიების გაკონტროლება.[152] ამავე კონსტიტუციის მე-3 მუხლით დაკანონდა ეროვნული უშიშროების საბჭოს შექმნა, მის მუშაობაში მონაწილეობდნენ: პრეზიდენტი, გენერალური შტაბის უფროსი, მინისტრები, შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები. უშიშროების საბჭოს ევალებოდა კონსულტაცია გაეწია მინისტრთა საბჭოსათვის უსაფრთხოების საკითხებზე. ეროვნული უშიშროების საბჭოს შექმნამ კიდევ უფრო გაზარდა შეიარაღებული ძალების როლი თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში და იგი ფაქტობრივად ხელისუფლების თანამონაწილე გახადა.

ცვლილებები შეეხო გენერალური შტაბის უფროსსაც - თუ იგი ადრე თავდაცვის მინისტრის წინაშე იყო პასუხისმგებელი, ახლა იგი ანგარიშვალდებული იყო პრემიერ-მინისტრის წინაშე. ხაზი გაესვა სახელმწიფოს გადამწყვეტ როლს ქვეყნის ეკონომიკაში. სახელმწიფოს მიეცა კერძო საკუთრების სოციალიზაციის უფლება, მისი ეკონომიკური და სოციალური საზღვრები შეზღუდული იყო მისივე

[150] იქვე, გვ:499
[151] იქვე
[152] ლებანიძე ტ, თურქეთის პოლიტიკური პარტიების ისტორიული მიმოხილვა (ოსმალეთის იმპერიიდან დღემდე), გამომცემლობა ,,უნივერსალი“. თბილისი, 2011, გვ:63.

ეკონომიკური განვითარების მასშტაბით და ფინანსური წყაროების ხელმისაწვდომობით.

მომდევნო ათი წლის განმავლობაში ცვლილებები განხორციელდა გაფიცვებისა და პროფკავშირების კანონმდებლობაში: 1970 წლის ივლისში გაუქმდა ,,კანონი შრომის შესახებ“, რომელიც 1967 წლიდან მოქმედებდა. სავარაუდოდ, აღნიშნული ცვლილება უცხო ქვეყნების ზეწოლის შედეგად მიღებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებად შეიძლება ჩაითვალოს. ამ პერიოდისათვის არმიის უმაღლესი ოფიცრები ფლობდნენ აქციებს თურქეთში არსებულ დიდ სამრეწველო საწარმოებში, მათ შორის იმ საწარმოებში, რომლებიც უცხოური კაპიტალის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. 1961 წელს დაარსდა არმიის ურთიერთდახმარების სალარო, რომლის ბიუჯეტიც ათი წლის მანძილზე 44 მლნ. ლირიდან 1 მლრდ. ლირამდე გაიზარდა და ეს ორგანიზაცია მალე ერთგვარ კაპიტალისტურ საწარმოდ იქცა, რომელიც ამ ფინანსებს ახალ სამრეწველო საწარმოებში აბანდებდა. არმიის ურთიერთდახმარების სალაროს შექმნამ და აქციებიდან მიღებულმა დივიდენდებმა მნიშვნელოვნად გააძლიერა ქვეყანაში სამხედრო ელიტა, რომელიც პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდიოდა სწორედ მაშინ, როცა სეკულარიზმი საფრთხის წინაშე იდგა. XX საუკუნის 60-იანი წლებიდან თურქეთში განსაკუთრებით გააქტიურდა რელიგიური საკითხი. მართალია, სამხედრო ელიტა ძლიერ ძალას წარმოადგენდა ქვეყანაში, მაგრამ მას სჭირდებოდა მოსახლეობის ფართო მასების მხარდაჭერა. რადგანაც რელიგიის გავლენა ამ პერიოდის თურქეთში იმდენად გაიზარდა, რომ ისლამურმა პარტიებმა უკვე ლეგალურად დაიწყეს საქმიანობა, სამხედრო ელიტამ, რომელსაც მჭიდრო კავშირები ჰქონდა თურქეთის სამრეწველო საწარმოების აქციონერ უცხო სახელმწიფოებთან, შრომის კანონის გაუქმების მხარდაჭერით შექმნა შესაძლებლობა მასშტაბური, არსებული წესწყობილებისათვის საფრთხის შემცველი საგაფიცვო მოძრაობის გააქტიურებისა, რომელშიც ჩართული იქნებოდნენ მუშები, გლეხები, სტუდენტები და ა.შ. მოგვიანებით ამას მოჰყვა გენერალური შტაბის უფროსის მემორანდუმი, რომელმაც მოქმედი მთავრობა ქვეყანაში ანარქიის შექმნაში დაადანაშაულა. ,,გადატრიალება მემორანდუმით”

დემირელის მთავრობის გადადგომით დასრულდა. 1971 წელს ქვეყნის კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებით საგრძნობლად გაიზარდა ეროვნული უშიშროების საბჭოს როლი.[153]

XX ს-ის 80-იან წლებში თურქეთში უმუშევრობისა და ინფლაციის დონე ძალიან გაიზარდა და ქვეყანაში მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება შეიქმნა. მიუხედავად მრავალმხრივი მცდელობისა, პარლამენტში მხარეთა დაპირისპირების გამო ვერ მოხერხდა მნიშვნელოვან საკითხებზე შეთანხმება. მზარდი უკმაყოფილების ფონზე 1980 წლის 12 სექტემბერს თურქეთში მოხდა სამხედრო გადატრიალება და ხელისუფლების მართვის სადავეები გადავიდა ეროვნული უშიშროების საბჭოს ხელში, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გენერალური შტაბის უფროსი კენან ევრენი. ხელისუფლების სათავეში სამხედროთა მოსვლის შემდეგ პოლიტიკური პარტიების საქმიანობა აიკრძალა და მთელი ქვეყნის მასშტაბით შემოღებულ იქნა საგანგებო მდგომარეობა.

1982 წლის 7 ნოემბერს ჩატარდა სახალხო რეფერენდუმი და მიღებულ იქნა რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია, ამით საფუძველი ჩაეყარა მესამე რესპუბლიკას თურქეთში. მოხდა ერთპალატიანი პარლამენტის ჩამოყალიბება მაშინ, როცა 1961 წლის კონსტიტუციის შესაბამისად პარლამენტი იყო ორპალატიანი-დეპუტატთა პალატა და სენატი. ახალი კონსტიტუციით არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება ჰქონდა ყველა 19 წლის მოქალაქეს, ხოლო დეპუტატად თავისი კანდიდატურის წამოყენება შეეძლო ყველა თურქს, რომელსაც შეუსრულდა 30 წელი და არ იყო ნასამართლევი, ხმის მიცემის უფლებით არ სარგებლობდნენ უნტერ ოფიცრები, ჯარისკაცები, მსჯავრდებულები და სამხედრო კურსანტები.[154] გაიზარდა აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილება უპარტიო პრეზიდენტისა და მის მიერ დანიშნული პრემიერ-მინისტრის სახით, რომელიც აყალიბებდა მინისტრთა კაბინეტს, პრემიერ-მინისტრისა და მინისტრების კანდიდატურის შერჩევა ხდებოდა თურქეთის დიდი ეროვნული კრების, მეჯლისის, რიგებიდან და მათ

---

[153] მაკარაძე ე, თურქეთის ისტორია 1918-2018 წლები, სალექციო ჩანაწერები, გამომცემლობა ,,უნივერსალი“, თბილისი. 2019, გვ: 137.
[154] სვანიძე მ, დასახელებული ნაშრომი, გვ: 519

დანიშვნას ახორციელებდა პრეზიდენტი, პარლამენტი ირჩეოდა 5 წლის ვადით, ხოლო პრეზიდენტს 7 წელიწადში ერთხელ ირჩევდა ერთპალატიანი პარლამენტი მის შემადგენლობაში გაერთიანებული 550 დეპუტატიდან, ხმათა ორი მესამედით, მეორე ვადით პრეზიდენტის არჩევა კანონით აიკრძალა და მისი უფლებები საგრძნობლად გაიზარდა: იგი სარგებლობს სასამართლო, აღმასრულებელი, ასევე საკანონმდებლო ხელისუფლების განსაკუთრებული უფლებით. იგი ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე და მისი თანამდებობიდან გადაყენება შესაძლებელია მხოლოდ სამშობლოს ღალატის შემთხვევაში, თუ ამ გადაწყვეტილებას მიიღებდა პარლმენტის წევრთა 1/3.[155] კონსტიტუციის შესაბამისად პრეზიდენტი უნდა ყოფილიყო უპარტიო, მხოლოდ მას ჰქონდა უფლება დაენიშნა კონტროლის პალატისა და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები, უნივერსიტეტის რექტორი და გენერალური პროკურორი, სახელმწიფო საბჭოს წევრთა ¼ და უმაღლესი განათლების საბჭოს სრული შემადგენლობა, პრემიერ-მინისტრი და მინისტრები. ახალი კონსტიტუციით გაიზარდა ეროვნული უშიშროების საბჭოს უფლებამოსილება, რომელიც პრეზიდენტთან ერთად აგვარებდა სახელმწიფოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს. პრეზიდენტი გამოცხადდა ეროვნული უშიშროების საბჭოს თავჯდომარედ, საბჭოს შემადგენლობაში გაერთიანებული იყვნენ სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალების მეთაურები, თავდაცვის, შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა მინისტრები, პრემიერ-მინისტრი და გენ. შტაბის უფროსი.[156]

რაც შეეხება აკრძალვებს - პარტიების საქმნიანობაზე დაწესდა კონტროლი, პროფკავშირებს ჩამოერთვათ პოლიტიკურ პარტიებთან კავშირის დამყარების უფლება, ხოლო ქალებს - პოლიტიკურ ორგანიზაციათა შექმნის შესაძლებლობა და ა.შ. ბუნებრივია, ამ კონსტიტუციას მოსახლეობის აღშფოთება მოჰყა, რის გამოც მომდევნო 1987 და 1995 წლებში კონსტიტუციაში აუცილებელი გახდა ცვლილებების შეტანა, რომლის მიხედვითაც ,,ყველა თურქი, რომელმაც 25 წელს მიაღწია, შეიძლებოდა გახდარიყო დეპუტატი“, გარდა იმ პირებისა, რომელთაც

[155] იქვე, გვ:520
[156] იქვე, გვ:521

არ ჰქონდათ დაწყებითი განათლება, ან ხასიათდებოდნენ შეზღუდული შესაძლებლობებით, ასევე ის პირებიც, რომელთაც ჰქონდათ კრიმინალური წარსული, არ შეიძლებოდა აერჩიათ დეპუტატებად. მასწავლებლებს, სამხედრო სამსახურში მყოფ პირებს არ ეძლეოდათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, თუ ისინი არ გავიდოდნენ პენსიაზე.[157] თურქეთის დიდ ეროვნულ ასამბლეას ,,გადაეცა საკანონმდებლო კომპეტენცია თურქი ერის სახელით“, მას შეეძლო მიეღო, შეეცვალა ან გაეუქმებინა კანონები, გაეკონტროლებინა მინისტრები და მთავრობა, განეხილა და მიეღო კანონპროექტები ბიუჯეტისა და მისი შესრულების შესახებ, გამოეტანა გადაწყვეტილებები ომის გამოცხადების, საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირებისა და სასიკვდილო განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებით.[158] შეიზღუდა ეროვნული უშიშროების საბჭოს როლი ქვეყნის პოლიტიკაში, პარლამენტის დეპუტატთა რაოდენობა გაიზარდა 550-მდე, საზღვარგარეთ მცხოვრებ 2,5 მლნ თურქს მიენიჭა ხმის მიცემის უფლება, პროფკავშირებს მიეცათ პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობის შესაძლებლობა, ქალებსა და ახალგაზრდებს დართეს ნება დაეარსებინათ პოლიტიკური ორგანიზაციები, სტუდენტებს მიეცათ პოლიტიკურ პარტიებში გაწევრიანების, პროფესორ-მასწავლებლებს კი პარტიის ხელმძღვანელობის შესაძლებლობა და სხვ.[159] 2001 წლიდან აიკრძალა უკანონოდ მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენება, შესაძლებელი გახდა ასოციაციების შექმნა, შეხვედრებისა და მიტინგების გამართვა, პროფკავშირული უფლებებით სრული სარგებლობა... 2004 წელს საბოლოოდ გაუქმდა სიკვდილით დასჯა, ხოლო 2007 წლის 21 ოქტომბრის რეფერენდუმის შედეგად მიღებული ცვლილებების პაკეტით თურქეთის კონსტიტუციაში დაფიქსირდა შემდეგი ცვლილებები: საპრეზიდენტო არჩევნები გახდა პირდაპირი და პრეზიდენტის არჩევა უნდა მომხდარიყო საყოველთაო ხმის მიცემით და არა პარლამენტის მიერ, როგორც ეს

---

[157] ВРСТ и политические партии Турции, https://tinyurl.com/3dws8nfe, ბოლოს გადამოწმდა: 6.05. 2023
[158] იქვე
[159] იქვე

ადრე ხდებოდა.[160] პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა შემცირდა 5 წლამდე, ასევე გაუქმდა მისი ხელახალი ვადით არჩევის შეზღუდვა. პარლამენტის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრა 4 წლით და კანონპროექტის მისაღებად საჭირო ,,მეჯლისის“ წევრთა საერთო რაოდენობა 67 %-დან 34 %-მდე შემცირდა. ასე რომ, განხორციელებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს შედეგად მოჰყვა დემოკრატიული უფლებების გაფართოება.

მორიგი ცვლილება თურქეთის კონსტიტუციაში 2010 წლის 12 სექტემბრის რეფერენდუმით იქნა შეტანილი და ის ეხებოდა მართლმსაჯულების სისტემას-პროკურორთა და მოსამართლეთა უმაღლეს საბჭოს, სამხედრო სასამართლოს, ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს, რომლის წევრთა რიცხვი 11-დან 17-მდე იზრდებოდა, აქედან სამი წევრის დანიშვნის უფლება პარლამენტს გადაეცემოდა. გარდა ამისა თურქეთში მოქმედ პროკურორთა და მოსამართლეთა უმაღლეს საბჭოში წევრთა რაოდენობა 7 წევრის ნაცვლად 22 გახდებოდა და სამოქალაქო სასამართლოს ეძლეოდა სამხედრო პირთა საქმეების განხილვის უფლება.[161] დეპუტატებს რაც შეეხება, პარლამენტარებმა მიიღეს უფლება შეენარჩუნებინათ თავიანთი თანამდებობრივი მდგომარეობა იმ შემთხვევაშიც კი, თუ რაიმე კონსტიტუციური დარღვევის გამო აიკრძალებოდა ის პარტია, რომელიდანაც მოხდა მათი არჩევა, ასევე 5 წლიდან 4 წლამდე შემცირდა პარლამენტის წევრ დეპუტატთა უფლებამოსილების ვადა, ხოლო მათი რიცხვი 550 დეპუტატით განისაზღვრა.

როგორც ვხედავთ, XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის 10-იან წლებში თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუციაში განხორციელებულმა ცვლილებებმა საგრძნობლად შეცვალა ქვეყნის ძირითადი კანონის შინაარსი. თუმცა თურქეთის რესპუბლიკის არსებობის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი პერიოდია 2017 წლის 16 აპრილი. ამ დღეს ქვეყანაში ჩატარდა საკონსტიტუციო რეფერენდუმი, სადაც სახელისუფლებო სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ მოსახლეობას

---

[160] თურქეთის პრეზიდენტმა პრეზიდენტის უფლებამოსილების გაზრდასთან დაკავშირებული საკონსტიტუციო შესწორებები დაამტკიცა, https://tinyurl.com/2p8v39vh, ბოლოს გადამოწმდა:5.05.2024

[161]თურქეთის არჩევანი: Evet თუ Hayir? https://tabula.ge/ge/news/540751-turketis-archevani-evet-tu-hayir, ბოლოს გადამოწმდა: 24.03. 2023

შესთავაზა განსახორციელებელი საკონსტიტუციო ცვლილებების პაკეტი, რომელსაც მხარი დაუჭირა მოსახლეობის 51,33%-მა.[162] ამ ცვლილებების განხორციელებაში სამართლიანობისა და განვითარების პარტიას მხარი დაუჭირა ნაციონალისტური მოძრაობის პარტიამ (MHP), ხოლო სახალხო რესპუბლიკური პარტია (CHP) და პროქურთული პარტია (HDP) აქტიურ კამპანიას აწარმოებდნენ დაგეგმლი საკონსტიტუციო ცვლილებების წინააღმდეგ.[163]

თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ისტორიულ რეფერენდუმში გამარჯვება მოიპოვა საკონსტიტუციო ცვლილებების პაკეტზე, რომლითაც მას ახალი უფლებამოსილებები მიენიჭა.[164] თუმცა, როდესაც ერდოღანი და მისი მმართველი პარტია გამარჯვებას ზეიმობდა, თურქეთის ოპოზიციურმა სახალხო რესპუბლიკურმა პარტიამ უმაღლეს საარჩევნო კომისიას რეფერენდუმის შედეგების სრულად გაუქმების თხოვნით მიმართა და მიუთითა, რომ საარჩევნო ბიულეტენები და კონვერტები შტამპის გარეშე არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო კანონიერად. თურქეთის უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ არ დააკმაყოფილა ოპოზიციური პარტიის მიმართვა.[165]

რეფერენდუმი მიღებული გადაწყვეტილებები მართლაც ისტორიული იყო-შედეგი იძლეოდა სახელმწიფოს ზედა ეშელონების ტრანსფორმაციის შესაძლებლობას და საპარლამენტო დემოკრატიიდან ქვეყნის საპრეზიდენტო რესპუბლიკად გადაქცევას უჭერდა მხარს. რეჯეფ თაიფ ერდოღანს 12 წელი ეკავა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა და როდესაც 2014 წელს თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს, დაიწყო ფიქრი იმაზე, რომ პრეზიდენტის უფლებამოსილება გაეფართოებინა და შეემცირებინა ან საერთოდ გაეუქმებინა პრემიერ-მინიტრის უფლებამოსილება.[166] 2017 წლის რეფერენდუმით საპარლამენტო სისტემა შეიცვალა საპრეზიდენტო სისტემით და დღეს თურქეთი

---

[162] ხვალ თურქეთში საპარლამენტო ცვლილებების შესახებ რეფერენდუმი გაიმართება, https://tinyurl.com/54y6mzbt , ბოლოს გადამოწმდა: 25.03.2023

[163] Gunge D, Bag T, The 2017 Turkish Constitutional Referendum, https://tinyurl.com/3ncrmr8f, ბოლოს გადამოწმდა: 4.06.2023

[164] Shaheen K, Erdogan clinches victory in Turkish constitutional referendum, https://tinyurl.com/ycyyztt8, ბოლოს გადამოწმდა: 9. 06. 2023

[165] Конституционныи референдум в Турции в 2017 году, https://ria.ru/20170424/1492828175.html, ბოლოს გადამოწდა: 10.06. 2023

[166] ახალაია ლ, თურქეთი 2029, https://tinyurl.com/2bj4syb4, ბოლოს გადამოწმდა: 5.06.2023

საპრეზიდენტო რესპუბლიკაა ძლიერი სამოხელეო აპარატით. თავდაპირველად დაიგეგმა კონსტიტუციაში 21 ცვლილება გაეტარებინათ, საბოლოოდ სახელმწიფოს ძირითად კანონში 18 შესწორება იქნა შეტანილი: მე-9 მუხლი სასამართლოს მიუკერძოებლობას ადასტურებდა, 75-ე მუხლით პარლამენტის წევრთა რიცხვი 550-დან 600-მდე იზრდებოდა.[167] 76-ე მუხლის შესაბამისად, პარლამენტის წევრი შეიძლებოდა ყოფილიყო მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი, ასევე მოიხსნა სამხედრო-სავალდებულო სამსახურის გავლის ვალდებულება და დადგინდა, რომ პირი, რომელიც თავისი საქმიანობით დაკავშირებული იყო სამხედრო სტრუქტურებთან, არ შეიძლებოდა ყოფილიყო საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატი.[168] 77-ე მუხლის მიხედვით, პარლამენტის უფლებამოსილების ვადა 5 წლამდე გაიზარდა. თუ საპრეზიდენტო არჩევნების დროს კანდიდატი პირველ ტურში ვერ დააგროვებდა სათანადო ხმების რაოდენობას. ასეთ შემთხვევაში იმართებოდა მეორე ტური. 87-ე მუხლის შესაბამისად, ახალი პარლამენტს ევალებოდა მინისტრთა საქმიანობაზე თვალყურის დევნება. მინისტრებს აეკრძალათ თავიანთი სახელით ბრძანება-განკარგულებების გამოცემა, 104-ე მუხლის თანახმად პრეზიდენტი მეთაურობდა, როგორც მთავრობას, ისე სახელმწიფოს, მას შეეძლო დაენიშნა ვიცე-პრეზიდენტი და მინისტრები, გამოეცხადებინა საგანგებო მდგომარეობა, პარლამენტისათვის დასამტკიცებლად წარედგინა ბიუჯეტი, პარლამენტის დეპუტატებს არ ჰქონდათ მასში შესწორებების შეტანის უფლება, თუ ბიუჯეტის დამტკიცება ვერ მოხერხდებოდა, უნდა მომხდარიყო დროებითი ბიუჯეტის შემუშავება, დროებით ბიუჯეტზე უარის თქმის შემთხვევაში კი ძალაში შედიოდა წინა წლის ბიუჯეტი.[169] 159-ე მუხლის შესაბამისად, მოსამართლეთა და პროკურორთა უმაღლეს საბჭოს ეწოდა მოსამართლეთა და პროკურორთა საბჭო და მისი წევრთა რაოდენობა 22-ის ნაცვლად გახდა 13, პრეზიდენტის მიერ ინიშნებოდა საბჭოს 4 წევრი, ხოლო 7 წევრს კი პარლამენტი ნიშნავდა, გარდა ამისა, საბჭოს

---

[167] თურქეთის საკონსტიტუციო რეფერენდუმი (2017), https://tinyurl.com/36vw9txx ,ბოლოს გადამოწმდა:7.05.2023

[168] იქვე

[169] იქვე

შემადგენლობაში შედიოდა იუსტიციის მინისტრი და მისი მოადგილე, 142-ე მუხლის მიხედვით, უქმდებოდა სამხედრო სასამართლოები და მისი მოწვევა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, როცა გამოსაძიებელი იქნებოდა ომის დროს ჯარისკაცთა მიერ ჩადენილი დანაშაულებები.[170]

2019 წლიდან თურქეთში გაუქმდა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა და საფუძველი ჩაეყარა ქვეყნის საპრეზიდენტო მმართველობას. ამის მიზეზი სწორედ 2017 წელს ქვეყნის კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებები იყო.

დღეისათვის რესპუბლიკაში მოქმედებს 1982 წელს მიღებული კონსტიტუცია მასში შეტანილი დამატებებით. მართალია, თურქეთის სეკულარიზმი დაცულია მისივე კონსტიტუციის მე-2 მუხლით, თუმცა 2021 წელს პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა განაცხადა, რომ მისმა პარტიამ შესაძლოა მუშაობა დაიწყოს ახალ კონსტიტუციაზე და მისი მთავრობა გახდეს პირველი სამოქალაქო ადმინისტრაცია ქვეყანაში, რომელიც ამას გააკეთებს.[171] როგორც ადგილობრივი მედია იუწყება, 2023 წელს პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ გაიმეორა ამის შესახებ. ,,ისეთი ქვეყანა, როგორიც თურქეთია, თითქმის ერთსაუკუნოვანი რესპუბლიკური წყობით და 73 წლიანი დემოკრატიით, იმსახურებს უკეთეს კონსტიტუციას"- განაცხადა მან და ყველა პოლიტიკურ პარტიას, დარგში სპეციალიზებულ სწავლულებსა და ექსპერტებს მოუწოდა დაეწყოთ ახალი დოკუმენტის მომზადება.[172] იმავეს ადასტურებს 2024 წლის ზაფხულში სამხრეთ ილინოისის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ფინანსების დეპარტამენტის პროფესორის, ა. ი. ევრენსელის, სამეცნიერო სტატია „კონსტიტუციის შექმნა და გრძელვადიანი გამოწვევები დემოკრატიისთვის თურქეთში" (,,Constitution Making and Enduring Challenges to Democracy in Turkey").[173]

---

[170] იქვე

[171] Erdogan calls for new constitution in Turkey, https://tinyurl.com/bdvyfctc, ბოლოს გადამოწმებული: 8.08.2024

[172] Erdogan reiterates call for new constitution for Turkey, https://tinyurl.com/29dc543b, ბოლოს გადამოწმებულია: 8.08.2024

[173] Turkey's Constitutions: The Democratic and Authoritarian, https://tinyurl.com/sbd4hvya, ბოლოს გადამოწმებულია: 8.08.2024

ამრიგად, თურქულ სეკულარიზმს და თანამედროვე თურქეთის კონსტიტუციურ ერას საფუძველი მუსტაფა ქემალის პერიოდიდან ჩაეყარა. 1921, 1924, 1961 და 1982 წლებში მოხდა ახალი კონსტიტუციის შემუშავება, რომელშიც რამდენჯერმე იქნა შეტანილი ცვლილებები, რაზედაც წინამდებარე ქვეთავში ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. მოქმედი კონსტიტუციით სეკულარიზმი თურქეთში განმტკიცებულია, ხოლო კონსტიტუციის ცვლილება ამ ქვეყანაში ერთობ სენსიტიურ საკითხად ითვლება და თუ მაინც განხორციელდება პრეზიდენტის ჩანაფიქრი, ვფიქრობთ, ეს იქნება პირველი ახალი სამოქალაქო კონსტიტუცია თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკაში იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო ორი კონსტიტუცია 1961 და 1982 წლების სამხედრო მმართველობის დროს შეიქმნა. შეიძლება ითქვას, რომ თურქეთის კონსტიტუციის მომავალი არ არის ნათელი, თუმცა თუ გავითვალისწინებთ 2023 წლის მუნიციპალურ არჩევნებში ერდოღანის წარუმატებლობას, დაანონსებული ახალი კონსტიტუციის შემუშავების მიზანი იქნება მმართველი სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ძალაუფლების გამყარება. თურქეთი კი უარს არ იტყვის სეკულარიზმზე, რადგან ქვეყნის ევროპული მომავლისა და განვითარებისათვის სეკულარიზმი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ლაიციზმი (სეკულარიზმი) ჯერ კიდევ არის თანამედროვე თურქული სახელმწიფოს ერთ-ერთი საყრდენი.

## 2.2. ისლამის როლი ევროპეიზებულ თურქეთში

ბოლო ათწლეულების განმავლობაში მსოფლიო მოწმე გახდა მთელი რიგი წინააღმდეგობრივი პროცესებისა, რომლითაც ხასიათდება თურქეთის პოლიტიკური ცხოვრება. საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახადა ისლამური ფაქტორის გააქტიურებამ, რამაც თავი იჩინა ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში და ორაზროვან განსჯასა და ცოცხალ დისკუსიას იწვევს დღემდე.

თურქეთის რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმია და ეს სახელმწიფო თავისებურად უნიკალურ ქვეყანას წარმოადგენს იმ თვალსაზრისით, რომ, ერთი მხრივ, ეკუთვნის ისლამურ ცივილიზაციას, მეორე მხრივ კი, 1928 წლიდან თურქეთს აქვს მმართველობის სეკულარული ევროპული

მოდელი, აგრეთვე არის ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულებითი ორგანიზაციის წევრი და აგერ უკვე თითქმის 50 წელია სურს ევროკავშირის წევრობა, ამასთანავე ქვეყანამ დააგროვა სეკულარული და ევროპული ტრადიციების ერთობლიობის, ასევე დემოკრატიისა და რელიგიური ისლამის თანაარსებობის საკმაოდ დიდი ისტორიული გამოცდილება.[174]

დროთა განმავლობაში თურქეთმა ძალიან ბევრი რამ ისესხა ან ისწავლა დასავლეთისაგან. ჯერ კიდევ ოსმალეთის სახელმწიფოს დაარსებიდანვე ჰქონდა ახლო ურთიერთობა ევროპელ ხალხთან, მისი ინტერესების სფეროს წარმოადგენდა ბიზანტია და ბალკანეთის ხალხები, ხოლო ტერიტორიული გაფართოების პერიოდში ამ სახელმწიფოს საზღვარი ვენასაც მოიცავდა, ვენის აღებას და გაკონტროლებას კი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპაში პოზიციების გამყარებისათვის.[175]

მეცხრამეტე საუკუნეში ევროპის ქვეყნებიდან შემოსულმა ნაციონალიზმისა და ლიბერალიზმის იდეებმა თანდათანობით აქაც მოიკიდა ფეხი და 1839-1876 წლებში არაერთი რეფორმა განხორციელდა, რაც ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში თანზიმათის სახელით არის ცნობილი.

პირველ მსოფლიო ომში განცდილი მარცხის შემდეგ ოსმალეთის იმპერია დაიშალა და ქვეყანამ დაკარგა თითქმის ყველა ტერიტორია, რომელიც ამ იმპერიაში შედიოდა, კრიზისმა მოიცვა ქვეყნის ცხოვრების ყველა სფერო, თუმცა სრულ განადგურებას გადაურჩა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მეშვეობით.[176] 1920-იანი წლებიდან კი მუსტაფა ქემალის ხელმძღვანელობით თურქეთმა აირჩია პროდასავლური პოლიტიკური კურსი და უარი თქვა ისლამზე.[177]

---

[174] Разливаев А, Исламскии фактор в Турции и его влияние на вступление в Европеиския Союз: политическии анализ, https://tinyurl.com/49fachdp , ბოლოს გადამოწმდა: 27.04. 2023

[175] Орешкова С, Ислам и европеизация: турецкии опыт синтеза двух путеи цивилизационного развиеия, https://tinyurl.com/msmx7ntm , ბოლოს გადამოწმდა: 6.05.2023

[176] Сергеев В Саруханян С М одернизация и политическии ислам в Турции Полития 2013 стр 137

[177] მიქავა მ, მუსლიმი ძმები, https://tabula.ge/ge/news/546264-muslimi-dzmebi, ბოლოს გადამოწმდა: 22.03.2023

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მუსტაფა ქემალმა 1920 წლის აპრილში ანკარაში მოიწვია ახალი პარლამენტი-თურქეთის დიდი ეროვნული საბჭო.[178] მის მიზანს წარმოადგენდა სასულთნოსა და სახალიფოს გაუქმება, მაგრამ რადგანაც ანკარის ხელისუფლების პარალელურად სტამბოლში ჯერ კიდევ ძლიერი იყო პოზიციები სულთან აბდულ-მაჯიდ II-ისა, რომელიც იყო ოსმალეთის იმპერიის უკანასკნელი ხალიფა, მან ოპოზიციონერთა უკმაყოფილების თავიდან აცილების მიზნით გადაწყვიტა მოეხდინა სასულთნო-სახალიფოს ეტაპობრივი ლიკვიდაცია..[179]

სულთნის საერო და სასულიერო ხელისუფლების გაუქმების მიუხედავად, თურქეთის რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციით (1924)) ისლამი კვლავ რჩებოდა ქვეყანაში სახელმწიფო რელიგიად,[180] ხოლო ამ პერიოდიდან დაწყებული დაპირისპირება სეკულარიზმის მომხრეებსა და მუსტაფა ქემალის მიერ დამკვიდრებული პრინციპების მოწინააღმდეგეებს შორის თურქეთში დღემდე გრძელდება.

ხალიფატის გაუქმების შემდეგ გატარდა მთელი რიგი რეფორმები, რომლებიც სხვადასხვა სფეროს შეეხო და მიზნად ისახავდა რელიგიის სახელმწიფოსგან გამოყოფას, 1924 წელს თურქეთში შეიქმნა რელიგიურ საქმეთა სამმართველო, რომლის უმთავრეს ფუნქციას რელიგიურ ცხოვრებაზე თვალყურის დევნება წარმოადგენდა (აღსანიშნავია, რომ ოსმალეთის იმპერიაშიც არსებობდა სპეციალური თანამდებობა, რომლის ფუნქციებშიც რელიგიურ საქმეებზე კონტროლის განხორციელება შედიოდა, ამ თანამდებობას შეიხულისლამი ერქვა და იგი მინისტრთა კაბინეტში ერთიანდებოდა),[181] გაუქმდა შარიათის სამართალწარმოება, დაიწყო შარიათის შეცვლა ევროპის განვითარებული ქვეყნებიდან ნასესხები და თურქულ რეალობასთან მორგებული კანონებით. შემოღებულ იქნა ევროპული ტიპის, შვეიცარიული სამოქალაქო, იტალიური სისხლის სამართლის და გერმანული კოდექსები, დადგინდა სამოქალაქო

---

[178] Киреев Н История Турции XX век Москва КРАФТ + ИВ РАН 2007 стр 508
[179] Fortna B, Imperial Classroom: Islam, the State, and Education in the Late Ottoman Empire, Oxford, University Press. 2002, p: 37-38. https://tinyurl.com/2whxkvkf, , ბოლოს გადამოწმდა:30. 05.2023

[180] Гасратян М, Орешкова С Очерки истории Турции, издательста Наука. Москва 1983стрЖ 296
[181] Berkes N, The Development of Secularism in Turkey, London. 1964, p: 290.

ქორწინება, აიკრძალა მრავალცოლიანობა და ვაკუფები.[182] ათათურქი დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ქალთა საკითხს: გამოდიოდა ჩადრის ტარების წინააღმდეგ, XX ს-ის 30-იან წლებში გატარებული რეფორმების შედეგად ქალებმა მიიღეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება, გაჩნდნენ თურქეთში პარლამენტარი ქალები, ქალი-ექიმები, იურისტები, მასწავლებლები და ა.შ.[183]

1924 წლის მარტში, შარიათისა და ვაკუფების აკრძალვის შემდეგ, შეიქმნა კულტურის სამინისტრო, რომელსაც დაექვემდებარა თექეები და მეჩეთები. სამინისტრო ნიშნავდა ან თანამდებობიდან ათავისუფლებდა შეიხებს, სასულიერო პირებს, იმამებს და ა. შ. გაუქმდა მუსლიმური მონასტრები და ორდენები, შეიცვალა აზანი, ანუ ლოცვისკენ მოწოდების წესი, ყურანი, რომელიც ადრე არაბულ ენაზე სრულდებოდა, ახლა თურქულად იკითხებოდა, სავალდებულოდ გამოცხადდა ევროპული ტანსაცმელის, ქუდების ტარება, საგანგებოდ გამოყოფილ ადგილებში წვავდნენ მუსლიმურ ფესკებსა და ფაფახებს. მუსტაფა ქემალი თავადაც ევროპულ ტანსაცმელს ატარებდა და იმისათვის, რომ გამოეხატა ისლამთან კავშირის გაწყვეტა ალკოჰოლურ სასმელსაც კი სვამდა. შემოღებულ იქნა მისალმების ევროპული წესი და ყოველდღიურ ურთიერთობებში დამკვიდრდა სიტყვა ,,მეჰრაბა“ სალამის ნაცვლად, რადგან სალამი ისლამთან ასოცირდებოდა. 1924 წელს მეჯლისის მიერ მიღებულ იქნა კანონი N430, რომლის თანახმადაც აიკრძალა სკოლებში სასულიერო დისციპლინების სწავლება. თუმცა სტამბოლის უნივერსიტეტში შენარჩუნდა ფაკულტეტი, სადაც სპეციალური საგანი ღვთისმეტყველება ისწავლებოდა.[184] 1925 წლის ნოემბერში მოხდა დერვიშული რელიგიური ორდენებისა და მათი თექეების (მონასტრების) გაუქმება, ქემალ ათათურქი და მისი მომხრეები მკაცრად აკონტროლებდნენ, რომ ისლამი არ გასულიყო მეჩეთის კარიბჭის გარეთ, რათა რელიგია კვლავ არ გამხდარიყო პოლიტიკური ბრძოლის იარაღი სეკულარული

---

[182] ვაკუფი ან ვაკფი-მაჰმადიანურ ქვეყნებში უძრავი ან მოძრავი ქონება, რომელიც საჩუქრის სახით გადადოდა უპირატესად მაჰმადიან სასულიერო პირთა ხელში.

[183] Сулеиманова З, Реформы Мустафы Кемаля, https://tinyurl.com/39d38ttz, ბოლოს გადამოწმდა:3.05.2023

[184] Скоринина В, Исламскии фактор в Турции в начале XX века и антиисламские реформы М. К. Ататюрка, https://tinyurl.com/mrtyanae, ბოლოს გადამოწმდა: 5.05,2023

ხელისუფლების წინააღმდეგ.[185] თურქეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის რეფორმებმა ქვეყანა თეოკრატიული სახელმწიფოდან სეკულარულ სახელმწიფოდ აქცია. გატარებულ მნიშვნელოვან ღონისძიებათა შედეგად წარმატებით განხორციელდა თურქეთის რესპუბლიკაში საზოგადოების თანდათანობითი დეისლამიზაცია, რესპუბლიკის კონსტიტუციაში ჩაიწერა მუხლი ლაიციზმის შესახებ და დაარსებიდანვე თურქეთის რესპუბლიკის არსებობის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი გახდა, ამ პრინციპის დაცვა კი საზოგადოების მოდერნიზაციისა და ევროპეიზაციის ყველაზე მნიშვნელოვან პირობად იქცა.

ფაქტობრივად მუსტაფა ქემალ ათათურქის დროიდან თურქეთი სეკულარულ სახელმწიფოდ ითვლება და თურქი ხალხის კულტურაც მუსიკიდან ფილოსოფიამდე და პოეზიიდან არქიტექტურამდე სეკულარულია, რაც იმას გულისხმობდა, რომ კულტურა და მეცნიერება თავისუფალი უნდა ყოფილიყო ეკლესიის მეურვეობისაგან, რელიგიური მსოფლმხედველობისაგან.[186]

1925 წლის 26 დეკემბერს მიღებული კანონით თურქეთში ევროპული წელთაღრიცხვა დამკვიდრდა და დასვენების დღედ პარასკევის ნაცვლად კვირა გამოცხადდა. ქვეყნის ევროპეიზაციის გზაზე მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა 1928 წლის ნოემბერში ლათინური ანბანის შემოღება, რადგან ქვეყანაში გავრცელებული არაბული ანბანის გამო მოსახლეობის დიდ ნაწილს არ ჰქონდა წერა-კითხვის შესაძლებლობა, საფუძველი ჩაეყარა ეროვნული სკოლების დაარსებას, სადაც უცხოეთიდან მოწვეული სწავლულების დახმარებით მიმდინარეობდა ახალ სასწავლო პროგრამაზე მუშაობა და პედაგოგების გადამზადება, გარდა ამისა, ქვეყანაში შექმნილი ლინგვისტური და ისტორიული საზოგადოებები ხელს უწყობდნენ სახელმწიფოში სახალხო განათლებისა და კულტურის განვითარებას.[187] იმავე 1928 წელს ქემალისტებმა მოახერხეს

---

[185] Сулеиманова З, Реформы Мустафы Кемалия, https://tinyurl.com/mtvccm2e, ბოლოს გადამოწმდა: 2.01,2023

[186] Дружиловскии С, О теории и практике исламского правления в странах Среднего Востока (Иран, Афганистан, Турция) , http://www.istorya.ru/referat/referat2/17362.php, ბოლოს გადამოწმდა: 12.04. 2023, ასევე,Семедов С, Причины политизации ислама в современном мире, https://tinyurl.com/mvvzkzsv , ბოლოს გადამოწმდა:6.05.2023

[187] სვანიძე მ, დასახელებული ნაშრომი, გვ:434

რელიგიის საბოლოო გამოყოფა სახელმწიფოსაგან, რასაც ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. საზოგადოების მოდერნიზაციის მიზნით მთავრობამ 1934 წელს ეკლესიის მსახურებს აუკრძალა რელიგიური სამოსით გამოსვლა ერში, ამავე წელს გატარდა გვარების რეფორმა და მუსტაფა ქემალ ფაშას ეწოდა მუსტაფა ქემალ ათათურქი, რაც ,,თურქების მამას“ ნიშნავს.[188]

აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ ქემალიზმის მრავალი იდეოლოგიური პრინციპი შემუშავებული და დასაბუთებული იყო ცნობილი თურქი ფილოსოფოსის და სოციოლოგის ზიაია გოკალპის (1876-1924) ნაშრომებში, ასევე გოკალპი იყო ერთ-ერთი პირველი მუსლიმი მოაზროვნე, რომელსაც კარგად ესმოდა რელიგიური და სახელმწიფო ინსტიტუტების გამიჯვნის აუცილებლობა.[189]

ასე დაიწყო თურქეთის სვლა ევროპული განვითარებისაკენ და ევროპულ ოჯახში გაწევრიანებისაკენ. ყველა ეს მნიშვნელოვანი რეფორმა ქემალიზმის რეფორმების სახელითაა ცნობილი და მისი განხორციელება მოხდა ერთპარტიული დიქტატურის, სახალხო-რესპუბლიკური პარტიის მმართველობის პერიოდში (1924-1950).

1938 წელს გარდაიცვალა ქვეყნის უდიდესი რეფორმატორი და პარტიის თავჯდომარე გახდა მუსტაფა ქემალის თანამებრძოლი და მისი მთავრობის პრემიერ-მინისტრი ისმეთ ინონუ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მმართველი პარტიის მიმართ ხალხის დამოკიდებულება შეიცვალა. საზოგადოება დემოკრატიული რეფორმების გატარების აუცილებლობაზე აქტიურად ალაპარაკდა. ხშირი გახდა სახალხო-რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკით უკმაყოფილო პოლიტიკოსების მიერ პარტიის რიგების დატოვება. მთავრობა იძულებული გახდა უკან დაეხია და დათანხმდა ქვეყანაში მრავალპარტიული სისტემის შემოღებას, ხელისუფლებისათვის ბრძოლაში მმართველი პარტიის ძირითადი კონკურენტი ჯელალ ბაიარის დემოკრატიული პარტია გახლდათ, რომელიც ხმამაღლა

---

[188] Akgul A, The Case of Ataturk Reforms in Early Turkish Republic Between 1923-1946 From an Educational Perspective. Master's thesis, Harvard Extension School, https://tinyurl.com/mwx46fdf, ბოლოს გადამოწმდა: 27.05.2023

[189] Баибатырова Н, Отражение процессов исламизации и секуляризации турецкого обшества в пресс е, Вестник ,СПБГН, Сер 9, вып 1, 2010 стпр 239

ამბობდა, რომ ქემალისტური პრინციპების დამცველი იქნებოდა, თუმცა თვლიდა, რომ ქვეყანაში უნდა მომხდარიყო უცხო კაპიტალის მოზიდვაც და კერძო კაპიტალის წარმოების ხელშეწყობა.

დემოკრატიულ პარტიასთან ერთად თურქეთში გაჩნდნენ სხვა ოპოზიციური პარტიებიც. 1946 წელს ოპოზიციური პარტიების მონაწილეობით პირველად ჩატარდა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რომელიც მმართველი პარტიის უპირატესობით დასრულდა, თუმცა ქვეყანაში ჩამოყალიბდა მძლავრი ოპოზიციური პარტია. პოლიტიკური პარტიების მომრავლება და საარჩევნო სისტემის თანდათანობითი დახვეწა თავისთავად მეტყველებდა თურქეთში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებზე.

1948 წელს პრეზიდენტი ისმით ინონუ და მმართველი პარტია იძულებული გახდა სკოლების სასწავლო პროგრამაში დაებრუნებინა რელიგიის გაკვეთილები. იმავე წელს მუსლიმებს ნება დართეს წასულიყვნენ სალოცავად მექაში და შეესრულებინათ მუსლიმთა ერთ-ერთი უწმინდესი მოვალეობა- ჰაჯი. ქვეყანაში ისლამის გაძლიერებას ხელი შეუწყო საგარეო პოლიტიკურმა ვითარებამაც, კერძოდ, ამ პერიოდის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ხელისუფლებაში მოვიდნენ პროკომუნისტური ძალები და ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ეს ქვეყანა შეეცადა ისლამი მძლავრ იარაღად გამოეყენებინა კომუნიზმის საფრთხის წინააღმდეგ. ყველაფერმა ამან გამოიწვია ისლამის კვლავ აღორძინება თურქეთში.

1950 წლის არჩევნების საფუძველზე თურქეთში ძალაუფლება ხელში აიღო დემოკრატიულმა პარტიამ. მისი მმართველობის პერიოდში გაიხსნა რელიგიური სკოლები, დაიწყეს ახალი მეჩეთების მშენებლობა და ძველის რესტავრაცია, სტამბოლის უნივერსიტეტის მსგავსად ღვთიმეტყველების ფაკულტეტები გაიხსნა სხვა უმაღლეს სასაწავლო დაწესებულებებში (ანკარის უნივერსიტეტი) და რელიგიის სწავლება შემოიღეს სკოლებში, როგორც დაწყებით, ასევე საშუალო საფეხურზე. უკვე XX საუკუნის 50-იანი წლების დასასრულისათვის თურქეთში 20-მდე რელიგიური სკოლა არსებობდა 5000-მდე სწავლის მსურველით.

რელიგიური საკითხი თურქეთში განსაკუთრებით გააქტიურდა გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან. ქვეყანაში ერთმანეთის მიყოლებით იქმნებოდა

რელიგიური სექტები და ორდენები, სამხედრო გადატრიალების შედეგად ხელისუფლებაში მოსულმა დროებითმა მთავრობამ ახალი კონსტიტუცია მიიღო და 1965 წლის 13 ივლისის კანონით აიკრძალა ისეთი პარტიების დაფუძნება, რომლებიც, რელიგიურ მოძღვრებებს ეყრდნობოდა და გამოდიოდა სახალიფოს აღდგენის მოთხოვნით, მაგრამ, მიუხედავად ამ აკრძალვისა, თურქეთში რელიგიური პროგრამების მქონე პოლიტიკური პარტიები რეალობად იქცა. ამ მიმართულებით ერთ-ერთ პირველ მცდელობას ადგილი ჰქონდა 1967 წელს, როდესაც ჩამოყალიბებულ იქნა „განთავისუფლების პარტია" (დამფუძვნებელი ოზქანი). აღნიშნული პარტიის წევრებმა გაავრცელეს თურქეთის კონსტიტუციის პროექტი, რომლის მიხედვითაც, შემოთავაზებული იყო ქვეყანაში თეოკრატიული რეჟიმის დამყარება. ეს მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა იმდროინდელი მმართველი პარტიის („ხსნის პარტია") სასტიკი წინააღმდეგობის გამო.[190]

მსოფლიოში ,,ისლამური რენესანსი" ან ,,ისლამური აღორძინება" განვითარების ახალ საფეხურზე გადავიდა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან და ამ პროცესის შემდგომ განვითარებას თურქეთში ხელი შეუწყო ნეჯმეთინ ერბაქანის მიერ ჩამოყალიბებულმა ,,ეროვნული წესრიგის პარტიამ", რომელიც თავისი არსით პროისლამისტური პარტია იყო. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, სეკულარიზმის მიუხედავად, ისლამს ყოველთვის თავისი მხარდამჭერები ჰყავდა ყველა მმართველი პარტიის რიგებში 1924 წლიდან მოყოლებული, მაგრამ ამ ეტაპზე პროისლამური ,,ეროვნული წესრიგის პარტიის" დაარსება და ლეგალურად საქმიანობა ქვეყანაში ისლამის გაძლიერების უტყუარ დასტურს წარმოადგენდა. გარდა ამისა, თურქეთი ცდილობდა მჭიდრო ურთიერთობა დაემყარებინა მდიდარ მუსლიმურ სახელმწიფოებთან, 1969 წელს მონაწილეობდა მაროკოში მიმდინარე კონფერენციაში სხვა მუსლიმურ სახელმწიფოებთან ერთად. მიუხედავად მზარდი სტატისტიკისა, ,,ეროვნული წესრიგის პარტიამ" დიდხანს ვერ იარსება და 1971 წლის სამხედრო მემორანდუმით პარტიის თავჯდომარე დააპატიმრეს, პარტია კი აკრძალეს, თუმცა თურქეთში ისლამის განმტკიცების

[190] ჭიღვარია გ, თურქეთის გეოპოლიტიკა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, თბილისი. 2014, გვ: 109

მომხრეები აგრძელებდნენ ბრძოლას და მომდევნო წელს ძველი პარტიის ბაზაზე შექმნეს ,,ეროვნული ხსნის პარტია“.[191]

1980 წელს ქვეყანაში კიდევ უფრო მეტად გააქტიურდა ისლამური მოძრაობა, რამაც აიძულა სამხედროები მოეხდინათ გადატრიალება, რათა ხელი შეეშალათ ისლამისტების ხელისუფლებაში მოსვლისათვის, თუმცა ამით არ მომხდარა ისლამის როლის გამორიცხვა თურქეთის პოლიტიკური ცხოვრებიდან და 1995 წლის არჩევნებმა აჩვენა კიდეც მისი სიძლიერე და გავლენა - პირველად სეკულარული თურქეთის ისტორიაში ზომიერი ისლამური კეთილდღეობის პარტიამ დაახლოებით ხმების 22% მიიღო და პარლამენტში მანდატების საკმაო რაოდენობა მოიპოვა.

მოვლენების ამგვარი განვითარება დიდი მოულოდნელობა იყო თურქული საზოგადოებისა და დასავლელი პოლიტიკოსებისათვის, მას შემდეგ რაც მიიღეს მნიშვნელოვანი საარჩევნო მხარდაჭერა, ისლამური პარტიები კიდევ უფრო გააქტიურდნენ, ქვეყანაში გაჩნდა და აქტიურად ვითარდებოდა რელიგიური ორდენები, შეიქმნა მუსლიმური საქველმოქმედო საზოგადოებები თუ მუსლიმური კომერციული სტრუქტურები, რომლებიც უშუალოდ იყვნენ დაკავშირებული ისლამურ პარტიებთან. ისლამის გაზრდილ მნიშვნელობაზე მეტყველებდა ის ფაქტი, რომ ქალაქის ქუჩებში ხშირად შეხვდებოდით ადამიანებს, რომლებიც მუსლიმური ჩვეულების მიხედვით თავსაბურავითა და წვერით დადიოდნენ, რაც ადრე პრაქტიკულად ასე აშკარად არ შეინიშნებოდა.[192] მართალია, 1997 წელს სამხედროების ჩარევამ კეთილდღეობის პარტიას არ მისცა საშუალება თავისი პოლიტიკური პროგრამისა და ჩანაფიქრის რეალიზება მოეხდინა, თუმცა 2002 წელს სამართლიანობისა და განვითარების ზომიერ ისლამურ პარტიას გამარჯვებაში ხელი ვერავინ შეუშალა.[193]

თანამედროვე თურქეთის ევროპეიზაციის გზაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანების საკითხს, რომლის შესახებ განაცხადი ქვეყანამ 1959 წელს გააკეთა. 1963 წლის 12 სექტემბერს ანკარაში

---

[191] იქვე, გვ:110

[192] Буянов Н, Политическии ислам в Турци:и 70-е гг. XX-начало XXI вв, Краснодар. 2005, стр 216

[193] ლებანიძე ტ, თურქეთის პოლიტიკური პარტიების ისტორიული მიმოხილვა (ოსმალეთის იმპერიიდან დღემდე), გამომცემლობა ,,უნივერსალი“, თბილისი, 2011, გვ: 114

ხელმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც გაფორმდა თურქეთსა და ევროკავშირს შორის, საფუძველი ჩაეყარა თურქეთ-ევროკავშირის თანამშრომლობის ისტორიას. ,,ანკარის შეთანხმება“ ორივე მხარეს ეკონომიკისა და ვაჭრობის განვითარების მიზნით დაახლოების შესაძლებლობას აძლევდა.

2004 წლის ნოემბერში ბრიტანული ჟურნალი The economist-ში გამოქვეყნდა კარსტენ ჰეფეკერის სტატია: ,,რატომ უნდა უთხრას ევროპამ თურქეთს დიახ?“-ის ამტკიცებდა, რომ უკვე დრო იყო, მწვანე შუქი აენთოთ ამ ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებისათვის. მიიღება თუ არა თურქეთი ევროკავშირში, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მიიწევს ეს მოლაპარაკებები წინ და შეუძლია თუ არა თურქეთს სარწმუნოდ აჩვენოს, რომ იგი აკმაყოფილებს კოპენჰაგენის კრიტერიუმებს სტაბილური დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, უმცირესობების უფლებების დაცვის, ბაზარზე დაფუძვნებული და კონკურენტუნარიანი ეკონომიკის შესახებ. ამ პირობების დანერგვა და განხორციელება აუცილებელია ევროკავშირის წევრობისათვის.[194] ავსტრიელმა კომისარმა ფიშლერმა თურქეთი მიაკუთვნა ,,უფრო აღმოსავლური და არა ევროპული ქვეყნების რიცხვს“, ხოლო საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი და ევროპული კონვენციის თავჯდომარე ჟისკარ დესტენი აცხადებდა, რომ თურქეთის შესვლას ევროკავშირში ნამდვილად მოჰყვებოდა ,,ევროპის დასასრული“.[195] ასეთი იყო ევროპელი პოლიტიკოსების პოზიცია.

ჯერ კიდევ 2012 წელს ბერლინში მყოფი რეჯეფ ტაიფ ერდოღანი, რომელსაც იმ დროს თურქეთის პრემიერ-მინისტრის თანამდებობა ეკავა, აცხადებდა, რომ მისი ქვეყნის ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრობა მის უდიდეს სურვილს წარმოადგენდა და ევროკავშირში გაწევრიანების ვადაც განსაზღვრა _ ეს უნდა მომხდარიყო 2023 წლამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ევროკავშირი დაკარგავს თურქეთს-ამბობდა იგი.[196] ხომ არ იყო ერდოღანის ეს სიტყვები ერთგვარი

---

194 Hefeker C, Turkey and the Borders of Europe, https://tinyurl.com/4pnj3ryy, ბოლოს გადამოწმდა: 4.06.2023

195 Alkan U, The Modernization of Turkeys Customs Union with the European Union: Reasons and Possible Outcomes, http://aei.pitt.edu/92484/1/edp-9-2017_alkan.pdf, ბოლოს გადამოწმდა: 27.05.2023

196 Sydow Ch, Erdogan Visit to Berlin Betrays Tensions, https://tinyurl.com/yckypknx, ბოლოს გადამოწმდა: 10.06.2023

გაფრთხილება ევროპის ლიდერებისთვის. უკვე ექვსი ათეული წელი გავიდა და თურქეთი ევროკავშირში გაწევრიანების საკითხზე ისევ მოლოდინის რეჟიმშია, 2016 წლიდან თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებაზე მოლაპარაკებები შეფერხდა. ამ უკანასკნელმა დაადანაშაულა და გააკრიტიკა მოქმედი მთავრობა ადამიანის უფლებების დარვევისა და ქვეყანაში კანონის უზენაესობის დეფიციტის გამო. [197] ერდოღანი და მისი ზომიერი ისლამური სამართლიანობისა და განვითარების პარტია (AKP) კი თავს საკმაოდ ძლიერად და თავდაჯერებულად გრძნობენ და ცდილობენ კიდევ უფრო გააძლიერონ თურქეთის გავლენა მუსლიმურ სამყაროში. ეს ერთგვარი სტრატეგიაა: თურქეთს სურს გააძლიეროს თავისი, როგორც ანგარიშგასაწევი რეგიონული ძალის პოზიციები, რომ დაანახვოს ევროპას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს ქვეყანა დასავლეთისათვის, როგორც ისლამურ და არაბულ სამყაროსთან დამაკავშირებელი ხიდი.

გარდა ამისა, თურქეთსა და ევროკავშირს შორის საკმაოდ მზარდი ეკონომიკური კავშირები არსებობს. ევროკავშირის ოფიციალური პირები აღნიშნავენ, რომ თურქეთთან სავაჭრო ურთიერთობები ჯერ კიდევ ძალიან ძლიერია, თურქული ექსპორტის 40 %-ზე მეტი ევროკავშირში მიდის, თურქეთი კი ამბობს, რომ მათ ევროკავშირი ნაკლებად სჭირდებათ, ვიდრე ევროკავშირს – თურქეთი.[198] საკითხით დაინტერესებული მკვლევრები ამტკიცებენ, რომ თურქეთის ეკონომიკასა და დიდ ბაზარს ევროკავშირისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, თუმცა უკანასკნელის უკმაყოფილებას იწვევს ადამიანის უფლებების, მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდის, რელიგიური განსხვავებულობისა და სხვა საკითხი ამ ქვეყანაში. ამიტომაც ევროპის რიგი ქვეყნები: საფრანგეთი, ავსტრია, გერმანია და სხვა მხარს არ უჭერენ ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანებას. [199]

---

[197] Agartan K, Turkeys accession to the European Union and the Turkish Labor Movement, https://journals.openedition.org/ejts/4297 , ბოლოს გადამოწმდა: 25.05,2023

[198] Head J, Analysis: Turkeys long wait to join EU club, https://tinyurl.com/3hhw3k8h, ბოლოს გადამოწმდა: 6.06. 2023

[199] თურქეთი და ევროკავშირი, https://tinyurl.com/4umrm829, ბოლოს გადამოწმდა: 21.03,2023

თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე არსებულ დაბრკოლებათაგან ერთ-ერთს კვიპროსის საკითხი წარმოადგენს. გარდა ამისა, ზევრ წინააღმდეგობას შორის არსებობს პრეტეზია, რომ თურქეთი იქნება ერთ-ერთი ძლიერი აქტორი ევროკავშირში, რომელსაც ეყოლება გერმანიის ტოლი ან მასზე უფრო მეტი მოსახლეობა, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს ევროკავშირზე, ვინაიდან თურქეთს აქვს უფრო მეტად მზარდი დემოგრაფიული მაჩვენებელი, ვიდრე ევროკავშირის მოსახლეობას. გარდა ამისა, თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებას გარკვეულწილად განსაზღვრავს ქვეყანაში ყველაზე დიდი ეროვნული უმცირესობის, ქურთების, საკითხის მოწესრიგებაც. აღსანიშნავია, რომ ქურთთა ორ დიდ ამბოხებას ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ მუსტაფა ქემალის პერიოდში, 1925 და 1937 წლებში, მართალია, ეს აჯანყებები ქურთებისთვის სასარგებლო შედეგით არ დასრულებულა, თუმცა ისინი მაინც აგრძელებდნენ ბრძოლას, ქმნიდნენ პოლიტიკურ პარტიებს და უკვე XX საუკუნის მეორე ნახევრიდან აბდულა ოჯალანის მეთაურობით აქტიურად გამოდიან ხელისუფლების წინააღმდეგ. ქურთები, რომლებიც თურქეთის მოსახლეობის 18 პროცენტს შეადგენენ, ერთიანი ქურთული სახელმწიფოს შექმნას მოითხოვენ და აცხადებენ, რომ მათი მიზანი არ არის თურქეთის გაყოფა. თურქულ-ქურთული კონფლიქტი მრავალი წელია მიმდინარეობს, რასაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. მიგვაჩნია, რომ უნდა მოხერხდეს არსებული დაპირისპირების მშვიდობიანი გზით მოგვარება.

ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება რელიგიის საკითხს. თურქეთში პოლიტიკური ისლამის ფორმირებისა და მისი შემდგომი ევოლუციის ისტორიის შესწავლა, ისლამური იდეოლოგიის მიმდევარი თურქი პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური პარტიების საქმიანობის მიზეზების, მიზნების, ფორმებისა და მეთოდების განხილვა საშუალებას იძლევა ერთი ქვეყნის მაგალითზე დავაგროვოთ საინტერესო ინფორმაცია პოლიტიკური ისლამის ფენომენის გასაგებად, კონკრეტულად თურქეთის მაგალითზე.

ისლამს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფო რელიგია იყო და არეგულირებდა მისი ცხოვრების ყველა სფეროს,

დღესაც დიდი მხარდაჭერა აქვს მასებსა და პოლიტიკურ წრეებში. თურქეთი კი ნატოს წევრი და ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა, ისტორიული არჩევანის წინაშე დგას: კვლავ გახდეს თეოკრატიული თუ დარჩეს სეკულარულ სახელმწიფოდ. ფაქტია, რომ ის დღეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი რეგიონული ძალაა და 75 მილიონიანი მუსლიმი მოსახლეობით შეშფოთებასაც კი იწვევს ევროპის ქვეყნების მოქალაქეთა უმრავლესობაში - მათ არ სურთ ჰყავდეთ ისეთი მეზობელი, რომელმაც შესაძლოა შარიათის კანონებით იცხოვროს.[200] გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ თურქეთის მოსახლეობის რიცხვი 100 მილიონს მიაღწევს და ამის მოლოდინს აჩენს მისი დადებითი დემოგრაფიული ბალანსი, ის გახდება მოსახლეობის მხრივ ორგანიზაციის ყველაზე ხალხმრავალი ქვეყანა და შესაძლებლობა ექნება, მიიღოს ათი კვოტა. ამ შემთხვევაში კი თურქეთი მოახერხებს ზეგავლენა მოახდინოს ევროკავშირის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე[201].

ფაქტია, რომ ჩვენი სამხრეთელი მეზობლის ევროკაშირში გაწევრიანება თუკი მოხდება ეს, კიდევ უფრო გაზრდის საქართველოს საერთო ევროპულ ოჯახთან დაახლოებისა და ევროსტრუქტურებში გაწევრიანების პერსპექტივას. მოგეხსენებათ, თურქეთი ჩვენი მეზობელი ქვეყანაა და ეს გარემოება ერთგვარ ბიძგს მისცემს ქართველ ხალხს მეტი მონდომებითა და წარმატებით განახორციელოს ევროინტეგრაციის გზაზე დასახული რეფორმები.

დავუბრუნდეთ ისევ თურქეთს - ალბათ, სულ რაღაც ერთი საუკუნის წინ ვერავინ იწინასწარმეტყველებდა, რომ პროისლამური მთავრობა მოვიდოდა დიდი სეკულარული სახელმწიფოს ხელისუფლებაში.[202] დღეს თურქეთს მნიშვნელოვანი სტრატეგიული პოზიცია უკავია და ერთგვარი დამაკავშირებელი ხიდია ევროპასა და აზიას შორის, აკონტროლებს ბოსფორსა და დარდანელს, აქვს საკმაოდ კარგად განვითარებული ეკონომიკა, ჰყავს მრავალრიცხოვანი თანამედროვე შეიარაღებული ძალები და ასევე მრავალრიცხოვანი დიასპორა

---

[200] იქვე

[201] სვანიძე მ, თურქეთის ისტორია (1299-2000 წლები) გამომცემლობა ,,არტანუჯი“, თბილისი, 2007, გვ: 543.

[202] Семедов С, Причины политизации ислама в современном мире, https://tinyurl.com/3c2nrbcw, ბოლოს გადამოწმდა: 6.05.2023

ევროკავშირის ქვეყნებში... ამ პრივილეგიებთან ერთად პოლიტიკური ისლამის აღზევება საფრთხეს უქმნის თურქეთის სეკულარული სახელმწიფოს მომავალს.

## 2.3. პოლიტიკური პარტიები და სამხედრო გადატრიალებები თურქეთის რესპუბლიკაში

პოლიტიკური პარტიები სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური ინსტრუმენტი და ქვეყნის დემოკრატიული მოწყობის განუყოფელი ელემენტია.[203] თანამედროვე თურქეთის პოლიტიკაში წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის პარტიები: ელიტური, ეთნიკური თუ კონფესიური და ა.შ. ამა თუ იმ ტიპის პარტიის უპირატესობას პოლიტიკაში მრავალი ფაქტორი განაპირობებს. მათ შორის პოლიტიკური კულტურის განვითარება, პოლიტიკური კონკურენცია, პარტიებსა და ამომრჩევლებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ფორმატი და ა.შ. პირველი პარტიების ჩამოყალიბება ოსმალეთის იმპერიის არსებობის დროს მოხდა - ჯერ ,,ახალგაზრდა ოსმალთა მოძრაობას" ჩაეყარა საფუძველი, ცოტა მოგვიანებთ კი ,,ახალგაზრდა თურქთა" პოლიტიკური ორგანიზაცია ,,ერთიანობა და პროგრესი" შეიქმნა. პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება არ ხდება ერთბაშად და სპონტანურად, პარტიის შექმნას წინ უძღვის გარკვეული სამართლებრივი თუ იდეოლოგიური საფუძვლების არსებობა. სწორედ ამგვარი სოციალური კავშირი არსებობს ,,ახალგაზრდა თურქთა" მიერ დაარსებულ ,,ერთიანობისა და პროგრესის" და თურქეთის რესპუბლიკის მმართველ ,,სახალხო-რესპუბლიკურ პარტიას" შორის. თავდაპირველად პარტიის დამაარსებელი მუსტაფა ქემალიც ხსენებული ორგანიზაციის, ,,ერთობისა და პროგრესის", აქტიური წევრი იყო. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თურქეთში ერთპარტიული პოლიტიკური სისტემის თუ პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბების ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენდა კლასობრივი ინტერესების მიხედვით პოლიტიკური ძალების დაჯგუფება ორი მთავარი მიმართულებით. ამ მიმართულებებს პროფესორმა ემრე კონგარმა ტრადიციულ-ლიბერალური ფრონტი და სახელმწიფოებრივ-ელიტარული ფრონტი უწოდა. ამ უკანასკნელის მმართველობის შემთხვევაში სახელმწიფო აკონტროლებდა

[203] Hoffman A, Political Parties, Electoral Systems and Democracy: Across-national Analysis, European Journal of Political Research, https://tinyurl.com/rdrtvhd9, ბოლოს გადამოწმდა: 6.06.2023

საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ სფეროს, ხოლო ტრადიციულ-ლიბერალური ფრონტი აპროტესტებდა და ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოს ჩარევას ქვეყნის ეკონომიკაში და მხარს უჭერდა ჩაურევლობის პოლიტიკას.[204]

,,სახალხო პარტიის" ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა თურქეთში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დაიწყო. ერთიანობისა და პროგრესის ყოფილმა წევრებმა, რომლებიც სახელმწიფოებრივ-ელიტარული ფრონტის ინტერესების დამცველნი და გამტარებელნი იყვნენ, ჩამოაყალიბეს სამართლის დაცვის გაერთიანებები, რომლებიც წარმოადგენდნენ გასამხედროებულ პოლიტიკურ დაჯგუფებებს. მათი მიზანი იყო ქვეყნის განთავისუფლება ოკუპანტებისაგან, თუმცა არ გააჩნდათ ერთიანი იდეოლოგია და მათმა ბრძოლამ უფრო კონკრეტული და ორგანიზებული ხასიათი შეიძინა მას შემდეგ, რაც წინააღმდეგობის მოძრაობას სათავეში ჩაუდგა მუსტაფა ქემალი. 1919 წელს მისი ინიციატივით მოხდა თურქეთში არსებული სამართლის დაცვის გაერთიანებების კონსოლიდაცია ერთ ორგანიზაციაში, რომელსაც ანატოლიისა და თრაკიის სამართლის დაცვის გაერთიანება ეწოდა. მის მმართველად კი დაინიშნა 16 პირისაგან შემდგარი წარმომადგენლობითი პალატა, ხოლო თავჯდომარედ - მუსტაფა ქემალი. 1920 წლის 23 აპრილს მოწვეულ თურქეთის ახალ პარლამენტში, რომლის შემადგენლობაც საკმაოდ ჭრელი იყო, თანდათანობით თავი იჩინა წინააღმდეგობებმა. შეიქმნა ,,სამართლის დაცვის ჯგუფი" და ,,სოლიდარობის ჯგუფი," რომელშიც თავი მოიყარეს სხვადასხვა პოლიტიკურმა ძალებმა. ძალთა ასეთი დანაწილება ძალიან ართულებდა პარლამენტის მუშაობას. ამიტომ 1921 წელს მუსტაფა ქემალის ინიციატივით მოხდა დასახელებული ჯგუფების გაერთიანება ,,ანატოლიისა და თრაკიის სამართლის დაცვის პოლიტიკურ ფრაქციაში", ხოლო 1922 წლის ზაფხულში (ივლისი) ფრაქციიდან წამოსულმა დეპუტატთა გარკვეულმა ჯგუფმა შექმნა ,,ანატოლიისა და თრაკიის სამართლის დაცვის მეორე ფრაქცია", რომელიც თავისი ხასიათით ოპოზიციურ გაერთიანებას

[204] ლებანიძე ტ, თურქეთის პოლიტიკურ პარტიათა როლი და ადგილი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, დისერტაცია, თბილისი, 2003, გვ: 38

წარმოადგენდა.[205] 1923 წლის 8 აპრილს შემუშავებული დეკლარაციის საფუძველზე ანატოლიისა და თრაკიის სამართლის დამცავი ორგანიზაციისა და ამავე სახელწოდებით შექმნილი პირველი ფრაქციის ბაზაზე შეიქმნა ,,სახალხო პარტია" და სათავეში ჩაუდგა ქემალისტურ რესპუბლიკას. ოფიციალურად პარტიის ჩამოყალიბება მოხდა სივასის კონგრესზე 1919 წლის 4-12 სექტემბერს, 1924 წლის 10 დეკემბრიდან კი მას სახალხო-რესპუბლიკური პარტია (CHP) ეწოდა.[206] ეს იყო პარტია, რომელიც თავისი საქმიანობითა და პოლიტიკური კურსით ვესტერნიზაციის სიმბოლოს წარმოადგენდა, დასავლური ტიპის სახელმწიფოს შექმნაზე იყო ორიენტირებული და აკონტროლებდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, რასაც შედეგად მოჰყვა ერთპარტიული სისტემის ჩამოყალიბება და მუსტაფა ქემალის ერთპიროვნული დიქტატურის დამყარება.

1924 წლის 17 ნოემბერს მუსტაფა ქემალის ყოფილი თანამებრძოლის ქაზიმ ქარაბექირის თავმჯდომარეობით მოხდა ოპოზიციური პროგრესისტულ-რესპუბლიკური პარტიის ჩამოყალიბება, რომლის პროგრამაც ტრადიციულ-ლიბერალურ პრინციპებს აღიარებდა და რომელმაც სწრაფად მოიპოვა ხალხის მხარდაჭერა, მაგრამ სახალხო პარტიასთან იდეოლოგიური განსხვავებულობის გამო, მან დიდხანს ვერ იარსება. მათ ბრალად დასდეს 1925 წლის 13 თებერვალს აჯანყებულ ქურთებთან კავშირი და 1925 წლის 3 ივლისს მიღებულ იქნა მისი დახურვის შესახებ გადაწყვეტილება.[207]

ქვეყანაში არსებული რთული პოლიტიკური თუ ეკონომიკური ვითარების გამო მუსტაფა ქემალი 1930-იანი წლების დასაწყისიდან მივიდა იმ აზრამდე, რომ საჭირო იყო შეექმნა მოჩვენებითი ოპოზიცია, რომლის მართვასაც თავად განახორციელებდა. ასე შეიქმნა თავისუფლების რესპუბლიკური პარტია, რომელიც სახალხო-რესპუბლიკური პარტიის პრინციპების ერთგული იყო. პარტიას სათავეში ყოფილი პრემიერ-მინისტრი და მუსტაფა ქემალის უახლოესი

---

[205] იქვე, გვ: 46

[206] ზერიძე ჯ, პირველი თურქული პარტიები XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში, https://tinyurl.com/pvnyv8m3 , ბოლოს გადამოწმდა: 7.05.22023

[207] ლებანიძე ტ,თურქეთის პოლიტიკურ პარტიათა როლი და ადგილი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, დისერტაცია, თბილისი, 2003. გვ: 53

მეგობარი ფათჰი ოქიარი ჩაუდგა. ხელოვნური ოპოზიციური პარტიის შექმნით მუსტაფა ქემალი ფიქრობდა, რომ არსებულ ოპოზიციურ ძალას დაასუსტებდა, თუმცა მისი ჩანაფიქრი არ გამართლდა, რასაც მისი გაუქმება მოჰყვა. ამ პროცესებში ერთი რამ აშკარად შესამჩნევი გახდა - სახალიფოში ნაცხოვრები ხალხი თითქოს ძველი სისტემის მიმართ მონატრებას გრძნობდა და ოპოზიციური პარტიების მიმართ მეტ კეთილგანწყობას ამჟღავნებდა. ასე გამოხატავდნენ ისინი მათ არჩევანს საერო და რელიგიურ სახელმწიფოს შორის.[208]

XX ს-ის 30-იან წლებში ცენზურა კვლავ გრძელდებოდა: 1930 წლის ნოემბერში მინისტრთა საბჭომ დახურა ამავე წლის 26 სექტემბერს დაარსებული ხალხის რესპუბლიკური პარტია, 1930 წლის 30 სექტემბერს კი თურქეთის რესპუბლიკურ მუშათა და ფერმერთა პარტიას აეკრძალა საქმიანობა, მას ბრალი დასდეს კომუნისტებთან თანამშრომლობაში.[209] 1931 წელს თურქეთში გაიმართა სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ყრილობა, სადაც ოფიციალურად დადასტურდა ერთპარტიული სისტემის მმართველობა ამ ქვეყანაში. ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან მმართველმა პარტიამ მოახერხა საკუთარი იდეოლოგიის ჩამოყალიბება, თუმცა ვერ მოახერხა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება და აგრარული პრობლემის გადაჭრა-მიწების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ მემამულეთა ხელში იყო, ხოლო გლეხი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გარეშე რჩებოდა. ყოველივე ეს კი უკმაყოფილო მოსახლეობას მმართველი პარტიისადმი უარყოფითად განაწყობდა.[210] 1938 წელს, როდესაც ათათურქი გარდაიცვალა, ქვეყნის პრეზიდენტი და სახალხო-რესპუბლიკური პარტიის თავჯდომარე ისმით ინონუ გახდა, ხოლო მუსტაფა ქემალი პარტიის მფარველად გამოცხადდა. ,,ერთი პარტია, ერთი ერი, ერთი ლიდერი"- მოგვიანებით ამ ლოზუნგში პოვა გამოხატულება ქვეყნის ერთპარტიულმა მმართველობამ, რომელიც წლების განმავლობაში გრძელდებოდა.

---

[208] ლებანიძე ტ, თურქეთის პოლიტიკური პარტიების ისტორიული მიმოხილვა (ოსმალეთის იმპერიიდან დღემდე), გამომცემლობა ,,უნივერსალი". თბილისი, 2011. გვ: 45

[209] იქვე, გვ:42

[210] გიგინეიშვილი ო, თურქეთის 1960 წლის 27 მაისის სახელმწიფო გადატრიალების მოკლე ისტორია, გამომცემლობა ,,მეცნიერება", თბილისი, 1989, გვ: 4, https://tinyurl.com/3rjnwec4 , ბოლოს გადამოწმდა: 6.06.2024

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1945 წელს, თურქეთში კიდევ ერთხელ გააქტიურდა აგრარული საკითხი, თუმცა ამას რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება გლეხობის სასარგებლოდ არ მოჰყოლია. შერყეული ავტორიტეტის აღდგენის მიზნით  ქვეყანაში დაიწყო პოლიტიკური რეფორმები და მწვანე შუქი აენთო ახალი პოლიტიკური პარტიების შექმნას. ეს კი რამდენიმე მიზეზით იყო განპირობებული: ევროპის ქვეყნებში იტალიასა და გერმანიაში უკვე აღარ არსებობდა ერთპარტიული რეჟიმები, გარდა ამისა, დასავლეთი თურქეთისაგან მოითხოვდა დემოკრატიის უფრო მაღალი ხარისხი უზრუნველეყო რესპუბლიკაში, დემოკრატიზაცია კი გულისხმობდა მრავალპარტიული სისტემის არსებობას. 1945 წლის სექტემბერში დაარსდა ეროვნული აღორძინების პარტია, 1946 წლის 7 იანვარს შეიქმნა დემოკრატიული პარტია ჯელალ ბაიარის, ადნან მენდერესის, ფუატ ქოპრულუს და რეფიკ ქორალთანის ხელმძღვანელობით.[211] მომდევნო წელს დაფუძნდა ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია, სამშობლოს პარტია, ფერმერებისა და გლეხების პარტია, 1946 წელს ხელსაყრელი პირობები შეიქმნა სოციალისტური პარტიების დაფუძნებისათვის, მაის-ივნისში ჩამოყალიბდა თურქეთის სოციალისტური პარტია და თურქეთის სოციალისტური გლეხთა პარტია, ასევე  ისლამის დაცვის პარტია, 1948 წელს კი საფუძველი ჩაეყარა ეროვნულ პარტიას და სხვ.[212] ამ მრავალრიცხოვან პარტიათაგან მხოლოდ დემოკრატიულმა პარტიამ შეძლო თავისუფლად მოღვაწეობა და მმართველ პარტიასთან კონკურენცია. ეს კი გარკვეულწილად ისმით ინონუს დამსახურება იყო - 1947 წლის 12 ივლისს მისი ინიციატივით თურქეთში გაამოქვეყნდა ,,12 ივლისის დეკლარაცია“, რომელიც ოპოზიციურ პარტიას უსაფრთხოების გარკვეულ გარანტიებს აძლევდა. ტ. ლებანიძის მოსაზრებით, რომ არა პრეზიდენტის მხრიდან ასეთი  სერიოზული ჩარევა,  ძნელი სათქმელია, მიეცემოდა თუ არა დემოკრატიულ პარტიას შემდგომი საქმიანობის შესაძლებლობა.[213]

---

[211] Eren Y, The Role and Importance of the Centre-Right Wing Parties in Turkish Politics, https://tinyurl.com/7bzhf3kc , ბოლოს გადამოწმდა: 8.06.2023

[212] Singer M, Ataturk s Economic Legacy, MES, 1983. Vol. 19, N3, p: 302-310.

[213] ლებანიძე ტ, თურქეთის პოლიტიკური პარტიების ისტორიული მიმოხილვა (ოსმალეთის იმპერიიდან დღემდე), გამომცემლობა ,,უნივერსალი“, თბილისი, 2011, გვ: 50

1950 წელს პოლიტიკური ძალების რეალური კონკურენციის საფუძველზე ხელისუფლებაში მოვიდა ოპოზიციური ძალა დემოკრატიული პარტიის სახელწოდებით და დემოკრატიული მოწოდებებით, მან არჩევნებში 408 საპარლამენტო მანდატი მიიღო და აკონტროლებდა ქვეყანას მთელი ათი წლის განმავლობაში.[214] მისი მმართველობის პერიოდში, 1952 წელს, თურქეთში დაარსდა გლეხური პარტია,

ახლადარჩეული პრეზიდენტი ჯელალ ბაიარი სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ყოფილი წევრი და მისი ერთ-ერთი ლიდერი იყო, პრემიერ-მინისტრ ადნან მენდერესთან ერთად ახლა იგი ეკუთვნოდა თურქეთის დემოკრატიულ პარტიას (DP), რომელმაც თავისი პროგრამის ძირითად საფუძვლად ქემალიზმის ექვსი მთავარი პრინციპი გამოაცხადა. პარტიამ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში გაატარა აუცილებელი რეფორმები სოციალურ სფეროში, განათლებასა და ჯანდაცვაში და ცდილობდა გაეუმჯობესებინა ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ვითარება.[215] მცირე ხანში კი ნათელი გახდა, რომ მმართველმა დემოკრატიულმა პარტიამ დაივიწყა დემოკრატიის პრინციპები და შეეცადა ხელში აეღო შეუზღუდავი პოლიტიკური ძალაუფლება.

მოსახლეობის გარკვეული ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია სახელმწიფო მოხელეების და მმართველი პარტიის წარმომადგენელთა უკანონო ქმედებებმა.[216] გარდა ამისა, 1954 წლიდან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სფეროში არაერთი შემზღუდველი კანონები ამოქმედდა, რომლებიც ანტისამთავრობო ხასიათის ნებისმიერ ქმედებაზე იურიდიულ პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა, იქნებოდა ეს ,,სახელწიფოს პოლიტიკური პრესტიჟის შელახვა“ თუ ,,სამსახურეობრივი თანამდებობის მქონე პირების დამცირება“.[217] დემოკრატიული პარტიის მმართველობის პერიოდში 64 ჟურნალისტი

---

[214] Ягудин Б, Функционирование политически системы Турецкои Республики на рубеже 80-90-х годов XX века, https://tinyurl.com/ytsvx47n, ბოლოს გადამოწმდა: 11.04.2022

[215] Кадыров Р, Турецкая Республика в 50-е годы XX века: проблемы социальных и економических реформ, https://tinyurl.com/25mp6pms, ბოლოს გადამოწმდა: 8.05.2023

[216] მაკარაძე ე, თურქეთის ისტორია 1918-2018 წლები, სალექციო ჩანაწერები, თბილისი, 2019, გვ:122.

[217] Coup E, Military Interventions in Turkey, https://www.allaboutturkey.com/coup.html, ბოლოს გადამოწმდა: 3.06.2023

გაასამართლეს. ძლიერი ქემალისტური ოპოზიციის საპირისპიროდ მთავრობამ არაერთხელ მიიღო კანონი, რომელიც მიზნად ისახავდა პრესის თავისუფლების შეზღუდვას - არსებობა შეწყვიტა თურქულმა ოპოზიციურმა გაზეთებმა: ,,ულუსი“, ,,ჰიურიეთი“, ,,თაირჯუმანი“.[218] დემოკრატიული პარტია აგრძელებდა რეპრესიებს - 1956 წლის ივნისის ბოლოს თურქეთის მთავრობამ აკრძალა ოპოზიციური პარტიების შეხვედრები, დემონსტრაციები, კრებები და საპროტესტო აქციები (ე.წ. კანონი დემონსტრაციებისა და შეხვედრების შესახებ).

ამავდროულად მეჯლისის არჩევნებში სახელისუფლებო პარტიამ ოპოზიციურ ძალებთან შედარებით ნაკლები ხმა მიიღო, მაგრამ მაჟორიტარული სისტემის წყალობით მისმა წარმომადგენლებმა კვლავ შეძლეს მთავრობის დაკომპლექტება და შედეგად დემოკრატიულმა პარტიამ (DP) მოიპოვა 419 მანდატი, ხოლო ოპოზიციონერებმა - 173.

იმის გამო, რომ არადემოკრატიული კანონების მიღებით დემოკრატიულმა პარტიამ გააძლიერა თავისი ძალაუფლება და ებრძოდა ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებს, კერძოდ, სახალხო-რესპუბლიკურ პარტიას. 1958 წლიდან დაწყებული მასობრივი დემონსტრაციები სტამბოლსა და თურქეთის სხვა დიდ ქალაქებში პოლიციასთან შეტაკებებში გადაიზარდა, იყო მსხვერპლიც. ისმეთ ინონუს მხარდამჭერები, რომლებიც საარჩევნო კამპანიის ფარგლებში მასთან შესახვედრად მივიდნენ, პოლიციამ ხელკეტებითა და ცრემლსადენი გაზის გამოყენებით დაარბია, რასაც უკმაყოფილება და აღშფოთება მოჰყვა. ამას ზედ დაერთო ისიც, რომ დემოკრატიული პარტიის მმართველობის პერიოდში თურქეთში ადგილი ჰქონდა ისლამის აღმავლობას და რელიგიური ფაქტორის გაძლიერებას, რასაც მოჰყვა იმამ ჰათიბის სკოლებისა და მედრესების რიცხვის ზრდა. მმართველი პარტია ცდილობდა განეახლებინა ან შეეცვალა სეკულარული დემოკრატიული სისტემა.[219]

---

[218] მაკარაძე ე, თურქეთის ისტორია 1918-2018 წლები, სალექციო ჩანაწერები, თბილისი,2019, გვ: 123.

[219] Ли Ю, Состояние религиозного образования в Турции, Институт Востоковедения РАН, 2005, стр 139

სეკულარიზმის მიუხედავად, ისლამი ყოველთვის მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა თურქეთის პოლიტიკურ სისტემაზე. ამის ნათელი მაგალითია ქვეყნის მეორე პრეზიდენტის, ისმით ინონუს, მმართველობის ბოლო პერიოდიდან თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მუსლიმური იდეოლოგიის პარტიების გამოსვლა. აღნიშნული პარტიები თანდათანობით ცდილობდნენ თურქეთში ძალაუფლების სადავეების ხელში ჩაგდებას იქიდან გამომდინარე, რომ სეკულარიზმი მათთვის მიუღებელი ფორმა იყო.

თურქეთის პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაციის პროცესი დაიწყო ჯერ კიდევ 1949 წელს მთავრობის გადაწყვეტილებით, რომელიც შეშფოთებული იყო მაღალი რანგის მუსლიმი ჩინოვნიკების კვალიფიკაციის დონით, ანკარის უნივერსიტეტში გაიხსნა სასულიერო ფაკულტეტი, 1951 წლიდან დაიწყო რელიგიის გაკვეთილები დაწყებით კლასებში, მიმდინარეობდა ასევე აღორძინება იმამ-ჰატიბის ისლამური სკოლებისა, რომლებიც შემდგომში ზომიერი ისლამური კადრების ერთგვარ სამჭედლოდ იქცა. XX საუკუნის 50-60-იან წლებში სტამბოლის უნივერსიტეტის შემადგენლობაში დაარსდა ისლამური ინსტიტუტი, მსგავსი დაწესებულებები გაიხსნა იზმირში, ერზრუმში, ბურსაში. სტუდენტების სწავლების გარდა, ეს ინსტიტუტები და სასულიერო ფაკულტეტები აწარმოებდნენ მეცნიერულ კვლევებს ისლამის ისტორიაზე, ისლამური სამართლის ისტორიაზე, სწავლობდნენ ისლამური კულტურისა და ხელოვნების პრობლემებს.[220] ფართოდ გაიშალა ახალი მეჩეთებისა და მედრესეების მშენებლობა. უფრო მეტიც, მენდერესი გამოვიდა ინიციატივით ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების სამხედრო ალიანსის შექმნის შესახებ ისლამური მიდგომის საფუძველზე.[221] მიუხედავად იმისა, რომ თავისი მმართველობის პერიოდში დემოკრატიულმა პარტიამ მოახდინა ეკონომიკური ლიბერალიზაცია, მოიზიდა უცხოური ინვესტიციები და ა. შ. მან ათათურქის რეფორმები დაყო ,,ხალხისათვის მისაღებ და მიუღებელ“

[220] Baran Z, Torn country: Turkey between secularism and Islamism, Hoover institution Press, Stanford University, 2010, p: 37.

[221] Загорнова Е, Исламскии фактор в политике Турции, http://www.iimes.ru/?p=3368, ბოლოს იიიიიიიიიიიიიიიგადამოწმდა: 25.04.2023

რეფორმებად.[222] ეს უკანასკნელი კი ლაიციზმთან დაკავშირებულ გარდაქმნებს გულისხმობდა.

ძალაუფლებისთვის ამ სასტიკ ბრძოლაში ქემალისტებს მხარი დაუჭირა არმიამ, რომელმაც აიღო ქემალ ათათურქის პრინციპების დამცველის როლი და 1960 წლის 26-27 მაისს თურქეთის რესპუბლიკაში მომხდარი პირველი სამხედრო გადატრიალების შედეგად მმართველი პარტია ხელისუფლებას ჩამოაცილა.[223] აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თურქეთი არის ქვეყანა, სადაც ისტორიულად არმია უმთავრეს როლს თამაშობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ახალგაზრდა თურქთა და ქემალისტურმა რევოლუციებმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრეს სამხედროების, როგორც ცენტრალური ძალის პოლიტიკური აქტივობის ვექტორი ცენტრალიზებული სახელმწიფოს მშენებლობასა და ქვეყნის მოდერნიზაციის განხორციელების საქმეში. მრავალპარტიულ სისტემაზე გადასვლის შემდეგ სამხედროებმა მრავალი პოლიტიკოსის სურვილის მიუხედავად რომ ,,დაეთრგუნათ ამაყი ოფიცრების ქედმაღლობა“, შეინარჩუნეს თავიანთი გავლენა, რის დასტურსაც წარმოადგენს რეგულარული სამხედრო გადატრიალებები თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში.[224] ამჯერადაც სწორედ არმიამ აიღო ხე;ლში პოლიტიკური სადავეები.

1960 წელს არმიამ დაამხო პირველი ,,სახალხოდ არჩეული“ პრემიერ-მინისტრი ა. მენდერესი და ჩამოაყალიბა ეროვნული უშიშროების საბჭო გენერალ ჯემალ გიურსელის ხელმძღვანელობით. მან გადააყენა პრეზიდენტი ჯელალ ბაიარი, პრემიერ-მინისტრი ადნან მენდერესი და დაითხოვა მისი კაბინეტი და პარლამენტი. მენდერესის მთავრობის რამდენიმე წევრს ბრალი წაუყენეს სხვადასხვა დანაშაულში: სახელმწიფო სახსრების ბოროტად გამოყენება, ეროვნული ინტერესების ღალატი, კონსტიტუციის მავნე დარღვევა და ა. შ. სამოქალაქო-სამხედრო ტრიბუნალმა რამდენიმე ბრალდებულს თავისუფლების

---

[222] Шлыков П, Политическии Ислам в Турции: поиски нови идентичности, file:///C:/Users/h/Downloads/61273162.pdf, ბოლოს გადამოწმდა: 12. 05.2023

[223] Гасратян М, Турция в 1960-1963 гг, Очерки внутреннеи политики-М. Наука, 1965, стр: 13-14.

[224] Шлыков П, Военная элита в политическои системе Турецкои Республики, Москва, 2011, стр: 31-33.

აღკვეთა მიუსაჯა, ყოფილი პრემიერი მენდერესი ორ მინისტთან ერთად სიკვდილით დასაჯეს.[225]

1960 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ სამჯერ შეიცვალა მთავრობა თურქეთში და სამივე მთავრობის შემადგენლობას გენერალი ჯემალ გიურსელი მეთაურობდა. მესამე მთავრობაში ორი ძირითადი პარტია გაერთიანდა: რესპუბ-ლიკურ-გლეხურ-ნაციონალური და სახალხო-რესპუბლიკური.[226]

სახელმწიფოს ძირითადი კანონი, რომელიც 1961 წელს იქნა მიღებული 1924 წლის კონსტიტუციის ნაცვლად, ყველაზე დემოკრატიული აღმოჩნდა ქვეყნის ისტორიაში. მუსტაფა ქემალის დროს გენერალური შტაბის უფროსი პირდაპირ ექვემდებარებოდა სახელმწიფოს მეთაურს, ხოლო 1940-იანი წლების ბოლოდან იგი უშუალოდ თავდაცვის მინისტრის დაქვემდებარებაში მოექცა. გადატრიალების შემდეგ მიღებულმა ახალმა კონსტიტუციამ კი გაზარდა გენშტაბის სტატუსი და აამაღლა მისი დამოუკიდებლობის ხარისხი, გამოიყვანა იგი თავდაცვის მინისტრის დაქვემდებარებიდან, როგორც იყო ეს ადნან მენდერესის დროს და დაუქვემდებარა უშუალოდ მთავრობის მეთაურს, პრემიერ-მინისტრს. გენერალური შტაბის უფროსმა ხელისუფლებაში თანამდებობის პირთა იერარქიულ კიბეზე ახლა უკვე მეოთხე ადგილი დაიკავა პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და მეჯლისის თავჯდომარის შემდეგ.[227]

1961 წლის კონსტიტიუციით ასევე ჩამოყალიბდა თურქეთის ეროვნული უშიშროების საბჭო, როგორც მთავრობის საკონსულტაციო ორგანო, რომელშიც მე–3 მუხლის თანახმად შედიოდნენ მთავრობის წამყვანი წევრები და შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობა. აღსანიშნავია, რომ ეროვნული უშიშროების საბჭო ხელს უწყობდა სამხედრო და სამოქალაქო ხელმძღვანელობას შორის კავშირის რეგულირებას, სწორედ აქ ხდებოდა არმიის მხრიდან თავისი პოზიციების გაცხადება ძირითად პოლიტიკურ საკითხებთან მიმართებაში.[228] ამ ნაბიჯით

---

[225] Military interventions in Turkey, https://www.allaboutturkey.com/coup.html , ბოლოს გადამოწმდა: 8. 06.2023

[226] მაკარაძე ე, თურქეთის ისტორია 1918-2018წლები, სალექციო ჩანაწერები, თბილისი, 2019, გვ:128.
[227] Вооруженные силы Турции. Досье, https://tass.ru/info/3459908, ბოლოს გადამოწმდა: 22.04.2023
[228] Шлыков И, Армия в жизни современного турецкого общества, https://tinyurl.com/4ky5brpm, ბოლოს გადამოწმდა: 16.06.2023

კიდევ უფრო გაძლიერდა სახელმწიფო პოლიტიკაზე სამხედროების გავლენა.[229] აქედან მოყოლებული არმია, რეალურად, თითქმის მმართველი პოლიტიკური პარტიის თანაბარი სტატუსით მონაწილეობდა ხელისუფლების საქმიანობაში, თურქეთის დიდ ეროვნულ კრებაში კი აქტიურად საქმიანობდა ეროვნული ერთიანობის კომიტეტი, რომელიც ფაქტობრივად სამხედროთა საპარლამენტო ფრაქციას წარმოადგენდა.[230] ზოგადად სამხედროების ჩარევას ორი მიზანი ჰქონდა: ქვეყანაში ვითარების სტაბილიზაცია და რელიგიური ძალებისათვის წინააღმდეგობის გაწევა.

1961 წლის 4 იანვარს მიღებულ კანონში, რომელიც ცნობილია სახელწოდებით ,,თურქეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შინაგანი სამსახურის წესდება“, დეტალურად იყო საუბარი შეიარაღებული ძალების სამართლებრივი როლისა და მოვალეობების შესახებ. განსაკუთრებით საინტერესო იყო 35-ე მუხლი: ,,თურქეთის შეიარაღებული ძალების მოვალეობაა სამშობლოსა და რესპუბლიკის დაცვა და შენარჩუნება, რაც განსაზღვრულია ასევე ქვეყნის კონსტიტუციით“.[231] სწორედ ამ მუხლის გაფართოებულმა ინტერპრეტაციამ მისცა თურქ სამხედროებს სამხედრო გადატრიალების ან ,,მემორანდუმის“ სახით პოლიტიკაში ჩარევის უფლება.

გარდა ამისა, 1961 წლის კონსტიტუციის თანახმად მიღებული დებულება იძლეოდა ახალი პოლიტიკური პარტიების შექმნის შესაძლებლობას. დაფუძნდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები, რომელთა შორის გამორჩეულად უნდა დავასახელოთ 1961 წლის 11 თებერვალს შექმნილი სამართლიანობის პარტია, ახალი თურქეთის პარტია და გლეხთა ეროვნული რესპუბლიკური პარტია. ეს უკანასკნელი 1959-1960 წლებში დაარსდა ოსმან ბოლუქბაშის ხელმძღვანელობით. 1961 წლიდან, პარტიაში ქამილ ქირიქოღლუს მოსვლის შემდეგ კიდევ უფრო

---

[229] Турецкая модель армеиского участия https://tinyurl.com/4mtccp5m, ბოლოს გადამოწმდა: 11.05.2023

[230] ლებანიძე ტ, თურქეთის პოლიტიკური პარტიების ისტორიული მიმოხილვა (ოსმალეთის იმპერიიდან დღემდე), გამომცემლობა ,,უნივერსალი“, თბილისი, 2011, გვ:64

[231] KANUNLAR, T.G. Resmi Gazete, N: 10703, 10.01.1961, https://www.resmigazete.gov.tr/arsiv/10703.pdf, ბოლოს გადამოწმდა: 9.06.2023, . ასევე Шлыков П, Армия и военная элита в контексте политическои трансформации Турции 2000-х и 2010-х гг, https://studfile.net/preview/16572355/ , ბოლოს გადამოწმა: 15.05.2023

გააქტიურდა ბრძოლა დემოკრატიული პარტიის პოლიტიკურ მემკვიდრედ აღიარებისათვის. რაც შეეხება ახალი თურქეთის პარტიას, იგი ჩამოყალიბდა ექრემ ალიჯანის ლიდერობით, თუმცა პარტიაში აქტიური პარტიული საქმიანობით გამოირჩეოდა დენიზ ბაიქალი.

1961 წელს 70 სენატორის გაყვანით სამართლიანობის პარტიამ, რომლის დაარსებაც დაკავშირებულია რაგიფ გუმუშფალას სახელთან, სენატში უმრავლესობა მოიპოვა, ხოლო 34,7 %-ით და 158 დეპუტატით ეროვნულ კრებაში მეორე პოზიციაზე გავიდა. იმავე წელს სახალხო-რესპუბლიკურ პარტიასა და სამართლიანობის პარტიას შორის ხელი მოეწერა საიდუმლო ოქმს და პოლიტიკურ საქმიანობას შეუდგა კოალიციური მთავრობა ისმით ინონუს მეთაურობით. მომდევნო წელს ხელისუფლებაში მომხდარი ცვლილების გამო სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ ამჯერად გლეხთა ეროვნულ რესპუბლიკურ პარტიასა და ახალი თურქეთის პარტიასთან ერთად ჩამოაყალიბა მთავრობა, მაგრამ ეს კოალიციაც მცირე ხნით იმყოფებოდა ხელისუფლებაში.

1961-1965 წლებში ოთხი კოალიციური მთავრობა შეიცვალა თურქეთში და 1965 წლის 10 ოქტომბრის არჩევნებში სამართლიანობის პარტიამ გაიმარჯვა. მან ხმების 52,9% მიიღო და საკანონმდებლო ორგანოში 240 სადეპუტატო მანდატის მიღება შეძლო, ხოლო სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ 140 საპარლამენტო მანდატი და ამომრჩეველთა ხმების 29 % მიიღო. აქვე უნდა დავასახელოთ თურქეთის მშრომელთა პარტია, რომელმაც შეძლო 3%-ის მოპოვება და არსებული საარჩევნო სისტემის შესაბამისად, 15 დეპუტატით საპარლამენტო საქმიანობას შეუდგა.[232] გუმუშფალას გარდაცვალების შემდეგ (1964) სამართლიანობის პარტიას სათავეში ჩაუდგა სულეიმან დემირელი, რომელსაც დემოკრატიული პარტიის ხელისუფლებაში ყოფნის დროს წყლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის თანამდებობა ეკავა და საფუძველი ჩაუყარა თავის პირველ ერთპარტიულ მთავრობას. ამასთანავე 60-იანი წლებიდან მოყოლებული თურქეთში შეიქმნა სხვადასხვა არალეგალური მემარცხენე მიმართულების ორგანიზაციებიც, ასევე ძლიერდებოდა ქვეყანაში რელიგიური და მემარჯვენე ნაციონალისტური

[232] ლებანიძე ტ, თურქეთის პოლიტიკური პარტიების ისტორიული მიმოხილვა (ოსმალეთის იმპერიიდან დღემდე), გამომცემლობა ,,უნივერსალი“, თბილისი, 2011, გვ: 70

დანაყოფებიც. 1968 წელს ალფარსლან თურქეშის მიერ გლეხთა ეროვნული რესპუბლიკური პარტიის ბაზაზე ჩამოყალიბდა მემარჯვენე რადიკალური დაჯგუფება ულქუჯუების იგივე იდეალისტების სახელწოდებით, რომელსაც 1969 წელს ადანაში მიმდინარე პარტიულ ყრილობაზე ნაციონალისტური მოძრაობის პარტია ეწოდა. მალევე შეიქმნა პარტიის ახალგაზრდული ფრთა რუხი მგლები, რომელთა საქმიანობა მიმართული იყო კომუნიზმის წინააღმდეგ და მიზნად ისახავდა დიდი თურქული სახელმწიფოს შექმნას.[233]

პრემიერ დემირელის მმართველობის წლები ქვეყანაში ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდით ხასიათდებოდა, მაგრამ სამართლიანობის პარტიამ ვერ მოახერხა გამოესწორებინა ქვეყანაში არსებული რთული პოლიტიკური ვითარება და უწესრიგობა: აფეთქებები, ადამიანების გატაცება, ბანკებზე თავდასხმა, ამავდროულად მთავრობა უპირისპირდებოდა მემარცხენე იდეოლოგიისა და რადიკალური გარდაქმნების მომხრე საზოგადოებას და გამოდიოდა დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ, რამაც ხალხის აღშფოთება გამოიწვია და დაიწყო ბრძოლა დემოკრატიული უფლებების დასაცავად. პოლიტიკურ ასპარეზზე ისევ აქტიურად გამოჩნდა თურქული არმია.

1971 წლის 12 მარტს გენერალური შტაბის უფროსმა მემდუჰ თაგმაჩმა მემორანდუმი წარუდგინა პრემიერ-მინისტრს, სადაც მთავრობას ადანაშაულებდა ქვეყნის შიგნით ანარქიის შექმნაში და მოითხოვდა ძლიერი და სანდო მთავრობის ჩამოყალიბებას, რომელიც შთაგონებული იქნებოდა ათათურქის შეხედულებებით. ამავე დროს მემორანდუმში მან პრემიერს შესთავაზა ქვეყანაში შექმნილი ვითარების დარეგულირების გზები, სამშობლოს წინაშე არმიის ვალდებულებებს გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ მზად იყო შეესრულებინა თავისი როლი მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის საქმეში. პრემიერ-მინისტრმა უარი თქვა სამხედროთა მიერ შემოთავაზებული პირობების მიღებაზე და დემირელის მთავრობა გადადგა.[234]

---

[233] იქვე, გვ: 76, ასევე Sivin V, The Real Erdogan, https://tinyurl.com/ypnnm6ve, ბოლოს გადამოწმდა: 6.06.2024

[234] История военных переговоьов в Турции, https://tass.ru/info/3459817, ბოლოს გადამოწმდა: 27.04.2023

ეს იყო ,,გადატრიალება მემორანდუმით“. 1971 წელს ისევ სამხედროების ზეგავლენით განხორციელებული ცვლილებები ითვალისწინებდა აღმასრულებელი ხელისუფლების გაძლიერებას და 1961 წლის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებებისა და თავისუფლებების შეკვეცას.[235]

უნდა აღინიშნოს, რომ გენერლები არ მოქმედებდნენ როგორც ერთიანი ფრონტი: ზოგი თვლიდა, რომ საგანგებო მდგომარეობა უნდა შემოღებულიყო, ზოგი კი მხარს უჭერდა სოციალური რეფორმების გატარებას. საბოლოოდ გამარჯვება პირველმა დაჯგუფებამ მოიპოვა. ამ დაძაბულობის ფონზე 60-იანი წლების მიწურულს თურქეთში იწყება ისლამური მოძრაობის გააქტიურება, რაშიც წამყვანი როლი შეასრულა ნეჯმეთინ ერბაქანმა, რომელმაც 1969 წლის არჩევნებში მოახერხა საპარლამენტო მანდატის მიღება და 1970 წელს საფუძველი ჩაუყარა ეროვნული წესრიგის პარტიას. ეს იყო ისლამური პარტია, რომლის საქმიანობა, ძირითადად, ხასიათდებოდა ფაშიზმის ელემენტებით. აქვე აღვნიშნავთ, რომ სეკულარული თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ისლამური დაჯგუფებები არსებობდა ყველა მმართველი პარტიის პირობებში, მაგრამ ახლა ისლამისტების გამოცოცხლება ოფიციალურად ადასტურებდა მათი არსებობის რეალურობას. თუმცა ეროვნული წესრიგის პარტიამ მალევე შეწყვიტა არსებობა და თავისი საქმიანობა 1972 წლიდან გააგრძელა ეროვნული კეთილდღეობის პარტიის სახელწოდებით.

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სამხედროებმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს, რომელიც 2 წელი გაგრძელდა და ამ ხნის განმავლობაში მათ თავიანთი ქემალისტი მომხრეები დანიშნეს საკვანძო სამთავრობო თანამდებობებზე. მართალია, პარლამენტი არ დაშლილა, მაგრამ მისი მეშვეობით სამხედროებმა მოახერხეს და შეიმუშავეს ისეთი კანონები, რომლებიც აძლიერებდა ცენზურას და კრძალავდა მიტინგებსა და გამოსვლებს. შედეგად კი 1973 წელს ხელისუფლებაში მოვიდა მთავრობა, რომელსაც მთლიანად აკონტროლებდნენ შეიარაღებული ძალები.[236]

---

[235] Данилов В, Политическая борьба в Турции. 50-е начало 80-ч годов XX в, Москва, Наука, 1985, стр : 179-180.

[236] Турецкая модель армеиского участия, https://tinyurl.com/yssxw3nz, ბოლოს გადამოწმდა: 11.05.2023

თურქეთში არასტაბილური მდგომარეობა გაგრძელდა მომდევნო წლების განმავლობაშიც. 1970-იანი წლებში 11-ჯერ შეიცვალა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, ეკონომიკა განაგრძობდა სტაგნაციას და მემარცხენე თუ მემარჯვენე ჯგუფები აგრძელებდნენ შეტაკებებს ქუჩებში, რასაც ათასობით ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა. ასეთ პირობებში არმიამ გადაწყვიტა ჩარევა.

თურქეთის სახელმწიფო გადატრიალების ქრონოლოგიაში კიდევ ერთი თარიღია – 1980 წლის 12 სექტემბერი. ამ პერიოდისათვის საკანონმდებლო ორგანოში განსაკუთრებული გავლენით სარგებლობდა სამართლიანობის პარტია და სახალხო-რესპუბლიკური პარტია, თუმცა მათ შორის არსებულმა სირთულეებმა ხელი შეუშალა კოალიციური მთავრობის შექმნას - მაშინ, როცა მემარჯვენე-ცენტრისტული სამართლიანობის პარტია და მისის ლიდერი სულეიმან დემირელი მემარცხენე სახალხო-რესპუბლიკურ პარტიას კომუნისტებთან თანამშრომლობაში ადანაშაულებდა, ეჯევითი ხმამაღლა საუბრობდა სამართლიანობის პარტიის მიერ ისლამური რელიგიის მხარდაჭერაზე. ამ წინააღმდეგობებმა შესაძლებლობა მისცა ნაციონალური მოძრაობისა და ეროვნული კეთილდღეობის პარტიას საპასუხისმგებლო თანამდებობები დაეკავებინათ მთავრობაში. მათი ხელისუფლებაში მოსვლით პოლიტიკური სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა, ამას დაემატა ეკონომიკური სირთულეები - უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი და ინფლაციის ასევე მზარდი დონე. ძლიერმა სამხედრო გენერალიტეტმა დიდი ხანია შეაჩვია ქვეყანა თავის აქტიურ ჩართულობას მის დემოკრატიულ განვითარებაში, მაგრამ 1980 წელი გამოირჩევა როგორც ერთ-ერთი ყველაზე მძიმე მოვლენა, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა თურქეთის რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

1980 წლის 12 სექტემბრის გადატრიალების შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა სამხედროთა მიერ მართული ეროვნული უშიშროების საბჭო, თურქეთის გენერალური შტაბის შეიარაღებული ძალების უფროსმა გენერალმა ქენან ევრენმა და თურქეთის არმიის კიდევ ოთხმა მეთაურმა გამოაცხადეს თურქეთის

სამოქალაქო მთავრობის გადაყენება.[237] ქვეყანას ფაქტობრივად ეროვნული უშიშროების საბჭო აკონტროლებდა, რომელმაც დაითხოვა მთავრობა და პარლამენტი, აკრძალა პროფკავშირები, შეაჩერა კონსტიტუცია, სიკვდილით დასაჯა, ჩამოახრჩო ან ქვეყნიდან გააძევა ასობით ადამიანი, რადგან ისინი საფრთხეს უქმნიდნენ ქვეყანაში პოლიტიკურ სტაბილურობას.[238] 1982 წელს კი 91,4 %-ის მხარდაჭერით მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო დემოკრატიულ სტანდარტებთან. ჩატარდა ახალი არჩევნები. 1982-1990 წლებში გენერალური შტაბის უფროსი ქენან ევრენი თურქეთის მეშვიდე პრეზიდენტი გახდა, ხოლო ქვეყნის პრემიერ-მინისტრის სავარძელი ბულენთ ულუსუმ დაიკავა.

ამრიგად, 1980 წლის გადატრიალებამ აჩვენა, რომ გენერლებს შეეძლოთ გამოსულიყვნენ ერთიანი ძალით და ასევე შეახსენა სამოქალაქო მთავრობას, რომ არასტაბილურობისა და კრიზისის პერიოდში არმია მაყურებლის როლში არ დარჩებოდა და გადავიდოდა მოქმედებაზე.

1980 წლის გადატრიალება – ეს იყო მესამე შემთხვევა, როცა არმია ღიად ჩაერია თურქეთის პოლიტიკაში. განვითარებულმა მოვლენებმა რადიკალურად შეცვალა მილიონობით ადამიანის ცხოვრება, რომელთაც ახსოვთ ეს წლები სამოქალაქო პირთა მიმართ არასათანადო მოპყრობითა და ადამიანის უფლებების მკაცრი დარღვევით, რაც თან სდევდა მიმდინარე პროცესებს. რაც შეეხება პოლიტიკურ პარტიებს, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არაერთმა პოლიტიკურმა პარტიამ შეწყვიტა არსებობა, მათ შორის ნაციონალური მოძრაობის პარტიამაც, რომელსაც ბრალად ედებოდა აქტიური მონაწილეობა თურქეთში მიმდინარე სამოქალაქო დაპირისპირებაში გასული საუკუნის 70-იან წლებში, პარტიული კადრების დიდმა ნაწილმა ჯერ კონსერვატიულ პარტიაში გააგრძელა საქმიანობა, შემდეგ კი - ეროვნული შრომის პარტიაში, მოხდა მათი ქონების კონფისკაცია, დააპატიმრეს პარტიის ლიდერები და სასამართლო საქმეები აღძრეს

[237] История военных переворотов в Турции, https://tass.ru/info/3459817, ბოლოს გადამოწმდა: 27.04.2023

[238] A bloody September: Turkey marks anniversary of 1980 coup, https://tinyurl.com/jc5vvhsm, ბოლოს გადამოწმდა: 25.05.2023

იმ პოლიტიკოსთა წინააღმდეგ, რომელთა საქმიანობაც ანტიკონსტიტუციურად იქნა მიჩნეული.

როგორც დავინახეთ, თურქეთის რესპუბლიკის დაარსებიდან გაბატონებული სახალხო-რესპუბლიკური პარტიის დიქტატურა მშვიდობიანად ჩაანაცვლა მრავალპარტიულმა სისტემამ. დემოკრატიულმა პარტიამ მოახერხა სახალხო-რესპუბლიკური პარტია ჩამოეშორებინა მისი წარმატებისა და მდგრადობის მთავარი დამცველი სამხედრო ელიტისათვის, თუმცა ვერ შეძლო თავად დაეკავებინა მისი ადგილი, რამაც გენერალიტეტი და შეიარაღბული ძალები ფაქტობრივად უმოქმედოდ დატოვა და, საბოლოო ჯამში, სახელმწიფო ჯერ 1960 წლის სამხედრო გადატრიალებამდე მიიყვანა, ხოლო 1980 წლის გადატრიალებით საფუძველი ჩაუყარა თურქეთის შეიარაღებული ძალების მმართველობას მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე.

1983 წლის მაისში თურქეთში მიღებულ იქნა კანონი პოლიტიკური პარტიების შესახებ, რაც შესაძლებელს ხდიდა ახალი პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებას, თუმცა პოლიტიკოსებს, რომლებიც აქტიურად საქმიანობდნენ 1980 წლამდე, ათი წლით შეუჩერდათ პოლიტიკური მოღვაწეობის უფლება. პოლიტიკური პარტია, რომელიც ამ პერიოდში ჩამოყალიბდა, იყო ნაციონალისტურ-დემოკრატიული პარტია, რომელიც გენერალმა თურგუთ სუნალფიმ დააარსა და და იგი სამხედროთა ინტერესების დამცველი და გამტარებელი იყო.[239] ასევე 1980 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ შეიქმნა ნეჯდეთ ჯალფის ხალხოსნური პარტია, რომელიც ზომიერი მემარცხენე მიმართულების იყო და მისი პროგრამა იმეორებდა სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ძირითად პრინციპებს. ამავე პერიოდში ჩაეყარა საფუძველი თურგუთ ოზალის დედასამშობლოს პარტიას, რომელიც თავის თავს ნაციონალ-კონსერვატიულ პარტიას უწოდებდა. მისი საქმიანობა ოთხ ძირითად პრინციპს ეფუძნებოდა: ნაციონალიზმი, ისლამი, სოციალ-დემოკრატია და ლიბერალიზმი.[240] ახლადშექმნილი თუ უკვე არსებული პარტიების სიმრავლის მიუხედავად, 1983

[239]ლებანიძე ტ, თურქეთის პოლიტიკური პარტიების ისტორიული მიმოხილვა (ოსმალეთის იმპერიიდან დღემდე), გამომცემლობა ,,უნივერსალი“, თბილისი, 2011, გვ: 96
[240] იქვე, გვ:97

წლის ნოემბრის არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა მხოლოდ დასახელებულ სამ პარტიას მიეცა. ამომრჩეველთა ხმების ყველაზე მეტი რაოდენობა, 45%, დედასამშობლოს პარტიამ მიიღო, ნაციონალისტურ-დემოკრატიული პარტია 23%-ით შევიდა ეროვნულ კრებაში, ხოლო ხალხოსნურმა პარტიამ ხმების 30% დააგროვა.[241] ახალი მთავრობა თურგუთ ოზალმა ჩამოაყალიბა და ცდილობდა, ერთი მხრივ, სამხედროებთან საერთო ენა გამოენახა, ხოლო, მეორე მხრივ, საკუთარი გავლენა დაენახვებინა მათთვის. 1987 წელს მან მოახერხა გენერალური შტაბის მეთაურად ნეჯიფ თორუმთაი დაენიშნა, რომელთანაც პრემიერ-მინისტრს უფრო მეტი სიახლოვე აკავშირებდა. ამავე წელს თურქეთში ჩატარდა რეფერენდუმი, სადაც გატანილ იქნა საკითხი პოლიტიკური აკრძალვების მოხსნის შესახებ, რასაც მოსახლეობამ დადებითი პასუხი გასცა. ამას მოჰყვა მემარცხენე და მემარჯვენე პარტიების გააქტიურება თურქეთში. პოლიტიკაში დაბრუნდა სულეიმან დემირელი და მისი ჭეშმარიტი გზის პარტია, რომელმაც ძირითად მიზნად დაისახა დედასამშობლოს პარტიის შევიწროება, რომლის რეიტინგიც, 1987 და 1989 წლის ადგილობრივი არჩევნების შედეგების მიხედვით, საგრძნობლად დაეცა (22 %-მდე).[242] 1991 წელს პარლამენტში ყველაზე მეტი ადგილი მემარჯვენე ჭეშმარიტი გზის პარტიამ მიიღო და ამომრჩეველთა ხმების 27% მოიპოვა, 1987 წელს პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, საკანონმდებლო ორგანოში შესვლისათვის საჭირო 10%-იანი ბარიერის გადალახვა მოახერხა მემარჯვენე დედასამშობლოს პარტიამ, რომელმაც ამომრჩეველთა 24 %-ის მხარდაჭერა მოიპოვა, 20% მიიღო მემარცხენე სოციალ-დემოკრატიულმა ხალხოსნურმა პარტიამ, ისლამური მიმართულების კეთილდღეობის პარტიამ 17 % დააგროვა და მომავალი ბრძოლებისათვის მზადებას შეუდგა.

ერთ-ერთი წარმატებული გადატრიალება, რომელიც მიმართული იყო თურქეთის არჩეული მთავრობის წინააღმდეგ, განხორციელდა 1997 წლის თებერვალში. მდგომარეობის გამწვავება დაიწყო 1991 წლიდან, როცა ხელისუფლებაში მოვიდა ახალი კოალიციური მთავრობა, რომელთა

[241] იქვე
[242] იქვე, გვ 102

შეხედულებებში სერიოზული განსხვავებები იყო ქვეყნის პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით. თანსუ ჩილერმა, რომელიც 1993 წელს პარტიის თავჯდომარედ იქნა არჩეული, კურსი დაზვერვისა და უშიშროების სამსახურთან თანამშრომლობაზე აიღო. შედეგად ქვეყანა კვლავ ჩავარდა პოლიტიკურ კრიზისში. ამავე წელს მიღებულ იქნა კანონი, რომელიც 70-იანი წლების გადატრიალების მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს აძლევდა პარტიული საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობას და ხელახლა ჩამოყალიბებული ნაციონალური მოძრაობის პარტია ისევ გამოჩნდა პოლიტიკურ არენაზე. 1995 წელს პოლიტიკური დაძაბულობის განმუხტვა მოხერხდა არჩევნებში ნეჯმეთინ ერბაქანის ზომიერი ისლამური კეთილდღეობის პარტიის გამარჯვებით.

კეთილდღეობის პარტია ატარებდა წინა მთავრობებისგან განსხვავებულ პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავდა ირანსა და ლიბიასთან დაახლოებას, საერთო ისლამური ბაზრისა და ისლამური საბაჟო კავშირის შექმნას. ამგვარმა განცხადებებმა უკმაყოფილება გამოიწვია არმიის უმაღლეს წრეებში, რომლებიც ხვდებოდნენ, რომ ამ ქვეყნებთან დაახლოება გამოიწვევდა თურქეთის შეიარაღებული ძალების მთავარ პარტნიორთან, შეერთებულ შტატებთან, ურთიერთობების გაუარესებას.

თურქეთში არსებული ვითარების უკეთ გასაგებად საინტერესოა სამხედროების 26 წლის წინანდელი დემარში - 1997 წლის 27 თებერვლის მემორანდუმი, რომელსაც ,,ხავერდოვანი“ სამხედრო გადატრიალება უწოდეს. მაშინ სამხედროები დაჟინებით მოითხოვდნენ ნ. ერბაქანის კოალიციური მთავრობის დაშლას. მემორანდუმის ტექსტში გამოთქმული იყო შეშფოთება თურქული საზოგადოების მიმდინარე ისლამიზაციის გამო, რაც ეწინააღმდეგებოდა ქემალ ათათურქის პრინციპებს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით სამხედროებმა გადაწყვიტეს მოქმედება.

სამხედროების მიერ გამოცემული მთელი რიგი ,,რეკომენდაციები“ მთავრობამ მიიღო, ვინაიდან მას სხვა არჩევანი არ ჰქონდა, პრემიერ-მინისტრი ნეჯმეთინ ერბაქანი დასთანხმდა სავალდებულო რვაწლიან სწავლებას, უნივერსიტეტებში თავსაბურავის აკრძალვას და სხვ. თუმცა ,,პოლიტიკური ისლამის“

დამფუძნებელი ნეჯმეთინ ერბაქანის მთავრობა 1997 წლის 28 თებერვალს, ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომის შემდეგ, იძულებული გახდა გადამდგარიყო.[243] ახალი მთავრობა კი მესუთ ილმაზის მეთაურობით ეროვნული უშიშროების საბჭოსა და სამხედრო ძალების მხარდამჭერი აღმოჩნდა: 1998 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ აკრძალა ერბაქანის კეთილდღეობის პარტია და მას და მის თანამოაზრეებს ხუთი წლით აეკრძალა პოლიტიკური საქმიანობა.[244]

როგორც ვხედავთ, 1997 წელს არმიამ მოახერხა თავიდან აეცილებინა საკუთარი აქტიური ჩარევა პოლიტიკურ პროცესებში და შემოიფარგლა მემორანდუმით, თუმცა მაშინვე ნათელი იყო, რომ თუ ქვეყანაში ისლამური პარტიების აღზევება გაგრძელდებოდა, გენერლები მორიგ გადატრიალებას განახორციელებდნენ ყოველგვარი მემორანდუმის გვერდის ავლით. ამასთან ერთად ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ სირთულეებს კიდევ უფრო ამძაფრებდა მწვავე ეკონომიკური კრიზისები 2000 და 2001 წლებში. შედეგად სათნოების პარტია დაიხურა, თუმცა პარტიის შიგნით არსებულმა დაჯგუფებამ, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ტრადიციების დაცვასა და ერთგულებას, რეჯაი ქუთანის ხელმძღვანელობით ჩამოაყალიბა ბედნიერების პარტია, ხოლო კეთილდღეობის პარტიისა და სათნოების პარტიის მემკვიდრედ მოგვევლინა ზომიერი ისლამური სამართლიანობისა და აღორძინების პარტია სტამბოლის მაშინდელი მერისა და თურქეთის მომავალი პრემიერ-მინისტრის რეჯეფ ტაიპ ერდოღანის მეთაურობით, რომელიც ისლამური შინაარსის ლექსის საჯაროდ წაკითხვისთვის გაასამართლეს და ჩამოართვეს პოლიტიკური საქმიანობის უფლება.[245] 2002 წლის 3 ნოემბერს გამართულ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებში მან 363 მანდატითა და ამომრჩეველთა ხმების 34,45 %-ით გამარჯვება მოიპოვა.[246] აქვე აღვნიშნავთ, რომ 19 პოლიტიკური პარტიიდან, რომლებიც არჩევნებში იყვნენ ჩართულნი,

---

[243] Волович А, Очередной мятеж в Турции: причины, хроника и вероятные последствия, https://tinyurl.com/mryn3jc3, ბოლოს გადამოწმდა: 25.04.2023

[244] Kinzer S, Turkish Court to Rule on Future of Former Premiers Islamic Party, https://tinyurl.com/bdjfakyd, ბოლოს გადამოწმდა: 8.06.2023

[245] Аватков В, Сбитнева А, Партийная система и политические партии Турецкой Республики, https://tinyurl.com/42sz5tjp , ბოლოს გადამოწმდა: 20.07.2023

[246] Партия справедливости и развития Турции, https://ria.ru/20150607/1068334449.html, ბოლოს გადამოწმდა: 6.06.2023

10%-იანი საარჩევნო ბარიერი დაძლია სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ და 178 დეპუტატითა და ხმების 19,71 %-ით პარლამენტში შევიდა, ხოლო სხვა პარტიები, ,,ჭეშმარიტი გზის პარტია" (9,56%) და ,,დედასამშობლოს პარტია" (5,12%) თანსუ ჩილერისა და მესუთ ილმაზის ხელმძღვანელობით, პარლამენტს მიღმა დარჩნენ. ასევე მარცხი განიცადა ნაციონალური მოძრაობის პარტიამაც.[247] ხელისუფლებაში მოსვლისთანავე სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ დაიწყო მოსახლეობისათვის მიცემული დაპირებების შესრულება და მიუხედავად იმისა, რომ სეკულარიზმის დამცველი და ერთგული ძალები, ოპოზიციური პარტიები და სამხედროები, მძაფრად აკრიტიკებდნენ და ეწინააღმდეგებოდნენ ერდოღანის პოლიტიკურ კურსს, თურქეთის ქარიზმატული ლიდერი აქტიურობით გამოირჩეოდა ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი, თუმცა საკამათო გადაწყვეტილებების მიღებაში.[248]

მმართველი პარტიის მიერ გატარებული რეფორმები იწვევდა განსაკუთრებით მწვავე დაპირისპირებას შეიარაღებულ ძალებთან. თურქული არმია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყოველთვის მოქმედებდა, როგორც სეკულარული თურქული სახელმწიფოს დაცვისა და განვითარების გარანტი. არმიისადმი, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტისადმი, ასეთი მაღალი ნდობა მსოფლიოში ძნელი საპოვნელია.

2003 წლის მარტიდან რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა დაიკავა. წლების განმავლობაში გამორჩეული ლიდერი რეფორმისტი პრემიერ-მინისტრიდან ავტოკრატიულ პრეზიდენტად ჩამოყალიბდა. მან თურქეთი სეკულარული დემოკრატიიდან მდიდარ რეგიონულ ძალად აქცია და გადადგა გარკვეული ნაბიჯები ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში სამხედროთა ჩარევის შესამცირებლად. სწორედ ერდოღანის მთავრობის დროს მოხდა სამხედრო გადატრიალების განეიტრალება 2003 წელს, მაშინ 300-მდე უფროს ოფიცერს მიესაჯა სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთა, ასევე 2004

---

[247] მაკარაძე ე, თურქეთის ისტორია 1918-2018 წლები, სალექციო ჩანაწერები , თბილისი, 2019 , გვ: 231-235

[248] Turks elect ex-Islamist president, http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/6966216.stm, ბოლოს გადამოწმდა: 13.06.2023

წელს განიცადეს თურქეთის შეიარაღებულმა ძალებმა მნიშვნელოვანი მარცხი. ამჯერადაც კვიპროსში სამხედროების მოქმედებამ სამართლიანობისა და განვითარების პარტიის წინააღმდეგ დიდი ზიანი მიაყენა მმართველი ძალის ინტერესებს.

მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, რომ ქვეყნის გამორჩეულ ლიდერს საჭიროების შემთხვევაში გარკვეულ კომპრომისზე წასვლაც შეეძლო – 2009 წელს ,,ქურთული სეპარატიზმის“ ჩასახშობად რ. ერდოღანი იძულებული გახდა ტაქტიკური სიტუაციური ალიანსი დაემყარებინა მძლავრ ,,არმიის ელიტასთან“ და დროებით უარი ეთქვა თურქეთის პოლიტიკური ცხოვრებიდან არმიის განდევნის ძველ კურსზე.[249] მმართველი პარტიის თანმიმდევრული პოლიტიკა თავის გავლენას ახდენდა არჩევნების შედეგებზე - 2011 წლის საპარლამენტო არჩევნებში ბარიერი გადალახა და პარლამენტში შევიდა ნაციონალური მოძრაობის პარტია (13,04% და 53 დეპუტატი) და სახალხო-რესპუბლიკური პარტია (25,98% და 135 დეპუტატი), ხოლო საარჩევნო ხმების 49,85% მიიღო სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ და 327 დეპუტატით უმრავლესობა მოიპოვა საკანონმდელო ორგანოში.[250]

ფარული თუ ღია დაპირისპირება გენერალიტეტსა და თურქეთის მთავრობას შორის პრაქტიკულად შესამჩნევი იყო მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, როცა ერდოღანს პრემიერ-მინისტრის თანამდებობა ეკავა და გაგრძელდა და კიდევ უფრო ფართო ხასიათი მიიღო ამ დაძაბულობამ მისი პრეზიდენტობის დროსაც. ურთიერთობის გამწვავება მოჰყვა ხელისუფლების გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც ნებადართულად გამოცხადდა ისლამური თავსაბურავისა და ტანსაცმლის ტარება, გარდა ამისა, მას შემდეგ, რაც თურქეთის გენერალურმა პროკურორმა და სამხედროებმა 2007 წელს მმართველი პარტიის ისლამური კურსის გამო სამართლიანობისა და განვითარების პარტიის აკრძალვა სცადეს, ერდოღანი ღია შეტევაზე გადავიდა გენერლების წინააღმდეგ - მის მიერ

[249] Волович А, Очереднои мятеж в Турции: причины, хроника и вероятные последствия. https://tinyurl.com/mryn3jc3, ბოლოს გადამოწმდა: 25.04.2023

[250] Харитонова О, Кризисная эволюция Турецкои политическои системы, ,,Полития“, N3 (90), 2018, стр:187

მიღებული კანონის შესაბამისად, თურქეთის არმიის სამხედრო პერსონალის სისხლის სამართლის საქმეები სამოქალაქო სასამართლოს უნდა განეხილა. ამ გადაწყვეტილებით პრეზიდენტმა გააძლიერა სამოქალაქო ხელისუფლების კონტროლი არმიაზე.[251]

თურქეთისა და მისი შეიარაღებული ძალების ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ერგენეკონის ორგანიზაციის ისტორიას, რომელიც აერთიანებდა თურქეთის მაღალჩინოსნებს და ბრალი ედებოდა რეჯეფ ტაიპ ერდოღანის მთავრობის დამხობის მიზნით სამხედრო გადატრიალების მომზადებაში.[252]

2007 წელს სტამბოლის ერთ-ერთ უბანში ჩატარდა ჩხრეკა, რის შედეგადაც ქალაქში იპოვეს იარაღის უამრავი მარაგი, რომლის გამოყენებაც ნებისმიერ მომენტში შეიძლებოდა. გამოძიების შედეგად 300-მდე ადამიანი დააკავეს.[253] ამით სერიოზული ზიანი მიადგა თურქეთის არმიის ავტორიტეტს, გარდა ამისა, მთავრობამ ეს გამოიყენა საბაბად იმისათვის, რომ შეეზღუდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე სამხედროების გავლენა. სასამართლო პროცესის შედეგად თურქეთის შეიარაღებულმა ძალებმა დაკარგეს მნიშვნელოვანი კადრები, რომელთაც შეეძლოთ პოლიტიკურ პროცესებში აქტიური ჩარევა, სხვადასხვა მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დაინიშნა პრეზიდენტისა და მთავრობის ერთგული ადამიანები, სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მიერ მიღწეული წარმატებების მიუხედავად, მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, რომ სამხედროებს ჯერ კიდევ არ უთქვამთ ბოლო სიტყვა. ლაიცისტურად მოაზროვნე ძალებმა ბრძოლა გააგრძელეს, 2008 წელს მმართველი პარტიის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს და მისი დახურვა მოითხოვეს. აღნიშნული საქმე საკონსტიტუციო სასამართლომ სახელისუფლებო პარტიის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

---

[251] ბოკუჩავა თ, სეკულარიზმიდან პოლიტიკურ ისლამამდე, https://tinyurl.com/2yswjsj4, ბოლოს გადამოწმდა:19.03.2022

[252] Ergenekon has links to security and judiciary bodies, https://tinyurl.com/49663tzd, ბოლოს გადამოწმდა: 19.04.2023

[253] Jenkins H, Between Fact and Fantasy: Turkeys Ergenekon Investigation, https://tinyurl.com/4smyjpbu, , ბოლოს გადამოწმდა: 6.06.2024

2008-2011 წლებში საგრძნობლად გაიზარდა სამართლიანობისა და განვითარების პარტიის რეიტინგი ქვეყანაში. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ, ერთი მხრივ, შემცირდა უმუშევრობა, ხოლო, მეორე მხრივ, ხელისუფლებამ მოახერხა მნიშვნელოვნად გაეზარდა თავისი გავლენა შეიარაღებულ ძალებზე. 2011 წელს დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს თურქეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მეთაური, აგრეთვე ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელი პირები, ხოლო მომდევნო წლიდან გენერლებისა და ადმირალების მნიშვნელოვანი ნაწილი ციხეებში გამოკეტეს სახელმწიფო გადატრიალებაში მონაწილეობის ბრალდებით.[254]

ძალაუფლების კონცენტრაცია ერდოღანის ხელში დააჩქარა იმ გარემოებამ, რომ მისი პრემიერობის მეორე ვადის განმავლობაში, 2007 წლიდან 2011 წლამდე, AKP-მ თანდათან გაასუფთავა სახელმწიფო აპარატი წინა რეჟიმის თითქმის ყველა ,,ნარჩენებისგან“.[255] მან წარსული არ დაივიწყა და 2012 წელს, პრემიერ-მინისტრად ყოფნის დროს, სარჩელი შეიტანა ,,ხავერდოვანი“ სამხედრო გადატრიალების ორგანიზატორთა წინააღმდეგ. გენერალური შტაბის უფროსის მაშინდელ მოადგილეს, გენერალ ჩევიკ ბირს და 30-მდე პენსიაზე გასულ სამხედროს მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა.[256] არმიის პოზიციების შესუსტებას ხელი შეუწყო 2013 წელს თურქეთის შეიარაღებული ძალების წესდებიდან 35-ე მუხლის ამოღებამ, რომელიც სამხედროებს აძლევდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში სხვადასხვა ფორმით (სამხედრო გადატრიალება, გადატრიალება ,,მემორანდუმით” და ა. შ.) ჩარევის უფლებას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 2013 წელი არის ერთგვარი შემობრუნების დასაწყისი მმართველი პარტიის საქმიანობაში. განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ უფრო აშკარა გახადა ერდოღანისა და მმართველი პარტიის მცოცავი ავტორიტარიზმი, გარდა იმისა, რომ ხელისუფლებამ მოაწყო პარკში გამართული მშვიდობიანი

---

[254] Шлыков П, Военныи переворот наоборот: отставка высшего командования Вооруженных сил Турции,

[255] Jenkins H, Between a Rock and a Hard Place: Turkeys Internal Power Struggle, https://tinyurl.com/yfta4m4j . ბოლოს გადამოწმდა: 6.06.2024

[256] Колесников А, Попытка переворота в Турции, https://tinyurl.com/bdswyrpz, ბოლოს გადამოწმდა: 9.05. 2023

აქციის დარბევა, ისლამურ იდეოლოგიაზე დაფუძნებულმა მმართველმა პარტიამ და მთავრობამ მიიღო კანონები, რომლებიც წარმოადგენდა მუსტაფა ქემალის მიერ დაარსებული სეკულარული სახელმწიფოს კურსიდან გადახვევას.[257] 2015 წლის 7 ივნისს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ დაკარგა უმრავლესობა პარლამენტში, რომელსაც 13 წლის განმავლობაში ინარჩუნებდა და 550 ადგილიდან 256 მანდატი მიიღო, სახალხო-რესპუბლიკური პარტია 132 მანდატით შევიდა პარლამენტში, ნაციონალური მოძრაობის პარტიამ 82 მანდატი მოიპოვა, ხოლო სახალხო-დემოკრატიული პარტია 80 ადგილით იქნა წარმოდგენილი თურქეთის საკანონმდებლო ორგანოში. მმართველი პარტიის მარცხი რამდენიმე მიზეზით იყო გამოწვეული: კორუფციული სკანდალები, რომლებშიც ძირითადად ძალოვანი მინისტრების ოჯახის წევრები და გავლენიანი პოლიტიკოსები ფიგურირებდნენ, ძირს უთხრიდა პარტიის რეიტინგს. ამას ზედ დაემატა ,,ერმენექის“ და ,,სომას“ მაღაროებში დატრიალებული ტრაგიკული შემთხვევები.[258]

როგორც შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, არჩევნებში განცდილი მარცხი სრულებითაც არ ნიშნავდა ძალაუფლების დაკარგვას და რადგანაც არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ მთავრობის მეთაურმა აჰმედ დავუთოღლუმ ვერ მოახერხა რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან გაერთიანება და კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება, პრეზიდენტმა მთავრობის დათხოვნისა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების გადაწყვეტილება მიიღო. ერდოღანმა მობილიზება გაუკეთა მის ხელთ არსებულ ყველა რესურსს, რათა 2015 წლის 1 ნოემბრის რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებში წარმატებისათვის მიეღწია და 49,4%-ით დაკარგული უმრავლესობა დაიბრუნა მეჯლისში. მეორე ადგილზე გავიდა ოპოზიციური სახალხო-რესპუბლიკური პარტია 25, 4%-ით, დანარჩენი მანდატები ნაციონალისტურმა და პროქურთულმა პარტიებმა გაინაწილეს.[259]

---

[257] Шлыков П, Парадоксы политического развития Турции под властью Партии справедливости и развития , https://tinyurl.com/mssd5r7j, ბოლოს გადამოწმდა: 14.05.2023

[258] მაკარაძე ე, თურქეთის ისტორია 1918-2018 წლები, სალექციო ჩანაწერები , თბილისი, 2019 , გვ: 265

[259] იქვე, გვ: 266

თუმცა თურქეთის არმია ასე მარტივად არ აპირებდა პოზიციების დათმობას. 2016 წლის 15-16 ივლისის ღამეს თურქეთში სამხედრო გადატრიალების მცდელობას ჰქონდა ადგილი. გადატრიალების მიზეზი სხვადასხვა იყო: პრეზიდენტ ერდოღანისა და მმართველი პარტიის მიერ არმიის განდევნა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებიდან, ისლამისტების პოზიციების გაძლიერება, ჯარში მოსალოდნელი ,,წმენდის" შესახებ გავრცელებული ინფორმაცია, ქურთების საკითხი და სხვ.[260]

გადატრიალების პირველ ეტაპზე სამხედროებმა წარმატებით მოახერხეს კომუნიკაციების განეიტრალება - მოახდინეს აეროპორტის დაკავება, სტამბოლისა და ანკარის გათიშვა, სამთავრობო შენობების კონტროლზე აყვანა, თუმცა მოგვიანებით მმართველმა პარტიამ შეძლო მოწინააღმდეგის განეიტრალება და გადატრიალება სამხედროებისათვის წარუმატებლად დასრულდა.[261] სამხედრო გადატრიალების მცდელობას 300-მდე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, მოჰყვა დაპატიმრებები, დაახლოებით 150 000 ადამიანი დააკავეს, მათ შორის მინიმუმ 10 000 ჯარისკაცი, სამსახურებიდან გაათავისუფლეს დაახლოებით 40 000-მდე საჯარო მოხელე, რომლებსაც ბრალად ედებოდათ გადატრიალებასთან კავშირი, მათ რიცხვში შედიოდა 8 000 პოლიციელი და 2 745 მოსამართლე, დაკავებულთა შორის იყვნენ: ცნობილი თურქი გენერლები: ადემ ჰუდუტი (მე-2 არმიის მეთაური), ერდალ ოზთურქი (მე-3 არმიის ხელმძღვანელი), ასევე აკინ ოზთურქი, რომელსაც ადრე საჰაერო ძალების ხელმძღვანელის თანამდებობა ეკავა და სხვ.[262]

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის თურქეთში ადგილი ჰქონდა არა მარტო პოლიტიკურ კრიზისს, არამედ ქვეყანა მწვავე ეკონომიკური პრობლემების წინაშეც იდგა. ასეთ ვითარებაში პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიპ ერდოღანმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები და, კონსტიტუციური აკრძალვის მიუხედავად, ერთპიროვნული მმართველი გახდა. მმართველ პარტიას

---

[260] Турецкая модель армеиского участия, https://tinyurl.com/mte8hdj4, ბოლოს გადამოწმდა: 11.05.2023

[261] Cunningham E, Sly L, Turkey rounds up thousands of suspected participants in coup attempt, https://tinyurl.com/8k7tmeb3, ბოლოს გადამოწმდა: 28.05.2023

[262]Turkish soldiers walk with hands up, https://tinyurl.com/33zte9em, ბოლოს გადამოწმდა: 11.06.2023, ასევე Turkey: Crowds attack troops after coup attempt, https://tinyurl.com/y9uz4djj, ბოლოს გადამოწმდა: 6.06.2024

მხარი დაუჭირა ოპოზიციამაც, მსოფლიოს წამყვანმა ქვეყნებმა და ანგარიშგასაწევმა საერთაშორისო ორგანიზაციებმაც თურქეთის პრეზიდენტს გამოუცხადეს თანადგომა.

პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიპ ერდოღანმა სამხედრო გადატრიალებასთან კავშირში დაადანაშაულა 1999 წლიდან აშშ-ს პენსილვანიის შტატში მცხოვრები 75 წლის იმამ ჰოჯა ფეთჰულა გიულენის ორგანიზაცია FETO და ჰიზმეთის მოძრაობა, რომელსაც თავად ხელმძღვანელობდა თურქი რელიგიური ლიდერი და ისინი ტერორისტებად გამოაცხადა. ამ უკანასკნელმა კატეგორიულად უარყო ეს ბრალდება და თავად დასდო ბრალი თურქეთის პრეზიდენტს გადატრიალების მოწყობაში, თუმცა ბრალდების დამადასტურებელი დოკუმენტები არ წარმოუდგენია.[263]

დღეს ძნელია ამ მოსაზრების მიღებაც და უარყოფაც, ფაქტია, რომ გადატრიალების მცდელობამ დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ეკონომიკასა და ქვეყნის მომავალზე, შვიდი წლის შემდეგაც კი არსებობს კითხვები, რომლებზეც პასუხი ჯერ არ გაცემულა, ეს კი აუცილებელია. რადგანაც მხოლოდ იმ დღეებში მომხდარ მოვლენებში გარკვევა გახდის შესაძლებელს, რომ თურქეთმა არსებობა გააგრძელოს, როგორც სახელმწიფომ, რომელსაც აქვს კონსტიტუცია, სადაც იცავენ ადამიანთა უფლებებს, ანგარიშს უწევენ ეროვნული უმცირესობების აზრს, სადაც არსებობს გამოხატვის, რელიგიისა და სინდისის თავისუფლება.[264]

გადატრიალების დროს დაიბომბა ქალაქი ანკარა და თურქეთის პარლამენტის შენობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდი იყო დაღუპულთთა რიცხვი, დააპატიმრეს ან სამსახურიდან გაათავისუფლეს ათასობით სამხედრო და საჯარო მოსამსახურე, ძირითადად მოსამართლეები, სამხედრო პირები და პოლიციელები და დაპატიმრებების ეს სერია განხორციელდა მოვლენების დაწყებიდან პირველი

---

[263] Дзжавади А, Что это было? 4 неудобных вопроса про попытку госпереворота в Турции, https://tinyurl.com/j8pkc69m, ბოლოს გადამოწმდა: 13.04.2023

[264] Асалыоглу А, Без правды о попытке переворота 15. 07 .2016 года у Турции нет будущего, https://regnum.ru/article/3011170, ბოლოს გადამოწმდა: 20. 07.2023, ასევე Four years on, key questions about Turkeys July 15 coup attempt remain unanswered, https://tinyurl.com/2s3z9434, ბოლოს გადამოწმდა: 5.06.2024

24 საათის განმავლობაში.[265] თუმცა გრძელდებოდა შემდეგაც. მართალია, გადატრიალების მცდელობა ჩაიშალა, მაგრამ ის, თუ როგორ განვითარდა მოვლენები, როგორ მოიქცნენ სამხედროები და ვის და რა ბრალი შეუფარდა ხელისუფლებამ შეთქმულების ორგანიზებაში, უკვე იწვევს ექსპერტებში ეჭვებს, რომ მიმდინარე მოვლენები სწორედ თურქეთის მოქმედი მთავრობის მიერ იყო ინსპირირებული:

- თურქეთის ლიდერი რეჯეფ ტაიპ ერდოღანი საკურორტო ქალაქ მარმარისის სასტუმროში იმყოფებოდა ქვეყანაში სამხედრო გადატრიალების მცდელობის დროს და მან სამხედროების მოსვლამდე რამდენიმე წუთით ადრე დატოვა სასტუმრო.
- ამბოხებულებს, რომლებიც თურქეთში სახელმწიფო გადატრიალების განხორციელებას ცდილობდნენ, შესაძლებლობა ჰქონდათ ჩამოეგდოთ ერდოღანის თვითმფრინავი, რომელიც მარმარისიდან სტამბოლში გადაადგილდებოდა, სამხედროების ორი თვითმფრინავი (F-16) პრეზიდენტის თვითმფინავს გვერდით მისდევდა, მაგრამ მფრინავებმა მას ცეცხლი არ გაუხსნეს.
- აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქუჩაში გამოვიდნენ პრეზიდენტის მხარდამჭერები, რომლებიც კარგად იყვნენ მომზადებულნი, ასევე მომხრეთა შორის თვალშისაცემი იყო მამაკაცთა სიმრავლე.
- პრეზიდენტის სასახლის აღება ანკარაში ამბოხებულმა სამხედროებმა მხოლოდ თექვსმეტ ჯარისკაცს დაავალეს.
- ქვეყანაში არ შეწყვეტილა ტელე და რადიო მაუწყებლობა და მიმდინარეობდა სამხედრო გადატრიალების მცდელობის ტრანსლაცია პირდაპირი ეთერით.

იმ პერიოდში განვითარებული მოვლენები გვაფიქრებინებს. რომ 2016 წლის ივლისის გადატრიალება შესაძლოა თურქეთის მოქმედი მთავრობის მიერ ყოფილიყო დაგეგმილი, რასაც შედეგად ერდოღანის ხელისუფლების გაძლიერება უნდა მოჰყოლოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იყო სამხედროების მხრიდან

[265] იქვე.

არაორგანიზებულად განხორციელებული და მოუწესრიგებელი სამხედრო გადატრიალების მცდელობა, რომელმაც დააზიანა ქვეყანა, როგორც საშინაო, ისე საგარეოპოლიტიკურ ასპარეზზე.

იმის მიუხედავად, დამტკიცდება თუ არა ფეთხულა გიულენის კავშირი გადატრიალების მცდელობასთან, 15-16 ივლისის მოვლენებმა თურქეთის ხელისუფლებას შესანიშნავი შესაძლებლობა მისცა გაენადგურებინა გიულენის მოძრაობა და თავიდან მოეშორებინა გიულენის მხრდამჭერები პოლიციასა და არმიაში. თანამედროვე თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მმართველმა პარტიამ ფაქტობრივად წარმოუდგენელი რამ შეძლო - პოლიტიკური ზერკეტი და ძალა გამოაცალა სამხედრო ელიტას და თურქეთის გენერალიტეტის დამორჩილებით კიდევ უფრო გააძლიერა სახელმწიფო აპარატი. თუმცა ფაქტი ერთია - ვერც ავტორიტარიზმი და ვერც სამხედრო გადატრიალებები ვერ უზრუნველყოფს თუ რქეთის რესპუბლიკაში დემოკრატიული კულტურის გაღრმავებასა და იმ ანგარიშვალდებულებების პირნათლად შესრულებას, რომელიც გააჩნია ხელისუფლებას საკუთარი ხალხისადმი.

როგორც აღმოსავლეთმცოდნე სანდრო ბაკურაძე გვიყვება, 2018 წლის ვადამდელ საყოველთაო არჩევნებში თურქეთში ხუთი მძლავრი საპარლამენტო პარტია მონაწილეობდა: სახელისუფლებო სამართლიანობისა და განვითარების პარტია, რომელსაც ახალგაზრდა თურქოლოგი ისლამისტური ფესვებიდან აღმოცენებულ მემარჯვენე პოპულისტურ პარტიას უწოდებს; სახალხო-რესპუბლიკური პარტია, რომელიც ბულენთ ეჯევითსა და დენიზ ბაიქალს შორის მწვავე კონკურენციის საფუძველზე ხელმეორედ დააარსდა 1993 წელს; ნაციონალური მოძრაობის პარტია, კარგი პარტია და ბედნიერების პარტია.[266] არჩევნებში გაიმარჯვა ,,სახალხო ალიანსმა“- სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ ხმების 42,56 პროცენტი მიიღო, ხოლო ნაციონალური მოძრაობის პარტიამ - 11,10 პროცენტი და ორივე პარტიამ ამომრჩეველთა ხმების 53,66 პროცენტით სახელისუფლებო

[266] ბაკურაძე ს, თურქული პოლიტიკური პარტიები და მათი ამომრჩეველი, https://tinyurl.com/n2xs6xra , ბოლოს გადამოწმდა: 16. 03. 2023

ალიანსი ჩამოაყალიბა, ხოლო ოპოზიციურ ბლოკში გაერთიანდა: სახალხო-რესპუბლიკური პარტია, კარგი პარტია და სახალხო დემოკრატიული პარტია.[267]

2022 წლის მონაცემებით თურქეთის პარლამენტში 600 ადგილიდან 581 ადგილი დაიკავა 14 პარტიამ. მათ შორის, ზემოთ ჩამოთვლილთა გარდა, შედიოდა თურქეთის მუშათა პარტია, დემოკრატიული პარტია, სამშობლოს პარტია, დიდი კავშირის პარტია, დემოკრატიისა და გარღვევის პარტია, ასევე დემოკრატიული რეგიონების პარტია, ბედნიერების პარტია, ინოვაციების პარტია და გამარჯვების პარტია. [268]

2023 წელი მნიშვნელოვანი წელი აღმოჩნდა თურქეთისათვის და იქ მოქმედი პოლიტიკური პარტიებისათვის. ამ პერიოდისათვის ქვეყანაში 122 პოლიტიკური პარტია არსებობდა. ამავე წლის 31 მარტსა და ივნისში გამართულ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ორივე ტურში ოპოზიციამ ისტორიული გამარჯვებით გააოცა ერდოღანი, რომელიც იმედოვნებდა, რომ დაიბრუნებდა სტამბოლს - ქალაქს, სადაც ის გაიზარდა და გახდა ქალაქის მერი. ბატონმა ეროღანმა კარგად იცის, რომ მრავალმილიონიანი სტამბოლის გაკონტროლებით იგი შეძლებს გააკონტროლოს თურქეთის ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი ვაჭრობის, ტურიზმისა და ფინანსების ჩათვლით,[269] მაგრამ ექრემ იმამოღლუმ, რომელმაც ქალაქი პირველად 2019 წელს მოიგო, ამჯერად ხმების 50%-ზე მეტი მიიღო და მილიონზე მეტი ხმით უკან ჩამოიტოვა ერდოღანის კანდიდატი მურათ ქურამი (გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი).[270] 21 წლიანი მმართველობის განმავლობაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ისლამურ-კონსერვატიულმა სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები წააგო ქვეყნის მასშტაბით თითქმის ყველა დიდ ქალაქში: სტამბოლში, დედაქალაქ ანკარაში, იზმირში, ქვეყნის სიდიდით მეოთხე

---

[267] Аватков В, Сбитнева А, Партииная система и политические партии Турецкои Республики, https://tinyurl.com/3hhwsm7a, ბოლოს გადამოწმდა: 20.07.2023

[268] იქვე

[269] Turkish vote: Battle to run Istanbul becomes key to country's future, https://tinyurl.com/mrxfs89f, ,ბოლოს გადამოწმდა: 4.06.2024

[270] თურქეთში ოპოზიციამ ადგილობრივ არჩევნებში თავი გამარჯვებულად გამოაცხადა, https://www.radiotavisupleba.ge/a/32885410.html , ბოლოს გადამოწმდა: 3.06.2024

ქალაქ ბურსაში, ადანასა და ანტალიაში.[271] 70 წლის პრეზიდენტი, რომელმაც აღიარა, რომ არჩევნები ისე არ ჩატარებულა, როგორც ის იმედოვნებდა, ანკარელ მხარდამჭერებს დაჰპირდა, რომ ,,ეს იქნება ჩვენთვის არა დასასრული, არამედ გარდამტეხი მომენტი“.[272] მართალია, თურქეთში საპრეზიდენტო მმართველობა დამკვიდრდა და პრეზიდენტმა ფართო უფლებამოსილება მოიპოვა, მაგრამ, როგორც ჩანს, ქალაქებში უშუალოდ არჩეული მერები ჯერ კიდევ სარგებლობენ დიდი გავლენით. აქვე აღვნიშნავთ, რომ სტამბოლისა და ანკარის მოქმედი მერები ექრემ იმამოღლუ და მანსურ იავაში, განიხილება როგორც პოტენციური კანდიდატები 2028 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. პოლიტოლოგმა ბერკ ესენმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ოპოზიციური მემარცხენე-ცენტრისტული სახალხო-რესპუბლიკური პარტიის გამარჯვება ასე შეაფასა: ,,ეს იყო ერდოღანის კარიერაში ყველაზე დიდ არჩევნებში დამარცხება“.[273] ოპოზიციამ თურქეთის დიდ ქალაქებში გამარჯვებით შეძლო მოეხდინა ძალის მნიშვნელოვანი დემონსტრირება მმართველი პარტიის წინააღმდეგ.

მსოფლიო დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ასევე 2023 წლის 14 მაისის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებს. 87 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებმა აირჩიეს თურქეთის დიდი ეროვნული ასამბლეის 600 წევრი ხუთწლიანი ვადით და მუშაობას შეუდგა ქვეყნის 28-ე პარლამენტი. საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება მმართველმა სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ (AKP) მოიპოვა და 266 მანდატი მიიღო, მთავარი ოპოზიციური ძალა-სახალხო რესპუბლიკური პარტია (GHP) 169 დეპუტატით შევიდა მეჯლისში, მემარცხენე პრო-ქურთული პარტია (YSP) 62 მანდატით მესამე ადგილზე გავიდა, პარლამენტში შევიდა ნაციონალისტური მოძრაობის პარტია (MHP) 50 სადეპუტატო მანდატით, ოპოზიციური კარგი პარტია (İYİ) კი ქვეყნის

---

[271] Kirby P, Turkish local elections: Oppozition stuns Erdogan with historic victory, https://www.bbc.com/news/world-europe-68704375 , ბოლოს გადამოწმდა: 3.06.2024

[272] იქვე

[273] იქვე

საკანონმდებლო ორგანოში 44 დეპუტატით იქნა წარმოდგენილი.[274] შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მართალია, უმრავლესობა კვლავ მმართველმა ალიანსმა მოიპოვა, თუმცა ოპოზიციამ წინა საპარლამენტო არჩევნების შედეგი საგრძნობლად გააუმჯობესა: სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ 35 მანდატით მეტი ადგილი მიიღო მეჯლისში, კარგი პარტია 8-ით მეტი დეპუტატით შევიდა ახალ საკანონმდებლო ორგანოში, პრო-ქურთული პარტიის დეპუტატთა რაოდენობა კი 6 მანდატით გაიზარდა.[275]

ამ შემთხვევაშიც საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიები გაერთიანებულნი იყვნენ ორ კოალიციაში: ,,სახალხო ალიანსსა“ და ,,ეროვნულ ალიანსში“. სახელისუფლებო ,,სახალხო ალიანსი“ წარმოდგენილია შემდეგი პარტიების სახით: სამართლიანობისა და განვითარების პარტია, ნაციონალისტური მოძრაობის პარტია, დიდი ერთიანობის პარტია და ახალი კეთილდღეობის პარტია. ალიანსმა 2023 წლის 14 მაისის საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების 49, 31 % მიიღო, ოპოზიციური ,,ეროვნული ალიანსი“ აერთიანებს ექვს ოპოზიციურ პარტიას: სახალხო-რესპუბლიკური პარტია, კარგი პარტია, დემოკრატიისა და პროგრესის პარტია, მომავლის პარტია, ბედნიერების პარტია და დემოკრატიული პარტია. ალიანსმა ხმების 35, 13 % მოიპოვა. [276]

დღეს თურქეთის ხელისუფლებაში წამყვან ძალას სამართლიანობისა და განვითარების პარტია წარმოადგენს. პარტიის შტაბ-ბინა მდებარეობს ანკარაში, მაგრამ მისი წარმომადგენლობები მთელი ქვეყნის ტერიტორიაზეა მიმოფანტული. გარდა ამისა, მას აქვს ახალგაზრდული ფილიალები და საკუთარი ბეჭდური გამოცემა ე.წ. ,,თურქეთის ბიულეტენი“.

წლების განმავლობაში მმართველ პარტიასთან ოპოზიციაში იმყოფებოდა ნაციონალისტური მოძრაობის პარტია. რომელიც ახლა ,,სახალხო ალიანსის“ წევრი პარტიაა. იგი პოლიტიკურ საქმიანობას ეწევა 1969 წლიდან და არის

---

[274] არჩევნები თურქეთში: რა უნდა ვიცოდეთ? https://civil.ge/ka/archives/543342, ბოლოს გადამოწმდა: 4.06.2024

[275] იქვე

[276] 2023 საპარლამენტო არჩევნები თურქეეთში, https://tinyurl.com/4s2fjazz, ბოლოს გადამოწმდა: 5.06.2024

ულტრამემარჯვენე მიმართულების პარტია. მისი მხარდამჭერთა და ამორჩეველთა ფონდი ძირითადად შედგება ნაციონალისტურად მოაზროვნე მოქალაქეებისგან და პანთურქიზმისა და პანთურანიზმის იდეოლოგიის მომხრეებისგან. პარტიის შტაბ-ბინა ანკარაში მდებარეობს. მისი პატრონაჟით თურქეთსა და ევროპის რიგ ქვეყნებში მოქმედებს ულტრამემარჯვენე ნაციონალისტური და პანთურქისტული ორგანიზაცია ,,იდეალისტების განათლებისა და კულტურის ფონდი“.[277] 1997 წლიდან დღემდე პარტიის ლიდერი დევლეთ ბაჰჩელია. ნაციონალისტური მოძრაობის პარტია მხარს უჭერს პრობლემების მშვიდობიანი გზით გადაჭრას და საერთაშორისო ასპარეზზე ეროვნული ინტერესების დაცვას. ევროპასა და ევროკავშირთან ურთიერთობა, პარტიის აზრით, თურქეთისათვის არ წარმოადგენს ,,საბედისწერო საკითხს.“

სახალხო-რესპუბლიკური პარტია, ბედის ირონიით, დღეს წარმოადგენს ქვეყნის უდიდეს ოპოზიციურ ძალას. იგი თურქული საზოგადოების სეკულარულ ნაწილს აერთიანებს და იზიარებს დემოკრატიულ ღირებულებებს. პარტიის ლიდერია 74 წლის ქემალ ქილიჩდაროღლუ - ერდოღანის მთავარი კონკურენტი, ასევე მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთავარი კრიტიკოსი. პარტიის შტაბბინა ქვეყნის დედაქალაქში მდებარეობს, მაგრამ თავისი წარმომადგენლობები ჰყავს აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში, განსაკუთრებით კი გერმანიაში, სადაც ძირითადად კონცენტრირებულია მრავალრიცხოვანი თურქული დიასპორა, გამოსცემს ჟურნალს სახელწოდებით ,,ერი“ და თავის პროგრამაში თამამად საუბრობს თურქეთის შეიარაღებული ძალების გავლენის ზრდისა და მათი განვითარების აუცილებლობის, აშშ-სთან, ევროკავშირთან და ნატოსთან ახალი კონტაქტების დამყარებისა და უკვე არსებულის შენარჩუნების შესახებ.

პრო-ქურთული ხალხთა დემოკრატიული პარტია (HDP), რომელსაც სათავეში 2016 წლამდე სელაჰათინ დემირთაში უდგა, სიდიდით მესამე პარტიას წარმოადგენს თურქეთის მეჯლისში.[278] იგი 2012 წელს შეიქმნა და 2015 წელს უკვე შევიდა პარლამენტში. პარტიის შტაბ-ბინა ანკარაშია განთავსებული, არის

---

[277] იქვე

[278] გვაძაბია მ, პრო-ქურთული პარტიის ტაქტიკური სვლა ერდოღანის წინააღმდეგ, https://netgazeti.ge/news/661462/, ბოლოს გადამოწმდა: 2.06.2024

ლიბერალ-დემოკრატიული ღირებულებების მხარდამჭერი და ყურადღებას ამახვილებს ძირითადად ისეთი შიდაპოლიტიკური ხასიათის პრობლემების მოგვარების აუცილებლობაზე, როგორიცაა ქალების, ეროვნული, სექსუალური და სხვა უფლებების დაცვა. ერდოღანი პარტიას ბრალს სდებს ,,ქურთისტანის მუშათა პარტიასთან“ კავშირში, რომლის საქმიანობაც თურქეთში აკრძალულია და ტერორისტულად არის მიჩნეული.[279]

,,კარგი პარტია“ ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა პარტიაა თურქეთში. ის 2017 წელს დააარსა შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა და გამოცდილმა პოლიტიკოსმა მერალ აქშენერმა. მას აქვს მტკიცე არამეგობრული დამოკიდებულება რუსეთის მიმართ და ადანაშაულებს მას სირიაში თურქი სამხედრო მოსამსახურეების მკვლელობაში. ასევე იგი აკრიტიკებს თურქეთის მმართველი წრეების ახლო აღმოსავლურ პოლიტიკას, მათ შორის სირიასთან მიმართებაში და მას შეცდომას უწოდებს. რეგიონის სახელმწიფოებთან ურთიერთობა, როგორც პარტიის პროგრამაშია ნათქვამი, კეთილმეზობლობისა და ურთიერთთანამშრომლობის პრინციპს უნდა ემყარებოდეს. ,,კარგი პარტიის“ მთავარ საგარეო პოლიტიკურ კურსს წარმოადგენს ,,თურქულ სამყაროსთან“, ,,ძმებთან“, მრავალმხრივი ურთიერთთანამშრომლობა არა მხოლოდ ცენტრალური აზიის ქვეყნებში, არამედ ბალკანეთშიც. ამ პროცესში კი ის განსაკუთრებით დიდ როლს ანიჭებს შესაბამის ინსტიტუტებს: თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს (TIKA) და თურქებისა და საზღვარგარეთ არსებული მათი თემების დამაკავშირებელ ოფისს.

## 2.4. მედია, როგორც თურქეთის პოლიტიკური სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტი

თურქეთში საზოგადოებრივი აზრის ფორმირებასა და სახელმწიფო მმართველობითი სისტემის გაძლიერებაზე დიდ გავლენას ახდენს მედია.

პირველი ბეჭდური გამოცემა ჯერ კიდევ მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდა ოსმალეთის იმპერიის სინამდვილეში. სწორედ ამ პერიოდიდან

---

[279] HALKLARIN DEMOKRATİK PARTİSİ PROGRAMI, https://hdp.org.tr/tr/parti-programi/8/, ბოლოს გადამოწმდა: 2.06.2024, ასევე ბატიაშვილი ზ, აიკრძალება თუ არა პრო-ქურთული პარტია თურქეთში? https://gfsis.org.ge/ge/publications/view/2997, ბოლოს გადამოწმდა: 5.06.2024

შემოიტანეს იმპერიის ტერიტორიაზე პირველი საბეჭდი მანქანები და საბეჭდი მოწყობილობები ევროპელმა ვაჭრებმა. გარდა იმპერიის დედაქალაქ სტამბულისა, პირველი სტამბები დაარსდა ისეთ დიდ ქალაქებში, როგორებიცაა სალონიკი, ედირნე და იზმირი. პირველი ბეჭდური გამოცემები გამოდიოდა მხოლოდ ლათინურ, ებრაულ და ესპანურ ენებზე,[280] როგორც დარგის სპეციალისტები ამბობენ, იმდროინდელი ბეჭდური მასალები არ იყო ფართოდ გავრცელებული და იმდროინდელ პუბლიკაციებსაც ნაკლებად შეიძლება ეწოდოს ,,პრესა" თანამედროვე გაგებით. პირველ რიგში, აქ ყურადღება უნდა გავამახვილოთ პუბლიკაციების შინაარსზე - ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე აკრძალული იყო არარელიგიური პრესის გამოცემა, რადგანაც ოსმალეთის იმპერიის სულთანი იმავდროულად ხალიფას ტიტულსაც ატარებდა და ოსმალეთის იმპერია შორს იყო საერო სახელმწიფოსაგან. გარდა ამისა, პირველი გაზეთები რაც შეიძლება კაშკაშა და ფერადოვანი გამოდიოდა, ამ საქმეში განსაკუთრებით აქტიურად იყვნენ ჩართული კალიგრაფები, რომლებიც მოოქროვილი მელნით მუშაობდნენ და თითოეული გამოცემის ღირებულება არ იძლეოდა მისი დიდი რაოდენობით გამოცემის შესაძლებლობას.

1727 წელს სულთან აჰმედ III-ის მიერ მიღებულ იქნა კანონი, რომელმაც დაუშვა არარელიგიური პერიოდული გამოცემების გავრცელება და გაათავისუფლა ბეჭდური სიტყვა ,,რელიგიური" მონოპოლიისაგან. 1831 წელს კი გამოვიდა პირველი სახელმწიფო ბეჭდური გაზეთი ოსმალეთის იმპერიაში ,,მოვლენათა კალენდარი" (Takvim-i Vekayi"), რომელიც აშუქებდა სამთავრობო საკითხებს, აქვეყნებდა დადგენილებებს, აგრეთვე ინფორმაციას ხელისუფლების ცალკეული თნამდებობის პირების შესახებ. გარდა ამისა, ეს იყო პირველი გაზეთი, რომელიც გამოდიოდა თურქულ ენაზე. 1840 წელს ბრიტანელმა ჟურნალისტმა უილიამ ჩერჩილმა თურქეთში დაარსა ,,Ceride-i Havadis" (მოვლენათა ჟურნალი).[281] თუმცა ეს გამოცემები ხშირად იხურებოდა ხელისუფლების მიერ.

[280]İbrahim Müteferrika ve İlk Türk Matbaası, https://tinyurl.com/29jjumx2, ბოლოს გადამოწმდა: 3.08.2024
[281] Абидулин А, Р Валеев М, Формирование периодическои печати в Османскои империи (XVII-XIX BB.), https://tinyurl.com/38yeea28, ბოლოს გადამოწმდა: 5.08.2024

XIX ს-ის 60-70-იანი წლები ბეჭდური გამოცემების მომრავლებით ხასიათდება, იმპერიაში მიმდინარე რეფორმებმა, რომელიც ,,თანზიმათის“ სახელით არის ცნობილი, გზა გაუხსნა ახალი კერძო გაზეთების გამოცემას: "Tasviri-efkar"(საზოგადოებრივი აზრი), "Muhbir"(ბიულეტენი), "İbret"(ინსტრუქცია), ,,Ayinei Vata“ (სამშობლოს სარკე) და სხვ. ბეჭდვითი საქმის განვითარებამ მოითხოვა ცვლილებები პრესის შესახებ კანონში, რომელიც მიღებულ იქნა 1864 წლის 31 დეკემბერს და მისი მოქმედება გაგრძელდა 1909 წლამდე. საზოგადოების ფართო მასების ინფორმირებას ამ პერიოდშიც პრესა ახორციელებდა. გაზეთის ფურცლებზე საუბარი იყო ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებისა და პოლიტიკური პროცესების შესახებ, ხშირად გაისმოდა სულთნის, მისი ოჯახის წევრებისა და პოლიტიკის, ასევე მეგობარი სახელმწიფოების, მათი ხელისუფლებისა და საელჩოების კრიტიკა. ამიტომაც სულთნის კარის კონტროლის გავლის გარეშე შეუძლებელი ხდებოდა პუბლიკაციის დაბეჭდვა.[282] გარდა ამისა, იმისათვის, რომ საზოგადოებრივი აზრის გაერთიანება არ მოეხდინათ ერთი საერთო და დიდი იდეის ირგვლივ, აბდულ ჰამიდ II-მ აკრძალა პერიოდულ გამოცემებში ისეთი სიტყვების გამოყენება, როგორებიცაა: ,,რევოლუცია“, ,,თავისუფლება“, ,,რესპუბლიკა“ და სხვ.[283]

1908 წლის ახალგაზრდა თურქთა რევოლუციის შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მედიის საქმიანობაში და მოიხსნა არსებული შეზღუდვები, პერიოდულმა პრესამ ოსმალეთის იმპერიაში, ისევე როგორც დანარჩენ მსოფლიოში, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და თურქული საზოგადოების სოციალურ განვითარებაში. მედიის როლი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების საქმეში და მისი რეალური პოტენციალი კარგად გააცნობიერა თურქეთის რესპუბლიკის პირველმა პრეზიდენტმა მუსტაფა ქემალ ათათურქმა და პერიოდული გამოცემები ეფექტურ იარაღად აქცია დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში. თურქული მედიის განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 1928 წელს

---

282 Масумова Н, Юсупова Е, Давыдов С, СМИ и рынок коммуникации в Турции, https://tinyurl.com/tfvz9d6x, ბოლოს გადამოწმდა: 4: 08.2024

283 იქვე

გატარებული ანბანის რეფორმა. მართალია, ამ პერიოდში პრესის თავისუფლება შეიზღუდა ქვეყანაში, მაგრამ ხელისუფლების მზაობა, მოეხდინა მედიასექტორის მოდერნიზება, უკეთესი მომავლის იმედს იძლეოდა. თურქეთში ამჟამად მოქმედი დიდი გავლენის მქონე გაზეთი ,,ჯუმჰურიეთი“ (,,Cumhuriyet”) იმდროინდელ ხელისუფლებას ფართოდ უჭერდა მხარს და საფუძველი ჩაუყარა ჟურნალისტური სკოლის შექმნას თურქეთში.[284]

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თურქეთის რესპუბლიკაში პირველი მსხვილი მედია ჰოლდინგიც გამოჩნდა.[285] თუ დემოკრატიული პარტიის მმართველობის დროს შეწყდა ჟურნალისტების დევნა და შემცირდა სახელმწიფოს კონტროლი მედიასაშუალებებზე, გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან თურქეთში მედიის თავისუფლება მნიშვნელოვნად შეიზღუდა და იგი უშიშროების საბჭოს დაექვემდებარა.[286] 1993 წელს კი თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 133-ე მუხლში შევიდა ცვლილება, რომლითაც დასრულდა თურქულ მედიაზე სახელმწიფო მონოპოლია. მთელი ამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მედიასაშუალებები დიდ როლს ასრულებდნენ ქვეყანაში საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების გაშუქებაში, საზოგადოებას აწვდიდნენ ინფორმაციას კანდიდატების შესახებ, მსჯელობდნენ სოციალურ საკითხებზე და სხვ. ისინი ერთგვარი მეთვალყურეები იყვნენ, რომლებიც განიხილავდნენ მთავრობის პოლიტიკას და მოსახლეობას აწვდიდნენ ინფორმაციას კრიმინალისა და მექრთამეობის შესახებ. თურქი ხალხი მოხერხებულად იყენებდა ამ ინფორმაციას მთავრობებისა და პარტიების წინასაარჩევნო მონიტორინგისათვის.

ზომიერი ისლამური სამართლიანობისა და განვითარების პარტიის 22-წლიანი მმართველობა სამ კონკრეტულ პერიოდს მოიცავს, როდესაც სახელისუფლებო პარტიამ გარკვეული ცვლილებები განახორციელა მედიასექტორში და შეეცადა ის თავისი მტკიცე გავლენისათვის დაექვემდებარებინა: 1). 2002-2007 წლებში სახელმწიფომ და მედიასექტორმა თითქოს ერთგვარ შეთანხმებას მიაღწიეს

---

[284]იქვე, გვ:

[285] 1953 წელს გაზეთი ,,ჰიურიეთი“ (,,Hürriyet“) გადაკეთდა ჰოლდინგ კომპანიად გაზეთებისა და ჟურნალების ფართო სისტემით. ფაქტობრივად, Hürriyet ჰოლდინგი ოჯახური მედია ჰოლდინგის შექმნის პირველი მაგალითია.

[286] Масумова Н, Юсупова Е, Давыдов С, СМИ и рынок коммуникации в Турции, https://tinyurl.com/tfvz9d6x, ბოლოს გადამოწმდა: 4: 08.2024

გარკვეულ საკითხებზე; 2). (2007-2013 წწ) სამართლიანობისა და განვითარების ზომიერმა ისლამურმა პარტიამ სცადა მედიის, როგორც გარკვეული სოციალური წესრიგის, რესტრუქტურიზაცია; 3). 2016 წლის 15 ივლისის გადატრიალების მცდელობის შემდგომმა მოვლენებმა განსაკუთრებით მკაცრი ასახვა ჰპოვა მედიაზე.[287]

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ თურქეთის რესპუბლიკაში მედიაზე ზეწოლა 2016 წლის ივლისის მოვლენებამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო. 2003 წლის ,,ბალიოზის" და 2007 წლის ,,ერგენეკონის" საქმესთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შემდეგ, რომელშიც ასობით სამხედრო და მშვიდობიანი მოქალაქე გაასამართლეს, მმართველმა ძალამ ეტაპობრივად ჩამოიშორა გზიდან ცნობილი ოპოზიციონერები და ,,დამოუკიდებელი მედიის" წარმომადგენლები, რამაც გამოიწვია სახელისუფლებო სამართლიანობისა და განვითარების პარტიისა და მისი ლიდერის რეჯეფ თაიფ ერდოღანის ძალაუფლების გაძლიერება.[288] მედიის თავისუფლების შეზღუდვა 2007 წლიდან ყოველწლიურად იზრდებოდა. ის მოიცავდა Doğan Media Group-ზე ზეწოლას, YouTube-ის აკრძალვას, ჟურნალისტების დაკავებას, პოლიტიკური მოღვაწეების ტელეფონების მოსმენას და ყველა არამეგობრული რეპორტიორის გარიყვას პოლიტიკური წრეებიდან.[289] მასმედია აქტიურად ჩაერთო 2013 წლის გეზის პარკის მოვლენებშიც: პრესა, ტელევიზია, ინტერნეტი და სხვ. აქტიურად იწერებოდა იმის შესახებ, თუ რამდენად დაუნდობელი იყო მოქმედი ხელისუფლება განსხვავებული აზრის მიმართ. საზოგადოების ინფორმირება თავდაპირველად სოციალური ქსელის საშუალებით მოხდა: YouTobe და Twitter დაუფარავად ამხელდნენ ძალოვანი სტრუქტურების მიერ უფლებამოსილების გადამეტების, თაღლითობისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტებს.[290] 2014 წელს სოციალურ მედიაში გავრცელდა ხმოვანი ჩანაწერები იმჟამინდელი პრემიერ-მინისტრ რეჯეფ თაიფ

[287] იქვე

[288],,ბალიოზის საქმე" ( ,,Balyoz")- იგივე ოპერაცია ,,კუვალდა", სპეციალური გეგმა ქვეყანაში ხელისუფლების დასამხობად, ასევე, Турции арестован бывший командующий ВВС этой страны и ряд генералов, https://regnum.ru/news/1256391 , ბოლოს გადამოწმდა: 5.08.2024

[289]Akser M, Media and Democracy in Turkey: Toward a Model of Neoliberal Media Autocracy, https://tinyurl.com/2p98ez45, ბოლოს გადამოწმდა: 14.08.2024

[290] CHP directs parliamentary inquiry to Erdoğan into bribery in Sabah-ATV sale, https://tinyurl.com/y3hws6xs, ბოლოს გადამოწმდა:14.08.2024

ერდოღანის ვაჟის ბილალის, ზოგიერთი მინისტრისა და ბიზნესმენის საუბრების შესახებ, რომლებიც მსჯელობდნენ ქრთამის აღებაზე Turkuvaz Media Group-ის გაყიდვაში. გამოქვეყნებულ ანონიმურ ვიდეოჩანაწერში ბ-ნი ერდოღანი თავის შვილს დიდი თანხების დამალვაზე ესაუბრებოდა და სთხოვდა სახლიდან გაეტანა მილიონობით ევროს ნაღდი ფული.[291] როცა კორუფციულ საქმიანობაში ბრალდებით მოსალოდნელი იყო ნეჯმედდინ ბილალ ერდოღანის დაპატიმრება, რეჯეფ თაიფ ერდოღანმა შინაგან საქმეთა სამინისტროში სწრაფი ცვლილებები განახორციელა. გაზეთი ,,თარაფი" („Taraf") მოსახლეობას ინფორმაციას აწვდიდა სამართალდამცავი სტრუქტურიდან 1500-მდე პოლიციელის განთავისუფლების შესახებ.[292] ამ პერიოდში საზოგადოებისათვის ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ობიექტური სინამდვილის მიწოდებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილი მმართველ ძალას კორუფციისა და უკანონობის წინააღმდეგ მებრძოლ ძალად აღიქვამდა.

თურქეთის პარლამენტის მიერ 2014 წლის 18 თებერვალს მიღებული კანონი მთავრობას საშუალებას აძლევდა სასამართლოს თანხმობის გარეშე მოეხდინა ინტერნეტ რესურსების დაბლოკვა.[293] ახალი კანონის შესაბამისად, ტელეკომუნიკაციების სააგენტოს თავჯდომარე უშუალოდ მთავრობის მეთაურის დაქვემდებარებაში გადადიოდა და იზრდებოდა მისი უფლებამოსილება - მას შეეძლო პირადად გადაეწყვიტა, თუ რომელი ინტერნეტ პროვაიდერი ვერ აკმაყოფილებდა სათანადო მოთხოვნებს. პრემიერ-მინისტრს კი მიეცა ნებისმიერი ვებგვერდის ბლოკირების შესაძლებლობა. თურქეთმა დაბლოკა სოციალური ქსელი Twitter მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა დადო პირობა, რომ „გაანადგურებს" სერვისს. ის ადრეც ხშირად გამოხატავდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას სოციალური მედიასაიტების - მათ შორის YouTube-სა და Facebook-ის მიმართ, რადგან მიაჩნდა, რომ ისინი გამოიყენებოდა მასზე თავდასხმისთვის. შეფერხებამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, თურქეთს ადარებდნენ ირანსა და ჩრდილოეთ კორეას, სადაც სოციალური მედიის

[291]Kroes N, Q&A: Turkish PM Recep Tayyip Erdogan's troubles, https://www.bbc.com/news/world-europe-26680033 , ბოლოს გადამოწმდა: 7.09.2024
[292] მაკარაძე ე, გვ: 258
[293] იქვე, გვ:259

პლატფორმები მკაცრად კონტროლდება. ასევე იყო მოწოდებები, ხალხი პროტესტის ნიშნად ქუჩაში გამოვიდა. პრო-სამთავრობო გაზეთ  Sabah-ის მიმომხილველმა ნაზლი ილიჩაკმა სატელევიზიო საინფორმაციო არხისათვის, კერძოდ CNN Turk-ისათვის, მიცემულ ინტერვიუში ამ მოვლენას  ,,სამოქალაქო გადატრიალება“ უწოდა.[294] 2013 წელს თურქეთმა პრესის თავისუფლების მსოფლიო ინდექსის შესაბამისად,  150-ე ადგილზე გადაინაცვლა მაშინ, როცა 2005 წელს  მეასე ადგილზე იყო.

მედიაზე ზეწოლა მომდევნო წლებშიც გრძელდებოდა: 2014 წლის ზამთარში თურქეთში დააკავეს ,,ზამანასა“ (Zaman”) და ,,სამანიოლუს“ (Samanyolu“) დაწესებულებაში დასაქმებული ათობით მომსახურე პერსონალი, 2015 წლის ბოლოსთვის კი რესპუბლიკაში მედიის მინიმუმ 80% ცენტრალური ხელისუფლების მიერ (სამართლიანობისა და განვითარების პარტია) გახდა კონტროლირებადი.[295] 2016 წლის 15 ივლისის წარუმატებელი გადატრიალების საპასუხოდ თურქეთის მთავრობამ 150-ზე მეტი მედია ორგანიზაცია დახურა, მათ შორის გაზეთები ( “Nazar” ve “Yerel Bakysh”), ტელევიზიები (“Barysh TV” ve “Ort TV”) და რადიო არხები ( “Juma” ve “Herkul”), საინფორმაციო სააგენტოები, ჟურნალები და გამომცემლობები.[296] იმავეს ადასტურებს CPJ ევროპისა და ცენტრალური აზიის პროგრამის კოორდინატორის, ნინა ოგნიანოვას, ჩვენება, რომელიც მან მისცა აშშ-ს კონგრესის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ევროპის, ევრაზიისა და განვითარებადი საფრთხეების ქვეკომიტეტის წინაშე მოსმენაზე – „თურქეთი ივლისის გადატრიალების მცდელობის შემდეგ“.[297] ,,ორ თვეზე ნაკლებ დროში ხელისუფლებამ დააკავა 100-ზე მეტი ჟურნალისტი, დახურა ათობით მედია საშუალება, განახორციელა ცენზურა მინიმუმ 30 საინფორმაციო ვებსაიტზე და 600-ზე მეტ პრესის წევრს ჩამოართვა რწმუნებათა

---

[294] Turkey blocks use of Twitter after prime minister attacks social media site,  https://tinyurl.com/hz4z5pfk, ბოლოს გადამოწმდა: 7.09.2024

[295] Огосударствление СМИ в Турции: причины и последствия, https://tinyurl.com/3wwpp2kt, ბოლოს გადამოწმდა: 6.08.2024

[296] იქვე.

[297] CPJ testifies on Turkey’s press freedom record after failed coup attempt, https://tinyurl.com/3utp3fsx, ბოლოს გადამოწმებულია: 14.08.2024

სიგელები“,- განუცხადა ოგნიანოვამ ქვეკომიტეტს.[298] 2018 წლის მონაცემებით, სიტყვის თავისუფლების მსოფლიო რეიტინგში თურქეთმა 180 ქვეყნიდან 157-ე ადგილზე გადაინაცვლა.[299] რა თქმა უნდა, სწორი არ იქნება იმის თქმა, რომ ამ ქვეყანაში არსებული ყველა უსიამოვნების საფუძველი სიტყვის თავისუფლების ნაკლებობა იყო, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ მედიაზე ზეწოლა თურქეთის მოქმედი ხელისუფლების რთული და ზოგჯერ წინააღმდეგობრივი პოლიტიკის ერთ-ერთ კომპონენტს შეადგენს.

2016 წლის 15-16 ივლისის გადატრიალების მცდელობიდან ოთხი წლის შემდეგ თურქეთში შემოღებული ახალი კანონები მიმართული იყო იქითკენ, რომ კიდევ უფრო შეეზღუდა ის სივრცე, რომელშიც რამდენიმე დამოუკიდებელ მედიასაშუალებას ჯერ კიდევ შეეძლო არსებობა, მაშინ, როცა ბევრი პრო-სამთავრობო მედია დომინირებდა სცენაზე. კადირ ჰას უნივერსიტეტის დოქტორანტი შუკრუ ოქტაი ქილიჩი, რომელიც კვლევას ატარებდა თურქეთში დამოუკიდებელი საინფორმაციო მედიის ფინანსური მდგრადობის შესახებ, თურქულ მედიას დეზინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებდა წინასაარჩევნო პერიოდში მმართველი ძალის საქმიანობის პარტიული კუთხით და არაობიექტური გაშუქების გამო.[300] BBC-ის თურქი კორესპონდენტის მარკ ლოუენის ცნობით კი, ,,თურქეთი არის ქვეყანა, სადაც ფაქტებისა და ფანტასტიკის გარჩევა სულ უფრო რთულია და სადაც ინფორმაცია გამოიყენება საზოგადოების გაყოფის მიზნით”.[301]

Reuters Digital News Report-ის მიხედვით, თურქეთი დღეს პირველ ადგილზეა იმ ქვეყნების ჩამონათვალში, სადაც მოსახლეობა მოგონილი და ყალბი ამბების გავრცელებას უჩივის. ამ გარემოებამ ნოყიერი ნიადაგი მოამზადა ქვეყანაში პირველი დამოუკიდებელი ვებსაიტის Teyit.org-ის შექმნისათვის, რომელსაც სათავეში მეჰმედ ატაკან ფოკა უდგას და აცხადებს, რომ მისი გუნდი იკვლევს

---

[298] იქვე
[299] იქვე
[300] Kilic S, Why Turkish media's credibility is dead, https://tinyurl.com/5n8pxjca, ბოლოს გადამოწმდა 6.08.2024
[301] Lowen M, Fake news in Turkey: Hunting for truth in land of conspiracy, https://tinyurl.com/2spmfm4t , ბოლოს გადამოწმდა: 6.08.2024

ინტერნეტში გავრცელებული ისტორიებისა და ფოტოების ავთენტურობას, თუმცა სინამდვილეში ეს ,,ყალბი ფაქტების შემმოწმებლები" მხარს უჭერენ მთავრობის პოლიტიკას და ცდილობენ პრეზიდენტის ღირსებისა და სახელის დაცვას.[302] ისინი ხელისუფლების ხელში მძლავრ იარაღს წარმოადგენენ საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენის თვალსაზრისით - ცრუ ინფორმაციის გავრცელება და ინფორმაციის კონტროლი ავტორიტარული მთავრობების ტაქტიკას წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად თურქეთის რესპუბლიკაში ყველაზე დიდი მედია ჯგუფი არის მთავრობისადმი მეგობრულად განწყობილი Demiroren-ი. მის მფლობელობაშია ყველაზე პოპულარული ყოველდღიური გაზეთები: ,,საბაჰი" (,,Sabah"), ,,ჰიურიეთი" (,,Hürriyet), ,,პოსტა"(,,Posta") და ,,მილიიეთი" (,,Milliyet").[303]

ამრიგად, ზომიერი ისლამური სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მმართველობის პერიოდში თურქეთის მედია სისტემა თითქმის არასოდეს ყოფილა თავისუფალი მკაცრი სახელმწიფო კონტროლისაგან. დღეს ქვეყანაში მოქმედი თითქმის ყველა მედია საშუალება პრო-სამთავრობო ორიენტაციისაა და მუშაობს სახელისუფლებო პარტიის გავლენისა და ავტორიტეტის ზრდისა და განმტკიცებისათვის, ზემოქმედებას ახდენს საზოგადოების ფართო მასებზე და თუ ადრე ამხელდა ხელისუფლების მანკიერ მხარეებს, დღეს მედია ერთგვარი იარაღია მმართველი ძალის ხელში მასების კონტროლის თვალსაზრისით. შესაბამისად, კრიტიკული საინფორმაციო გადაცემები ხშირად განიცდიან პოლიციის მხრიდან რეიდებსა თუ საგადასახადო ჯარიმებს. ის ფაქტი, რომ ოპოზიციონერ ჟურნალისტთა უმეტესობას ბრალი ედება ტერორისტულ ორგანიზაციებად მიჩნეული ჯგუფების წევრობაში ან პროპაგანდაში, ასობით მათი წარმომადგენელი იმყოფება ციხეში ან იძულებულია დატოვოს ქვეყანა განსხვავებული აზრის დაფიქსირების გამო, თურქულ მედიასექტორს თვითცენზურისაკენ მიუთითებს. გარდა ამისა, სასამართლო ხელისუფლების დაშინება და პოლიციის პროკურორების მუდმივი თვალთვალი თითქმის შეუძლებელს ხდის ნებისმიერი კორუფციული საქმის გამოძიებას, რომელშიც

---

302 იქვე

303 Turkey media guide, https://tinyurl.com/2chmr585, ბოლოს გადამოწმდა: 6.08.2024

მონაწილეობენ AKP-ის ხელმძღვანელობის წევრები ან მათი ახლობლები.[304] მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის რესპუბლიკური კონსტიტუციის 28-ე მუხლით პრესა თავისუფალია და არ უნდა შეეხოს ცენზურა, ხშირია მთავრობისათვის არასასურველი გამომცემლობების დახურვა თუ ვებგვერდების დაბლოკვა, მოწინააღმდეგეები მოქმედ ხელისუფლებას ხშირად ადანაშაულებენ სახელმწიფოსა და საზოგადოების ისლამიზაციაში, დამოუკიდებელი მედიისა და განსხვავებული აზრის ჩახშობაში. როგორც ვხედავთ, თურქეთში ინფორმაციის ხელმისაწვდომობა შეზღუდულია მედიის კონტროლითა და ცენზურით, ხოლო მედიაბიზნესებს, რომლებსაც ეძლევათ სახელმწიფო კონტრაქტები, მოეთხოვებათ მმართველი პარტიის მიმართ კეთილგანწყობა და საარჩევნო კამპანიის დროს ფინანსური დახმარება. ეს აშკარა მინიშნებებია იმისა, რომ თურქი ხალხი, როცა ზუსტად იქნება ინფორმირებული ქვეყანაში მიმდინარე კორუფციისა და ავტორიტარიზმის შესახებ, მკაფიო გზავნილს გაუგზავნის თავის მთავრობას. თუმცა, ხელისუფლების მხრიდან სასამართლოს მუდმივი დაშინებისა და მედიის ცენზურის პირობებში, მიიღებენ თუ არა ისინი თავიანთი მთავრობის საქმიანობის შესახებ ზუსტ ინფორმაციას და შეძლებს თუ არა თურქეთი ამ თავსატეხის დაძლევას, ძნელი სათქმელია.

[304] Turkey's Fading Democracy, https://tinyurl.com/2p9zb8fp, ბოლოს გადამოწმდა: 14.08.2024

# თავი III. თურქეთის სახელმწიფოს პოლიტიკური პრიორიტეტები და პოლიტიკური სისტემის თანამედროვე გამოწვევები

## 3.1. სახელმწიფო და რელიგიური ინსტიტუტები

გერმანელი მეცნიერის გაბრიელ ალმონდის აზრით, ღირებულებათა რადიკალური ცვლილებისა და პოლიტიკური კულტურის ფორმირების პროცესი საკმაოდ მტკივნეულად მიმდინარეობს და შესაძლოა თან ახლდეს ინტრაპერსონალური კონფლიქტებიც. სოციალიზაციის პროცესში, მეცნიერთა მტკიცებით, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სოციალიზაციის აგენტები, ინსტიტუტები, როგორებიცაა: საგანმანათლებლო დაწესებულებები, რელიგია, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მედია და სხვ.[305] ამასთან ერთად ავტორიტარულ სახელმწიფოებში მთავრობა მუშაობს იმ მიმართულებით, რომ აღზარდოს მმართველი პარტიის ერთგული ახალგაზრდობა, ადგენს იმ სახელმძღვანელოთა ჩამონათვალს, რომლითაც უნდა ისწავლონ მოსწავლეებმა საჯარო სკოლებში, განსაზღვრავს პოლიტიკას, ქმნის სხვადასხვა პროგრამებს და ისიც აქტიურად არის ჩართული პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესში.

თურქეთის რელიგიური სისტემის ფუნქციონირების თავისებურებების დადგენა შესაძლებლობას მოგვცემს გავიგოთ, თუ რა ურთიერთკავშირია სახელმწიფოსა და რელიგიურ ინსტიტუტებს შორის თანამედროვე თურქეთში იმ ფონზე, როდესაც სეკულარული ქვეყნის მმართველ პარტიას უწოდებენ ,,პროისლამურს“ და ხელისუფლების სათავეში მდგომი პირველი პირები ხშირად იყენებენ რელიგიურ ტერმინებს პოლიტიკურ რიტორიკაში. ჩვენი აზრით, თანამედროვე თურქეთში სახელმწიფოსა და რელიგიურ ინსტიტუტებს შორის ურთიერთობაზე საუბარი უნდა დავიწყოთ წინა მოვლენების მოკლე აღწერით.

როგორც წინა ქვეთავებში აღვნიშნეთ, ისლამი წარმოადგენდა ოფიციალურ რელიგიას ოსმალეთის იმპერიაში და განსაზღვრავდა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს. სუფიური ტარიკატები, იგივე დერვიშული ორდენები, მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ოსმალეთში, ჯერ კიდევ ადრეული ბეილიქის დროიდან. ისტორიული დოკუმენტებიდან ირკვევა,

---

[305] Концепция политической культуры г. Алмонда, https://studfile.net/preview/8643699/page:3/, ბოლოს გადამოწმდა: 3.09.2024

რომ ოსმალთა დინასტიის დამაარსებლის ვაჟმა ორხანმა 1324 წელს იზნიკის აღმოსავლეთით მდებარე მიწები შესწირა დერვიშებს იქ საცხოვრებლად. აღსანიშნავია ისიც, რომ ბრწყინვალე პორტას ყველა სულთანი ეკუთვნოდა სხვადასხვა სუფიურ ორდენს, რომლებიც ცდილობდნენ გაეკონტროლებინათ შეიხებისა და დერვიშების საქმიანობა. XIX ს-ის 30-იან წლებამდე დიდი გავლენით სარგებლობდა იმპერიაში იანიჩართა მხრდამჭერი ბექთაშის ლოჟებიც.[306] თუმცა დროთა განმავლობაში თვით ოსმალეთის იმპერიაშიც კი, სადაც მტკიცედ იცავდნენ ყურანის კანონებსა და წესებს, ისლამურმა პრინციპებმა და ინსტიტუტებმა, ასევე ისლამურმა სამართალმა (შარიათი), რომელიც წარმოადგენდა იმპერიის სამართლებრივი სისტემის ბირთვს, თავისი წამყვანი პოზიცია დაუთმო ევროპულ სამართლებრივ კულტურას და ევროპული ცხოვრების წესთან შეგუების მიზნით დაიწყო ღრმა პოლიტიკური და სამართლებრივი რეფორმების გატარება თანზიმათის სახით, ამასთან ერთად სუფიური ორდენები აგრძელებდნენ არსებობას და მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ხალიფატის გაუქმებამდე. ანატოლიაში განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი და გავლენიანი სუფიური ,,სკოლები" იყო ნაკშიბანდიები და კადირიები.[307] რაც შეეხება თურქეთის რესპუბლიკას, მისი დაარსების დღიდან ხელისუფლების მხრიდან რელიგიის მიმართ დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა. თურქეთის რესპუბლიკა მისი დამფუძნებლის, ათათურქის, აზრით, უნდა ყოფილიყო ახალი ტიპის სახელმწიფო, ახალი პოლიტიკური სისტემით, საკანონმდებლო ჩარჩოებით, პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტებით. ამ მხრივ რელიგიური ინსტიტუტები თითქოს ერთგვარი თავდასხმის ქვეშ მოექცა და თურქეთის დიდი ეროვნული კრების გადაწყვეტილებით ხალიფატის გაუქმების შემდეგ (1924) ჯერ თეკეები და ზავიები აიკრძალა (1925), მოგვიანებით კი ისლამი ამოიღეს რესპუბლიკური თურქეთის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებიდან (1928). 1927

[306] Kara M, Metinlerle GÜNÜMÜZ TASAVVUF HAREKETLERİ (1839-2009), https://tinyurl.com/u88kc27r, ბოლოს გადამოწმებულია: 17.08.2024

[307] Саетов И, Суфиские тарикаты в Турецкои Республике (1923-1950гг), https://tinyurl.com/4fcnauxe, ბოლოს გადამოწმდა: 15.08.2024

წელს იმამები აიძულეს თურქულ ენაზე წაეკითხათ ხუტბა,[308] დაძაბულობამ რელიგიურ ორდენებსა და ხელისუფლებას შორის უმაღლეს წერტილს მიაღწია 1930 წლის კუბილაის ინციდენტის (Kubilay Olayı) შემდეგ, რომელიც პატარა ქალაქ იზმირის ჩრდილოეთით მდებარე მენემენში მოხდა. ნაქშბანდის (Nakşibendi) ორდენის წევრმა მეჰმედ ეფენდიმ ხელისუფლების საერო პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ხალხი შეკრიბა და შარიათისა და სახალიფოს აღდგენისაკენ მოუწოდა. აქციის მონაწილენი გაჰყვიროდნენ, რომ ვინც ევროპულ ქუდებს ატარებენ, ქაფირები[309] არიან და რომ თურქეთი შარიათს მალე დაუბრუნდებოდა.[310] დემონსტრანტებმა მოკლეს მათ წინააღმდეგ გაგზავნილი რაზმის მეთაური მუსტაფა ფეჰმი კუბილაი. მთავრობა მიხვდა, რომ სეკულარიზმი არც ისე მტკიცედ იდგა ფეხზე, როგორც მას სურდა. მენემენის ინციდენტმა მას მოქმედებისაკენ უბიძგა: 1932 წელს ასევე თურქულ ენაზე აღავლინეს აზანი,[311] იკამატი[312] და თაკბირი.[313] უფრო მეტიც, იყო ყურანის თურქულ ენაზე თარგმნის მცდელობებიც, ამავე პოლიტიკის შესაბამისად, 1934 წელს ხელისუფლების მიერ აია სოფიას ტაძარი მუზეუმად გამოცხადდა. ბევრი სუფი შეიხი გახდა მასწავლებელი, ხელოვნებათმცოდნე, ბიბლიოთეკარი. ესენი იყვნენ: ქენან რიფაი, აჰმედ რემზი აკიურეკი, სადედდინ ნიუზჰეტ ერგუნი და სხვები. ეს მცდელობები ემსახურებოდა თურქეთის სეკულარული მთავრობის სურვილის განხორციელებას - შეესუსტებინა ისლამის გავლენა ქვეყანაში და ქვეყანაში დაემკვიდრებინა თურქული ეროვნული იდენტობის უპირატესობა რელიგიურზე.

სახელისუფლებო პარტიის მიერ გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, თურქეთის რესპუბლიკაში პერიოდულად მაინც გამოდიოდა ჟურნალები, რომლებიც აშუქებდნენ სუფიზმის პრობლემებს. მაგ: ნურეთინ ტოპჩუს

[308] ხუტბა-სადღესასწაულო ქადაგებები

[309] ქაფირი- ადამიანი , რომელიც უარყოფს ისლამის პრინციპებს, ან უბრალოდ არ არის მუსლიმი - ის, ვისაც არ სჯერა ისლამის წინასწარმეტყველის მუჰამედის.

[310] Bozkuyu A, Başyapıt Miğfer Tarih Konu Anlatımı A.B Yayınları, https://tinyurl.com/yxejn44b, ბოლოს გადამოწმებულია: 17.08.2024

[311] აზანი-მუსლიმებში სავალდებულო ლოცვისკენ მოწოდება. იგი მუჰამედის მიერაა დაწესებული ჰიჯრიდან 12 წლის შემდეგ და ასე სრულდება: მუეძინი სახით მექის მიმართულებით დგას, ცერითა და სალოკი თითით ყურის ბიბილოები უჭირავს და 7 ფორმულისაგან შემდგარ მოწოდებას ახმიანებს.

[312] იკამატი- არის მეორე მოწოდება ლოცვისაკენ, აზანის შემდეგ, რომელიც იკითხება უშუალოდ სავალდებულო ლოცვის აღსრულებამდე.

[313] თაკბირი-ალაჰის განდიდება სიტყვებით ,,ალაჰ აკბარ“, რაც ნიშნავს ,,ალაჰი დიდია“. გამოიყენება სიხარულის ნიშნად

,,ჰარეკეტი“( ,,Hareket"), ნეჯიპ ფაზილ კისაკიურეკის ,,ბიუიუკ დოგუ“ (,,Buyyuk Doğu“), ჯემალ ბარდაქჩის ,,ტასავუფი“(,,Tasavvuf“) და სხვ.[314] მართალია, 1930 წელს დაიხურა იმამ-ჰატიფის სკოლები, მაგრამ 1932 წელს რელიგიის საკითხთა სამსახურის ინიციატივით გაიხსნა ყურანის კურსები, სადაც 1949-1950 წლებში დაახლოებით 6403 ბიჭი და 2303 გოგონა სწავლობდა.[315] ასე რომ, თურქეთში ,,განათლებული მუსლიმების“ უმეტესობა ფაქტობრივად სუფიური ძმების ამ ,,უხილავი კოლეჯების“ კურსდამთავრებულები იყვნენ. მიუხედავად ამისა, გასული საუკუნის 20-30-იან წლებში თურქეთში მიღებულ იქნა მრავალი საკანონმდებლო აქტი, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარა საერო მართლმსაჯულებასა და განათლებას. ისლამთან დაკავშირებული ყველა საკითხის გადაწყვეტა დაიწყო სახელმწიფოს სეკულარული ხასიათისა და რელიგიის ამ პრინციპებისადმი დაქვემდებარების გათვალისწინებით.

თანამედროვე თურქეთში პოლიტიკური დაძაბულობის მიზეზად ხშირად სახელდება დაპირისპირება სეკულარიზმისა და ზომიერი ისლამის მომხრეებს შორის. ეს კი გარკვეულწილად განპირობებულია იმით, რომ ეს ქვეყანა ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიის დროს იყო და დღემდე რჩება მრავალეროვნულ და მრავალკონფესიურ სახელმწიფოდ. მოსახლეობის უმრავლესობა, 99%-ზე მეტი, მუსლიმია, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა სუნიტია (70-დან 74 მილიონამდე ადამიანი), დანარჩენი კი – შიიტი (7-დან 11 მილიონამდე ადამიანი). აღმსარებელთა რაოდენობის გათვალისწინებით თურქეთში პირველ რელიგიას ისლამი წარმოადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მუსლიმთა დიდი ნაწილი ემორჩილება ჰანაფის მაზჰაბს.[316] ჰანაფიტური მაზჰაბი ოსმალეთის იმპერიაშიც სახელმწიფო სამართლის დონეზე იყო აყვანილი. შეიხ-ულ-ისლამს, ყადიებს და მუფთიებს ჰანაფის მაზჰაბის მიხედვით უნდა გაესამართლებინათ და გამოეცათ ფათვა. მისი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ჰანაფიები ცდილობდნენ შარიათის კანონის გამოყენებას ცხოვრების პრაქტიკული საჭიროებებისთვის.[317] რაც შეეხება

[314] იქვე, გვ:87
[315] იქვე, გვ:88
[316] Петрушевский И.П. Ислам в Иране в VII – XV веках (курс лекций). Издательство Ленинградского Университета, 1966. https://tinyurl.com/45vkkkwr , ბოლოს გადამოწმდა:4.08.2024
[317] მაზჰაბი -ოთხიდან ერთ-ერთი საღვთისმეტყველო-სამართლებრივი სკოლა სუნიტურ ისლამში.

შიიტ მუსლიმებს, თურქეთიც გამოირჩევა შიიტური სექტების მრავალფეროვნებით, მთავარ შიიტურ ჯგუფს წარმოადგენენ ალევიტები. (ალევიები).[318] თუ ოსმალეთის იმპერიის დროს შიიტები და მათ შორის ალევიტებიც იდევნებოდნენ, რადგან ისინი ითვლებოდნენ სუნიტური ისლამისაგან განდგომილებად და ირანის პოტენციურ მხარდამჭერებად, მუსტაფა ქემალის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ისინი შედარებით თავისუფლებით სარგებლობდნენ, თუმცა მათი დისკრიმინაცია მაინც გრძელდებოდა, რადგან თურქეთის რესპუბლიკის სეკულარული ხასიათის მიუხედავად, სუნიტური მოძრაობისადმი მიკუთვნება თურქული თვითიდენტიფიკაციის მახასიათებელი იყო. სუნიტები, უმეტესწილად, ტრადიციულად იცავენ კონსერვატიულ-ნაციონალისტურ შეხედულებებს, ხოლო ალევიები, პირიქით, ქმნიან მემარცხენე ექსტრემისტული ჯგუფების ხერხემალს.

თურქეთში სიდიდით მეორე რელიგიად ქრისტიანობა ითვლება (100 000-ზე მეტი ადამიანი). გარდა ამისა, ამ ქვეყანაში ცხოვრობენ აგრეთვე გრიგორიანელები, იუდეველები და სხვ.

წინა ქვეთავში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან თურქეთის რესპუბლიკაში დაწყებული რელიგიური პროგრამების მქონე პოლიტიკური პარტიების აქტიურობის ,,გაკონტროლება“ საბოლოოდ სახელმწიფომ ვერ მოახერხა. როგორც ცნობილი თურქი მკვლევარი შერეფ მარდინი ამბობს: ტარიკატები, რომლებმაც მიზნად დაისახეს რელიგიის განახლება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, არსად არ გამქრალან, ისინი უბრალოდ იატაკქვეშა საქმიანობას ეწეოდნენ და კვლავ გავლენიან ძალას წარმოადგენდნენ თურქეთში.[319] სახალხო მხარდაჭერით სარგებლობდნენ სუფიური საუკუნოვანი ტრადიციების მქონე სკოლები, სადაც მუშაობდნენ ალვარლი ეფე საიდ ნურსი, სულეიმან ჰილმი ტანუხანი, აბდულაზიზ ბექკინი და სხვა თეოლოგები. 1950 წელს დემოკრატიული პარტიის მოსვლამ ხელისუფლების

---

318 ალევიზმი-ერთ-ერთი მიმდინარეობა შიიტურ ისლამში. ალევიტები თაყვანს სცემენ თორმეტ იმამს. რელიგიურ ღვთისმსახურებას აღასრულებენ სახლებში და არა მეჩეთებში და მას მამაკაცებთან ერთად ესწრებიან ქალებიც. ალევიტები სვამენ ალკოჰოლურ სასმელს, არ მარხულობენ, არ მოილოცავენ მექას. ღვთისმსახურების ენა არის ქურთული და თურქული და არა არაბული.

319 Саетов И, Суфииские тарикаты в Турецкои Республике (1923-1950гг), стр: 87

სათავეში მუსლიმებსა და პრო-სუფისტ თეოლოგებს შესაძლებლობა მისცათ თავიანთი საქმიანობა იატაკქვეშეთიდან დღის სინათლეზე გამოეტანათ. ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი სამხედრო გადატრიალებებისა თუ ,,მემორანდუმით“ განხორციელებული სამთავრობო ცვლილებების მიუხედავად, ბოლო ოცი წლის განმავლობაში რელიგია არა მხოლოდ გადარჩა, არამედ დაბრუნდა და გაძლიერდა თურქეთის სეკულარულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ასპარეზზე. ზომიერმა ისლამურმა პარტიებმა შეძლეს მოეხვეჭათ დიდი პოპულარობა, რასაც ადასტურებს ის ფაქტობრივი გარემოება, რომ 2002 წელს ქვეყნის ხელისუფლებაში მოვიდა ზომიერი ისლამური იდეოლოგიის მქონე სამართლიანობისა და განვითარების პოლიტიკური პარტია [320]

თუ ქემალისტები ამბობდნენ, რომ მთავარია რწმენა და არა მისი ფიზიკური გამოხატულება და აქედან გამომდინარე ვერ ხედავდნენ თავსაბურავის ტარების, ალკოჰოლური სასმელების აკრძალვის ან დღეში ხუთჯერ ლოცვის აუცილებლობას იმის დასამტკიცებლად რომ ნამდვილი მუსლიმი ხარ, სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მმართველობის პირობებში რელიგიამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა თურქეთის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ლაიცისტური თურქეთის სათავეში მდგომი ზომიერი ისლამური პარტია ფოკუსირებულია რელიგიურ საქმეთა სამმართველოს (დიანეთი) ძალაუფლების, რესურსებისა და სტატუსის გაზრდასა და გაფართოებაზე, რომელიც ჯერ კიდევ მუსტაფა ქემალის ხელისუფლებაში ყოფნის დროს შეიქმნა (1924) რელიგიურ მსახურებასთან და რელიგიასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად.[321] ეს არის გავლენიანი ორგანიზაცია, მის ხელმძღვანელს ნიშნავს პრეზიდენტი, ხოლო ამ ორგანიზაციის მმართველობას ახორციელებს 16 კაციანი საბჭო, რომელსაც ირჩევენ სასულიერო პირები და უნივერსიტეტის საღვთისმეტყველო ფაკულტეტები. დიანეთს აქვს ხუთი ძირითადი განყოფილება, რომელსაც უმაღლეს საბჭოებს უწოდებენ. ესენია:

---

[320] სიხარულიძე გ, სეკულარიზმის დილემა თურქეთში: თანამედროვე გამოწვევები, კვლევითი დოკუმენტი, https://tinyurl.com/mptnsvam , ბოლოს გადამოწმდა: 28.07.2024

[321] KARAKAŞ B, “Biz Her Şeyiz”, Istanbul, 2021, https://tinyurl.com/c9vmr9k6, ბოლოს გადამოწმდა: 28.07.2024

რელიგიური მსახურებები, ჰაჯი და უმრა, განათლება, პუბლიკაციები და საზოგადოებასთან ურთიერთობა.[322]

რელიგიურ საქმეთა სამმართველოს დიდ რეიტინგზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეტყველებს დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალის რიცხვის ზრდა. ბოლო წლების მონაცემებით, ორგანიზაციის თანამშრომელთა რაოდენობამ 140 ათასს გადააჭარბა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მათ შორის შეინიშნება ქალ მქადაგებელთა სიმრავლე, რომლებიც თავიანთი საქმიანობით (ქადაგებით) ხელს უწყობენ ორგანიზაციის გავლენის გავრცელებასა და გაფართოებას, მეტად აძლიერებენ  რელიგიურ იდენტობას, რომელიც ღვთისმოსაობას თანამედროვე საჯარო სფეროსთან აერთიანებს და ხელახლა ადგენს საზღვრებს სახელმწიფოსა და რელიგიას შორის.[323] ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ორგანიზაციის გაზრდილ როლზე მიუთითებს ისიც, რომ რელიგიურ საქმეთა სამმართველოს ხელმძღვანელს ხშირად ხედავენ პრეზიდენტ ერდოღანთან ერთად საჯარო ღონისძიებებზე. მისი სამოსიც კი მოკრძალებული შავი მოსასხამიდან თეთრი ფერის მბზინავი მოსასხამით შეიცვალა.[324]

რელიგიურ საქმეთა სამმართველოს (დიანეთი) გაზრდილ მნიშვნელობაზე მხოლოდ ზემოთჩამოთვლილი ფაქტორები არ მიუთითებს. ჯერ კიდევ 2010 წელს მმართველი სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მიერ თურქეთის რესპუბლიკაში მიღებულ იქნა კანონი N6002, რომელმაც დიანეთს მისცა შესაძლებლობა, რომ თავისი საქმიანობა ეწარმოებინა და გაეფართოვებინა მეჩეთის კედლებს გარეთაც.[325] ხსენებული კანონის მე-6 მუხლით ცვლილება განიცადა  N633 კანონის მე-7 მუხლმა, რომლის თანახმადაც ამ ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს ,,ადამიანების განათლება რელიგიურ საკითხებში რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით“, ასევე მისი პრეროგატივაა ,,საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დაგეგმვა და განხორციელება შესაბამის სამთავრობო

---

322 2022 Report on International Religious Freedom: Turkey (Türkiye), https://tinyurl.com/23mkmurm , ბოლოს გადამოწმდა” 30.07.2024

323 Maritato C, Women, Religion, and the State in Contemporary Turkey, 2020, https://tinyurl.com/mr2swfm9, ბოლოს გადამოწმდა: 28.07.2024

324 Çevik S, New Turkey and Management of the Religious Realm: Continuities and Ruptures, https://journals.openedition.org/ejts/8080#ftn6 , ბოლოს გადამოწმდა: 28.07.2024

325 KANUN, DİYANET İŞLERİ BAŞKANLIĞI KURULUŞ VE GÖREVLERİ HAKKINDA KANUN İLE BAZI KANUNLARDA DEĞİŞİKLİK YAPILMASINA DAİR KANUN, https://tinyurl.com/2vcyy44w ,ბოლოს გადამოწმდა: 29.07.2024

უწყებებთან და ინსტიტუტებთან თანამშრომლობით, აქტივობების ორგანიზებითა და მონიტორინგით“ და ,,საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტის: ოჯახის, ქალების, ახალგაზრდობისა და სხვათა განათლება რელიგიურ საკითხებში“.[326] რელიგიურ საქმეთა სამმართველო ასევე პასუხისმგებელია რელიგიური მომსახურების გაწევაზე ციხეებისთვის, მოხუცთა თავშესაფრებისა და ბავშვთა დაწესებულებებისთვის. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეს ორგანიზაცია თანამშრომლობს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურასთან, როგორებიცაა: განათლების სამინისტრო, ჯანდაცვის სამინისტრო, ახალგაზრდობის სამინისტრო, ოჯახისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო და სხვა.[327] ის მართავს ღონისძიებებს სოციალური ცნობიერების ამაღლების მიზნით, ამზადებს მასალებს ოჯახის თემაზე ოჯახის ინსტიტუტის გაძლიერების მიზნით, ოქმი, რომელსაც დიანეთმა ხელი მოაწერა ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტროსთან, მაგალითად, მის პერსონალს უფლებას აძლევს განახორციელოს მორალურ-ღირებულებითი და რელიგიური განათლება სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ დაწესებულებებში, მათ შორის სპორტულ ობიექტებში, საერთო საცხოვრებლებსა და საზაფხულო ბანაკებში.[328] თუ ყურადღებით დავაკვირდებით აშკარაა, რომ დიანეთის საქმიანობა სულ უფრო ემსგავსება რელიგიური თემების საქმიანობას. ორგანიზაცია პასიურად აღარ პასუხობს საზოგადოების რელიგიურ მოთხოვნებს. იგი თავად ცდილობს აწარმოოს რელიგიური პროზელიტიზაცია, ანუ დააახლოვოს ადამიანები ღმერთთან და დაარწმუნოს ისინი, რომ ერთ კონკრეტულ რელიგიაზე გადავიდნენ. მართალია, ამ საქმიანობას რელიგიური თემები ახორციელებენ, თუმცა ახლა შესაბამისი აქტივობები ძირითადად ახალგაზრდებზეა გათვლილი. უნივერსიტეტის კამპუსებში დაფუძვნებული ,,ახალგაზრდული ცენტრები“ დიანეთსა და ახალგაზრდობის სამინისტროს შორის ხელმოწერილი პროტოკოლის საფუძველზე ხელს უწყობენ სხვადასხვა

[326] იქვე.

[327] KARAKAŞ B, “Biz Her Şeyiz”, Istanbul, 2021, https://tinyurl.com/4a8ur6cj, ბოლოს გადამოწმდა: 29.07.2024. ოჯახისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო 2011 წელს შეიქმნა, რომელმაც შეცვალა ქალთა და ოჯახის საქმეთა სახელმწიფო სამინისტრო. სამინისტროს სახელი 2018 წელს კიდევ ერთხელ შეეცვალა და დასახელდა ოჯახის, შრომისა და სოციალური მომსახურების სამინისტრო.

[328] Adak S, Expansion of the Diyanet and the Politics of Family in Turkey under AKP Rule, https://tinyurl.com/uxnnp82f , ბოლოს გადამოწმდა: 29.07.2024

რელიგიური ღონისძიებებისა და აქტივობების გამართვას უნივრსიტეტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებში. პირველი ახალგაზრდული ცენტრი 2018 წელს გაიხსნა ულუდაღის უნივერსიტეტში. 2019 წლისთვის ასეთი ცენტრების რაოდენობამ 250-ს მიაღწია, სადაც დასაქმებული იყო 1796 კოორდინატორი, რომელთაც ევალებოდათ სწორად გაენაწილებინათ საქმე თანამშრომლებს შორის.[329] თუმცა რელიგიურ საქმეთა სამმართველო ამ ნაბიჯებითაც არ კმაყოფილდება. მიზნის განხორციელების გზაზე მან საკუთარი საერთო საცხოვრებლები და სტუდენტური სახლებიც კი გახსნა და დაიწყო ახალი პროექტი სახელწოდებით ,,ღირებულებები ახალგაზრდებისთვის“, რომლის მიხედვითაც ორგანიზაციის ყველა თანამშრომელს ევალება დაუკავშირდეს 10 ახალგაზრდას და გაუწიოს კონსულტაცია რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, დიანეთის თანამშრომლები თითოეული ახალგაზრდისაგან ითხოვენ სპეციალური ფორმის შევსებას, სადაც მითითებული იქნება ინფორმაცია მათ შესახებ - სახელი, მისამართი და ასაკი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალგაზრდების მოძიება რელიგიური ზედამხედველობის უზრუნველყოფის მიზნით, ძირითადად, რელიგიური თემების პრეროგატივაა, თუმცა დიანეთი ახლა ამ ფუნქციასაც ითავსებს. 2019 წლის მონაცემებით რელიგიურ საქმეთა სამმართველოში დასაქმებული 22 710 ოფიციალური პირის ზედამხედველობის ქვეშ დაახლოებით 410 640 ახალგაზრდა იმყოფებოდა.[330]

დიანეთი ერთგვარი პოლიტიკური ინსტრუმენტია ხელისუფლების ხელში და ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა 2010 წლიდან, მანამდე, როცა მის სათავეში ალი ბარდაქოღლუ იდგა, ორგანიზაცია ინარჩუნებდა ინსტიტუციურ ავტონომიას, რასაც ადასტურებს მისი თამამი პასუხი პრეზიდენტის ინიციატივაზე, რომ რეჯეფ თაიფ ერდოღანის სურვილი დიანეთთან კონსულტირების თაობაზე ეწინააღმდეგებოდა სეკულარიზმის პრინციპს. [331]

სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მიერ დანიშნული დიანეთის პირველი ხელმძღვანელი ამ პასუხის შემდეგ მალევე თანამდებობაზე მეჰმედ

[329] KARAKAŞ B, “Biz Her Şeyiz”, Istanbul, 2021, https://tinyurl.com/c9vmr9k6, ბოლოს გადამოწმდა: 30.07.2024

[330] იქვე, გვ: 18

[331] სიხარულიძე გ, სეკულარიზმის დილემა თურქეთში, კვლევითი დოკუმენტი,თბილისი, 2017, გვ:11

გორმეზიმ შეცვალა. თუ მთავრობისადმი მხარდაჭერის ხარისხით ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, რომ რელიგიურ საკითხთა დეპარტამენტმა მისი ხელმძღვანელობის პერიოდში თითქმის სრულად დაკარგა ავტონომია. ამას ადასტურებს გორმეზის მხარდაჭერა გეზის პარკის მოვლენებთან დაკავშირებით მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, როდესაც მან მოიწონა რეჯეფ თაიფ ერდოღანის მიერ Twitter-ისა და YouTube-ის დროებითი დახურვა.[332] რელიგიურ საქმეთა სამმართველომ ასევე მოქმედ ხელისუფლებას დაუჭირა მხარი მმართველი პარტიისა და შეიხ ფეთჰულა გიულენის დაპირისპირებაში.[333] მიუხედავად ამგვარი პოზიციისა, 2017 წელს მეჰმედ გორმეზი თანამდებობიდან გაათავისუფლეს და რელიგიურ საკითხთა დეპარტამენტს სათავეში ჩაუდგა ალი ერბასი, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ კიდევ უფრო მეტი ლოიალური პოზიციით გამოირჩევა. თუმცა რელიგიურ საქმეთა სამმართველოს საქმიანობისა და რესურსების გაფართოებას ავტომატურად არ მოუტანია ამ ორგანიზაციისთვის ინსტიტუციური გაძლიერება. პირიქით, 2010 წლიდან მოყოლებული, დიანეთმა დაკარგა ის პოლიტიკური ავტონომია, რომელიც ადრე ჰქონდა. ერთი მხრივ, დიანეთის გავლენისა და რესურსების გაფართოება, ხოლო მეორე მხრივ, ორგანიზაციის ავტონომიის დაკარგვის თანმხვედრი პროცესი არის რელიგიური მოძრაობებისა და ორგანიზაციების ერთ-ერთი განმსაზღვრელი მახასიათებელი თურქეთში ზომიერი ისლამური სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მმართველობის პერიოდში.

მოქმედი ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ასევე ქვეყანაში იმამებისა და მქადაგებელთა სკოლების აღორძინებაზე (იმამ ჰათიფის სკოლები (IHO)), რომლებიც რელიგიური განათლების მიმწოდებელ ძირითად ინსტიტუტებს წარმოადგენენ თურქეთში, ისინი ძალაუფლებისათვის ბრძოლის პარალელურად ჩამოყალიბდნენ და მათი განვითარება პოლიტიკური ძალების დამოკიდებულების შესაბამისად მოხდა. მას შემდეგ, რაც სამართლიანობისა და განვითარების პარტია საკუთარ ძალებში დარწმუნდა, მან დაიწყო ქმედითი

[332] Arat Y, Pamuk S, Turkey between Democracy and Authoritarianism, https://tinyurl.com/489ujfuv , ბოლოს გადამოწმებული: 30.07.2024

[333] Erdoğan, Diyanet'in düzenlediği Kutlu Doğum programında Cemaat'e yönelik sert mesajlar verdi. https://tinyurl.com/v8xxtwap , ბოლოს გადამოწმდა: 30.07.2024

ნაბიჯების გადადგმა რელიგიური სკოლების აღორძინების კუთხით. ამ მიზნით 2011 წელს თურქეთში შეიცვალა იმამ ჰათიფის უმაღლეს სასწავლებლებში რეგისტრაციისა და მისაღები გამოცდების ჩატარების წესი, ასევე გაუქმდა არსებული კოეფიციენტების სისტემა, რამაც გაზარდა საზოგადოების მოთხოვნა ამ ტიპის სკოლებზე და უზრუნველყო სტუდენტთა მზარდი ჩარიცხვა. იმამ ჰათიფის სკოლებს დღეს ენიჭებათ ახალი თაობის აღზრდის მისია და რელიგიური მოხელეების მომზადება სეკულარულ თურქეთში.[334] ანკარის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის დოქტორის ჰალილ ბურუკის ცნობით, 2018 წლისათვის თურქეთში იმამ-ჰათიფის სკოლების რაოდენობამ 3286–ს მიაღწია, ხოლო მათი მოსწავლეების რიცხვი 723 108 შეადგენდა. საერო ოფიციალური საშუალო სკოლების რაოდენობა კი ამ პერიოდისათვის იყო 16 875, ხოლო მათი მოსწავლეების რიცხვი 5 077 153-ს აღწევდა. აღნიშნული მონაცემების საუძველზე მკვლევარი აკეთებს დასკვნას, რომ იმამ-ჰათიფის სკოლები ოფიციალური საშუალო სკოლების 19%-ს, ხოლო იმამ-ჰათიფის უმაღლესი სკოლის (IHHS) სტუდენტთა რიცხვი ქვეყანაში სტუდენტთა საერთო რაოდენობის 14%-ს შეადგენდა.[335] ამასთან ერთად 2012 წლიდან საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების კურუკულუმში სამი არჩევითი კურსი დაემატა: ,,ყურანი“, ,,წინასწარმეტყველის ცხოვრება“ და ,,ძირითადი რელიგიური ცოდნა“. ასე რომ, ზომიერი ისლამური სამართლიანობისა და განვითარების პარტია დღემდე ფართოდ იყენებს სახელმწიფო რესურსს ღვთისმოსავი თაობის აღსაზრდელად, რომლის შესახებაც რეჯეფ თაიფ ერდოღანმა პირველად 2012 წლის თებერვალში განაცხადა და შემდგომშიც არაერთხელ გაიმეორა.[336] მმართველი ძალა ცდილობს რელიგიური სწავლების როლის გაზრდას საგანმანათლებლო სივრცეში, რათა მოახდინოს ახალგაზრდა თაობის აღზრდა ისლამური იდეოლოგიის მქონე

---

[334] Buyruk H, The role of religious education in hegemony construction: the case of imam hatip schools in Turkey, https://tinyurl.com/2s42zhu4, ბოლოს გადამოწმდა: 28.07.2024

[335] Digest of Education Statistics2018, https://nces.ed.gov/pubs2020/2020009.pdf, ბოლოს გადამოწმდა: 28.07.2024

[336] "Dindar bir gençlik yetiştirmek istiyoruz!", https://tinyurl.com/2fr547tt, ბოლოს გადამოწმდა: 28.17.2024

კადრებად, რომლებიც მხარს დაუჭერენ რეჯეფ ტაიფ ერდოღანის პოლიტიკურ რეჟიმს.[337]

მმართველი პარტიის მიერ კონტროლირებადი რელიგიური ინსტიტუტების გარდა, თურქეთის რესპუბლიკაში რელიგიურ საკითხთან დაკავშირებით თავისი აქტიურობით გამოირჩევა ,,სოციალური ისლამი“. ის გულისხმობს ისეთ რელიგიურ ორგანიზაციებს, როგორიცაა რელიგიური ორდენები და ფონდები, რომლებიც არ არის შექმნილი და არ კონტროლდება სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის მიერ. ქემალისტური რეჟიმის რეპრესიების მიუხედავად, რელიგიური თემები და ორდენები გადარჩნენ და დღეს საკმაოდ გავლენიან აქტორებს წარმოადგენენ სოციალურ ცხოვრებაში. დღეს თურქეთში განსაკუთრებით გავრცელებულია ტარიკატები.[338] მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვნად ითვლება ნაქშბანდიის სუფიური ორდენი. ტარიკატის მხარდამჭერმა მუსლიმებმა დაიწყეს ჯემაათებში (იგივე ჯამაათებში) გაერთიანება.[339] სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მმართველობის პირობებში ეს ფონდები და ორგანიზაციები გამრავლდნენ და მნიშვნელოვნად გააფართოვეს თავიანთი გავლენა ქვეყნის კულტურაზე, ეკონომიკაზე, პოლიტიკასა და რელიგიაზე. დღეს თურქეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს შემდეგი რელიგიური ჯგუფები: ადიამან მენზილის თემი (Menzil Cemaati), ისმაილ აღას თემი (Ismailaga cemaaati), სულეიმანჩილარის თემი (Suleymancilar) და სხვ.[340] ყველა ეს რელიგიური ჯგუფი ნაქშბანდიის ტარიკატთან თანამშრომლობს, თუმცა საიდ ნურის თემი (Nur Cemaati) არ ერთიანდება ამ ტარიკატში. მისი მიზანია კანონიერი გზით ძალაუფლების ხელში ჩაგდება და ამისთვის განათლებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.[341] რიგი წყაროს მიხედვით,

---

[337] Yilmaz I, Islamic Populism and Creating Desirable Citizens in Erdogan’s New Turkey, https://doi.org/10.1215/10474552-7345451 , ბოლოს გადამოწმდა: 28.07.2024

[338] ტარიკატი("Tarikat") ისლამური წესრიგი, ტრადიციული ისლამური ორგანიზაციები, წარმოდგება არაბული სიტყვისაგან ,,გზა”

[339] ჯემაათი (,,Cemaat") ჯამაატი არაბულიდან ითარგმნება როგორც "საზოგადოება, კოლექტივი, ჯგუფი". ჯემაათი არის მუსლიმთა ჯგუფის გაერთიანება ისლამის ერთობლივი შესწავლისა და რელიგიური რიტუალების შესრულების მიზნით.

[340] Тарикаты и Джамааты в Турции, https://dzen.ru/a/W6vu3p49ogCpjs6Q, ბოლოს გადამოწმდა: 16.08.2024

[341] nur cemaati, https://eksisozluk.com/nur-cemaati--93851, ბოლოს გადამოწმდა: 16.08.2024

გიულენის მოძრაობა ნურის თემის ერთ-ერთ ფილიალად არის დასახელებული.[342] აქვე უნდა დავასახელოთ ფეთჰულა გიულენის მიერ დაფუძნებული ,,ფეტო" (Cemaat "FETÖ"), რომელიც ბოლო დრომდე ქვეყნის უდიდეს რელიგიურ თემს წარმოადგენდა. მაგრამ 2016 წლის 15 ივლისის განუხორციელებელი სამხედრო გადატრიალების მცდელობის შემდეგ, რომლის ინიციატორადაც მიჩნეულია აშშ-ში მცხოვრები ფეთჰულა გიულენი, მთავრობამ ჯემაათი ტერორისტების სიაში შეიყვანა.

თუ რესპუბლიკური თურქეთის დღევანდელ პოლიტიკურ ცხოვრებას გადავხედავთ, სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ყოვლისმომცველი ,,cemaat პოლიტიკა" დაფუძნებულია ,,დაჯილდოებისა" და ,,დასჯის" პოლიტიკაზე, რაც გამოიხატება იმაში, რომ მმართველი პარტია სახელმწიფო რესურსებს ხელმისაწვდომს ხდის ზოგიერთი რელიგიური თემისთვის მათი საარჩევნო მხარდაჭერის სანაცვლოდ. სახელმწიფო მხარდაჭერა გულისხმობს, ერთი მხრივ, რელიგიური ორგანიზაციების მიერ გაძლიერებული ოფიციალური ინსტიტუტებისთვის: სკოლების, ინსტიტუტების, საერთო საცხოვრებლების, ყურანის სკოლებისა და მედია ორგანიზაციებიისათვის მიწის ნაკვეთის გადაცემას ან პირდაპირი ფინანსური დახმარების გაწევას.[343] მეორე მხრივ კი, სახელმწიფო სტრუქტურებში რელიგიური სექტების შეღწევას და გაძლიერებას. თურქეთის ისტორიის მკვლევარი რუშენ ჩაკირი სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის ასეთ გამოცხადებას ,,არანორმალურს" უწოდებს და მიაჩნია, რომ სწორედ ამგვარმა დამოკიდებულებამ გამოიწვია ქვეყანაში რელიგიური თემების პოლიტიზაცია უპრეცენდენტო მასშტაბით. [344]

2016 წელს ზომიერი ისლამური სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ყოფილმა დეპუტატმა ჰუსეინ ბესლიმ ,,დაადასტურა" ბრალდებები, რომ მენზილის სექტა ჯანდაცვის სამინისტროს წევრი გახდა და მთავრობა აგრძელებს

---

[342] Yalçın S, Nurcularda büyük bölünmenin sebebi: Düdüklü tencere suikastı, https://tinyurl.com/2f8yevae, ბოლოს გადამოწმებულია: 16.08.2024

[343] Tarikat ve cemaatlere aktarılan paraları kesin, https://tinyurl.com/5277655b , ბოლოს გადამოწმდა: 30.07.2024

[344] Çakır R, Cemaatler neden oylarının rengini açıklıyor? https://tinyurl.com/3f8tdnwv , ბოლოს გადამოწმდა: 1.08.2024

მხარდაჭერას რელიგიური თემებისა და სექტებისადმი.[345] ამას ადასტურებს სახელმწიფოს მიერ ფეთჰულა გიულენის მოძრაობის მიმდევრებისა და მხარდამჭერი ინსტიტუტებისათვის ფინანსური აქტივების ჩამორთმევა და სხვა რელიგიური ორგანიზაციებისათვის გადაცემა. 3 887 სტუდენტური საერთო საცხოვრებელი და 820 კერძო საერთო საცხოვრებელი გადაეცა ისეთ სექტებს, როგორებიცაა: სულეიმანჯი, მენზილი, ისმაილ აღა, ნაქშბანდი და სხვ.[346] უნდა აღინიშნოს, რომ ისინი საუკუნეების განმავლობაში არსებობდნენ და ქმნიდნენ ისლამურ სუნიტურ რელიგიურ ორდენებს. მართალია, 1925 წელს რელიგიის საკითხთა დეპარტამენტის დაარსების შემდეგ აიკრძალა ყველა რელიგიური ჯგუფი, რომლებიც წარმოადგენდა სუფიურ ორდენს, ხოლო თეკეები და სუფის ლოჟები დაიხურა.[347] თუმცა საზოგადოებაში დიდი გავლენის გამო მათი აღმოფხვრა შეუძლებელი გახდა. მრავალპარტიულ სისტემაზე გადასვლის შემდეგ (1946წ) ამ რელიგიურმა ჯგუფებმა განაახლეს აქტიურობა სოციალურ და რელიგიურ ცხოვრებაში და გააღვიძეს ინტერესი პოლიტიკოსებში. დღეს თურქეთის მოქმედ მთავრობას აქვს მრავალი რესურსი, რომელსაც მათი ერთგულების სანაცვლოდ სთავაზობს დასახელებულ რელიგიურ ორდენებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დიანეთმა და ,,სოციალურმა ისლამმა" მოახერხეს და გაინაწილეს ის ტვირთი თუ ავტორიტეტი, რომელსაც ,,ჭეშმარიტი ისლამის სწავლება და გაძლიერება" ჰქვია, სამართლიანობისა და განვითარების ზომიერმა ისლამურმა პარტიამ კი, მათ შორის არსებული განსხავავებების მიუხედავად, მაინც შეძლო მათი ასიმილაცია.[348] ილინოისის შტატის უნივერსიტეტის დოქტორი იუსუფ სარფატი თავის მონოგრაფიაში ,,რელიგიური ხელისუფლება თურქეთში: ჰეგემონია და წინააღმდეგობა" წერს: ერდოღანი აერთიანებს პოლიტიკურ და რელიგიურ ავტორიტეტს საკუთარ თავში. ის აღარ

[345] Eski AKP'li vekilden itiraf: Menzil Tarikatı, Sağlık Bakanlığı'nda kadrolaştı, https://tinyurl.com/3kwdrj5x , ბოლოს გადამოწმდა: 30.07.2024

[346]CHP'li komisyon üyeleri Aladağ raporuna şerh koydu, https://tinyurl.com/5dvcufsn , ბოლოს გადამოწმდა: 30.07.2024

[347] Albayrak H, Religious Pluralism and Religion-State Relations in Turkey, https://tinyurl.com/b5dnkm5n, ბოლოს გადამოწმდა: 30.07.2024

[348] An alternative reading of religion and authoritarianism: the new logic between religion and state in the AKP's New Turkey, https://tinyurl.com/2deseftb, ბოლოს გადამოწმდა: 30.07.2024

არის მხოლოდ პოლიტიკური ლიდერი, ის თურქეთში უპირველეს რელიგიურ ავტორიტეტად გვევლინება და არის ერისკაცი რელიგიაში.[349] იმავე მოსაზრებას გამოთქვამს აჰმედ ოზთურქიც თავის სტატიაში, სადაც წერს, რომ პოლიტიკურ პარტიას, მის ლიდერსა და რელიგიურ თემებს შორის ინტეგრაციის მაღალმა დონემ გამოიწვია პოლიტიკური ლიდერის ტრანსფორმაცია ,,უზენაეს ლიდერად".[350] ხოლო ანთროპოლოგი ტაიფუნ ათაი ამ პროცესს ერდოღანიზმის სახელით მოიხსენიებს. ამრიგად, ერდოღანის ,,ჯემაათ პოლიტიკას" შედეგად მოჰყვა რელიგიური თემების ძალაუფლებისა და რესურსების გაფართოება მათი დამოუკიდებელი მართვა-გამგეობის შეზღუდვის ხარჯზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგივე პროცესები შეიმჩნევა დიანეთთან მიმართებაშიც.

რაც შეეხება თურქეთის რესპუბლიკაში მოქმედ ახალ რელიგიურ ორგანიზაციებს, სოციალური ისლამის შერწყმას სახელმწიფო ინსტიტუტებთან და მმართველ პარტიასთან ხელი შეუწყო სრულიად ახალი რელიგიური ორგანიზაციების ფორმირებამ, რომელსაც აფინანსებს და მართავს ერდოღანის უახლოესი წრე, ხშირად მისი ოჯახის წევრების ჩათვლით. ასეთი ორგანიზაციებია: თურქეთის ახალგაზრდობის ფონდი (TÜGVA) და თურქეთის ახალგაზრდობისა და განათლების სერვისის ფონდი (TÜRGEV).[351] ეს უკანასკნელი დაარსდა სტამბოლში 1996 წელს რეჯეფ თაიფ ერდოღანის ხელმძღვანელობით, როდესაც ის იყო სტამბოლის მეტროპოლიტენის მერი. თავდაპირველად ფონდის სახელწოდება იყო სტამბოლის ახალგაზრდობისა და განათლების ფონდი (İSEGEV), 2012 წელს კი მან შეიცვალა სახელი და თურქეთის ახალგაზრდობისა და განათლების სერვისის ფონდი (TÜRGEV) ეწოდა.[352] რადგანაც ეს ფონდი ორიენტირებულია ქალ სტუდენტებზე, ამიტომ ამ ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი არის პრეზიდენტის ქალიშვილი ესრა ალბაირაკი,

---

[349] Sarfati Y, Religious Authority in Turkey: Hegemony and Resistance, **https://tinyurl.com/9smhbez3**, ბოლოს გადამოწმდა: 30.07.2024

[350] Öztürk A, An Alternative Reading of Religion and Authoritarianism: The New Logic Between Religion and State in the AKP's New Turkey, https://tinyurl.com/25x7vthj , ბოლოს გადამოწმდა: 30.07.2024

[351] Hakkimizda, https://tinyurl.com/ynsyep7a , ბოლოს გადამოწმდა: 1.08.2024

[352] იქვე, ასევე TÜRGEV büyüdüğü için paralel yapının hedefi oldu, https://tinyurl.com/3azep54a, ბოლოს გადამოწმებულია: 1.07.2024

ხოლო დირექტორთა საბჭოს სათავეში ფატმანურ ალთუნი უდგას.[353] რაც შეეხება თურქეთის ახალგაზრდობის ფონდს(TÜGVA), ის 2013 წელს დაარსდა მამრობითი სქესის სტუდენტებისათვის და ორგანიზაციის მრჩეველთა საბჭოს წევრი გახლავთ თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვაჟი ბილალი ერდოღანი.[354] ასევე იგი აკონტროლებს სხვა უფრო მცირე მასშტაბის რელიგიური ორგანიზაციებს თანამედროვე თურქეთში, როგორებიცაა: ახალი თურქეთის განათლების ფონდი (Yeni Türkiye Eğitim Vakfı), ქართალის განათლების ფონდი (Kartal Eğitim Vakfı), ორფანის ფონდი ( İrfan Vakfı), ცოდნის გავრცელების ფონდი( İlim Yayma Vakfı) და ანსარის ფონდი (Ensar Vakfı). თავად პრეზიდენტი ერდოღანი ხშირად ჩნდება ამ ფონდების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე და ღიად აცხადებს, რომ მხარს უჭერს მათ საქმიანობას.[355]

სხვა რელიგიური ფონდებისა და ორგანიზაციების მსგავსად, ეს ფონდები აქტიურად არიან ჩართული ღვთისმოსავი თაობის აღზრდის საქმეში. თურქეთის ახალგაზრდობისა და განათლების სერვისის ფონდს (TÜRGEV) აქვს ათობით საერთო საცხოვრებლი საშუალო სკოლის მოსწავლეებისა და უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის. აღსანიშნავია, რომ ტარიკატისა და ჯემაათის ტრადიციულ რელიგიურ თემებთან შედარებით ახალი რელიგიური ორგანიზაციები სახელმწიფოს მხრიდან უფრო მეტი მხარდაჭერითა და პრივილეგიებით სარგებლობენ. მათი წევრები დასაქმებული არიან საჯარო სექტორში: იუსტიციის სამინისტროში, შინაგან საქმეთა სამინისტროში, განსაკუთრებით კი პოლიციის დეპარტამენტში და სხვ.[356]

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ როგორც ტრადიციული, ისე ახალი რელიგიური ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ

---

353 Başkan Erdoğan'dan TÜRGEV yurduna ziyaret, https://tinyurl.com/nxw3kz5j, ბოლოს გადამოწმდა: 1.08.2024

354 TÜGVA’nın, 249. binası hizmete açıldı, https://tinyurl.com/mrycekk9 , ბოლოს გადამოწმდა: 1.08.2024

355 Çevik S, New Turkey and Management of the Religious Realm: Continuities and Ruptures, https://journals.openedition.org/ejts/8080 , ბოლოს გადამოწმდა: 1.08.2024

356 TÜGVA'nın eski yöneticisi Tamer Özsoy: Adalet Bakanlığı’nda 100’ün üzerinde TÜGVA’lı var, bekçi alımlarında da TÜGVA’ nın çok ciddi bir rolü var, https://tinyurl.com/4vhh3db5, ბოლოს გადამოწმებულია: 1.07.2024

თანამედროვე თურქთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისინი თავიანთი საქმიანობით ხელს უწყობენ ისლამის გაძლიერებას ქვეყანაში, ზრდიან სულიერი ღირებულებებისადმი ერთგულ თაობას და სარგებლობენ მოქმედი მთავრობის ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერით, თუმცა ფაქტია, რომ ამისათვის თავიანთი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დათმობა უწევთ. დიანეთი(Diyanet), ჯემაათი(cemaats) და ახლადწარმოქმნილი რელიგიური ორგანიზაციები არ არიან ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი, პირიქით, ისინი მოკავშირეებს წარმოადგენენ ახალი რელიგიური თაობის ჩამოყალიბების საქმეში. ამ მხრივ არსებითი განსხვავება სახელმწიფო ისლამსა და სოციალურ ისლამს შორის თითქმის არ არსებობს და მათი საქმიანობა სულ უფრო ემსგავსება ერთმანეთს. მომავალი აჩვენებს ხელისუფლების კონტროლქვეშ მოქცეული ახალი რელიგიური თემები შეძლებენ თუ არა გაძლიერებას ტრადიციული რელიგიული ინსტიტუტების მსგავსად, თუმცა მათი ამჟამინდელი ფორმით არსებობაც კი მნიშვნელოვანი მოვლენაა თურქეთის პოლიტიკაში. უფრო მეტიც, უზარმაზარი რესურსები და ძალისხმევა, რომელიც ერდოღანის ერთგული რელიგიური ახალგაზრდობის აღზრდისკენ არის მიმართული, კიდევ უფრო განამტკიცებს პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის სურვილს დარჩეს აქტიური პოლიტიკაში უახლოეს მომავალში. გულუბრყვილობა იქნება ვიფიქროთ, რომ პრეზიდენტი ერდოღანი სრულად ენდობა ამ სექტებსა და თემებს, ამიტომაც მუდმივად აკონტროლებს მათ. რელიგიური სფეროს კონტროლი მას საშუალებას აძლევს გააკონტროლოს სამოქალაქო საზოგადოება, რაც გადამწყვეტია თანამედროვე თურქეთის ავტორიტარული პოლიტიკური სისტემის შენარჩუნებისათვის.

### 3.2. პოლიტიკური სისტემის ცვლილებები სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მმართველობის პერიოდში.

თურქეთის რესპუბლიკის ისტორია 100 წელზე მეტს ითვლის, ამ წლების განმავლობაში ძირეული ცვლილებები განხორციელდა ქვეყნის საშინაოპოლიტიკურ ცხოვრებაში, ეკონომიკასა თუ საერთაშორისო ურთიერთობებში. 2002 წლის საპარლამენტო არჩევნები თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური სისტემის ერთგვარი შემობრუნების საფუძვლად იქცა. 550

ადგილიან პარლამენტში აბსოლუტური უმრავლესობით მოვიდა ახალი პოლიტიკური ძალა-სამართლიანობისა და განვითარების პარტია, რომელმაც გაატარა მთელი რიგი მასშტაბური რეფორმები და მიაღწია იმას, რომ დღეს თურქეთი მნიშვნელოვან მოთამაშეს წარმოადგენს არა მხოლოდ რეგიონში, არამედ მსოფლიო პოლიტიკაში და მიზნად ისახავს კიდევ უფრო მეტად ამბიციური გეგმებისა და პროექტების განხორციელებას.

აბდულაჰ გიულისა და რეჯეფ ტაიფ ერდოღანის მიერ 2001 წელს ჩამოყალიბებული სამართლიანობისა და განვითარების პარტია(AKP) ზომიერ ისლამურ პარტიას წარმოადგენს დღესაც. მიუხედავად ისლამური ფესვებისა, მმართველი პარტიის წევრები(AKP) და მისი ლიდერები უარყოფენ მათ მიკუთვნებულობას პოლიტიკური ისლამისადმი და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მათი მიზანია ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის ხელშეწყობა და არა რელიგიის პოლიტიზაცია, რომ პარტია ორიენტირებული არის ,,კონსერვატიულ დემოკრატიაზე“ და არა რელიგიაზე.[357] თუმცა AKP-ს ხელმძღვანელთა პოლიტიკური წარსული, ასევე მმართველი ძალის მიერ განხორციელებული რეგულაციები - მათ შორის ალკოჰოლური სასმელით ვაჭრობის შეზღუდვასა და თავსაბურავის ტარებასთან დაკავშირებით, რომელსაც ატარებენ პარტიის ლიდერთა ცოლები - ემინე ერდოღანი და ჰაირუნისა გიული, საზოგადოებაში საფუძვლიან ეჭვებს იწვევს.[358] გარდა ამისა, ჯერ კიდევ 1997 წელს ერდოღანი სასამართლომ ოთხი თვით ჩასვა ციხეში სიირთის პროვინციაში გამართულ ერთ-ერთ მიტინგზე პროისლამური ხასიათის ლექსის წაკითხვის გამო და კანონით აუკრძალა საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა.[359] რუსი მკვლევარი ნ. ჩერნიჩენკინა თავის სამეცნიერო ნაშრომში ამ საკითხთან დაკავშირებით წერს, რომ სამართლიანობისა და განვითარების პარტია იძულებული გახდა მოეხდინა თავისი პოლიტიკური პლატფორმისა და თვითიდენტიფიკაციის ცვლილება ისე, რომ შესაბამისობაში ყოფილიყო სეკულარულ პოლიტიკურ სისტემასთან. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მმართველი პარტია თავს პროდასავლურად

[357] Черниченкина Н, Политическая идентичность ПСР как фактор ее успеха в качестве партии власти, https://tinyurl.com/4mmt7mty, ბოლოს გადამოწმდა:21.03.2023

[358] Justice and Development Party, https://tinyurl.com/fut4ne99, ბოლოს გადამოწმდა:15.05.2024

[359] იქვე

აცხადებდა და მხარს უჭერდა, ერთი მხრივ, ლიბერალურ საბაზრო ეკონომიკას, მეორე მხრივ კი, მიზნად ისახავდა ევროკავშირში გაწევრიანებას.[360] მოსახლეობამ, რომელიც თითქოსდა დაღლილი იყო მემარჯვენე და მემეარცხენე მიმართულების ძალთა დაუსრულებელი მეტოქეობით, მზარდი ინფლაციითა და ისლამური ლოზუნგებით და გრძნობდა მათ უშედეგობას მძლავრი სეკულარიზმის ფონზე, მხარი დაუჭირა იმ ძალას, რომელიც მშვიდობას, წესრიგს, ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას და სახელმწიფოსა და საზოგადოების კეთილდღეობის გაზრდას ჰპირდებოდა მათ. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებთან პირველი შეხვედრისას რეჯეფ თაიფ ერდოღანმა კიდევ ერთხელ გააჟღერა მუსტაფა ქემალის სიტყვები ,,ძალაუფლება უპირობოდ ეკუთვნის ხალხს“ და ამ სიტყვებით საზოგადოებას საკმაოდ მკაფიოდ დაანახვა ის გზა, რომლითაც ქვეყანა გააგრძელებდა არსებობას და განვითარებას. ერდოღანი და მისი გარემოცვა ახლა უკვე ღიად აკრიტიკებდნენ კეთილდღეობის პარტიის წარსულს და პოზიციონირებდნენ, როგორც კონსერვატორები და არა როგორც ისლამისტები. ისინი მოგზაურობდნენ აშშ-სა და ევროპაში, ხვდებოდნენ დიპლომატებს და ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომელთაც ჰქონდათ პოლიტიკური ინტერესები რეგიონში, მხარს უჭერდნენ პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების განმტკიცებას აშშ-სთან და ევროპასთან.

2002 წლის ნოემბრის 58-ე მთავრობას პრეზიდენტმა სეზერმა აბდულაჰ გიული ჩაუყენა სათავეში, ახალმა პრემიერმა კონსტიტუციაში განახორციელა ცვლილებები, რომლის საფუძველზეც რეჯეფ თაიფ ერდოღანს მოეხსნა პოლიტიკური შეზღუდვა და 2003 წელს იგი თურქეთის პრემიერ-მინისტრი გახდა. ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა მალევე დაიწყო საუბარი (2005) მმართველობით სისტემაში მოსალოდნელი ახალი ცვლილებების შეტანის შესახებ, რაც ითვალისწინებდა საპარლამენტო რესპუბლიკის საპრეზიდენტო რესპუბლიკად გარდაქმნას. საპრეზიდენტო სისტემაზე გადასვლის აუცილებლობაზე პირველად იუსტიციის მინისტრი ჯემილ ჩიჩექი ალაპარაკდა, მან განაცხადა, რომ ქვეყანაში აუცილებელია საპრეზიდენტო სისტემა

[360] New to Turkish politics? Here is a rough primer? Turkish Daily News, https://tinyurl.com/rzzcyj7c, ბოლოს გადამოწმდა:18.04.2023

პოლიტიკაში სტაბილურობის მისაღწევად,. ამ იდეას მხარი დაუჭირა მოქმედმა პრემიერ-მინისტრმა რეჯეფ ტაიპ ერდოღანმა.[361] თუმცა საპრეზიდენტო მმართველობის შესახებ დებატები თურქეთის რესპუბლიკაში ახალი არ არის და ის პირველად გამოიკვეთა 1980-იან წლებში, როდესაც პარლამენტის საკონსტიტუციო კომისიის ყოფილმა თავჯდომარემ, პროფესორმა ბურჰან კუზუმ, რჩევა მისცა თურქეთის მე-8 პრეზიდენტს თურგუთ ოზალს, მოგვიანებით კი ეს საკითხი მე-9 პრეზიდენტის, სულეიმან დემირელის, მმართველობის დროს კიდევ ერთხელ გახდა მსჯელობის საგანი.

პოლიტიკურ სისტემას, რომლის პირობებშიც პრეზიდენტის არჩევა საერთო-სახალხო არჩევნების გზით ხდება და მას დიდი უფლებამოსილება ენიჭება, ,,ნახევრად საპრეზიდენტო რეჟიმი“ უწოდა ფრანგმა პოლიტოლოგმა მორის დიუვერჟემ.[362] ამ სისტემის პირობებში აღმასრულებელი ხელისუფლება დუალისტურია (პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი), მაგრამ უპირატესობა პრეზიდენტს ენიჭება, გარდა ამისა, მთავრობა ანგარიშვალდებულია როგორც პრეზიდენტის, ასევე პარლამენტის წინაშე და მთავრობის მეთაური ძალაუფლებას შეინარჩუნებს მანამ, სანამ ისარგებლებს პრეზიდენტისა და პარლამენტის ნდობით.[363] მყარდებოდა თუ არა თურქეთში ნახევრადსაპრეზიდენტო მმართველობა 2007 წლის რეფერენდუმით?

სანამ უშუალოდ ამ კითხვაზე ვუპასუხებდეთ, აღვნიშნავთ, რომ თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში 2007 წელი მნიშვნელოვანი თარიღია. ამ წელს საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორი დღით ადრე თურქეთის დედაქალაქ ანკარაში ოპოზიციონერთა მხრიდან მრავალათასიანი საპროტესტო აქცია გაიმართა, რაც პრეზიდენტის თანამდებობაზე ერდოღანის კანდიდატურის შესაძლო დასახელებას უკავშირდებოდა. ,,თურქეთი სეკულარულია და სეკულარული დარჩება“ - სკანდირებდნენ ისინი. ,,თუ პრემიერ-მინისტრმა შეხედულებები

---

[361] Gündem başkanlık tartışması, http://arsiv.ntv.com.tr/news/303471.asp, ბოლოს გადამოწმდა: 11.11.2023

[362] ნაკაშიძე მ, ხელისუფლების განშტოებებთან პრეზიდენტის ურთიერთობათა თავისებურებანი მმართველობის ნახევრად საპრეზიდენტო სისტემაში, თბილისი 2010. გვ: 14.

[363] Duverger M: A New Political System Model Semi-Presidential Government. In European Journal of Political Research, Vol. 8, No 2, p: 166. https://tinyurl.com/4ws8vp7k, ბოლოს გადამოწმდა: 22.12.2023

შეიცვალა, რატომ ატარებს მისი მეუღლე ისევ პოლიტიკური ისლამის სიმბოლოს თავზე?“ - ასეთ კითხვას სვამდა თურქი მიმომხილველი ლეილა პავსანოღლუ და სეკულარიზმის მრავალი მტკიცე დამცველის მსგავსად მასაც სჯეროდა, რომ მმართველ პარტიას ისლამური დღის წესრიგი ჰქონდა.[364] რეჯეფ ტაიპ ერდოღანმა უარი თქვა საპრეზიდენტო ძალაუფლებაზე და საკუთარი კანდიდატურის ნაცვლად მმართველი პარტიის არჩევანი საგარეო საქმეთა მინისტრ აბდულაჰ გიულის კანდიდატურაზე შეაჩერა. თუმცა ვერც ამ გადაწყვეტილებით მოახერხა ოპოზიციური ძალების გულის მოგება, დემონსტრანტებმა დატბორეს თურქეთის უდიდესი ქალაქის ქუჩები, ისინი ადიდებდნენ არმიას და მოითხოვდნენ საპრეზიდენტო კანდიდატების მოხსნას, რომელთა AK (ak თურქულად ,,თეთრს“, ,,სუფთას“ ნიშნავს) პარტია სარგებლობდა უზარმაზარი საპარლამენტო უმრავლესობით, როგორც საფრთხე სახელმწიფოსა და რელიგიის გამიჯნული სეკულარული წესრიგისათვის.[365] გიულის გაპრეზიდენტებით დაიწყო ახალი ერა რესპუბლიკური თურქეთის ისტორიაში, რადგან ჩანკაიას სასახლე პირველად მოესწრო პირველ ლედის, რომელსაც თავსაბურავი ეკეთა. ერდოღანმა ქვეყანაში მიმდინარე საპროტესტო გამოსვლები შეაფასა, როგორც თურქეთის პოლიტიკური სისტემის კრახი და ოპოზიციურ პარტიებს საკონსტიტუციო რეფორმების პაკეტი შესთავაზა.

რეფერენდუმი საკონსტიტუციო ცვლილებების თაობაზე 2007 წლის 21 ოქტომბერს ჩატარდა. რეფორმის შესაბამისად იცვლებოდა პრეზიდენტის არჩევის წესი - მას აირჩევდა მოსახლეობა და არა პარლამენტი, საპრეზიდენტო ვადა განისაზღვრა ხუთი წლით, ნაცვლად შვიდი წლისა, პრეზიდენტს მიეცა შესაძლებლობა მეორე საპრეზიდენტო ვადით ეყარა კენჭი, დადგინდა, რომ საპარლამენტო არჩევნები გაიმართებოდა ხუთის ნაცვლად ყოველ ოთხ წელიწადში, განისაზღვრა საპარლამენტო ქვორუმი და 367-ის ნაცვლად შემცირდა 184-მდე. ცვლილებებს მხარი დაუჭირა ამომრჩეველთა 68, 95%-მა. 2007 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებით თურქეთის პრეზიდენტმა მიიღო

[364] Rainsford S, Headskarf issue challenges Turkey, https://tinyurl.com/58565d9p, ბოლოს გადამოწმდა: 25.05.2024
[365] Secular rally targets Turkish PM, https://tinyurl.com/4bac47s7, ბოლოს გადამოწმდა: 25. 05.2024

დემოკრატიული ლეგიტიმაცია, მაგრამ მან ვერ მოიპოვა ერთპიროვნული კონტროლი მთავრობაზე. მთავრობა, როგორც ადრე, ანგარიშვალდებული იყო პარლამენტის წინაშე. ასე რომ, საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციური ძალების გამარჯვების შემთხვევაში პრეზიდენტს მოუწევდა ოპოზიციურ პრემიერთან ,,თანაცხოვრება". რუსი პოლიტოლოგი აქსანა ხარიტონოვა თავის სამეცნიერო სტატიაში თურქეთში განხორციელებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს ასეთ შეფასებას აძლევს: ,,2007 წლის ოქტომბერში თურქეთში ჩატარებული რეფერენდუმი დასრულდა ნახევრად საპრეზიდენტო სისტემაზე გადასვლის მომხრეთა გამარჯვებით. თუმცა ვინაიდან ახალმა პარლამენტმა ივლისში მოახერხა პრეზიდენტის არჩევა ძველი წესით, დე ფაქტო მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ, 2014 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მოხდა ქვეყნის ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობით სისტემაზე გადასვლა".[366]

თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში სამხედრო ელიტის პოზიცია 1961 წლიდან მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა ქვეყნის პოლიტიკური სისტემის მდგრადობას და ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. 2007 წელს ერგენეკონის ორგანიზაციის წევრთა მიზანს არსებული პოლიტიკური სისტემის დამხობა და ხელისუფლების ჩამოგდება წარმოადგენდა, თუმცა შემდგომში განვითარებულმა პროცესებმა მესიჯი გაუგზავნა ყველას, რომ ვინც ერდოღანის წინააღმდეგ შეეცდებოდა გამოსვლას, ადვილად შეიძლებოდა მოხვედრილიყო ციხეში, მოესმინათ მათი პირადი სატელეფონო საუბრები, შეემოწმებინათ ელფოსტა და ა.შ. სეკულარული თურქეთის გამორჩეულმა ლიდერმა ნელ-ნელა დაიწყო სახელმწიფო სისტემის ,,წმენდა" მისი პოლიტიკით უკმაყოფილო მაღალჩინოსნებისაგან, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ არსებული პოლიტიკური სისტემის მდგრადობას.

2008 წელს ესპანეთში ვიზიტის დროს, ერთ-ერთ საერთაშორისო კონფერენციაზე, ერდოღანმა ჟურნალისტის მიერ დასმულ შეკითხვას კითხვითვე უპასუხა: ,,...თუ თავსაბურავიც არის პოლიტიკური სიმბოლო, ვინმეს აქვს უფლება მისი აკრძალვის?" - სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი ნაციონალისტური

[366] Харитонова О, Кризисная эволюция Турецкои политическои системы, ,,Полития", N3 (90), 2018, стр:187

მოძრაობის პარტიასთან ერთად ცვლილება მოახდინა კონსტიტუციაში და გააუქმა უნივერსიტეტებში ქალებისათვის თავსაბურავის ტარებაზე აკრძალვა. აბდულრახმან იალჩინქაიამ, რომელსაც მაშინ თურქეთის გენერალური პროკურორის პოსტი ეკავა, პარტია სეკულარიზმის პრინციპების დარღვევაში დაადანაშაულა და საკონსტიტუციო სასამართლოსგან მისი დახურვა მოითხოვა, პარტიის დახურვის მცდელობა მარცხით დასრულდა, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა დაანონსებული საკონსტიტუციო ცვლილებები.[367]

2009 წელს ერდოღანის მთავრობა შეეცადა ქურთულენოვანი ხალხების პრობლემების მოგვარებას - შესაძლებელი გახდა სპეციალური კურსების გახსნა, რომელთა მიზანს ქურთული ენის სწავლება წარმოადგენდა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გაიხსნა ფაკულტეტები, სადაც სწავლა ქურთულ ენაზე მიმდინარეობდა, ფუნქციონირება დაიწყო ქურთულენოვანმა სატელევიზიო მაუწყებლობამ, თუმცა, მიუხედავად მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯებისა, ქურთების საკითხი დღემდე მოუგვარებელი რჩება.

2010 წლის რეფერენდუმით კონსტიტუციაში განხორციელდა მორიგი ცვლილებები, რომლის თანახმადაც იზღუდებოდა სამხედრო ლიდერების ძალაუფლება. სამხედროებთან ერთად სასამართლო სისტემისა და ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურის მაღალჩინოსნების გაერთიანება ქმნიდა თურქეთში ე. წ. ,,ღრმა სახელმწიფოს“, რომელიც თანდათანობით დამოუკიდებელ ინსტიტუტად, თითქმის მეორე მთავრობად იქცა ქვეყანაში და მონაწილეობდა პოლიტიკური თვალსაზრისით ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში. როგორც განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა სამართლიანობისა და განვითარების პარტიის პოლიტიკა სწორედ ამ კოალიციის დაშლისაკენ იყო მიმართული.[368] გარდა ამისა, რეფორმების პაკეტი მოიცავდა შემდეგ საკითხებს: ომბუდსმენის ოფისის შექმნა, კანონი კონფიდენციალურობაზე, კანონი შრომითი ხელშეკრულების დადების შესახებ, პარლამენტის დეპუტატთა

---

[367] From Landmark success to closure AKP’s journey, https://tinyurl.com/3mfkjv5y, ბოლოს გადამოწმდა: 13.05.2024

[368] ბასილაია მ, ცვლილებების ორი მხარე, https://tinyurl.com/3j2cp9vc, ბოლოს გადამოწმდა: 16.03.2023

უფლებამოსილების ვადის შემცირება 5-დან 4 წლამდე და სხვ. რეფერენდუმით შემოთავაზებულ ცვლილებებს მოსახლეობის 58%-მა დაუჭირა მხარი.[369]

2011 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს მმართველი პარტიის სასარგებლოდ მოვლენების წარმატებით განვითარებას და მათ მხარდამჭერთა რიცხვის ზრდას ხელი შეუწყო გასაჯაროებულმა სკანდალურმა კადრებმა ნაციონალური მოძრაობის პარტიის წევრთა წინააღმდეგ და ოპოზიციური სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ლიდერის დენის ბაიკალის მისამართით, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა ის რეალობა, რომ ოპოზიციურ პარტიებს ვერ დაეძლიათ 10 %-იანი საარჩევნო ბარიერი და დაეკარგათ საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრის შესაძლებლობა.

ექსპერტთა საბჭოს ერთ-ერთი წევრის ა. კოენის თქმით, დამკვეთთა მიზანი იყო, ხელი შეეშალათ ნაციონალური მოძრაობის პარტიისა და სახალხო-რესპუბლიკური პარტიის შესაძლო გაერთიანებისა და კოალიციური მთავრობის შექმნისათვის. ექსპერტის აზრით, ხსენებული სკანდალური ვიდეოების გამოქვეყნება სწორედ ამას ისახავდა მიზნად და მხოლოდ მმართველი პარტიის წისქვილზე ასხამდა წყალს, რადგანაც ნაციონალების დარჩენა პარლამენტის მოსაცდელ დარბაზში მათ საპარლამენტო უმრავლესობის მოპოვების გარანტიას აძლევდა.[370] აქვე უნდა გავიხსენოთ ერდოღანის შეხვედრები ამომრჩეველთან და 2011 წლის წინასაარჩევნო კამპანია, რომლის დროსაც მან თვითონ შეადგინა კანდიდატთა სიები და იზრუნა იმაზე, რომ ჩამოეშორებინა აბდულაჰ გიულის თანამოაზრენი, რომლებსაც იგი თავის კონკურენტებად განიხილავდა მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში.

2011 წლის არჩევნებში მოპოვებული დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ სამართლიანობისა და განვითარების ერთპარტიულმა მთავრობამ ისევ განახორციელა ცვლილებები ქვეყნის კონსტიტუციაში. ამჯერად ცვლილებები შეეხო იუსტიციის სისტემას, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა სამხედროების გავლენის შესუსტება პოლიტიკაში. ერდოღანმა კარგა ხანია უზრუნველყო

---

369 იქვე

370 მაკარაძე ე, თურქეთის ისტორია 1918- 2018 წლები, სალექციო ჩანაწერები, თბილისი, 2019, გვ: 244.

პრეზიდენტის არჩევა არა პარლამენტის, არამედ ხალხის მიერ და სერიოზულად დაიწყო ფიქრი იმაზე, რომ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში პრემიერის სავარძლიდან პრეზიდენტის სავარძელში გადაენაცვლა.

სამართლიანობისა და განვითარების პარტიის საკმაოდ ხანგრძლივი არსებობის მანძილზე მნიშვნელოვან პერიოდს წარმოადგენს 2013 წელი. ამ წლის ზაფხულზე გეზის პარკში მიმდინარე მოვლენებმა, რომლებიც საბოლოოდ მთავრობის მიერ იქ შეკრებილი ათასობით ადამიანის დარბევითა და ცრემლსადენი გაზის გამოყენებით დასრულდა, დაამტკიცა, რომ თურქეთს ჰყავდა ავტორიტარული, ერთპიროვნულ ძალაუფლებაზე დაფუძნებული ხელისუფლება, რომელსაც ხალხის ხმა არ ესმოდა. გეზის პარკში შეკრებილი ადამიანები პარკის რეკონსტრუქციის გეგმას აპროტესტებდნენ, რაც აქ არსებული მწვანე ზონის განადგურებას და სასტუმროთა ფართო ქსელის აშენებას ითვალისწინებდა. აქვე გეტყვით, რომ ეს პროექტი არ გახლავთ ერდოღანის მხოლოდ ერთი ამბიციური პროექტი, თურქეთის ლიდერი 2011 წლიდან საუბრობს გრანდიოზულ ინფრასტუქტურულ პროექტზე, რომელიც შავი და მარმარილოს ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხის გაჭრას გულისხმობს. მიუხედავად წინააღმდეგობებისა, თურქი ლიდერი უარს ამბობს რაიმე სახის კომპრომისზე და აცხადებს: ,,ჩვენ მივიღებთ გადაწყვეტილებებს და განვახორციელებთ მას“.[371] დღეს თუ დავსვამთ შეკითხვას ასე: როდის გადაიქცა ერდოღანი დემოკრატიული ლიდერიდან ავტოკრატიულ ლიდერად, შესაძლოა სულ სხვადასხვა თარიღები მოვისმინოთ: სეკულარისტები გამოყოფენ 2008 წლის ერგენეკონის სასამართლო პროცესებს; ლიბერალები მიუთითებენ ზემოთნახსენები გეზის პარკის აქციების ჩახშობაზე; გიულენისტები კი ყურადღებას ამახვილებენ 2016 წლის დეკემბრის ამბებზე, როცა ერდოღანმა დაიწყო საპასუხო კამპანია მათ წინააღმდეგ არშემდგარი სამხედრო გადატრიალების შემდეგ.[372] საქმე ისაა, რომ ერდოღანისა და გიულენის მიმართ საზოგადოებაში გაზრდილმა სიმპატიებმა კიდევ უფრო გააღრმავა დაპირისპირება ამ ორ პიროვნებას შორის, მხოლოდ დროის საკითხი იყო, ვინ იქნებოდა გამორჩეული ლიდერი თურქეთის მომავლის ფორმირებაში.

---

[371] იქვე, გვ: 252

[372] Cagaptay S, The new Sultan, Erdogan and the Crisis of Modern Turkey, I. B. Tauris, 2017. გვ: 119

2014 წლამდე ერდოღანი სამი ვადით უკვე იყო არჩეული პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე, ხელისუფლებაში დარჩენის ერთადერთ შესაძლებლობად პრეზიდენტობა რჩებოდა. ერდოღანი არსად წასვლას არ გეგმავდა და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ემზადებოდა. 2014 წლის 10 ოქტომბერს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში მან დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა და ხმების 51, 79%-ით პირდაპირი კენჭისყრით, ხალხის მიერ არჩეული პირველი პრეზიდენტი გახდა. მთავრობას სათავეში აჰმედ დავუთოღლუ ჩაუდგა და პრემიერ-მინისტრის სავარძელი დაიკავა. ქვეყანაში კიდევ უფრო გაძლიერდა იდეა საპარლამენტო სისტემის საპრეზიდენტო მმართველობით ჩანაცვლების შესახებ.[373]

თავისი მმართველობის თითქმის 21 წლიანი პერიოდის განმავლობაში მმრთველმა პარტიამ მოიგო 13 არჩევნები და სამი რეფერენდუმი, თუმცა 2017 წლის 16 აპრილის რეფერენდუმით დაკანონებული მმართველობის საპრეზიდენტო სისტემა თურქეთის პოლიტიკური სისტემის უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს. ერდოღანის ამ ინიციატივას ქვეყნის შიგნით ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების სახით, ასევე საინტერესოა საკონსტიტუციო სამართლის ექსპერტთა გამოსვლები, რომელთა შორისაც განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ იბრაჰიმ ქაბაოღლუ და ქემალ გიოზლერი.[374] თურქმა კონსტიტუციონალისტმა ქემალ გიოზლერმა დაგეგმილი საკონსტიტუციო ცვლილებების პაკეტი კრიტიკულად შეაფასა თავის წიგნში[375] : ,,თუკი 2016 წლის 10 დეკემბრით დათარიღებული საკონსტიტუციო ცვლილება მიიღება, თურქეთში მხოლოდ მმართველობის სისტემა არ შეიცვლება; გაქრება ხელისუფლების დანაწილების პრინციპიც. ამ პრინციპის გაქრობით ქვეყანაში ,,კონსტიტუციაც" გაქრება, რადგან სადაც არ არის ხელისუფლების დანაწილება, არ არსებობს

---

373 Генч К, Политика партии справедливости и развития (ПСР) В необходимости и применимость президентскои системы в Турецкои Республике, https://tinyurl.com/3key4rdb, ბოლოს გადამოწმდა: 7.09.2023

374 Gözler K, Elveda kuvvetler ayrılığı, elveda anayasa, 10 Aralık 2016 Tarihli Anayasa Değişikliği Teklifi Hakkında Bir Eleştiri , https://tinyurl.com/5d4cstf7, ბოლოს გადამოწმდა: 7.02.2023

375 Gözler K, Elveda Anayasa: 16 Nisan 2017'de Oylayacağımız Anayasa Değişikliği Hakkında Eleştiriler, Bursa, Ekin, 2017. https://tinyurl.com/5d4cstf7, ბოლოს გადამოწმდა: 8.02.2023

კონსტიტუცია... ასეთ ფურცელს საკონსტიტუციო სამართლის ლიტერატურაში ჰქვია ,,ფასადური კონსტიტუცია“ ან ,,ყალბი კონსტიტუცია“, ან თუნდაც ,,ხაფანგ-კონსტიტუცია. შეუძლებელია, კონსტიტუციონალისტი არ დაუპირისპირდეს სისტემას, რომელიც გააუქმებს ხელისუფლების დანაწილების პრინციპს.“[376] საპროტესტო აქციებში აქტიურად ჩაერთნენ: ,,ათათურქისტული აზროვნების ასოციაცია“(ADD), ,,თანამედროვე ცხოვრების მხარდაჭერის ასოციაცია“(ÇYDD) და ,,გაერთიანებული საჯარო ბიზნესის კონფედერაცია“[377]. ისინი აკრიტიკებდნენ დაგეგმილი საკონსტიტუციო ცვლილებების პაკეტს და აცხადებდნენ, რომ გზა გაიხსნა ერთკაციანი, ერთპარტიული, პოლიციური სახელმწიფოსათვის, რომ საპრეზიდენტო სისტემა ხალხის მახეა და ერთგვარი ხაფანგია თურქეთის სეკულარული დემოკრატიული რესპუბლიკისათვის.[378]

2017 წელს სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მიერ შემოთავაზებული ცვლილებები თურქეთის კონსტიტუციაში ითვალიწინებდა პრემიერ-მინისტრის თანამდებობის გაუქმებას, პარლამენტის წევრთა რაოდენობის ზრდას 550 მანდატიდან 600 საპარლამენტო მანდატამდე, სამინისტროების რაოდენობის შემცირებას 21-დან 16-მდე, საპრეზიდენტო მმართველობის შემოღებას, უზენაესი სასამართლოს რეფორმირებას და სხვ. გარდა ამისა, შემოთავაზებული ცვლილებათა პაკეტით პრეზიდენტი ნიშნავდა ვიცე-პრეზიდენტს, მინისტრებსა და მაღალჩინოსნებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ცვლილებათა პაკეტის გატანის შემთხვევაში პრეზიდენტს შესაძლებლობა ეძლეოდა ნებისმიერ დროს დაეთხოვა პარლამენტი, დაენიშნა ვადამდელი არჩევნები, გამოეცხადებინა საგანგებო მდგომარეობა და, რაც მთავარია, ქვეყნის სათავეში მმართველ ძალად დარჩენილიყო 2029 წლამდე.[379]

პირველადი ინიციატივით სახელმწიფოს ძირითად კანონში 21 ცვლილება უნდა განეხორციელებინათ, თუმცა მოგვიანებით სამი შესწორება ამოიღეს და

---

376 იქვე, გვ:192.

377 HALK BAŞKANLIK SİSTEMİNE “HAYIR” DİYEREK ANITKABİR’E YÜRÜDÜ, https://tinyurl.com/ywc989yp, ბოლოს გადამოწმდა: 12.09.2023

378 იქვე.

379 რომელი ქვეყნების თურქულმა დიასპორამ არ დაუჭირა მხარი ერდოღანის ინიციატივას, https://tinyurl.com/2s34jm2, ბოლოს გადამოწმდა: 23.03. 2024

კონსტიტუციაში განსახორციელებელ ცვლილებათა რიცხვი 18-მდე შემცირდა.[380] აღნიშნულ ცვლილებებს ეწინააღმდეგებოდა ნაციონალისტური მოძრაობის პარტია, მაგრამ რეჯეფ ტაიპ ერდოღანმა მოახერხა ოპოზიციურ პარტიასა და მის ლიდერთან, დევლეთ ბაჰჩელთან, შეთანხმება. ასევე ცვლილებების პაკეტი გააკრიტიკეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ,,მევაჭრეთა პროფკავშირების გაერთიანებამ", ,,თანამედროვე ცხოვრების მხარდამჭერთა ასოციაციამ" და ,,ათათურქის მოაზროვნე ასოციაციამ მრავალათასიანი მიტინგი გამართეს ანკარაში, განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ საკონსტიტუციო სამართლის ექსპერტები ქემალ გიოზლერი და იბრაჰიმ ქაბაოღლუ, რომლებიც პრეზიდენტის ხელში აღმასრულებელი, სასამართლო და საკანონმდებლო სისტემების გაერთიანებას დამოუკიდებელი მართლმსაჯულებისა და სეკულარული ღირებულებების საფრთხედ მიიჩნევდნენ. შემოთავაზებული ცვლილებების განხორციელებისათვის რეფერენდუმის ჩატარებას აუცილებელი 330 დეპუტატის ნაცვლად 339 დეპუტატმა დაუჭირა მხარი.[381]

რეფერენდუმი 2017 წლის 16 აპრილს ჩატარდა, ამჯერად პრეზიდენტმა უფრო დიდი, აღმასრულებელი როლი იკისრა და პრემიერ-მინისტრის პოსტის გაუქმების გადაწყვეტილებაც მიიღო.[382]

თურქი პოლიტოლოგების აზრით, ერდოღანი არის ,,ერთადერთი ძლიერი თურქი პოლიტიკოსი," რომლის გავლენაც მუსტაფა ქემალის გავლენას უტოლდება,[383] ოსმალეთის ერთპიროვნული მმართველობის ისტორიის გათვალისწინებით ბევრი მკვლევარი მიიჩნევდა, რომ საპრეზიდენტო მმართველობაზე გადასვლას თურქეთში თან მოჰყვებოდა ,,არჩეული სულთნის" გამოჩენა.[384] და ასეც მოხდა: 2018 წელს თურქეთის პრეზიდენტად რეჯეფ თაიფ

---

380KARAR, https://tinyurl.com/yckcxz3n, ბოლოს გადამოწმდა: 7.05.2024

381 Anayasa değişikliği süreci nasıl işleyecek?, https://tinyurl.com/3bxyc73u, ბოლოს გადამოწმდა:6.08.2023

382 Turkey under Erdogan: recent developments and the 2023 elections, https://tinyurl.com/45nc3nea, ბოლოს გადამოწმდა: 19.02.2022

383 "Turkey approvers presidential system in tight referendum", https://tinyurl.com/5c7us6zz, ბოლოს გადამოწმდა:5.03.2024

384 Turkey President Vetoes Vote Plan, https://tinyurl.com/2cutdr23, ბოლოს გადამოწმდა: 12.12.2023

ერდოღანი აირჩიეს,[385] ინაუგურაციის შემდეგ 2018 წლის 9 ივლისს ძალაში შევიდა 2017 წლის 16 აპრილის რეფერენდუმით განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებები და თურქეთი საპარლამენტო მმართველობიდან საპრეზიდენტო მმართველობაზე გადავიდა. პრეზიდენტის უფლებამოსილება მაქსიმალურად გაფართოვდა - მას ემორჩილება მთავრობა, სასამართლო, საარჩევნო კომისია, პოლიცია და ჯარი.[386] რეჯეფ თაიფ ერდოღანი ამტკიცებდა, რომ საპრეზიდენტო მმართველობის დამყარება თურქეთს მისცემდა შესაძლებლობას მოკლე დროში ქცეულიყო ერთ-ერთ განვითარებულ ქვეყნად მსოფლიოში.[387] ,,მრავალთავიანი სისტემა ბორკილებივით ანელებს განვითარების პროცესს... განვითარებისთვის კონსტიტუცია უნდა შეიცვალოს...მჯერა, რომ საპრეზიდენტო სისტემის არსებობის პირობებში ყველა პრობლემა მოგვარდება - აცხადებდა იგი.[388]

თუ 2003 წლიდან თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის მეთაურის პრემიერ-მინისტრის ძალაუფლება გარკვეულწილად იზღუდებოდა და ის იძულებული იყო ერთგვარ კომპრომისზე წასულიყო მხარდამჭერებსა და ოპოზიციასთან, გარდა ამისა, თანამდებობის დაკარგვის საფრთხეც ხშირად ძალიან რეალურად იდგა, 2019 წლიდან თურქეთში გაუქმდა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა და დღეს ამ ქვეყანას ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი მართავს, მას ადმინისტრაციული რესურსები საშუალებას აძლევს გავლენა მოახდინოს პარლამენტისა და მსხვილი ქალაქის მერების არჩევნების შედეგებზე. ახლა უკვე პრეზიდენტს აქვს ყველა ინსტრუმენტი, რათა თურქეთში ერთპიროვნული ძალაუფლება დაამყაროს. ეს არის პირველი და ძალიან მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია, რაც ქვეყანამ ბოლო 20 წლის განმავლობაში განიცადა.[389]

---

385 ერდოღანმა თქვა, რომ კონსტიტუციის შეცვლას კიდევ ერთხელ განიხილავს, https://tinyurl.com/bdzmmx7f, ბოლოს გადამოწმდა: 9.03.2023

386 Эпоха Эрдогана: Как изменилас Турция за 20 лет его правления, https://www.bbc.com/russian/features-65521184, ბოლოს გადამოწმდა: 7.05.2023

387 Президентская республика как изменится Турсия после выборов, https://tinyurl.com/ku9kkzat, ბოლოს გადამოწმდა: 13.05.2023

388 Харитонова О, Кризисная эволюция Турецкои политическои системы, “, https://tinyurl.com/477ppmt3, ბოლოს გადამოწმდა: 5.06.2024

389 Калмыков А, Эпоха Эрдоганаю Как изменилась Турция за 20 лет его правления, https://www.bbc.com/russian/features-65521184, ბოლოს გადამოწმდა: 8.03.2024

2023 წლის 28 მარტის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გაუქმების შემდეგ 23 ივნისს თურქეთში ხელმეორე არჩევნები დაინიშნა. ერდოღანი, რომელიც ყოველთვის თავს იწონებდა თურქეთის გამართული საარჩევნო სისტემით, თავისი პარტიული კანდიდატის დამარცხების შემდეგ მოულოდნელად ამ სისტემაში არსებულ დარღვევებზე და საარჩევნო უბნებზე არსებულ კრიმინალზე ალაპარაკდა, გარდა ამისა, დაიწყო მძაფრი ინტერნეტშეტევა პოლიტიკური მოწინააღმდეგის მიმართ-ოპოზიციონერ კანდიდატს ბრალი დასდო საარჩევნო ბიულეტენების გაყალბებაში, ხოლო ოპოზოციური ძალების მხარდამჭერები ტერორისტებთან თანამშრომლობაში დაადანაშაულა.[390] თუმცა არჩევნების შედეგებმა აჩვენა, რომ თვით ავტორიტარული რეჟიმის არსებობის პირობებშიც კი შესაძლებელია ცვლილებებისადმი სწრაფვა და ბრძოლით წარმატების მიღწევა. სამართლიანობისა და განვითარების პარტიის წევრის, ბინალი ილდირიმის, მარცხი სტამბოლის მოქმედ მერთან, ექრემ იმამოღლუსთან, ბრძოლაში მნიშვნელოვანი დარტყმა აღმოჩნდა რეჯეფ ტაიპ ერდოღანისათვის. თურქეთის დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის ვრცელ ტერიტორიაზე გამარჯვება ახლა ოპოზიციურმა სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ მოიპოვა, პრო-ქურთული დემოკრატიული პარტია წარმატებით ოპონირებდა სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთის დიდ ნაწილში, ერდოღანის AK პარტიამ კი, როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, წარმატებას მიაღწია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში თურქეთის ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთის რაიონებში, რომელთაც დიდი ზიანი მიაყენა 2023 წლის თებერვლის დამანგრეველმა მიწისძვრამ. შედეგი მართლაც შთამბეჭდავი იყო არჩევნებში მონაწილე ორივე მხარისათვის. მიმდინარე მუნიციპალურ არჩევნებში წარმატების მოპოვებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თურქეთის მოქმედი პრეზიდენტისათვის. საქმე ისაა, რომ რესპუბლიკის მოქმედი კონსტიტუცია მას აღარ აძლევს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, ამჯერად მიღწეული წარმატება კი მმართველ პარტიას

[390] სალაძე ს, თურქეთს სტამბოლიდან დემოკრატიის სიო უბერავს, https://civil.ge/ka/archives/315125, ბოლოს გადამოწმდა: 23.05.2024

სახელმწიფოს ძირითად კანონში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობას მისცემდა, რათა მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნებში ერდოღანს კვლავ ეცადა ბედი.

2023 წლის 14 მაისს თურქეთში ერთდროულად ჩატარდა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები. საერთაშორისო მედიამ მას ,,2023 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი არჩევნები" უწოდა. და ეს ასეც არის - არჩევნების შედეგები უდიდეს გავლენას მოახდენს ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკურ ვითარებაზე და განსაზღვრავს ერდოღანის 21 წლიანი მმართველობის ბედს. ასევე თურქეთი ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში, აქტიურად არის ჩართული უკრაინის ომში და ერთ-ერთი ძლიერი მოთამაშეა სამხრეთ კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. ამიტომაც იყო, რომ ევროპელი დიპლომატები დიდი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ქვეყანაში მიმდინარე საარჩევნო პროცესს.

მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო არჩევნებში ერდოღანის პარტიამ აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვა, საპრეზიდენტო არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო. ერდოღანის ეს წარუმატებლობა პირდაპირ კავშირშია ბოლო პერიოდში თურქეთში არსებულ ეკონომიკურ სირთულეებთან, რომლის დროსაც ინფლაციამ 67%, ხოლო საპროცენტო განაკვეთმა 50 % შეადგინა. მდგომარეობა კიდევ უფრო გაამძაფრა 6 თებერვლს ქაჰრამანმარაშსა და გაზიანთეპში მომხდარმა მიწისძვრამ.[391] დაგეგმილ მეორე ტურში რეჯეფ ტაიფ ერდოღანის ოპონენტი მძლავრი ოპოზიციური გაერთიანების ,,ეროვნული ალიანსის" გამორჩეული ლიდერი ქემალ ქილიჩდაროღლუ იყო. საკუთრივ მემარცხენე სახალხო-რესპუბლიკური პარტიის წევრი ქილიჩდაროღლუ მხარდამჭერებს საპრეზიდენტო მმართველობის საპარლამენტო სისტემით შეცვლას, ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განმტკიცებას და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორებას დაჰპირდა. არჩევნების საბოლოო შედეგებზე დიდი გავლენა მოახდინა მესამე საპრეზიდენტო კანდიდატის, სინან ოღანის, პოზიციამ, რომელმაც 14 მაისის არჩევნებში ხმების 5,2% მიიღო და მეორე

[391] ძანძავა ნ, თურქეთის 2023 წლის არჩევნები: პერსპექტივები საქართველოსთვის, https://tinyurl.com/55zxmkb9, ბოლოს გადამოწმდა: 24.05.2024

ტურის გამართვამდე ერთი კვირით ადრე თავის მხარდამჭერებს ერდოღანის სასარგებლოდ ხმის მიცემისკენ მოუწოდა.[392] ორკვირიანი შუალედი გადამწყვეტი აღმოჩნდა ერდოღანისათვის, რომელმაც შეძლო გონივრულად გამოეყენებინა ხელთ არსებული ყველა სახელმწიფო რესურსი და 28 მაისს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში მიღებული ხმების 52 %-ით მან კიდევ ერთხელ დაიკავა თურქეთის პრეზიდენტის სავარძელი, ამჯერად უკვე 2028 წლამდე.

ი. ილმაზმა და გ. ბაშიროვმა თურქეთში ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მმართველობას ერდოღანიზმი უწოდეს. ასე დაასახელეს მათ თურქეთში ჩამოყალიბებული პოლიტიკური რეჟიმი და ამ რეჟიმის ოთხი ძირითადი მახასიათებელი ჩამოაყალიბეს: ისლამიზმი, როგორც პოლიტიკური იდეოლოგია. ნეოპატრიმონიალიზმი, როგორც ეკონომიკური სისტემა, საარჩევნო ავტორიტარიზმი, როგორც პოლიტიკური სისტემა და პოპულიზმი, როგორც პოლიტიკური სტრატეგია.[393]

დღეს შეიძლება ითქვას, რომ ერდოღანის მმართველობის წლები ნაყოფიერი აღმოჩნდა თურქეთისათვის - პირველი ათი წლის განმავლობაში ქვეყანა მდიდარ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, ხოლო მეორე ათწლეულმა იგი გავლენიან სამხედრო-პოლიტიკურ ძალად აქცია. მართალია, მისი ეს გაძლიერება დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პროცესების შესუსტების ხარჯზე მოხდა, მაგრამ თურქეთს დღეს მხოლოდ რეგიონული ლიდერის როლი არ აკმაყოფილებს და სურს უფრო აქტიურად ჩაერთოს გლობალურ პოლიტიკაში. ერდოღანის პრემიერ-მინისტრობისდროინდელი დაპირებები ნატოს სტანდარტების შესაბამისი არმიის, სწრაფად მზარდი ეკონომიკისა და განახლებული თურქეთის შესახებ საკმაოდ რეალურია. ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში იგი აღმოჩნდა ერთადერთი მმართველი ძალა, რომელმაც COVID-19-ის ურთულესი კრიზისის ფონზე, ასევე მომრავლებული კორუფციული სკანდალების მიუხედავად, რომელშიც ჩართული აღმოჩნდნენ გავლენიანი პირები და მათი

[392] იქვე
[393] Birol A, The AKP, religion, and political values in contenpolary Turkey: implications for the future of democraty, https://tinyurl.com/3r7aefp, ბოლოს_გადამოწმდა:17.05,2024

ოჯახის წევრები, მოახერხა ეკონომიკური რეცესიიდან ქვეყნის გამოყვანა. მაგრამ აღსანიშნავია სხვა რთული გამოწვევებიც.

რა იქნება მომავალში? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ერდოღანი ყოველნაირად ეცდება დარჩეს ხელისუფლებაში მანამ, სანამ ამის შესაძლებლობას მას ჯანმრთელობა მისცემს. თუმცა ამ ეტაპზე რთულია ვიწინასწარმეტყველოთ, რა შედეგით დასრულდება პრეზიდენტისა და მისი მმართველი პარტიის მიერ ხელშეწყობილი თურქეთის რესპუბლიკის გარდაქმნა, მის მიერ გადადგმულმა საკმაოდ ხისტმა ნაბიჯებმა, შესაძლოა, გააგრძელოს სეკულარული სახელმწიფოს არსებობა, ან დაასრულოს თურქეთის სასულთნოდ გადაქცევით.

### 3.3 თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური სისტემის გამოწვევები და ზომიერი ისლამის პრობლემა.

ისლამისა და სახელმწიფოს ურთიერთობა დღეს ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური განსახილველი თემაა თურქეთში და წარმოადგენს თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური სისტემის მნიშვნელოვან გამოწვევას. თუ ამ საკითხს ობიექტურად მივუდგებით და ისე განვიხილავთ, ცხადი გახდება რამდენად სწორია ან არასწორი არსებული შეფასებები. მკვლევრები, რომლებიც რელიგიისა და სეკულარიზმის საკითხს იდეოლოგიური ჭრილიდან აფასებენ, აღნიშნულთან დაკავშირებით ისე საუბრობენ, როგორც ეს მათ იდეოლოგიას შეეფერება, ამის ყველაზე ნათელი მაგალითია ის, რომ პოლიტიკური ისლამის მხარდამჭერები ცდილობენ წარმოაჩინონ სეკულარიზმი, როგორც არარელიგიურობა, ხოლო ნაწილი, რომელიც იცავს სეკულარიზმს, ცდილობს წარმოაჩინოს რელიგია ისლამი, როგორც რეაქციულობა, სიახლეების, ცვლილებების წინააღმდეგ მიმართული ძალა. [394]

ფაქტი ერთია, გასული საუკუნის ბოლო მეოთხედიდან დაწყებული მოსახლეობის რელიგიური განწყობის ზრდა თურქეთის რესპუბლიკაში დღემდე გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ხელისუფლება დღესაც ამტკიცებს ლაიციზმის პრინციპების მიმდევრობას, თურქეთში ისლამის გავლენა ძლიერდება და რელიგიური დაჯგუფებების აქტიურობა იზრდება. პროისლამური

---

394 Resul TÜRK*, türkiye'de siyasal islam'ın örgütlenme faaliyetleri, https://dergipark.org.tr/tr/download/article-file/63530, ბოლოს გადამოწმდა: 22.06.2023

ძალების გააქტიურება ქვეყანაში კი თავისთავად გავლენას ახდენს ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაზე.[395]

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: როგორია ისლამის როლი და ადგილი სეკულარული თურქეთის საშინაო პოლიტიკაში? XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში პოლიტიკური ისლამის გაძლიერებამ თურქეთში კიდევ უფრო გაამწვავა ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური თუ ეკონომიკური ურთიერთობები. გასული საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულს ისლამის განმტკიცებას დიდად შეუწყო ხელი კომუნისტური საფრთხის მოახლოებამ და მისი გავლენის ზრდამ ქვეყანაში. არსებული საფრთხეებიდან გამომდინარე, ხელისუფლებამ გაატარა რიგი ღონისძიებები და კომუნისტური იდეოლოგიის მოსალოდნელ გაძლიერებას დაუპირისპირა თურქეთში რელიგიური აკრძალვების შესუსტება: სკოლებში დაბრუნდა რელიგიის სწავლება, ქვეყნის სხვადასხვა უნივერსიტეტებში ამოქმედდა თეოლოგიის ფაკულტეტები, მოხდა უმაღლესი საერო და სასულიერო სასწავლებლების დიპლომების გათანაბრება და აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულებს თანაბარი შესაძლებლობები მიეცათ დასაქმებულიყვნენ სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებში, დაიწყეს ახალი მეჩეთების აგება, რესტავრაცია გაუკეთდა უკვე აშენებულს და ა.შ. გარდა ამისა, ერდოღანის მმართველობის ბოლო პერიოდში თურქეთის პარლამენტმა დაახლოებით 200-ზე მეტი კანონი მიიღო, რომელთა თანხმადაც აიკრძალა ქვეყანაში სიკვდილით დასჯა, კონსტიტუციით აღიარებულ იქნა რელიგიის, პრესის, სიტყვის თავისუფლება, სხვადასხვა ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობების უფლებები. იმამ-ჰატიფის სკოლების მომრავლებამ, ახალი უმაღლესი რელიგიური საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნამ და წლების განმავლობაში მათი რაოდენობის ზრდამ დიდი როლი ითამაშა ისლამური საჯარო სივრცის ფორმირებაში. თანდათანობით ივსებოდა ისლამური

[395] მენთეშაშვილი ალ. მენთეშაშვილი ზ, აზიისა და აფრიკის ქვეყნების ისტორიის საკითხები (ეთნოკონფესიონალური ურთიერთობანი), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1993, გვ:213

ორიენტაციის მომხრეთა რიგები როგორც სახელისუფლებო ეშელონის წარმომადგენელთა, ისე საზოგადოების ფართო მასების მხარდაჭერის ხარჯზე[396]

ისლამის როლის ზრდა განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა თურქული საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაზე თვალყურისდევნებით. დიდი ქალაქების ქუჩებში შეხვდებით უამრავ გოგონას, რომლებიც მუსლიმური ჩვეულების მიხედვით თავსაბურავს ატარებენ და ახალგაზრდა წვერიან მამაკაცებს, რაც პრაქტიკულად არ შეინიშნებოდა რესპუბლიკური თურქეთის არსებობის განმავლობაში. ბევრი თურქი ჟურნალისტი აყენებს დღეს საჯარო დაწესებულებებში ქალების მიერ დახურული ტანსაცმლისა და თავსაბურავის ტარების საკითხს, ისინი თანაუგრძნობენ ისლამური წესრიგის დაბრუნებას, თუმცა აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ მათ შორის არიან ,,მემარცხენე" ჟურნალისტებიც: შერიფ მარდინი, ნილუფერ გიოლე, ომერ ლაჩინერი, რუშენ ჩაკირი, ლევენტ კიოკერი და სხვები. მათ მიერ ჰიჯაბის ტარების საკითხი არაერთხელ დაისვა თურქულ თუ უცხოურ მედიაში.[397] თურქეთში ხშირი იყო შემთხვევები, როცა უნივერსიტეტის სტუდენტებს რიცხავდნენ სასწავლებლიდან ჰიჯაბის მოხსნაზე უარის თქმის გამო. ცნობილია ლეილა საჰინის 1998 წლის გახმაურებული სასამართლო პროცესი თურქეთის წინააღმდეგ,[398] სადაც სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ თურქეთში თავსაბურავის ტარების აკრძალვა არ არღვევს ადამიანის ისეთ ფუნდამენტურ უფლებებს, როგორებიცაა განათლება და რელიგიის თავისუფლება.[399] ევროკავშირი დღესაც ამ აზრზეა და თურქეთიც დღემდე აკრიტიკებს ევროპის უმაღლესი სასამართლოს მიერ მიღებულ ამ გადაწყვეტილებას, მიიჩნევს მას მზარდი ისლამოფობიის ნიშნად და რასიზმის ლეგიტიმაციის მცდელობად. ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაგმო ეს

---

[396] მაკარაძე ე, თურქეთის საშინაო პოლიტიკა 2000-2015 წლებში, გამომცემლობა ,,უნივერსალი", თბილისი. 2016. გვ: 7

[397] Баибатырова Н, Отражение процессов исламизации и секуляризации Турецкого общества впрессе, https://tinyurl.com/df3m2awx, ბოლოს გადამოწმდა: 23..05.2023

[398] Леила Сахин против Турции, стр: 245, https://tinyurl.com/28pf82cs, ბოლოს გადამოწმდა: 27.04.2023

[399] Баибатырова Н, Отражение процессов исламизации и секуляризации Турецкого общества впрессе, https://tinyurl.com/bddxkhtf, ბოლოს გადამოწმებულია:23.05.2021

გადაწყვეტილება და განაცხადა, რომ ევროპის მხრიდან მუსლიმი ქალები თავიანთი რელიგიური მრწამსის გამო მზარდ დისკრიმინაციას განიცდიან. [400]

დღეს პრემიერ-მინისტრი ერდოღანი მიიჩნევს, რომ თავსაბურავის ტარება ადამიანის ერთ-ერთი განუყოფელი უფლებაა. აღნიშნული პრობლემის მოგვარება კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას საჭიროებს, გარდა ამისა, კანონი ,,უმაღლესი განათლების შესახებ" შეიცავს დამატებით მე-17 მუხლს, რომელიც კრძალავს უნივერსიტეტებში ჰიჯაბის ტარებას. თურქი გოგონები, რომლებიც ვერ სარგებლობენ თავიანთ ქვეყანაში უმაღლესი განათლების მიღების უფლებით აღნიშნული მიზეზის გამო, იძულებულნი არიან ისწავლონ დასავლეთის ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სადაც თავსაბურავის ტარების აკრძალვა არ არსებობს, ამ მიზეზით მნიშვნელოვანი ფინანსები მიედინება ქვეყნის გარეთ სტუდენტთა სწავლის საფასურის სახით. თვით რეჯეფ ტაიფ ერდოღანის ქალიშვილებიც ამავე მიზეზით იძულებულნი იყვნენ ესწავლათ შეერთებულ შტატებში, თუმცა ამის შესაძლებლობა ბევრ თურქს არა აქვს. [401]

როგორც ვხედავთ, რელიგიის საკითხი ერთ-ერთი მწვავე თემაა ქვეყანაში და დაპირისპირებულმა მხარეებმა ლამის ნამდვილი ომი გამოუცხადეს ერთმანეთს. ერთ მხარეს არიან ქემალ ათათურქის პრინციპების დამცველი გავლენიანი პირები სახელმწიფო აპარატში: მართლმსაჯულება, უნივერსიტეტის ზედამხედველობის ორგანო და სამხედრო ელიტა, რომელიც , მიუხედავად რეპრესიებისა, ჯერ კიდევ ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს. ისინი ამბობენ, რომ ლაიციზმი დაცვას საჭიროებს და ჰიჯაბს განიხილავენ როგორც ისლამურ სიმბოლოს, რომელიც ძირს უთხრის სეკულარიზმის იდეებს - რესპუბლიკის დამაარსებლის ქემალ ათათურქის მემკვიდრეობას, ხოლო მეორე მხარეს არის მმართველი სამართლიანობისა და განვითარების პარტია (AKP), ის პოზიციონირებს, როგორც ზომიერი ისლამური პარტია და წარმატებულია მუსლიმი პოლიტიკოსებისა და

---

400 Турция расскритиковала решение суда ЕС о ношении хиджаба, https://news.am/rus/news/654239.html , ბოლოს გადამოწმებულია; 15.05.2023

401 იქვე, გვ:247

კაპიტალისტების ახალ ელიტაში, რომლებსაც სურთ თავიანთ ქალიშვილებს ჰიჯაბი ეცვათ.[402]

ისლამისტების მრავალწლიანმა მცდელობამ, რომ თურქეთში აღედგინათ ,,ისლამის ოქროს ხანა," ბევრ წინააღმდეგობას გაუძლო. პროისლამური პარტიების არაერთგზის დახურვისა და აკრძალვის მიუხედავად, რომლებიც არასოდეს ერიდებოდნენ სეკულარიზმის კრიტიკას, დღეს სეკულარული თურქეთი ზომიერი ისლამური მთავრობით სათავეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელმწიფოა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. ე. წ. ,,თურქული მოდელი" არ ეწინააღმდეგება ,,ზომიერი" ისლამის არსებობას, მაგრამ ამავდროულად მხარს უჭერს დემოკრატიული მთავრობის არსებობის შესაძლებლობას, ადამიანის უფლებების დაცვას და ა.შ.

ამასთან ერთად ეს ქვეყანა არის მთელი რიგი ისლამური ორგანიზაციების წევრი, როგორებიცაა: ,,ისლამური სამყაროს ლიგა"(ისლ), ,,ისლამური კონფერენციის ორგანიზაცია"(იკო), ,,ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაცია" (ითო) და ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეთო)[403] ამ ორგანიზაციათა წევრ ქვეყნებს რელიგია ისლამი აერთიანებთ და ისინი მუსლიმური სამყაროს ინტერესების დამცველნი არიან. დასახელებულ ორგანიზაციებში გაწევრიანებით თურქეთმა ხაზი გაუსვა თავის ისლამურ იდენტობას. აღსანიშნავია, რომ ,,ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაცია" გაეროს შემდეგ სიდიდით მეორე საერთაშორისო ორგანიზაციას წარმოადგენს და აზიისა და აფრიკის 57 ქვეყანას აერთიანებს.[404] ორგანიზაციაში უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღება ხორციელდება სპეციალური ორგანოს - ისლამური სამიტის მიერ, 2016 წლის აპრილში მორიგი სამიტი თურქეთში გაიმართა ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მთავრობის მეთაურთა შემადგენლობით. 2017 წლის დეკემბერში ისრაელ-პალესტინის კონფლიქტთან დაკავშირებით ერდოღანის ინიციატივით სტამბოლში კვლავ გაიმართა შეხვედრა. მას შემდეგ, რაც თურქეთი აღნიშნული

---

[402] იქვე, გვ:246

[403] ბატიაშვილი ზ, ცნობარი თურქეთზე, ბიულეტენი N 23, 1999, https://tinyurl.com/bdf3jpbj, ბოლოს გადამოწმდა: 18.03,2023

[404] İslam İşbirliği Teşkilatı, https://tinyurl.com/3pz8nw4y, ბოლოს გადამოწმდა:_6.06.2024

ისლამური საერთაშორისო ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი გახდა, სტამბოლში განთავსდა ისლამური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო კომისია (ICPICH) და ისლამური ხელოვნების, კულტურისა და კვლევის ცენტრი ( IRCICA).[405]

ისლამური სამყაროს ლიგა მიზნად ისახავს ისლამური ქვეყნებისათვის მატერიალური დახმარების გაწევას, მისი მოსახლეობის სულიერი განვითარებისათვის ხელშეწყობასა და მათ შორის მტკიცე თანამშრომლობის დამკვიდრებას. ამასთანავე ორგანიზაცია აქტიურად არის ჩართული გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოსა და ითოს საქმიანობაში. მასში ერთიანდება ისეთი საბჭოები და ორგანიზაციები, როგორებიცაა: მუსლიმ მეცნიერთა ორგანიზაცია, მეჩეთების მსოფლიო უმაღლესი საბჭო, ისლამური ფიყჰის საბჭო და სხვ.[406]

ამ ისლამური ორგანიზაციების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მუსლიმური ცხოვრების წესებისადმი მხარდაჭერა-დანერგვა და იმ ორგანიზაციების საქმიანობისათვის ხელშეწყობა, რომლებიც ისლამის გაძლიერებას, მეჩეთების მშენებლობას, სხვადასხვა სტიქიური უბედურების დროს განსაცდელში ჩავარდნილ მუსლიმთა დახმარებას ისახავენ მიზნად. თურქეთს, თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა აღნიშნულ ორგანიზაციებში გაბედული ნაბიჯების გადადგმის საშუალებას აძლევს და შუა აზიის ქვეყნებს, რომელთაც ზღვაზე გასასვლელი არა აქვთ, ამ პრობლემის დაძლევაშიც ეხმარება. გარდა ამისა, ისლ-ს საკუთარი წარმომადგენლობები აქვს იმ ქვეყნებში, სადაც მუსლიმები მოსახლეობის უმრავლესობას არ წარმოადგენენ და ცდილობს დაეხმაროს მათ თავისი იდენტობისა და უფლებების დაცვაში. ამ საქმიანობაში აქტიურად არის ჩართული თურქეთიც - ხელისუფლების სათავეში მყოფი სამართლიანობისა და განვითარების პარტია ცდილობს ხელი შეუწყოს ისლამის გაძლიერებას არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ ქვეყნის გარეთ არსებულ თურქულ დიასპორაშიც.

---

[405] იქვე

[406] Muslim World League, https://tinyurl.com/3eekehdp, ბოლოს გადამოწმდა: 6.06.2024

ამ მხრივ არსებული სტატისტიკის საფუძველზე გერმანიის თურქობა ერთ-ერთ ყველაზე დიდ ეთნო-კულტურულ ჯგუფს წარმოადგენს ევროპაში. სწორედ ამიტომ ჰაინრიხ ბიოლის ფონდის ხელმძღვანელმა უკრაინაში, პოლიტოლოგმა სერგეი სუმლენიმ, გერმანიაში მცხოვრებ თურქულ მოსახლეობას ნელი მოქმედების ეთნიკური ბომბი უწოდა,[407] საფრანგეთი და გერმანია ის ქვეყნებია, რომლებიც მხარს არ უჭერენ თურქეთის გაწევრინებას ევროკავშირში და ამ პოზიციით ისინი, გარკვეულწილად, ხელს უწყობენ ისლამის როლის ზრდას თურქეთის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. შესაძლოა, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში თურქეთის პრეზიდენტის, რეჯეფ თაიფ ერდოღანის, მიმართ გამოხატული მხარდაჭერა უკავშირდებოდეს თურქეთის მთავრობის მიმართ გერმანიისა და საფრანგეთის ხელისუფლების წინააღმდეგობრივ პოზიციას, რომლებიც ამასთან ერთად ცდილობდნენ, რეფერენდუმის წინ ხელი შეეშალათ თურქეთის მინისტრთა კაბინეტის წევრების შეხვედრებისათვის აღნიშნულ ქვეყნებში არსებულ თურქული დიასპორის წარმომადგენლებთან.[408] აქ მცხოვრებ თურქებს თითქოს შესაძლებლობა მიეცათ ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ პროტესტის გამოხატვით თავიანთი ლიდერის მიმართ მხარდაჭერა დაეფიქსირებინათ.

ბოლო წლების განმავლობაში გერმანიაში რამდენჯერმე ჰქონდა ადგილი რელიგიის საკითხის გააქტიურებას. ამ ქვეყანაში ვერ შეხვდებით გერმანელს, რომლისთვისაც ნაცნობი არ იქნება პოლიტიკური ორგანიზაცია ,,პეგიდა“- ,,პატრიოტი გერმანელები დასავლეთის ისლამიზაცის წინააღმდეგ“. მისი ლიდერი ლუც ბახმანი 2018 წელს აცხადებდა, რომ ორგანიზაციის მიზანი არის იბრძოლოს დასავლეთის ქვეყნების ისლამიზაციის წინააღმდეგ.[409] იმავე წელს ხმამაღალი განცხადებით გამოვიდა გერმანიის შინაგან საქმეთა ახალი მინისტრი ჰორსტ ზიჰოფერი - ,,ჩემი მესიჯი ასეთია: მუსლიმებმა უნდა იცხოვრონ ჩვენთან ერთად

---

[407] Сумленныи С, Турецкое население Германии: этническая бомба замедленного деиствия, https://tinyurl.com/2z4h4u66, ბოლოს გადამოწმდა; 6.06.2024

[408] იქვე

[409] ლუც ბახმანი: ისლამისათვის გერმანიაში ადგილი არ არის, https://tinyurl.com/mtjrjba , ბოლოს გადამოწმდა: 9.06.2024

და არა ჩვენ გვერდით ან ჩვენ წინააღმდეგ“ - ამბობდა იგი.[410] Die Welt-ის ცნობით კი, 20 წლის შემდეგ ქრისტიანები გერმანიაში შესაძლოა უმცირესობაში აღმოჩნდნენ.[411] როგორც ჩანს, ისლამი ევროპის ამ ქვეყანაში აღზევებას განიცდის, რაც ადგილობრივი მთავრობისა და გერმანელი ხალხის უკმაყოფილებას იწვევს. 2018 წელს ბერლინში, კერძოდ რაინიკედორფის რაიონში, უცნობმა პირებმა რამდენიმე მეჩეთი და თურქული კულტურის ცენტრების შენობები დაწვეს. სამართალდამცავებმა მომხდარში მაშინ ადგილობრივი მოძალადე ექსტრემისტები და თურქეთის მმართველი პარტიის პოლიტიკით უკმაყოფილო ქურთული დიასპორა დაადანაშაულეს.[412]

ისლამის საწინააღმდეგო გამოსვლებს ადგილი ჰქონდა საფრანგეთშიც. 2020 წელს, მას შემდეგ, რაც ფრანგულ ჟურნალ ,,შარლი ებდოში“ მუჰამედისა და ერდოღანის კარიკატურები გამოაქვეყნეს ხელში სასმელით და ისლამური ჰიჯაბით, ერდოღანი ღიად გამოვიდა განცხადებით, რომელიც ფარულ მუქარას შეიცავდა დასავლეთის მიმართ: ,,ქვეყნებს, რომლებიც ისლამს დასცინიან, ჯვაროსნული ლაქრობების განახლება სურთ” - ამბობდა იგი.[413] ფაჰრეთინ ალტუნიმ, რომელიც ხელმძღვანელობდა საპრეზიდენტო კომუნიკაციებს თურქეთში, ფრანგთა ეს ,,სითამამე“ მაკრონის ანტიისლამურ პოლიტიკას მიაწერა - სეკულარიზმი ფრანგული ეროვნული იდენტობის ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაა და საფრანგეთის პრეზიდენტიც რადიკალური ისლამის წინააღმდეგ გამოსვლით სეკულარული ღირებულებების დამცველად მოგვევლინა.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და თურქეთს შორის არსებულმა უთანხმოებამ სეკულარიზმისა თუ რელიგიის საკითხებზე, რასაც ზედ დაერთო აზრთა სხვადასხვაობა რიგ გეოპოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით (სირია, მთიანი ყარაბაღი) საბოლოო ჯამში გამოიწვია ურთიერთობის დაძაბვა, ერთი მხრივ, საფრანგეთსა და თურქეთს, მეორე მხრივ კი, გერმანია-თურქეთს შორის.

---

410 გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრი: ქვეყანაში ისლამის ადგილი არ არის, https://tinyurl.com/4pvu8tkb, ბოლოს გადამოწმდა: 11.04.2024

411 Meotti G, Germany: The Rise of Islam, https://tinyurl.com/2km9t9te, ბოლოს გადამოწმდა: 16.04.2024

412 გერმანიაში მეჩეთები და თურქული კულტურის ცენტრები დაწვეს, https://tinyurl.com/mph2ayuc, ბოლოს გადამოწმდა: 22.03.2023

413 Turkey hits at,,Crusades” against Islam in cartoons row with France, https://tinyurl.com/43tcwvct , ბოლოს გადამოწმდა:10. 06.2022

ერდოღანის მიუღებელი კომენტარებით განაწყენებულმა საფრანგეთმა თურქეთიდან თავისი ელჩი გაიწვია კონსულტაციებისათვის,[414] თურქეთმა კი მოუწოდა თავის მოქალაქეებს, რომ უარი ეთქვათ ფრანგული პროდუქციის შეძენაზე.[415] თურქეთის მსგავსი პოზიცია გამოხატეს სხვა მუსლიმურმა ქვეყნებმაც: პაკისტანმა, ბანგლადეშმა, ერაყმა, ლიბანმა და ა.შ, რომლებმაც მაკრონს ისლამზე თავდასხმაში დასდეს ბრალი.[416]

დავუბრუნდეთ ისევ გერმანიას, აქ ფუნქციონირებს ასოციაცია DITIB-ი, იგივე თურქულ-ისლამური რელიგიის საკითხთა კავშირი, რომელიც არის თურქეთის რელიგიურ საქმეთა სახელმწიფო სამმართველოს (Diyanat) მუდმივი ხელმძღვანელობის, კონტროლისა და ზედამხედველობის ქვეშ და უშუალოდ თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანს ექვემდებარება. DITIB-ი აერთიანებს 950 მეჩეთს გერმანიაში არსებული 2600 მეჩეთიდან. ამ მეჩეთებში 100-მდე იმამს აგზავნის რელიგიურ საქმეთა სამმართველო ხუთი წლის ვადით, ისინი იღებენ შესაბამის ანაზღაურებას თურქეთის გენერალური საკონსულოებისაგან და, ერთი მხრივ, წარმოადგენენ ერთგვარ ინსტრუმენტს თურქული გავლენის განმტკიცებისთვის კონკრეტულ ქვეყანაში, ხოლო მეორე მხრივ, ხელს უწყობენ გერმანიის თურქული თემის კავშირის გაძლიერებას თავად თურქეთთან.[417]

მიუხედავად დიდი საპროტესტო მოძრაობისა, დღეს სეკულარული თურქეთის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას მუსლიმები შეადგენენ. თურქეთის ,,ახალი სულთანი" რეჯეფ ტაიფ ერდოღანი, რომელიც სეკულარულ თურქეთში დაიბადა და გაიზარდა, რელიგიური ნიშნით ახორციელებს რეფორმებს და ახდენს არსებული პოლიტიკური სისტემის შეცვლას. პრეზიდენტს გვერდით უდგას მრავალრიცხოვან მხარდამჭერთა არმია, თუმცა საზოგადოების ასევე დიდი ნაწილი ქვეყანაში დემოკრატიის შეზღუდვის წინააღმდეგ გამოდის.

[414] ერდოღანის ,,უხეში" კომენტარის შემდეგ საფრანგეთი თურქეთიდან ელჩს კონსულტაციისთვის გაიხმობს, https://tinyurl.com/5dfty6tz, ბოლოს გადამოწმდა: 9.03.2023

[415] ერდოღანმა მოსახლეობას ფრანგული პროდუქციის ბოიკოტისაკენ მოუწოდა, https://tinyurl.com/4hufrfnr, ბოლოს გადამოწმდა:2.01.2024

[416] იქვე.

[417] Андреева Л, Ассоциациа ,,Турецко-исламскии союз по делам религии' в Германии как инструмент влияния Турции, Современная Европа, N5, 2022, с: 131-145

ერდოღანი საკუთარი მიზნების მისაღწევად მოწინააღმდეგეთა მასობრივ დაპატიმრებებსაც არ ერიდება.[418]

გარდა ამისა, თუ ძველი ხელისუფალნი დადებითად არ იყვნენ განწყობილი ისლამური საბანკო სექტორის მიმართ, ერდოღანის მთავრობამ ჯერ კიდევ 2013 წელს ეკონომიკის დივერსიფიცირებისა და ისლამურ ფინანსურ ბაზარზე შესვლის გადაწყვეტილება მიიღო.[419] იგი ცდილობდა ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში ალტერნატიული ბაზრების მოპოვებას, რაშიც ისლამური ფინანსური სექტორი უწყობდა ხელს და ძლიერი ისლამური ბანკების დახმარებით მას დიდი თანხების მოზიდვის შესაძლებლობა მიეცა. ეკონომისტ ინან დემირის თქმით, ,,ამ გზით თურქეთი რეგიონულ ფინანსურ ძალად გადაიქცევა.“ დღეს, როდესაც თურქეთი ეკონომიკური თვასაზრისით დიდწილად ევროკავშირის ქვეყნებზეა დამოკიდებული, ხოლო ერდოღანი, ქვეყანაში მიმდინარე მზარდი ინფლაციის მიუხედავად, საპროცენტო განაკვეთის ზრდას ეწინააღმდეგება, მთავრობის მხრიდან მსგავსი გადაწყვეტილებების მიღება გონივრულ სტრატეგიად შეიძლება ჩაითვალოს. მოვლენების შემდგომმა განვითარებამ გვიჩვენა, რომ აღნიშნულმა ჩანაფიქრმა გაამართლა - Fitch Ratings-ის პროგნოზით 2023 წლის სექტემბერში თურქეთში ისლამური ფინანსების მოცულობა 90 მლრდ. დოლარს შეადგენდა, როგორც სააგენტო Anadolu-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, რამდენიმე წელიწადში ფინანსების რაოდენობა 100 მლრდ. დოლარამდე გაიზრდება.[420] დღეს თურქულ ისლამურ ბანაკებში ინვესტიციები აქვს: არაბთა გაერთიანებულ საამიროებს, ნავთობით მდიდარ სპარსეთის ყურის სხვა არაბულ ქვეყნებს, ხოლო Dubai Islamic Bank-ი 2023 წელს შეუერთდა თურქეთის ციფრულ საბანკო სექტორს.[421] მსგავსი ეკონომიკური პოლიტიკა კიდევ უფრო ზრდის და განამტკიცებს ისლამის გავლენას ამ ქვეყანაში.

[418] ბერაძე დ, თურქეთის როლის ცვლილება ერდოღანის პოლიტიკის შედეგად და ამერიკის შეერთებული შტატების რეაქცია, https://tinyurl.com/ycyv9jhh,ბოლოს გადამოწმდა: 5.06.2024
[419] თურქეთი და ისლამური ფინანსური სექტორი, https://tinyurl.com/4wk4jcrb, ბოლოს გადამოწმდა:5.06.2024
[420] თურქეთში ისლამური ფინანსების მოცულობამ 90 მლრდ. დოლარს გადააჭარბა, https://tinyurl.com/25hcym38 , ბოლოს გადამოწმდა: 5.04.2024
[421] თურქეთში ისლამური ფინანსების მოცულობა რამდენიმე წელიწადში $100 მლრდ-ს მიაღწევს, https://tinyurl.com/y5w9csun, ბოლოს გადამოწმდა:5.04.2024

აქაც თავს იჩენს რელიგიური ფაქტორი, რადგანაც სწორედ ისლამური საფინანსო წესების გამო ისლამური ბანკები უარს ამბობენ საბანკო პროცენტზე და ამ გზით მოგების მიღებაზე.[422]

როდესაც თურქეთის რელიგიურობაზე ვლაპარაკობთ, გვერდს ვერ ავუვლით 2020 წლის ივლისში აია-სოფიას ქრისტიანული ტაძრის მეჩეთად გადაკეთების ფაქტს.[423] კათედრალს უკვე თხუთმეტსაუკუნოვანი დიდი ისტორია აქვს. თურქეთის რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ მუსტაფა ქემალმა იგი სეკულარული თურქეთის ერთგვარ სიმბოლოდ აქცია და მუზეუმად გამოაცხადა, ხოლო მოქმედმა პრეზიდენტმა მისი კვლავ მეჩეთად გადაკეთების შემდეგ თავად აღავლინა მუსლიმური ლოცვა ტაძარში და ამ ჟესტით განაცხადა კიდეც თავისი სურვილის შესახებ - დაუბრუნოს თურქეთს ოსმალეთის დროინდელი ძლიერება. სიმბოლურია ისიც, რომ მეჩეთის გახსნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე თურქეთის რელიგიის საკითხთა სამმართველოს ხელმძღვანელი ალი ერბასი ხელში ხმლით წარსდგა მლოცველთა წინაშე და როგორც Deutsche Welle წერდა, ,,ბევრმა ამაში თურქეთის რესპუბლიკური მემკვიდრეობიდან გასვლის გაცნობიერებული საფრთხე დაინახა“. [424]

წინა ქვეთავში (ქვეთავი 3.1.) ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ თურქეთში რელიგიურ საქმეთა სამმართველოს (დიანეთი) საქმიანობაზე. 2013 წლით დათარიღებულ ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის მოხსენებაში საუბარია რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საკითხებზე თურქეთის რესპუბლიკაში და ხსენებული სამმართველოს ძირითად ფუნქციებზე.[425] სგპ-ს მთავრობის პირობებში დიანეთის ბიუჯეტი 2015 წლისთვის ოთხჯერ გაიზარდა და 2 მილიარდ დოლარს გადააჭარბა, რაც თითქმის 40%-ით აღემატებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გამოყოფილ თანხებს და უტოლდებოდა საგარეო

[422] თურქეთი და ისლამური ფინანსური სექტორი, https://tinyurl.com/2rmy26tw, ბოლოს გადამოწმდა:5.06.2024
[423] ბაქრაძე დ, რეჯეფ ტაიფ ერდოღანის 20 წლიანი მმართველობა, https://tinyurl.com/2p9b73fp, ბოლოს გადამოწმდა: 18.03.2023
[424] ისლამი თურქეთში: რა ემუქრება სეკულარიზმს?, https://tinyurl.com/5n6sanm4, ბოლოს გადამოწმდა: 12.04.2024
[425] ალასანია გ, სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობა თურქეთის რესპუბლიკაში, აღმოსავლეთმცოდნეობა, N4, თბილისი, 2015, გვ: 211.

საქმეთა, კულტურის, ენერგეტიკისა და ტურიზმის სამინისტროთა ბიუჯეტს ერთად აღებულს.[426] მასში დასაქმებულია 120 000-დან 150 000-მდე თანამშრომელი.[427] თურქეთში რელიგიის საქმეთა სამმართველოს საქმიანობას შეისწავლის ჟურნალისტი ბურჩე კარაკასი, რომელიც გვიყვება, რომ 2021 წლისთვის უწყების ბიუჯეტი დაახლოებით 13 მილიარდ ლირას უტოლდება და ეს მაშინ, როცა 11 წლის წინ ის 3 მლრდ ლირას არ აჭარბებდა. მზარდი ფინანსები თავისთავად მიუთითებს სამმართველოს მზარდ ავტორიტეტზეც, რომელიც 2018 წლიდან ანგარიშვალდებულია პრეზიდენტის წინაშე. მის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს სუნიტური ისლამის გავრცელებისათვის ხელშეწყობა, მეჩეთების (სულ 89.817 ), რელიგიური სასწავლებლების, იმამების, ყურანის მასწავლებლებისა და რელიგიის სხვა მსახურთა საქმიანობის გაფართოება და მათი რიცხვის ზრდა. უფრო მეტიც, 2021 წელს აღნიშნული უწყების ხელმძღვანელმა, ალი ერბასმა, მოითხოვა, რომ სკოლამდელი ასაკის, 4, 5, 6 წლის ბავშვებისთვის სავალდებულო გაეხადათ ყურანის შემსწავლელ კურსებზე დასწრება.[428]

ერდოღანის წარმატებულ სვლას პოლიტიკურ სარბიელზე ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ მის ხელშია მთელი სახელმწიფო რესურსი, გარდა ამისა, მას დიდი გავლენა აქვს სახელმწიფოში არსებულ თითქმის ყველა მედია საშუალებებზე, რომლებიც, დამეთანხმებით, ქმნიან პოლიტიკურ ამინდს ქვეყანაში. ისლამურ სამყაროში მზარდი გავლენის პარალელურად ერდოღანმა თურქეთი ევროპის შეუცვლელ პარტნიორად აქცია. ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან იგი ცდილობდა ეწარმოებინა ისეთი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რომლითაც შეძლებდა ამერიკისა და ევროპის ქვეყნების ნდობა და კეთილგანწყობა მოეპოვებინა, ეთანამშრომლა მათთან და მომავალში ეს მოპოვებული რეპუტაცია მომგებიანად გამოეყენებინა საკუთარი გეგმის

[426] 2006 MALİ YILI BÜTÇESİ. https://tinyurl.com/dtevxt3c, ბოლოს გადამოწმდა: 20.03.2023, ასევე, Lepeska D,Turkey Casts the Divanet Ankara^s Religious Direqtorate Takes off, https://tinyurl.com/5bhmx9c7, ბოლოს გადამოწმდა:_ 9.11.2022
[427] Duran A, Diyanet: Turkeys religious body that makes millions, https://tinyurl.com/4fk3phwk, ბოლოს გადამოწმდა: 21.03.2023)
[428] ისლამი თურქეთში: რა ემუქრება სეკულარიზმს? https://tinyurl.com/5n6sanm4, ბოლოს გადამოწმდა:12.04.2024

განსახორციელებლად - შეექმნა ახალი ნეოოსმალური თურქული სახელმწიფო, რაც, ერთი მხრივ, გულისხმოდა დასავლეთთან პარტნიორი სახელმწიფოს სტატუსის შენარჩუნებას, რათა საჭიროების შემთხვევაში ევროპული მხარდაჭერის მოთხოვნის შესაძლებლობა ჰქონოდა, ხოლო, მეორე მხრივ, მიზნად ისახავდა ახლო აღმოსავლეთში და თურქულენოვან ქვეყნებში გავლენისა და ისლამური ღირებულებების გავრცელებას. ის დღემდე ცდილობს მსოფლიოს დაუმტკიცოს, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში თურქეთს უკვე შეუძლია დამოუკიდებელი სამხედრო თუ პოლიტიკური სვლები განახორციელოს და ევროპას, ახლო აღმოსავლეთს, კავკასიას, ბალკანეთსა თუ ცენტრალურ აზიას აჩვენოს, რომ ის ლიდერი სახელმწიფოა და თავად შეუძლია საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება.

თანამედროვე თურქეთის პოლიტიკაში ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უკავია ევროკავშირთან თანამშრომლობას. როგორია რელიგიის როლი თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების საქმეში?- დასავლეთს აფრთხობს თურქეთის მზარდი ისლამიზაცია. ამიტომაც ევროკავშირში მის მიღებას რელიგიური ფაქტორის სახით დიდი წინააღმდეგობა ეღობება. თურქეთის გაწევრიანება 5%-დან 20 %-მდე გაზრდის ორგანიზაციაში შემავალი მუსლიმი მოსახლეობის ხვედრით წილს. ევროკავშირში გაწევრიანებას თურქეთი გასული საუკუნის შუახანებიდან მოყოლებული ცდილობს, მოგვიანებით ლუქსენბურგის, ჰელსინკისა და კადიფის სამიტებზე აღნიშნული საკითხი აქტიურად განიხილებოდა, მაგრამ ამ შეხვედრებს რაიმე შედეგი არ მოჰყოლია. ამის მიზეზი კი სხვა ფაქტორებთან ერთად იყო სწორედ თურქეთის კულტურული და რელიგიური განსხვავებულობა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისაგან. ამიტომაცაა, რომ სეკულარული ძალები ევროპის დიდი მხარდაჭერით სარგებლობენ თურქეთში, რათა საჭიროების შემთხვევაში მათ მოახერხონ და ძლიერ ძალად წარმოჩნდნენ ისლამის განმტკიცების მომხრე ძალებთან აშკარა თუ ფარულ ბრძოლაში. დასავლეთი არ ჩქარობს არაქრისტიანული თურქული სახელმწიფოს მიღებას თავის რიგებში და თავს იკავებს, რაიმე კონკრეტული მოთხოვნები წაუყენოს მას ამ საკითხთან მიმართებაში, რათა თავიდან აიცილოს ისლამურ

სამყაროსთან კონფრონტაცია. ფაქტია, რომ თურქეთისათვის ევროპასთან ურთიერთობის საკითხი დღემდე ღიად რჩება და მტკივნეულ თემას წარმოადგენს. ამ გართულებულ ურთიერთობას კიდევ უფრო ძაბავს ამერიკაში მცხოვრები ფეთჰულა გიულენის საკითხიც, რომელსაც ზომიერი ისლამური მმართველი პარტიის წინააღმდეგ გადატრიალების მოწყობაში ედება ბრალი და, თურქეთის მთავრობის მრავალმჯერადი მოთხოვნის მიუხედავად, აშშ უარს ამბობს თურქეთის მოქმედი ხელისუფლებისათვის მის გადაცემაზე. მართალია, არსებობს სერიოზული კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ დაგეგმა ეს წარუმატებელი გადატრიალება - დაიგეგმა ის გიულენისა და მისი მიმდევრების მიერ ოფიცერთა კორპუსში, თუ ეს როგორღაც ერდოღანის მიერ იყო დადგმული, ფაქტი ერთია, ნებისმიერ შემთხვევაში ერდოღანმა გადატრიალება გამოიყენა გიულენისტების და ათათურქის სეკულარული პრინციპების ერთგული სამხედრო ოფიცრების გასაწმენდად, რომლებიც აკრიტიკებდნენ მის რეჟიმს.

საქმე მუქარამდეც მივიდა-ერდოღანი იმუქრება, რომ ევროკავშირთან შემდგომი თანამშრომლობის საკითხზე ქვეყანაში რეფერენდუმს ჩაატარებს, მსგავსი ნაბიჯის გადადგმა დღეს, როცა თურქეთი, როგორც რელიგიური ისლამური სახელმწიფო, ძლიერდება და მოსახლეობაში სულ უფრო მცირდება ევროკავშირში გაწევრიანების მსურველთა რიცხვი, ვფიქრობთ, ორივე მხარისათვის რისკების შემცველია. აშშ უარყოფითად აფასებს აგრეთვე თურქეთში მიმდინარე მასობრივ დაპატიმრებებს, ეროვნული და რელიგიური უმცირესობების უფლებების დარღვევის ფაქტებს, საპარლამენტო სისტემაზე უარის თქმაც მან დემოკრატიის მარცხად მიიჩნია და ჯერ ფინანსური დახმარება შეუწყვიტა თურქეთს, შემდეგ კი 2019 წელს შეაჩერა თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების საკითხიც.[429]

რამდენიმე თვის წინ თურქეთის მოსახლეობამ კიდევ ერთხელ მიანდო რეჯეფ ტაიფ ერდოღანს თავისი ქვეყნის ბედი. ახლადარჩეული პრეზიდენტი თავგამოდებით ცდილობს გაზარდოს თურქეთის გავლენები ისლამურ სამყაროში და აქციოს იგი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში წამყვან სახელმწიფოდ - ეს არის დღეს მისი პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევა. სწორედ ამის გამოა,

429 კაპანაძე მ, კოპალიანი ნ, რელიგიის გავლენა თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე, მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები, თბილისი, 2023, გვ:56-60

რომ თურქეთსა და ისრაელს შორის დიპლომატიური ურთიერთობები ამჟამად მიმდინარე ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის დროსაც დაიძაბა. ისე, როგორც წინა წლებში, ერდოღანმა ახლაც პალესტინელების მხარე დაიჭირა. თურქეთ-ისრაელის ურთიერთობები განსაკუთრებით გართულდა 2010 წელს, როცა ნეიტრალურ წყლებში ისრაელმა სროლის ქარცეცხლში გაატარა თურქული გემი ,,Mavi Marmara", რომელსაც ჰუმანიტარული დახმარება მიჰქონდა ღაზას სექტორში. ამის საპასუხოდ ისრაელმა თავისი ელჩი გაიწვია ანკარიდან, ხოლო აშშ-მ თავისი საელჩო ისრაელში გადაიტანა.[430] მდგომარეობის გამოსწორება 2016 წლის ივნისში გახდა შესაძლებელი, მაგრამ დიპლომატიური ურთიერთობების გაგრძელებას ხელი შეუშალა დონალდ ტრამპის მიერ იერუსალიმის დედაქალაქად ისრაელის გამოცხადებამ.

თურქეთის საგარეო პოლიტიკაში დიდი ადგილი უჭირავს აგრეთვე ბალკანეთის ქვეყნებში არსებული რელიგიური ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გაწევას და მათთან მჭიდრო თანამშრომლობას. ბალკანეთში თავისი გავლენების გაზრდის მიზნით თურქეთი მოხერხებულად იყენებს საერთო ისტორიულ წარსულს, განსაკუთრებით კი რელიგიურ ფაქტორს და იქ არსებული მუსლიმური თემის საქმიანობის ხელშეწყობით ცდილობს რეგიონში ისლამის განმტკიცებასა და თურქული ენის დამკვიდრებას. ბოსნია-ჰერცოგოვინის სამი რეგიონის საგანმანათლებლო დაწესებულებებში თურქეთის დაფინანსებით დაწყებით და საშუალო საფეხურზე თურქული ენა ისწავლება როგორც არჩევითი საგანი, თურქული ენისა და კულტურის პოპულარიზაციას ემსახურება უნივერსიტეტი მაკედონიაში, ასევე ,,თურქული მაარიფის ფონდი" და ,,იუნუს ემრეს ინსტიტუტი" ბალკანეთში. გარდა ამისა, თურქეთი თანამშრომლობს და ფინანსურ დახმარებას უწევს ბალკანეთის ქვეყნებში არსებულ რელიგიურ ორგანიზაციებს.[431]

ჯერ კიდევ ექვსი წლის წინ, 2017 წელს, საბერძნეთში ვიზიტის დროს ერდოღანმა 1923 წლის ლოზანის ხელშეკრულების გადახედვა მოითხოვა და აღნიშნა, რომ ამ ქვეყანაში მუსლიმთა უფლებები სათანადოდ არ იყო დაცული,

[430] კაპანაძე მ, კოპალიანი ნ, რელიგიის გავლენა თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე, მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები, თბილისი, 2023, გვ: 59
[431] იქვე

რადგანაც მათ არ ეძლეოდათ მუსლიმური თემიდან მუფთის არჩევის შესაძლებლობა.[432] პრეზიდენტი ამტკიცებდა, რომ თურქეთში ბერძენი მოსახლეობა არ განიცდიდა მსგავს დისკრიმინაციას და ეს მაშინ, როცა დასავლეთ თრაკიაში სიტყვა ,,თურქის“ დაწერაც კი უკვე გარკვეული სახის პრობლემასთან ასოცირდებოდა.[433] ორ ქვეყანას შორის ერთ-ერთ სადავო საკითხს წარმოადგენს თრაკიელი თურქების ეთნიკური იდენტობის უარყოფა. აღმოსავლეთმცოდნე ა. ნურიევი თავის სამეცნიერო სტატიაში წერს: ლოზანის ხელშეკრულებაში სიტყვაც არ არის ნათქვამი თურქულ უმცირესობაზე, მასში მოხსენიებულია მუსლიმი უმცირესობა.[434] 1923 წლისთვის კი ცნებები ,,მუსლიმი“ და ,,თურქი“ პრაქტიკულად გამოიყენებოდა როგორც სინონიმები, ყოველ შემთხვევაში საბერძნეთსა და თურქეთში, როცა საუბარი ეხებოდა ბალკანელ მუსლიმებს.[435] მოგვიანებით საბერძნეთმა სავალდებულო გახადა მუსლიმებისთვის ,,თურქები“, ხოლო მუსლიმთა სკოლებისთვის ,,თურქული სკოლები“ ეწოდებინა, თუმცა კვიპროსის კონფლიქტის დროს თურქული ნაციონალიზმის შიშით საბერძნეთის ხელისუფლებამ პოლიტიკა შეცვალა და აკრძალა სიტყვა ,,თურქის“ გამოყენება. საბერძნეთის უდიდეს ქალაქს - სალონიკს, სადაც მუსლიმთა მნიშვნელოვანი რაოდენობაა თავმოყრილი, ჯერ კიდევ არ აქვს ოფიციალური მეჩეთი. ათენი, ნახევარმილიონიანი მუსლიმი მოსახლეობით, შეიძლება ითქვას, ერთადერთი ევროპული დედაქალაქი იყო მეჩეთის გარეშე. დედაქალაქის მუსლიმები სხვადასხვა ადგილებს იყენებნდნენ ლოცვის შესრულების მიზნით.[436] ანკარა უკმაყოფილებას გამოხატავს საბერძნეთის მიმართ მუსლიმური ვაკუფების მართვაში ჩარევის გამო, თურქთათვის მშობლიურ ენაზე განათლების ნაკლებობის, მათი რელიგიური გაკვეთილების, მეჩეთებისა და მედრესების

---

[432] Фавор турецкого Как Руджеп Таип Эрдоган в Грецию сьездил, https://www.kommersant.ru/doc/6382231, ბოლოს გადამოწმდა: 4.03.2023

[433] ისტორიული ვიზიტი საბერძნეთში-ერდოღანი ლოზანის ხელშეკრულების გადახედვის ინიციატივით გამოდის, https://tinyurl.com/5f7tkj7u, ბოლოს გადამოწმდა: 3.03.2023

[434] Нуриев А, Греция мусульманская: как жили и живут потомки османских мусульман, https://tinyurl.com/yezjphu4, ბოლოს გადამოწმდა: 19.05.2023

[435] იქვე

[436] Ислам в Греции История Ислама в Греции, https://tinyurl.com/wxz4hs, ბოლოს გადამოწმდა: 9.05.2023

უგულველყოფის გამო.[437] თუმცა განსხვავებული მდგომარეობაა თრაკიაში, რომელსაც ოსმალეთის ისტორიის მკვლევარმა, ისტორიკოსმა ალ. ნურიევმა „ევროკავშირში შარიათის ოაზისი“ უწოდა,[438] თუმცა დასავლეთ თრაკია ვერ იქცა ორ ქვეყანას შორის მეგობრობის ხიდად.

როგორც ვხედავთ, თურქეთის ხელისუფლებაში მყოფი სამართლიანობისა და განვითარების პარტია მეზობელ სახელმწიფოებთან მიმართებაში შერჩეული საგარეო პოლიტიკური კურსის წარმატებით განხორციელებისათვის ისეთ მძლავრ იარაღს იყენებს, როგორიც არის რელიგია და კულტურა. ამას ემატება ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოქმედი იუნუს ემრეს სახელობის თურქული ინსტიტუტისა და ორგანიზაცია TIKA-ს საქმიანობა თურქული კულტურის გავრცელელების თვალსაზრისით. მოვლენების განვითარება თანამედროვე თურქეთში მოწმობს, რომ ერდოღანი ყოველნაირად ცდილობს საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესები თავისი ქვეყნის სასიკეთოდ გამოიყენოს - ხელი შეუწყოს თურქეთის ძლიერების ზრდას საერთაშორისო პოლიტიკაში და მოახდინოს იმ საფრთხეების განეიტრალება, რომლებიც აზიანებს მის ეროვნულ ინტერესებს.[439]

### 3.4. ემპირიული კვლევა-ექსპერტების გამოკითხვა, ნახევრადსტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუ დარგის სპეციალისტებთან

სადოქტორო ნაშრომზე მუშაობისას, ნაშრომის სრულყოფისა და უკეთ გააზრების მიზნით, გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდი, კონკრეტულად ჩაღრმავებული ინტერვიუ, როგორც პოლიტიკურ მეცნიერებაში გამოკითხვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება.

დასახული მიზნის განსახორციელებლად ჩამოვაყალიბეთ ჰიპოთეზა და ოთხი ძირითადი საკვლევი კითხვა, ჩავატარეთ ნახევრადსტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუ. სამიზნე ჯგუფად შევარჩიეთ დარგის სპეციალისტები და კვალიფიციური ექსპერტები, რომელთა თეორიულ-პრაქტიკული გამოცდილება, რეკომენდაციები და მოსაზრებები ჩვენთვის მნიშვნელოვანია.

---

[437] Нуриев А, Греция мусульманская: как жили и живут потомки османских мусульман, https://tinyurl.com/yezjphu4, ბოლოს გადამოწმდა: 19.05.2023

[438] იქვე.

[439] Yilmaz I, Bashirov G, The AKP after 15 years: emergence of Erdoganism in Turkey, Third World Quarterly, https://tinyurl.com/msw2xuu8, ბოლოს გადამოწმდა: 9.06.2024

რესპოდენტებს კითხვები გადავუგზავნე იმეილით და პასუხებიც ელექტრონულ ფოსტაზე მივიღე. ოთხ ძირითად საკვლევ კითხვაზე ჩავატარეთ ტექსტობრივი გამოკითხვა. თითოეული ინტერვიუს დეტალური ანალიზის საფუძველზე, მოვახდინეთ კვლევის შედეგების ფორმულირება.

საკვლევი კითხვები შემდეგნაირად ჩამოვაყალიბეთ:

1. რამდენად მოერგო მუსლიმური თურქეთი სეკულარიზმს?

2. რამ განაპირობა ისლამური პარტიების გააქტიურება თანამედროვე თურქეთის პოლიტიკაში?

3. რა გამოწვევებს უქმნის ისლამური და სეკულარული პოლიტიკური ძალების წინააღმდეგობა თურქეთის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკას?

4. უქმნის თუ არა საფრთხეს ზომიერი ისლამური პარტიების არსებობა თურქეთში სეკულარიზმს?

კვლევისათვის შევარჩიეთ შემდეგი რესპოდენტები:

1. სიმონ გურეშიძე - ისტორიის მეცნიერებათა ილიას უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი.

2. საბა ტაველიშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი

3. ირაკლი თოფურიძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკად. გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევარი, ისტორიის დოქტორი.

4. ვახტანგ თევდორაძე - აღმოსავლეთმცოდნე, აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესო

სიმონ გურეშიძემ პირველ შეკითხვას, „.რამდენად მოერგო მუსლიმური თურქეთი სეკულარიზმს?“ უპასუხა, რომ 2006 წელს forbes.ru-ზე გამოქვეყნებულ სტატიაში მოყვანილი იყო რეალური შემთხვევა სტამბულში ორი თურქი მოქალაქის საუბრიდან, რომლის დროსაც ერთი აღნიშნავდა, რომ იგი იყო ნამდვილი თურქი. სვამდა რახს და მზად იყო სიცოცხლე გაეწირა ათა თურქის თურქული რესპუბლიკისთვის. მეორის მტკიცებით, იგი უფრო მეტად იყო ნამდვილი თურქი, რადგან არ სვამდა არც რახს და არცერთ ალკოჰოლურ სასმელს,

რადგან ნამდვილი თურქი ისლამური ნორმების მიმდევარი უნდა ყოფილიყო. საკითხით დაინტერესებულ სპეციალისტთა აზრით, მომდევნო ათი წლის განმავლობაში სიტუაცია შეიცვალა. თურქების სულ უფრო მეტი რაოდენობა ახდენს საკუთარი იდენტობის გაიგივებას ისლამთან და ათა თურქის კულტი თითქოს წარსულს ბარდება, რასაც ხელისუფლების აქტივობას და უკანასკნელის მხრიდან ხალხზე კონსერვატიული ფასეულობების ნელა, მაგრამ მტკიცედ თავს მოხვევას უკავშირებენ. 2012 წლიდან ქვეყანაში დაიწყო საერო სკოლების გადაკეთება იმამ ჰატიბის სასულიერო სკოლებად, რომლის ერთ-ერთი გამოშვებაც თავის დროზე იყო თავად რეჯებ ტაიპ ერდოღანი. ათი წლის განმავლობაში ასეთი სკოლების რაოდენობა 73 000-დან 546 000-მდე გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობის დონეზე სეკულარიზმს ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება განათლების საკითხებში, აღნიშნულ სკოლებში მეოთხე კლასიდან დასრულებამდე ისწავლება სუნიტური ისლამის მიმდინარეობა მუსლიმური ფასეულობები. 2014 წლიდან აქტიურ რეჟიმში დაიწყო უნივერსიტეტებთან არსებული მეჩეთების მშენებლობები. ყოველივე ეს კი ითვალისწინებს ახალი თაობის გამოზრდას და ღია წყაროებში გამოქვეყნებული რიგი მასალების თანახმად, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ სახელმწიფო უწყებებში კარიერის შექმნა, უნდა დაამტკიცონ რომ ამ „ახალი თაობის" ნამდვილი წარმომადგენლები არიან. საგანმანათლებლო სფეროში და სხვა საჯარო სივრცეში დასქმების კანდიდატებს გასაუბრებაზე ეკითხებიან: არიან თუ არა რელიგიურები, იცავენ თუ არა რამადანის მარხვას, მხარს უჭერენ თუ არა ხელისუფლებას, რას ფიქრობენ 2016 წლის გადატრიალებაზე, რომელ გაზეთებს კითხულობენ და ა.შ. ყოველივე ზემოთ თქმული შედეგი კი, გავრცელებული მოსაზრებების თანახმად, ახალი თურქეთის ფორმირებაა. ცნობილი თურქი ფსიქიატრისა და ავტორის წიგნის „ახალი თურქეთის სინდრომი-დიაგნოზიდან მკურნალობამდე", ჯამალ დინდარის აზრით: ახალი თურქეთის ცნება ჩამოყალიბდა თავისუფლებისა და სამართლიანობის პარტიის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ და დაკავშირებულია 1923 წელს ათა თურქის მიერ შექმნილი სისტემის შეცვლასთან. ეს ცვლილებები, პირველ რიგში, იდეოლოგიურ ხასიათს ატარებს, რაც, თავის

მხრივ, თავისებური გადასვლაა საეროდან რელიგიურ იდეოლოგიაზე. მისივე აზრით, ჯერ კიდევ არიან თავს მოხვეული იდეოლოგიის მოწინააღმდეგეები, მაგრამ დროთა განმავლობაში მათი რაოდენობა სულ უფრო იკლებს.

მეორე კითხვას, „რამ განაპირობა ისლამური პარტიების გააქტიურება თანამედროვე თურქეთის პოლიტიკაში?" - აღნიშნა, რომ მკვლევართა ნაწილის აზრით, თურქეთში 1923 წლიდან მკაცრად სეკულარულ სახელმწიფოში პოლიტიკური ისლამი სეკულარული სისტემის პროდუქტი იყო. სხვა სიტყვებით: ისლამის პოლიტიზება და რელიგიის პოლიტიკური იდეოლოგიის ნაწილად ქცევა განაპირობა სეკულარიზმის როგორც რელიგიაზე სახელმწიფო მონოპოლიის ინსტიტუციონალიზაციამ. ქვეყანაში პოლიტიკური ისლამის აღმავლობის პერიოდის დასაწყისად ითვლება 2002 წლის ნოემბერი, როდესაც სამართლიანობისა და განვითარების პარტიის არჩევნებში გამარჯვებამ ნამდვილად დაუდო სათავე ახალი ეპოქის დასაწყისს არა მარტო ამ ქვეყნის შიდა, არამედ გლობალური პოლიტიკისთვისაც, ვინაიდან აღნიშნული გარემოების პირობებში უნდა განსაზღვრულიყო ისლამის ადგილი და სტატუსი თანამედროვე სეკულარულ სისტემაში. საერთაშორისო მასშტაბით ეს იყო პირველი მოვლენა, როდესაც ყოველგვარი სამხედრო ჩარევის ან რაიმე სახის ხელის შემშლელი ფაქტორების გარეშე, სრულად სეკულარულ სახელმწიფოში ისლამურ იდეოლოგიასა და ფასეულობაზე დაფუძნებულმა პოლიტიკურმა მოძრაობამ დამაჯერებელი უმრავლესობით შეძლო ხელისუფლებაში მოსვლა. თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მოვლენათა განვითარება ცოტა უფრო ადრე დაიწყო, ჯერ კიდევ 90-იან წლებში, როდესაც ქვეყნის პოლიტიკურ ასპარეზზე ძალებს იკრებდა და დღითიდღე პოპულარული ხდებოდა პოლიტიკური ისლამის მიმდევარი კეთილდღეობის პარტია, რომელიც მემარჯვენე ცენტრისტულ სეკულარულ ძალასთან ერთად კოალიციური მთავრობის პირობებში მართავდა ქვეყანას 1996 წელს. დასაწყისში კეთილდღეობის პარტიის პროპაგანდა ეროვნულ ინტერესებზე გადიოდა. სეკულარული ძალების მიერ მხარდაჭერილ ოფიციალურ იდეოლოგიას პროდასავლური იდენტობის შესახებ ისლამისტები ოსმალურ-ისლამურ იდენტობას უპირისპირებდნენ. გარდა ამისა, პარტია თავისთავად

წარმოადგენდა იმ პოლიტიკური ჯგუფების ფართო კოალიციას, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ სოციალური სამართლიანობის ისლამური პრინციპებით და ისწრაფოდნენ თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ისლამური ფასეულობების შერწყმისკენ. აღნიშნული პარტია ორჯერ დაიხურა და შემდეგ ორად გაიყო, ერთ ნაწილს მიემხრო უფროსი თაობა, ხოლო მეორე ახალგაზრდა და ზომიერმა ფრთამ დააფუძნა სამართლიანობისა და განვითარების პარტია რეჯებ ტაიპ ერდოღანის ხელმძღვანელობით. სოციალური სამართლიანობის პრინციპების მიმართ ერთგულება 2002 წლიდან უმრავლესობით მოსულმა აღნიშნულმა პარტიამაც გააგრძელა და სწორედ ამიტომ ითვლებოდა მკვლევართა საკმაოდ დიდ ნაწილში, რომ სამართლიანობისა და განვითარების პარტიის წარმატება არჩევნებზე არა ისლამისტურმა იდეოლოგიამ, არამედ კარგად გათვლილმა ეკონომიკურმა პროგრამებმა განაპირობეს, რის მაგალითადაც მოჰყავთ 2011 წლის არჩევნები, როდესაც მოსახლეობის დიდმა ნაწილმა აღნიშნულ პარტიას ხმა მისცა პოლიტიკური სტაბილურობის, მზარდი კეთილდღეობის, უკეთესი სოციალური პირობების, ჯანდაცვისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების გამო.

ბოლოს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არსებობს შემდეგი მოსაზრება, რომელსაც გარკვეულწილად მეც ვეთანხმები: საერთაშორისო საზოგადოებისთვის და განსაკუთრებით დასავლეთისთვის 2000-იან წლებში ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ისლამისტური იდეოლოგიის მიმართ გაჩენილ მზარდი პოპულარობის პირობებში აღნიშნული ფენომენის უკონტროლოდ გავრცელების, პოლიტიკური ისლამის მიმდევართა ნაწილის მხრიდან რადიკალური და ექსტრემისტული აქტივობის თავიდან აცილების მიზნით, ასევე გარკვეულ კალაპოტში მოქცევისა და მართვისთვის ათეულობით წლების განმავლობაში სეკულარული ელიტების მიერ მართული ნატოს წევრი მუსლიმური ქვეყანა საკმაოდ მისაღები აქტორი იყო.

მესამე კითხვაზე, „რა გამოწვევებს უქმნის ისლამური და სეკულარული პოლიტიკური ძალების წინააღმდეგობა თურქეთის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკას?“ პასუხი ასეთია - გამომდინარე იქიდან, რომ ერდოღანის ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილ ინდივიდუალურ პირთა თუ პოლიტიკური ჯგუფების ხმა სულ უფრო მცირდება დროთა განმავლობაში და

ქვეყნის ახალ ფორმაციაზე გადასვლის კონტურები აშკარად იკვეთება, ამ ეტაპზე რაიმე სახის შიდა დაძაბულობისა და სერიოზული გამოწვევების ნიშნები არ ჩანს. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკურ გამოწვევებს, თურქეთის ევროკავშირში გაწევრების საკითხი ევროკავშირმა კვიპროსის პრობლემის გამო ჯერ კიდევ 2006 წელს გაყინა. იმავე წლიდან თურქეთის მოსახლეობაში პროამერიკულმა და პროევროპულმა განწყობებმა იკლო და მარშალის ფონდის კვლევების თანახმად, თურქული საზოგადოების ინტერესი მუსლიმთა პრობლემებისა და მუსლიმური ქვეყნების, მათ შორის ირანის მიმართაც გაიზარდა. თავად მმართველ პარტიას აქვს შემდეგი მიზნები და კონცეფცია: 1) გახდეს ხიდი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის და იქცეს დასავლეთისთვის რეგიონში მიმდინარე პრობლემების მომგვარებელ ძალად. 2) დასავლეთთან ინტეგრაცია არ წარმოადგენს მთავარ მიზანს და თურქეთს ერთნაირი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს როგორც დასავლეთის, ისე მუსლიმური სამყაროს მიმართაც. ყველა ამ ფაქტორისა და გარემოებების გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის საგარეო პოლიტიკური პარადიგმის მკვეთრი ცვლილება მოხდა, დღესდღეობით არ შეინიშნება ამ ქვეყნის იზოლაციის, სერიოზული სანქციების და სხვა სახის დაპირისპირების ნიშნები არცერთი რეგიონული და გლობალური მასშტაბის აქტორის მხრიდან. მეტიც, თურქეთის ხელისუფლება ახერხებს დარჩეს ანგარიშგასაწევ ძალად, რისი მაგალითებიცაა ამ ქვეყნის აქტივობის დეტალები სირიაში და ბოლო დღეებში ბლინკენის ვიზიტი ისრაელ-ჰამასის დაპირისპირებისა და კოალიციური ძალების მხრიდან იემენელი ჰუსიტების წინააღმდეგ საპასუხო დარტყმების წინა პერიოდის ფონზე. აქედან გამომდინარე, რაიმე სახის სერიოზულ გამოწვევებზე საუბარი ნაადრევია.

მეოთხე შეკითხვაზე, "უქმნის თუ არა საფრთხეს ზომიერი ისლამური პარტიების არსებობა თურქეთში სეკულარიზმს?“, მივიღეთ შემდეგი პასუხი - აღნიშნული საფრთხე არ ჩანდა ჯერ კიდევ თურქეთის მმართველი სამართლიანობისა და განვითარების წინამორბედი ზემოთ ხსენებული კეთილდღეობის პარტია, არ ეთანხმებოდა ქვეყნის ევროპასთან მჭიდრო ინტეგრაციას და სიფრთხილით ადევნებდა თვალს ჩრდილო ატლანტიკური

ალიანსის აქტივობას რიგ მუსლიმურ ქვეყნებში, წინააღმდეგი იყო თურქეთში ირანის მსგავსი ისლამიზაციის დამყარების. სიტუაციის თანდათანობით ცვლა 2013 წლის საპროტესტო აქციების შემდეგ დაიწყო, მას შემდეგ, რაც რეჯებ ტაიპ ერდოღანმა საბოლოოდ დაკარგა იმის იმედი, რომ ხმათა უმრავლესობის მოპოვებას ოდესმე შეძლებდა საზოგადოების სეკულარულ სეგმენტში. აქედან გამომდინარე, იგი სულ უფრო ხშირად იყენებდა ისლამისტურ დისკურსს რელიგიურ-კონსერვატიული და ეროვნულ ძალების წარმომადგენელი ახალი მოკავშირეების გააქტიურების მიზნით. 2016 წლის არშემდგარი გადატრიალების შემდეგ ქვეყნის მმართველისთვის კიდევ უფრო ადვილი გახდა სამხედრო მაღალჩინოსნები, მოსამართლეები და უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელები დაემორჩილებინა აღნიშნული ისლამისტური დისკურსისთვის. სწორედ ამ გარემოებებს უკავშირებენ სპეციალისტთა ნაწილი ტაიპ ერდოღანის გადაწყვეტილებას აია სოფიას მუზეუმის სტატუსის გაუქმებასა და მეჩეთად გადაკეთებას. ამ პერიოდიდან მოყოლებული რელიგიურ საქმეთა სამმართველოს ხელმძღვანელი ალი ერბასი გახდა კონსერვატიული ძალების ყველაზე მძლავრი წარმომადგენელი. თურქეთის სეკულარული ძალების წარმომადგენლები შეშფოთებით აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო ცდილობს რელიგიის დახმარებით დაარეგულიროს საჯარო სფერო. მათი აზრით, თუ კი ადრე აღნიშნული ორგანიზაცია შემოიფარგლებოდა მხოლოდ ღვთისმსახურებით, თანდათან მათი უფლებამოსილება გაფართოვდა და ხელისუფლება ომს უცხადებს სეკულარიზმს, ხოლო ამ ორგანიზაციას კი, როგორც ინსტრუმენტს, ისე იყენებს.

საბა ტაველიშვილმა პირველ შეკითხვას „რამდენად მოერგო მუსლიმური თურქეთი სეკულარიზმს?“ ასე პასუხა: როდესაც საუბარია თურქეთზე, შესაბამისად ვსაუბრობთ უკვე თურქეთის რესპუბლიკაზე, რომლის მთავარ საწყისსა და ფუნდამენტს წარმოადგენს სეკულარიზმის იდეა. ნულოვანი პრობლემების პოლიტიკა მეზობელ სახელმწიფოებთან და კავშირების გაღრმავება ევროპულ საზოგადოებასთან. სეკულარიზმის იდეის გაღვივებას ხელი შეუწყო ოსმალეთის იმპერიაში არსებულმა ეთნიკურმა სიუხვემ. პირველ მსოფლიო ომში დასუსტებული ოსმალეთის იმპერიაში სრული გაუცხოება შეინიშნებოდა თურქთა

და არაბთა შორის. ერთიანი ოსმალეთის იდეა დაშლის პირას იდგა, საერთო მათთვის მხოლოდ რელიგიაღა რჩებოდა. ნაციონალიზმის გაღვივებამ მუსტაფა ქემალ ათათურქის თაოსნობით გამოიწვია ისლამიზმის უკანა ფლანგზე გადაწევა და მიძინება. საჭირო ხდებოდა არა რელიგიურ გრძნობებზე მიჯაჭვულობა, არამედ კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში მცხოვრები ერის გაერთიანება ერთი ნიშნის ქვეშ, რაც ერი-სახელმწიფოს მოთხოვნებს უპასუხებდა. თურქი პოლიტოლოგების აზრით, ათათურქი განიცდიდა მე-19 საუკუნის პოზიტივისტური ფილოსოფოსების მიმდინარეობის გავლენას, რომელიც ქადაგებდა თავისუფლებას, კონსტიტუციონალიზმსა და ეროვნულობას. ამიტომ მის მიერ წამოწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თავის თავში მოიცავდა ეროვნული ტიპის დამოუკიდებელ თურქულ ეროვნული სახელმწიფოს შექმნას. საჭირო გახდა, რომ ევროპის ხალხთა გაერთიანება გარკვეული სიმპათიებით განმსჭვალულიყო თურქეთის მიმართ.

ათათურქი მიხვდა, რომ აზიისა და აფრიკის ხალხებისათვის დამოუკიდებლობის შენარჩუნების ერთადერთი პირობა არის ეროვნულობის, ევროპული გაგების მიმართ ერთგულება. შესაბამისად, მან თურქული ეროვნულობა არ ააგო რასის, ან რელიგიის პრინციპზე და უარი თქვა პანისლამიზმსა და პანთურქიზმზე, რომელზედაც აგებული იყო ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკა. ერთი სიტყვით, ათათურქის ეროვნულობა მსგავსად ევროპულისა, გაგებული იყო ეროვნული თანამოაზრეობის საფუძველზე და ემყარებოდა ერთიანი მოქალაქეობის პრინციპს.

მეორე კითხვაზე, „რამ განაპირობა ისლამური პარტიების გააქტიურება თანამედროვე თურქეთის პოლიტიკაში?“ შემდეგი პასუხი მივიღეთ -ისტორია გვიჩვენებს, რომ ნებისმიერი ქვეყნის ანდა იმპერიის შიდა თუ საგარეო პოლიტიკა განიცდის ცვლილებებს ან, სულ მცირე, უნდა ადაპტირდეს ახალ გარემოსთან. თუ ეს ასე არ მოხდება, საქმე გვაქვს კარგ შემთხვევაში ქვეყნის დაშლასთან, ხოლო უარეს შემთხვევაში -საერთოდ პოლიტიკური რუკიდან გაქრობასთან. ამიტომ იმის თქმა, რომ თურქეთის საგარეო ან/და საშინაო პოლიტიკა არ იცვლებოდა და მომავალში კიდევ არ შეიცვლება, სწორი არ იქნება.

ბოლო ათი-თხუთმეტი წლის თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსი, შეიძლება ითქვას, რომ განიცდის ცვლილებებს, რაც მსოფლიო და რეგიონალური ცვლილებებთანაა კავშირში და ახალ პოლიტიკურ გარემოსთან ადაპტირებას გულისხმობს. ბოლო პერიოდში დასავლეთის მიმართ გამოცხადებულმა უკმაყოფილებამ, ლოგიკურია, გამოძახილი პოვა თურქი ხალხის წიაღშიც. თუ რესპუბლიკის დაარსების პერიოდში სეკულარიზმის დამკვიდრებისა და განვრცობის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ეროვნული იდეის წინა პლანზე წამოწევა, დროთა განმავლობაში აღნიშნული იდეა გარდაიქმნა თურქეთის საგარეო პოლიტიკის მთავარ პოსტულატად, ევროპასთან დაახლოებისა და ევროპულ კავშირში ინტეგრაციის ელემენტად. საბჭოთა კავშირის დაშლისა და ბიპოლარული სისტემის ჩამოშლის შემდეგ თურქეთს საშუალება მიეცა რეგიონული ლიდერის როლზე განეცხადებინა პრეტენზია. თანამედროვე პოლიტიკურმა მოვლენებმა (ერაყის ომი, სირიის ომი, რუსეთ-უკრაინის ომი, ისრაელი-პალესტინა) აჩვენა, რომ თურქეთის ასეთი მისწრება შეუსაბამობაშია სხვადასხვა ძალების ინტერესებთან. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან დანახული თურქეთი შეიძლება იყოს სეკულარული სახელმწიფო, თუმცა იგი მაინც ითვლება მუსლიმურ სახელმწიფოდ, ვინაიდან რელიგიის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ძალზედ დიდია.

თანამედროვე სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა ფაქტობრივად გამოხატავს მათ საშინაო პოლიტიკას, ამ ორ მიმართულებას შორის საზღვარი ძალზედ ბუნდოვანია და ერთიმეორეზე დიდ გავლენას ახდენს. თუ მოცემულობა გვაქვს, რომ თურქეთს აქვს უნარი იკისროს მედიატორის როლი ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებში, მაშინ მან უნდა გამოხატოს როგორც თეოკრატიული, ასევე სეკულარულ სახელმწიფოთა ინტერესები. თურქეთში ისლამური პარტიების გააქტიურების ერთ-ერთ ძირითად საფუძვლად შეგვიძლია მივიჩნიოთ 2000-იანი წლებიდან დღემდე განვითარებული სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირებები როგორც ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, ასევე ევროპაში.

მესამე კითხვაზე, „რა გამოწვევებს უქმნის ისლამური და სეკულარული პოლიტიკური ძალების წინააღმდეგობა თურქეთის როგორც საშინაო, ისე საგარეო

პოლიტიკას?“ ბატონმა საბამ აღნიშნა, რომ თურქეთის როლი როგორც რეგიონულ, ასევე საერთაშორისო დონეზე ძალზედ მნიშვნელოვანია. იგი დაკვირვების ობიექტია მსოფლიოს სხვადასხვა წერტილიდან. მისი უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა განსაზღვრავს მის გეოპოლიტიკურ კოდსაც. თურქეთის საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებში მუდმივად ხაზგასმულია მისი როლი მსოფლიო პოლიტიკურ და ეკონომიკურ კავშირებში, შესაბამისად, სტაბილური და თანმხვედრი პოლიტიკა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თურქეთის პარტნიორი ქვეყნებისთვის. ისლამური და სეკულარული პოლიტიკური ძალების როგორც იდეოლოგია, ასევე მათი საგარეო პოლიტიკური კურსიც განსხვავებულია. თუ პირველის ინტერესშია მსოფლიო პოლიტიკაში ინტეგრაცია, მეორე გულისხმობს მხოლოდ თურქეთის სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებას და ე.წ. იზოლაციონისტური პოლიტიკის წარმოებას.

პოლიტიკური მიმომხილველები და ექსპერტები სიფრთხილით ეკიდებიან თურქეთის საკითხს, თუმცა ცალსახად თანხმდებიან ერთ ფაქტზე, რომ თურქეთის სეკულარიზმის გარანტირებულია მისივე კონსტიტუციით. საკონსტიტუციო ცვლილებები კი თურქეთის რესპუბლიკაში მეტად სენსიტიური საკითხია და მისი ძირეული ცვლილების შანსი, გრძელვადიან პერსპექტივაში, ფაქტობრივად ძალზედ მცირეა. თუმცა საშინაო პოლიტიკაში რელიგიური პარტიების როლი მზარდია, რასაც, თავის მხრივ, მცირე კორექტივები შეაქვს მის საგარეო კურსშიც. თუმცა მმართველი პარტია (სამართლიანობისა და განვითარების პარტია) თავის მხრივ, კონსერვატორული პოლიტიკის მიმდევარია, შესაბამისად, მის წიაღშიც რაღაც გარკვეულ როლს თამაშობს რელიგია. აქედან გამომდინარე მათთვის ისლამური პოლიტიკური პარტიების მზარდი რეიტინგი თუ აქტივობა მხოლოდ პოლიტიკურ ასპარეზზეა ოპოზიცური. გამოწვევები საშინაო პოლიტიკაში წმინდა წყლის პოლიტიკური შეიძლება იყოს, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს 2016 წლის მოვლენები, მაგრამ ამავე დროს თურქეთის ისტორიაში სამხედრო გადატრიალების ფაქტების მოძიება არც ისე რთულია.

მეოთხე კითხვას, ”უქმნის თუ არა საფრთხეს ზომიერი ისლამური პარტიების არსებობა თურქეთში სეკულარიზმს?“, უპასუხა შემდეგნაირად - ვფიქრობ, ამ

კითხვაზე, ფაქტობრივად, უკვე გაცემულია პასუხი. (იხ. ზემოთ). კონსტიტუცია თურქეთის რესპუბლიკისთვის ერთ-ერთი „წმინდა“ დოკუმენტია.

ირაკლი თოფურიძემ, პირველ კითხვას „რამდენად მოერგო მუსლიმური თურქეთი სეკულარიზმს?“ უპასუხა, რომ ნაკლებად სავარაუდოა ვისაუბროთ იმაზე, რომ სეკულარიზმი ბოლომდე მოერგო თანამედროვე თურქეთს. სეკულარიზმის გამოვლინებები, რომლებიც დღეს გვხვდება, არის უფრო მეტად ფასადური და არ წარმოადგენს რეალობას დღევანდელ თურქეთში. მით უმეტეს, რომ ერდოღანის პან-თურქული (თურანული) მისწრაფებების განხორციელება წარმოუდგენელია სეკულარულ საზოგადოებაში.

შემდეგ კითხვაზე „რამ განაპირობა ისლამური პარტიების გააქტიურება თანამედროვე თურქეთის პოლიტიკაში?“ თქვა, რომ ამ შეკითხვაზე პასუხი წინა პასუხიდან გამომდინარეობს. ფასადურმა სეკულარიზმმა გამოიწვია თურქული საზოგადოების დაღლა და იმედგაცრუება. სახელმწიფო ირიბად უბიძგებს ისლამიზაციის გაძლიერებას თურქეთში, რათა აჩვენოს ის რეალობა, რომ სეკულარულმა სტრუქტურამ არ/ვერ გაამართლა ქვეყანაში და „დიდი თურქეთის“ რეინკარნაცია მხოლოდ ისლამსა და თურანიზმზე შეიძლება განხორციელდეს.

„რა გამოწვევებს უქმნის ისლამური და სეკულარული პოლიტიკური ძალების წინააღმდეგობა თურქეთის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკას?“ პასუხი შემდეგია - საშინაო პოლიტიკაზე უკვე გიპასუხეთ, საგარეო პოლიტიკას რაც შეეხება, აქ არის რეგიონში თურქეთის ერთ-ერთი უძლიერესი კონკურენტის, ირანის, ფაქტორი. რეგიონში ლიდერობისათვის ეს ორი ქვეყანა უპირისპირდება ერთმანეთს. ზუსტად აქ აქვს თურქეთს გათვლა, რომ რელიგიურ ნიადაგზე დაუპირისპირდეს ირანს და მუსლიმურ სამყაროში თავი წარადგინოს არა „რელიგიისაგან გამდგარი“, არამედ ისლამური ტრადიციებისა და ღირებულებების დამცველი.

საკვლევ კითხვაზე „უქმნის თუ არა საფრთხეს ზომიერი ისლამური პარტიების არსებობა თურქეთში სეკულარიზმს?“ - პასუხი ასეთია: შეიძლება ითქვას, რომ თურქეთში მოქმედი პოლიტიკური პარტიების უმეტესობა მართვადია, აქედან გამომდინარე, სეკულარული და ისლამისტური პარტიების არსებობა არის

ერთიანი მართვადი სისტემის შემადგენელი ნაწილი, ეს პარტიები ავსებენ პოლიტიკურ სპექტრს და არ უშლიან ხელს ერთმანეთს.

ვახტანგ თევდორაძემ პირველ კითხვას – „რამდენად მოერგო მუსლიმური თურქეთი სეკულარიზმს?" უპასუხა, რომ თურქული სეკულარიზმი, სახელმწიფოსა და რელიგიის გამიჯვნა ისტორიულად აიხსნება სახელმწიფოს მოდერნიზაციის აუცილებლობით. ამიტომ მე-20 საუკუნის დასაწყისში თურქეთი მოერგო სეკულარიზმს, მაგრამ მომდევნო პერიოდის ცვლილებებმა ცხადყო, რომ ეს მხოლოდ დროებითი იყო.

შემდეგ კითხვაზე „რამ განაპირობა ისლამური პარტიების გააქტიურება თანამედროვე თურქეთის პოლიტიკაში?" ასე გვიპასუხა: თურქეთი მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, თანდათან იწყებს კორუფციაში ჩაძირვას, ამიტომ 1990-იან წლებში, ისლამისტურმა პარტიებმა მთავარ ლოზუნგად დააყენეს: ბრძოლა ელიტურ კორუფციასთან, რითაც ხალხში მოიხვეჭეს დიდი პოპულარობა.

„რა გამოწვევებს უქმნის ისლამური და სეკულარული პოლიტიკური ძალების წინააღმდეგობა თურქეთის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკას?" პასუხი შემდეგია -თურქეთის რესპუბლიკის დღევანდელი მმართველი სამართლიანობისა და განვითარების პარტია, თითქოსდა ავითარებს სეკულარულ იდეას, მაგრამ მისი მხარდამჭერეთა ნაწილი თავს ისლამისტად მიიჩნევს, რაც შეეხება ასეთი პოლიტიკური ძალების წინააღმდეგობას, ჩემი აზრით, პირველ რიგში, ხელს უშლის ქვეყნის შიგნით დემოკრატიული პროცესების განვითარებას, რასაც ვერ ვიტყვით საგარეო პოლიტიკაზე, რადგან თურქეთს აჟამად რეგიონში, ასეთი დაძაბული ვითარების მიუხედავად, უჭირავს ერთ-ერთი მთავარი მოთამაშის პოზიცია.

საკვლევ კითხვაზე „წარმოადგენს თუ არა საფრთხეს ზომიერი ისლამური პარტიების არსებობა თურქეთში სეკულარიზმისთვის?", - ნებისმიერ ქვეყანაში, ზომიერი თუ რადიკალური ისლამური პარტიების არსებობა, საფრთხეს უქმნის სეკულარიზმს.

პირველ კითხვაზე **„რამდენად მოერგო მუსლიმური თურქეთი სეკულარიზმს?“** ექსპერტთა მოსაზრებები ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა და დგინდება, რომ თურქული სეკულარიზმი, სახელმწიფოსა და რელიგიის გამიჯვნა ისტორიულად აიხსნება სახელმწიფოს მოდერნიზაციის აუცილებლობით. ამიტომ მე-20 საუკუნის დასაწყისში თურქეთი მოერგო სეკულარიზმს, მაგრამ მომდევნო პერიოდის ცვლილებებმა ცხადყო, რომ ეს მხოლოდ დროებითი იყო. სეკულარიზმის გამოვლინებები, რომლებიც დღეს გვხვდება, არის უფრო მეტად ფასადური და მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობის დონეზე სეკულარიზმს ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება, სუნიტური ისლამი და მუსლიმური ფასეულობები ქვეყანაში სულ უფრო ძლიერდება.

შემდეგ კითხვაზე: **„რამ განაპირობა ისლამური პარტიების გააქტიურება თანამედროვე თურქეთის პოლიტიკაში?“** ექსპერტები საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობენ: სიმონ გურეშიძის აზრით, ისლამის პოლიტიზება და რელიგიის პოლიტიკური იდეოლოგიის ნაწილად ქცევა განაპირობა სეკულარიზმის როგორც რელიგიაზე სახელმწიფო მონოპოლიის ინსტიტუციონალიზაციამ. საბა თაველიშვილი ისლამური პარტიების გააქტიურების მიზეზად მსოფლიოში და რეგიონში მიმდინარე მოვლენებს ასახელებს, როგორიცაა, ერთი მხრივ, დასავლეთის მიმართ იმედგაცრუება და უკმაყოფილება, მეორე მხრივ კი, 2000-იანი წლებიდან დღემდე განვითარებული სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირებები ახლო აღმოსავლეთის რეგიონსა და ევროპაში. ასევე საბჭოთა კავშირის დაშლა და თურქეთის პრეტენზია რეგიონალური ლიდერის როლზე. ირაკლი თოფურიძის მოსაზრებით, ფასადურმა სეკულარიზმმა გამოიწვია თურქული საზოგადოების დაღლა და იმედგაცრუება. სახელმწიფო ირიბად უბიძგებს ისლამიზაციის გაძლიერებას თურქეთში, რათა აჩვენოს ის რეალობა, რომ სეკულარულმა სტრუქტურამ არ/ვერ გაამართლა ქვეყანაში და „დიდი თურქეთის“ რეინკარნაცია მხოლოდ ისლამსა და თურანიზმზე დაყრდნობით შეიძლება განხორციელდეს. ვახტანგ თევდორაძემ ისლამური პარტიების გააქტიურება ქვეყანაში გამეფებულ კორუფციას დაუკავშირა, 1990-იან წლებში

ისლამისტურმა პარტიებმა მთავარ ლოზუნგად დააყენეს: ბრძოლა ელიტურ კორუფციასთან, რითაც ხალხში მოიხვეჭეს დიდი პოპულარობა.

**„რა გამოწვევებს ქმნის ისლამური და სეკულარული პოლიტიკური ძალების წინააღმდეგობა თურქეთის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკასთვის?“** ამ კითხვაზე ექსპერტების პასუხები შემდეგია: - გამომდინარე იქიდან, რომ ერდოღანის ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილ ინდივიდუალურ პირთა თუ პოლიტიკური ჯგუფების ხმა სულ უფრო მცირდება, დროთა განმავლობაში და ქვეყნის ახალ ფორმაციაზე გადასვლის კონტურები აშკარად იკვეთება, ამ ეტაპზე რაიმე სახის შიდა დაძაბულობისა და სერიოზული გამოწვევების ნიშნები არ ჩანს, რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის საგარეო პოლიტიკური პარადიგმის მკვეთრი ცვლილება მოხდა, დღესდღეობით არ შეინიშნება ამ ქვეყნის იზოლაციის, სერიოზული სანქციებისა და სხვა სახის დაპირისპირების ნიშნები არცერთი რეგიონული და გლობალური მასშტაბის აქტორის ხრიდან. მეტიც, თურქეთის ხელისუფლება ახერხებს დარჩეს ანგარიშგასაწევ ძალად,

საკვლევ კითხვაზე – **„წარმოადგენს თუ არა საფრთხეს ზომიერი ისლამური პარტიების არსებობა თურქეთში სეკულარიზმისათვის?“** - დარგის სპეციალისტთა პასუხი ასეთია: შეიძლება ითქვას, რომ თურქეთში მოქმედი პოლიტიკური პარტიების უმეტესობა მართვადია, აქედან გამომდინარე, სეკულარული და ისლამისტური პარტიების არსებობა არის ერთიანი მართვადი სისტემის შემადგენელი ნაწილი, ეს პარტიები ავსებენ პოლიტიკურ სპექტრს და არ უშლიან ხელს ერთმანეთს. გარდა ამისა, კონსტიტუცია თურქეთის რესპუბლიკისთვის ერთ-ერთი „წმინდა“ დოკუმენტია. თურქეთის სეკულარიზმი კი გარანტირებულია მისივე კონსტიტუციით. განსხვავებულ პოზიციას აფიქსირებს ვახტანგ თევდორაძე, რომელიც მიიჩნევს, რომ ნებისმიერ ქვეყანაში, ზომიერი თუ რადიკალური ისლამური პარტიების არსებობა საფრთხეს უქმნის სეკულარიზმს.

ჩვენ მიერ ჩატარებული ჩაღრმავებული ინტერვიუს შედეგად, ჩამოვაყალიბეთ შემდეგი დასკვნები:

• მუსტაფა ქემალ ათათურქმა საფუძველი ჩაუყარა რა სეკულარული თურქეთის რესპუბლიკას, მხარი დაუჭირა ევროპასთან დაახლოებასა და ევროპულ კავშირში ინტეგრაციას, ნაციონალიზმის გაღვივებით კი მოხდა ისლამის უკანა ფლანგზე გადაწევა და მიძინება. მაშინ თურქეთმა უარი თქვა პანისლამიზმზე.

• თურქეთში ისლამური პარტიების გააქტიურების ერთ-ერთ ძირითად საფუძვლად შეგვიძლია მივიჩნიოთ 2000-იანი წლებიდან დღემდე განვითარებული სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირებები როგორც ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, ასევე ევროპაში. ისლამური პარტიის გააქტიურებას ხელი შეუწყო ქვეყანაში გაზრდილმა კომუნიზმის გავრცელების საფრთხემ და ელიტურმა კორუფციამაც. კორუფციასთან ბრძოლის ლოზუნგით ისლამურმა პარტიებმა ხალხში დიდი მხარდაჭერა მოიპოვეს.

• ისლამური და სეკულარული პოლიტიკური ძალების როგორც, ასევე მათი საგარეო პოლიტიკური კურსიც განსხვავებულია. თუ პირველის ინტერესშია მსოფლიო პოლიტიკაში ინტეგრაცია, მეორე გულისხმობს მხოლოდ თურქეთის სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებას და ე.წ. იზოლაციონისტური პოლიტიკის წარმოებას. ასე რომ, სეკულარული ძალების მიერ მხარდაჭერილ ოფიციალურ იდეოლოგიას პროდასავლური იდენტობის შესახებ ისლამისტები ოსმალურ-ისლამურ იდენტობას უპირისპირებდნენ.

. ბოლო ათი-თხუთმეტი წლის თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსი, შეიძლება ითქვას, რომ განიცდის ცვლილებებს, რაც მსოფლიო და რეგიონალურ ცვლილებებთანაა კავშირში და ახალ პოლიტიკურ გარემოსთან ადაპტირებას გულისხმობს.

• თავდაპირველად სეკულარიზმს მოერგო მუსლიმური თურქეთი, მაგრამ მომდევნო პერიოდის ცვლილებებმა აჩვენა, რომ ეს მხოლოდ დროებითი იყო. დღეს სეკულარიზმი ფასადურ ხასიათს ატარებს თურქეთში. მართალია, თურქეთის სეკულარიზმი დაცულია მისივე კონსტიტუციით, თუმცა ზომიერი ისლამის გავლენის ზრდა ქვეყანაში იწვევს რესპუბლიკის როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილებას.

## დასკვნა

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში მოცემულია თანამედროვე თურქეთის სახელმწიფო-პოლიტიკური სისტემის განხილვა, იგი მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება, რომელსაც თავისი ჩამოყალიბების ისტორია და ეტაპები გააჩნია. თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ერთმანეთის გვერდით სეკულარიზმისა და ზომიერი ისლამის არსებობა, რომელთა მეტოქეობა წინა საუკუნის 20-იანი წლებიდან იღებს სათავეს. სეკულარული თურქეთის ფუძემდებლის, მუსტაფა ქემალის, გარემოცვაშიც კი არსებობდნენ რელიგიის დამცველი და ერთგული ადამიანები, რის გამოც ვერ მოხერხდა სასულთნოსა და სახალიფოს ერთბაშად გაუქმება. თუმცა მუსტაფა ქემალიმ მოახერხა ქვეყანა ევროპულ ყაიდაზე გადაეწყო ისე, რომ არ დაეკარგა ერთგვარი ბალანსი ევროპულ და აღმოსავლურ ღირებულებებს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ სეკულარულ რესპუბლიკაში რელიგია სახელმწიფოს გამოეყო ისლამური იდეოლოგიის მქონე პოლიტიკური პარტიების საქმიანობა ქვეყანაში მაინც შეინიშნებოდა, რამაც განსაკუთრებით გამოკვეთილი ხასიათი მიიღო უკვე XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა მემარცხენე-ცენტრისტულმა სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ მრავალპარტიულობა დაუშვა და ხელისუფლება ჯელალ ბაიარისა და ადნან მენდერესის დემოკრატიულ პარტიას გადააბარა. თუმცა დემოკრატიული პარტიის მმართველობა შორს აღმოჩნდა დემოკრატიისაგან და ის უფრო ზომიერი ისლამისაკენ იხრებოდა, რასაც მოჰყვა 1960 წლის სამხედრო გადატრიალება.

,,ისლამური აღორძინება“ თურქეთში გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან უფრო მეტად გაფართოვდა ჯერ პრო-ისლამური ეროვნული წესრიგის პარტიის დაარსებით, მოგვიანებთ კი კეთილდღეობის პარტიის ჩამოყალიბებით. მომდევნო 30 წლის განმავლობაში სამი წარმატებით განხორციელებული სამხედრო გადატრიალება მოხდა თურქეთის ისტორიაში: 1971, 1980 და 1997 წლებში, რომელთა მიზეზიც თურქეთის პოლიტიკაში ზომიერი ისლამის მომძლავრება იყო, რასაც ეწინააღმდეგებოდა ქემალიზმის ყველაზე ერთგული

დამცველი სამხედრო ელიტა. ყველა გადატრიალებას თან ახლდა შესაბამისი ცვლილებების შეტანა ქვეყნის კონსტიტუციაში, რომელიც სეკულარიზმის განმტკიცებას ემსახურებოდა.

